ნათელა ჯაბუა

ძველი საქართველოს საერო ხუროთმოძღვრება

ნათელა ჯაბუა

ძველი საქართველოს საერო ხუროთმოძღვრება

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2018

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სახელმძღვანელოს ხელოვნებათ-მცოდნეობის სპეციალობის და ქართული ხელოვნების ისტორიით დაინტერესებული ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტე-ბისათვის.

განხილულია ძველი საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების საკითხები. წარმოჩენილია საქართველოში სამშენებლო ხელოვნების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები და საერო ხუროთმოძღვრების არსებითი მახასიათებლები, ტრადიციული საცხოვრებლების, სასახლეების, საფორტიფიკაციო ნაგებობების, აბანოების, ქარვასლების, ხიდების არქიტექტურულ-კონსტრუქციული და მხატვრული გადაწყვეტის თავისებურებები, ისტორიული ურბანული დასახლებების სახასიათო ნიშნები.

რედაქტორი

ხელოვნებათმცოდნეობის მეცნ. დოქტორი, პროფ. **ზაზა სხირტლაძე**

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2018

© ნ. ჯაბუა

ISBN 978-9941-25-459-8

სარჩევი

შესავალი 5

ხუროთმოძღვრება – შენების ხელოვნება 7

ხუროთმოძღვრების ჩასახვა-განვითარების ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორები საქართველოში 18

საცხოვრებლები ძველ საქართველოში 25

დარბაზული საცხოვრებელი 38

ოდა-სახლი 56

მთიანი რეგიონების საცხოვრებლები 73

სასახლეების არქიტექტურა ძველ საქართველოში 88

საფორტიფიკაციო ნაგებობები 112

აბანოები 131

ქარვასლები 147

ხიდები 158

ურბანული პრობლემატიკა და ქალაქები ძველ საქართველოში 164

ილუსტრაციების სია 195

საერო ხუროთმოძღვრების ნიმუშები საქართველოს მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მათი შესწავლა და არქიტექტურულ-მხატვრული ნიშნების გამოვლენა ქართული ხუროთმოძღვრების თვითმყოფადობის თუ არსებითი მახასიათებლების უკეთ წარმოჩენის შესაძლებლობას იძლევა. საერო არქიტექტურის ძეგლები ხუროთმოძღვრების განვითარების ყველა ეტაპზე შენდებოდა. ისინი უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას გვაწვდის როგორც ამა თუ იმ ეპოქის სოციალ-ეკონომიკური და ისტორიულ-კულტურული ვითარების, ასევე არქიტექტურაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

დანიშნულებისა თუ არქიტექტურული გადაწყვეტის მიხედვით საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ნიმუშები დიდი მრავალ-ფეროვნებით გამოირჩევა. მათი მშენებლობა სხვადასხვა ამოცანების გადაწყვეტას ითვალისწინებს, რაც მრავალგვარი სამშენებლო ხერხებისა და საშუალებების გამოიყენებით ხორციელდება. სხვადასხვა ფუნქციის ნაგებობას განსხვავებული არქიტექტურული მახასიათებლები და მხატვრული ღირებულება გააჩნია. მათ გააზრებაში ტრადიციული თუ ინოვაციური მიდგომების გამოყენება ნათლად ავლენს ადგილობრივი სამშენებლო პოტენციალის რაობას.

ძველი საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ნიმუშების დიდი ნაწილი არ შემორჩა ან ძალზე დაზიანებული სახით მოაღწია. ამდენად, შევეხებით ძირითადად შუა საუკუნეებისა და XIX საუკუნის ძეგლების იმ სახეობებს, რომელთა შესახებ მეტი ინფორმაცია და მონაცემები არსებობს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტრადიციული საცხოვრებლების ტიპები, რომლებიც ყველაზე უკეთ

წარმოაჩენენ ქართული ხუროთმოძღვრების თვითმყოფადობას. შემორჩენილი ძეგლები საშუალებას იძლევა განვიხილოთ სხვადასხვა პერიოდში აგებული სასახლეები, საფორტიფიკაციო ნაგებობების ტიპები, აბანოები, ქარვასლები, ხიდები და ურბანული მშენებლობა ძველ საქართველოში.

ხუროთმოძღვრება – შენების ხელოვნება

ხუროთმოძღვრება ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობის უძველესი სფეროა, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა ჩვენი პლანეტის ბუნებრივი ლანდშაფტი. არქიტექტურის ქმნილებას წარმოადგენს როგორც თანამედროვე შენობები ჩვენს ყოველდღიურ გარემოში, ასევე ათასწლეულების განმავლობაში აგებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

არქიტექტურა შენების ხელოვნებაა, სადაც ტექნიკურ-უტილიტარული ამოცანების გადაწყვეტა განუყოფლად არის დაკავშირებული მხატვრულ შემოქმედებასთან. არქიტექტურას ადამიანზე ზემოქმედების სპეციფიკური საშუალებები გააჩნია. ის მოწოდებულია დააკმაყოფილოს კონსტრუქციულ-ფუნქციონალური, მხატვრულ-ესთეტიკური და იდეური მოთხოვნები.

კონსტრუქციული საკითხი ითვალისწინებს არქიტექტურული ნაგებობის მდგრადობის, მისი ეკონომიურობის და საშენ მასალათა გამძლეობის პრობლემების გადაწყვეტას. არქიტექტურული ნაგებობა უნდა იყოს მყარი და გამძლე. მას უნდა ჰქონდეს საიმედო და ამავე დროს ეკონომიური კონსტრუქციები. ამ თვალსაზრისით არქიტექტურის განვითარება და ნოვატორული კონსტრუქციული სქემების განხორციელება დიდწილად არის დამოკიდებული ტექნიკურ პროგრესზე, ახალი სამშენებლო ხერხების თუ საშუალებების დანერგვაზე. მაგალითად, ძველ რომში ბეტონის გამოგონებამ ახალი პირობები შექმნა ხუროთმოძღვრების განვითარებისათვის. შედეგად, შესაძლებელი გახდა ისეთი მასშტაბური და არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადაწყვეტით გამორჩეული ძეგლების აგება როგორებიცაა რომის კოლიზეუმი, პანთეონი, კარაკალას თერმები და სხვა. შუა საუკუნეების ევროპაში ახალი, კარკასული სისტემის ფორმირებამ დასაბამი მისცა გრანდიოზული გუთური ტაძრების მშენებლობას. XX საუკუნეში რკინა-ბეტონის კონსტრუქციების შექმნამ საფუძველი დაუდო თანამედროვე მრავალსართულიანი შენობების მშენებლობას, რამაც ძირფესვიანად შეცვალა ურბანული განვითარების ტენდენციები.

ფუნქციონალური საკითხი ითვალისწინებს ნაგებობაში მისი დანიშნულების შესაბამისი პირობების უზრუნველყოფას, რაც აისახება მთელი რიგი ამოცანების გადაწყვეტაში. თავისი სპეციფიკა გამოარჩევს

სხვადასხვა ფუნქციის ნაგებობას. მაგალითად, თეატრის შენობის აგებისას მნიშვნელოვანია კარგი აკუსტიკის და ხილვადობის უზრუნველყოფა, სცენის მოწყობის თავისებურებების გათვალისწინება და დარბაზის სწრაფად შევსება-დაცლის უზრუნველყოფა. განსაკუთრებული აკუსტიკური პირობების შექმნას საჭიროებს ოპერის თეატრი. სხვა მოთხოვნებია სპორტული ნაგებობების მშენებლობისას, რაც სპორტის ამა თუ იმ სახეობის თავისებურებებით არის განპირობებული. მაგალითად, ძირეულად განსხვავდება ფეხბურთის სტადიონი, ფრენბურთის კორტები, წყალბურთის აუზი და ა.შ. თავისი სპეციფიკა აქვს სასწავლო დაწესებულებებს, სავაჭრო ნაგებობებს, სადგურებს, აეროპორტებს და სხვ. განსაკუთრებული გადაწყვეტა ახასიათებს საკულტო დანიშნულების ნაგებობებს, რომლებიც კონკრეტული რელიგიის წესებისა და მოთხოვნების შესაბამისად იგება.

საცხოვრებელი სახლის აგებისას მნიშვნელოვანია საცხოვრებლად კომფორტული გარემოს შექმნა. გასათვალისწინებელია ასევე კლიმატური თავისებურებები. მაგალითად, ქვეყნებში, სადაც უხვი ნალექი იცის, სახლების სახურავები უმეტესად ძლიერ დაფერდებულია, ხოლო იქ, სადაც მზე დიდხანს ანათებს და ნაკლები ნალექი მოდის, ბრტყელ გადახურვას ანიჭებენ უპირატესობას.

მხატვრულ-ესთეტიკური საკითხის გააზრება არქიტექტურული ნაგებობის მხატვრულ ღირებულებას განსაზღვრავს. მას დიდწილად განაპირობებს ნაგებობის მოცულობით-სივრცითი აღნაგობის დახვეწილობა, სილუეტის სიცხადე, პროპორციების ჰარმონიულობა, ინტერიერისა და ფასადების გააზრების თავისებურება, ცალკეული არქიტექტურული ფორმის გამომსახველობა და ა.შ. მხატვრული ამოცანების გადაწყვეტისას ხუროთმოძღვრება იყენებს ხელოვნების სხვადასხვა დარგის ნიმუშებს – რელიეფს, სკულპტურას, კედლის მხატვრობას, ვიტრაჟს და ა.შ. ამ თვალსაზრისით ხუროთმოძღვრული ნაგებობა ხელოვნების სხვადასხვა დარგის სინთეზის ობიექტს წარმოადგენს.

არქიტექტურული ნაგებობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმების განხილვის ჩვენთვის ცნობილ უადრეს მცდელობას წარმოადგენს ძვ.წ. I საუკუნის რომაელი არქიტექტორისა და ინჟინერის მარკუს ვიტრუვიუსის ნაშრომი „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ“. ის განსაკუთრებით

პოპულარული რენესანსის ეპოქაში გახდა, ხოლო ავტორის მიერ დასახელებული სამი კომპონენტი – firmitas (კონსტრუქციის სიმყარე), utilitas (საჭიროება) და venustas (სილამაზე) დღესაც ვიტრუვიუსის ტრიადის სახელით მოიხსენიება. ნაგებობის კონსტრუქციული მდგრადობა, ფუნქციონალური საჭიროების ზედმიწევნით გათვალისწინება და არქიტექტრულ-მხატვრული გამომსახველობა აქტუალური იყო და არის ყველა ეპოქაში, იქნება ეს ძველი სამყაროს, შუა საუკუნეების თუ თანამედროვე ხანა.

როგორც აღვნიშნეთ, არქიტექტურა იდეურ-მხატვრული ამოცანების სრულყოფილად წარმოსაჩენად ხშირ შემთხვევაში იყენებს ხელოვნების ნიმუშებს. მაგალითად, სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის ხუროთმოძღვრებაში მიმართავენ ფასადებისა თუ ინტერიერის რელიეფებით, ფრესკებით, მოზაიკებით, ვიტრაჟებით და სკულპტურული კომპოზიციებით შემკობის წესს. ამგვარი ხელოვნების ნიმუშები კონკრეტულ არქიტექტურულ კონტექსტს ესადაგება და ნაგებობა მათი ერთიან მხატვრულ სახედ ფორმირების საფუძვლს ქმნის. ასეთ შემთხვევაში სწორედ ხუროთმოძღვარი ზრუნავს ხელოვნების ნიმუშის აღქმისათვის შესაფერისი გარემოს, განათების და ხედვის წერტილების შესაქმნელად. ამდენად, ის ნაგებობის არქიტექტურულ-კონსტრუქციული თუ მხატვრულ-დეკორატიული სახის გადაწყვეტის მთავარ შემოქმედად გვევლინება.

მიუხედავად ხელოვნების სხვადასხვა დარგთან ასეთი მჭიდრო კავშირისა ხუროთმოძღვრება თავისი არსით განსხვავდება ხელოვნების ისეთი ტრადიციული დარგებისაგან, როგორიცაა მაგალითად ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა და სხვ. ეს ეხება, როგორც შესასრულებელი სამუშაოს მასშტაბებს, მხატვრული ჩანაფიქრის განხორციელების გზებს და საშუალებებს, ასევე ამ პროცესებში ჩართულ პირთა რაოდენობას. არქიტექტურული ნაგებობის შენების პროცესში ბევრი ადამიანი იღებს მონაწილეობას, დაწყებული თავად არქიტექტორისა და სამშენებლო სამუშაოების ხელმძღვანელისგან რიგითი მუშით დამთავრებული. შესაბამისად მის აგებას განუზომლად მეტი ფინანსური და მატერიალური რესურსი სჭირდება, ვიდრე, ვთქვათ, მხატვრის მიერ ტილოს დახატვას ან თუნდაც ქანდაკების შექმნას, რომლის მასალაში ჩამოსხმაც სპეციალისტების შრომას მოითხოვს. ამდენად, არქიტექტურული ნაგებობა

არა მხოლოდ სხვადასხვა დარგის სინთეზის, არამედ ბევრი ადამიანის მოღვაწეობის შედეგია. სხვა მახასიათებლებთან ერთად, ეს განაპირობებს მის ნაკლებად სუბიექტურ ხასიათს და არქიტექტურულ ნაგებობას გარკვეულ სოციალ-კულტურულ ღირებულებას სძენს.

არქიტექტურული ნაგებობა, როგორც ხანგრძლივი და მრავალმხრივი შემოქმედებითი პროცესის შედეგი, პირუთვნელად ასახავს კონკრეტულ ისტორიულ-კულტურულ მოცემულობას. ის ნათლად მეტყველებს მისი დამკვეთისა თუ აღმშენებლის განზრახულობის, ასევე შემსრულებელთა პროფესიონალიზმის და ოსტატობის დონის შესახებ. საზოგადოდ, ნებისმიერი მხატვრული ნაწარმოები ცივილიზაციის, ეპოქის, რეგიონის და ავტორის შესახებ გვაწვდის გარკვეულ ინფორმაციას. ამ თვალსაზრისით არქიტექტურული ძეგლი, რომლის შექმნას დიდი მატერიალური, ტექნიკური და ადამიანური რესურსის გამოყენება სჭირდება, ასახავს არა მხოლოდ ხუროთმოძღვარის პოზიციას და შემოქმედებით შესაძლებლობებს, არამედ გარკვეულწილად წარმოდგენას გვიქმნის მისი მშენებლობის ხანის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის, საზოგადოების განვითარების დონის, იდეურ და პრაქტიკულ მოთხოვნილებათა რეალური სურათის შესახებ. ამ თვალსაზრისით არქიტექტურული ძეგლი ფასდაუდებელ ინფორმაციას გვაწვდის კონკრეტული ეპოქისა და ქვეყნის შესახებ. მას შეუძლია ბევრი რამ მოგვითხროს ახლო თუ შორეული წარსულის შესახებ. სწორედ ამიტომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ მასალაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არქიტექტურული ძეგლების გამოვლენას, რომელთა მეშვეობით მეცნიერება შეისწავლის უძველეს ცივილიზაციებს, ეცნობა მათი მატერიალურ-ტექნიკური განვითარების დონეს, იდეოლოგიურ, სოციალ-პოლიტიკურ მახასიათებლებს.

არქიტექტურული ძეგლის თავისებურებების, მისი მასშტაბის, მხატვრული ხერხების ანალიზის შედეგად ნათლად წარმოჩნდება ამა თუ იმ ეპოქის მახასიათებლები და კონკრეტული ნაგებობის შექმნის ძირითადი იდეა. მაგალითად, ძველ პერსეპოლისში სამეფო სასახლე მბრძანებლის სიძლიერის და მრავალრიცხოვან ქვეშევრდომზე ბატონობის იდეას განასახიერებდა, რომში ტრიუმფალური თაღი იმპერატორის ბრძოლებში გამარჯვების და ტრიუმფის იდეას, შუა საუკუნეების ევროპაში ფეოდალის ციხე-სიმაგრე იმ პერიოდისთვის სახასიათო გარე სამყაროსაგან

იზოლირებული, თავდაცვაზე ორიენტირებული ცხოვრების წესს, საბჭოთა კავშირში ქალაქებსა და სოფლებში აგებული მონუმენტური ე.წ. კულტურის სახლები კომუნიზმის მშენებლობაში ჩართული მოქალაქეების კეთილდღეობის იდეას და ა.შ

ამდენად, ზოგადად არქიტექტურა და, კონკრეტულად, არქიტექტურული ძეგლი, მრავალმხრივ ინფორმაციას გვაწვდის კაცობრიობის განვითარების ყველა ეტაპის შესახებ უძველესი საცხოვრისების მშენებლობის ეტაპიდან თანამედროვეობამდე.

* * *

ხუროთმოძღვრებაში განირჩევა საერო-სამოქალაქო და საკულტო დანიშნულების ნაგებობები. საკულტო არქიტექტურის ძეგლში მთავარი იდეოლოგიური ფაქტორია. უპირველესი საკრალური სივრცის შექმნის ამოცანაა, რასაც სპეციფიკური, რწმენა-წარმოდგენებით და რელიგიური მოთხოვნებით განპირობებული, კანონები განსაზღვრავს. საკულტო არქიტექტურის ძეგლები (მაგ.: კარნაკის ტაძარი ძველი ეგვიპტეში, იუპიტერის ტაძარი ოლიმპოში, ცეცხლის ტაძრები სასანურ ირანში) ფასდაუდებელ მასალას გვაწვდის ძველი კულტებისა თუ რელიგიების, კულტმსახურების თავისებურებების და რიტუალის შესახებ. კულტურული მემკვიდრეობის აღიარებულ ნიმუშს წარმოადგენს არა ერთი ქრისტიანული, ისლამური, ბუდისტური ტაძარი თუ ებრაული სინაგოგა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იგებოდა სხვადასხვა ქვეყანაში. თანამედროვე საკულტო ნაგებობებიც, რომლებიც უმეტესად ახალი მასალების თუ სამშენებლო საშუალებების და ხერხების გამოყენებით შენდება, ყოველთვის ითვალისწინებს რელიგიური მოთხოვნებს. ზოგი მათგანი გამორჩეულია თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით და თანამედროვე არქიტექტურის აღიარებულ ძეგლს წარმოადგენს.

საკულტო ნაგებობის არქიტექტურული სახე კონკრეტული რელიგიური მოთხოვნების მიხედვით ყალიბდება. ამდენად სხვადასხვა რელიგიების საკულტო ნაგებობები არსობრივად განსხვავებულია. საგულისხმოა, რომ ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ტრადიციები დიდწილად განაპირობებს თითოეულ ქვეყანასა თუ რეგიონში განსხვავებული არქიტექტურული ტიპების, ფორმების და მიდგომების ჩამოყალიბებას. ამდენად, ერთი

რელიგიის სხვადასხვა ქვეყანაში აგებული ნიმუშებიც არქიტექტურული გადაწყვეტით განსხვავებულია. ეს ნათლად ჩანს მაგალითად ბიზანტიის, საქართველოსა თუ სოხეთის ქრისტიანული ტაძრების მაგალითზეც

ამრიგად, საკულტო არქიტექტურის ნიმუშის მიხედვით შესაძლებელია, როგორც კონკრეტული კულტისა თუ რელიგიის ძირითადი მოთხოვნების დადგენა, ასევე ადგილობრივი არქიტექტურულ-სამშენებლო თავისებურებათა გამოვლენა.

* * *

საკულტო ხუროთმოძღვრებისაგან განსხვავებით საერო-სამოქალაქო არქიტექტურა საზოგადოების სხვადასხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად, რაც მის მრავალგვარობას განაპირობებს. გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი სახეობა: საცხოვრებელი, საფორტიფიკაციო, საზოგადოებრივ-ოფიციალური, საინჟინრო-სამრეწველო და სხვ.

საცხოვრებელი ნაგებობა ხუროთმოძღვრების უძველესი სახეობაა. სწორედ საცხოვრისის მშენებლობის აუცილებლობამ განაპირობა სამშენებლო საქმისა და არქიტექტურის ჩასახვა. საცხოვრებელმა არქიტექტურამ ადრესამიწათმოქმედო ხანის მარტივი ფორმის საცხოვრისიდან თანამედროვეობამდე მრავალგვარი ცვლილება განიცადა. საცხოვრებლის ტიპი და ფორმა კარგად ასახავს ამა თუ იმ საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური და სამშენებლო საქმის განვითარების დონეს. ტრადიციული საცხოვრებელი სახლების ტიპების ჩამოყალიბებას განაპირობებდა გეოგრაფიული, კლიმატური პირობების და მოსახლეობის საქმიანობის თავისებურება.

სოციალურად დაწინაურებული ფენის საცხოვრებელი ნაგებობები თავისი მასშტაბით და არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით უმეტესად განსხვავდება რიგითი საცხოვრებელი სახლებისაგან. ეს სხვაობა განირჩევა როგორც ძველი სამყაროს, ასევე შუა საუკუნეების თუ ახალი დროის საცხოვრებლებში. იგება ძირითადად ორი სახეობის საცხოვრებელი – ინდივიდუალური სახლები და მრავალბინიანი შენობები. ეს უკანასკნელი თანამედროვე ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად გვევლინება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მრავალსართულიანი სახლები ჯერ კიდევ ძველ სამყაროში გვხვდებოდა (მაგ.: შუამდინარეთის ქალაქებში, ძველ რომში).

თანამედროვე ქალაქში, სადაც მიწა ძვირია, მრავალბინიანი სახლების მშენებლობა ძალზე აქტუალურია. წარმოიშვა ე.წ ტიპიური პროექტის და მთელი საცხოვრებელი უბნების დაპროექტების საჭიროება. ამგვარი ე.წ. ტიპიური სახლები გვხვდება მსოფლიოს მრავალ ქალაქში. მათ შორისაა თბილისიც, სადაც XX საუკუნის 60-70-80- იან წლებში ერთიანი დაგეგმარების მიხედვით აიგო უბნები საბურთალოში, დიღომში, გლდანში, მუხიანში და სხვ.

საფორტიფიკაციო ნაგებობა საერო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენს. საზოგადოდ, უძველესი პერიოდიდან ნაგებობაში შესაფერისი პირობების და კომფორტის შექმნის გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადამიანისა და მისი ქონების დაცვის უზრუნველყოფას. თანამედროვე ეპოქაში ამ პრობლემის გადაწყვეტა უახლესი ტექნიკური საშუალებებით და სპეციალური სამსახურების მეშვეობით ხორციელდება. ძველად კი ცალკე მდგომი სახლის, მცირე თუ დიდი დასახლების, საერო თუ საკულტო კომპლექსების თავდაცვას უზრუნველყოფდა საფორტოფიკაციო ნაგებობები, რომელნიც ზოგჯერ საკმაოდ რთულ სისტემას ქმნიდა. საზოგადოდ, საფორტიფიკაციო ნაგებობების განვითარების სტიმულირება საბრძოლო იარაღის სრულყოფის შესაბამისად ხდებოდა. ახალი საბრძოლო იარაღის გამოგონება საფორტიფიკაციო ნაგებობის სამშენებლო მასალის, გეგმარებისა და ფორმის ცვლილებას განაპირობებდა. მაგალითად, თოფის წამყვან საბრძოლო იარაღად გადაქცევას უკავშირდება გეგმაში წრიული კოშკების უფრო ფართოდ გამოყენება, რადგან ასეთი ფორმა დამიზნებისათვის დიდი სივრცის გაკონტროლების საშუალებას იძლეოდა. XIX საუკუნისათვის საბრძოლო საშუალებების განვითარებამ იმ ზღვარს მიაღწია, როდესაც დამცავი კედელი უძლური აღმოჩნდა ახალი ტიპის საბრძოლო საშუალებებისაგან მიყენებული ზიანის შესაკავებლად. შესაბამისად, თუ ძველი სამყაროს ან შუა საუკუნეების ქალაქს მაღალი ზღუდე იცავდა, შესვლა ხშირად ასაწევი ხიდის გავლის შემდეგ, მხოლოდ ჭიშკრის საშუალებით შეიძლებოდა, ახალი დროის ქალაქმა სასიმაგრო კედლის გარეშე შეუზღუდავად იწყო განვითარება. XIX საუკუნეში ე.წ. ურბანული აფეთქება, სხვადასხვა სოციალ-ეკონომიკური მიზეზის გარდა, ამ ფაქტორითაც იყო განპირობებული.

მსოფლიოში ყველაზე გრანდიოზული საფორტიფიკაციო ნაგებობა ჩინეთის დიდი კედელია, რომლის სიგრძე 8851.8კმ-ია. მისი მშენებლობა ჯერ კიდევ ძვ.წ. III საუკუნეში დაიწყო და საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. ჩინეთის დიდი კედლის კარგად შემორჩენილი მონაკვეთები ძირითადად XIV-XVII საუკუნეებში მინის დინასტიის დროს არის აგებული.

საზოგადოებრივ ნაგებობები ხუროთმოძღვრების მრავალრიცხოვან და ძალზე მნიშვნელოვან ჯგუფს წარმოადგენს. მათ განეკუთვნება ადმინისტრაციული შენობები, ოფიციალური დაწესებულებები, სასწავლო-საგანმანათებლო, სავაჭრო, კულტურულ-გასართობი, სპორტული, სამკურნალო და სხვა პროფილის შენობები. ამგვარი ნაგებობების მშენებლობის პროცესი კაცობრიობის განვითარების პარალელურად მეტ აქტუალობას და მრავალფეროვნებას იძენს. ამ სახის ნაგებობებს ჯერ კიდევ ძველ სამყაროში აგებდნენ. მათი მშენებლობა დიდ მასშტაბს იძენს ძველ რომში. მოგვიანებით ევროპაში სავაჭრო-საქმიანობის გააქტიურების შედეგად კაპიტალის დაგროვებამ ახალი სტიმული მისცა სამოქალაქო არქიტექტურის განვითარებას. უკვე რენესანსის საწყის ეტაპზე საზოგადოებრივი თვითშეგნების ცვლილებით გამოწვეულმა მოთხოვნებმა ახალი ტიპის სამოქალაქო ნაგებობების მშენებლობას დაუდო დასაბამი. მაგალითად აიგო ობოლ ბავშვთა აღსაზრდელი სახლი, საუნივერსიტეტო შენობები და სხვ. თანდათან საზოგადოებრივი არქიტექტურის განვითარების პროცესმა შეუქცევადად მზარდი ტენდენციის სახე მიიღო. თანამედროვე ურბანულ დასახლებებში საცხოვრებელ სექტორში სულ უფრო იზრდება სხვადასხვა ოფისების, სავაჭრო-გასართობი, კულტურულ-სპორტული შენობების რაოდენობა, რაც ინფრასტუქტურულ სრულყოფას, კომფორტული გარემოს და კეთილდღეობის შექმნას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ უმეტესად სწორედ საზოგადოებრივი ნაგებობები გვევლინება თანამედროვე არქიტექტურის უახლესი მიღწევების, თამამი არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადაწყვეტის, ნოვატორული იდეების განხორციელების ობიექტებად.

საინჟინრო-სამრეწველო ნაგებობები არქიტექტურის სპეციფიკურ სახეობას წარმოადგენს. საინჟინრო მშენებლობის უძველესი ნიმუშები საირიგაციო და საკომუნიკაციო სისტემებია (მაგ.: სარწყავი არხები, გზები, ხიდები). ამ სახის სამუშაოთა წარმოება დიდძალი ადამიანური რესურსის

მობილიზებას და შესაბამისი სამშენებლო-ტექნიკური დონის არსებობას საჭიროებდა. ძველ შუამდინარეთში, წყლის დეფიციტის პირობებში, საირიგაციო ნაგებობებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა და მათი გამართული ფუნქციონირება კეთილდღეობის უმთავრესი საფუძველი იყო. ძველ სამყაროში დიდ ყურადღებას აქცევდნენ ასევე გზების მშენებლობას. ეს განსაკუთრებით ეხება ძველ რომს, სადაც კარგად ესმოდათ უზარმაზარ ტერიტორიაზე გადაჭიმული იმპერიის მართვისას სწრაფი კომუნიკაციის მნიშვნელობის ფასი. დღემდეა შემორჩენილი რომიდან კაპუისკენ მიმავალი აპიის გზის გარკვეული მოკირწყლული მონაკვეთები.

გზების მშენებლობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეპოქაშიც. ადგილმდებარეობის სპეციფიკის, კლიმატური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით გზების დაგება სხვადასხვა მასალით და ტექნიკური საშუალებებით ხდება (მაგ.: ასფალტი, ბეტონი). ბევრგან აშენებენ ესტაკატებს და ავტობანებს, რადგან სატრანსპორტო საშუალებების მრავალრიცხოვნების პირობებში მათ გარეშე საავტომობილო ნაკადების რეგულირება შეუძლებელი ხდება.

საინჟინრო-სამრეწველო არქიტექტურის მაღალ დონეზე განვითარება ტექნიკურ პროგრესს უკავშირდება. შესაძლებელი გახდა ისეთი პროექტების განხორციელება, რაც ძველ ეპოქებში წარმოუდგენელი იყო. მაგალითად, აიგო სუეცის არხი, რომლითაც დამოკლდა გზა ევროპიდან აზიისაკენ; პანამის არხი, რითაც ატლანტიკის ოკეანე წყნარ ოკეანეს დაუკავშირდა; დიდი ბრიტანეთის ევროპასთან დამაკავშირებელი გვირაბი ლა მანშის სრუტეში და ა.შ.

თანამედროვე ეპოქაში ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენერგორესურსებს. დღეს ელექტროენერგიის გარეშე ნებისმიერი წარმოების განვითარება თუ ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება წარმოუდგენელია. ელექტროსადგურების მშენებლობა XIX საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო, ხოლო XX საუკუნეში გრანდიოზულ მასშტაბებს მიაღწია. დღეს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არა ერთი არქიტექტურულ-საინჟინრო თვალსაზრისით უნიკალური კაშხალი მდებარეობს.

სამრეწველო შენობების არქიტექტურულ სახეს უპირველესად წარმოების ტექნოლოგიური პროცესი და წარმადობის დაგეგმილი მასშტაბი განაპირობებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექსპლოატაციის

შემდგომი დატვირთვების გაანგარიშების სიზუსტეს, რამაც ნაგებობების კონსტრუქციული მდგრადობა და სამრეწველო პროცესის გამართული მუშაობა უნდა უზრუნველყოს. ასეთი შენობები განსხვავდება სამოქალაქო ნაგებობებისაგან როგორც არქიტექტურული, ასევე კონსტრუქციული გადაწყვეტით. აღსანიშნავია, რომ სამრეწველო ნაგებობებში ხშირად დგას დიდი სივრცის შექმნის და გადახურვის საკითხი, რაც სპეციფიკური მიდგომების და ხერხების გამოყენებას საჭიროებს.

არქიტექტურის ზემოთ ჩამოთვლილი მიმართულებების გარდა არსებობს *მემორიალური ხუროთმოძღვრების* ნიმუშები. ისინი რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის, ისტორიული ფაქტის ან გამოჩენილი პიროვნების ხსოვნის უკვდასაყოფად იგება. გვხვდება როგორც მცირე მასშტაბის, ასევე გრანდიოზული მემორიალური ნაგებობები, რაც თემის მნიშვნელობით და დამკვეთის შესაძლებლობებით არის განპირობებული.

ლანდშაფტის არქიტექტურა ხუროთმოძღვრების კიდევ ერთი სპეციფიკური მიმართულებაა, რომელიც გამწვანებისა და პარკების დაგეგმარებას ემსახურება. აღსანიშნავია, რომ მცენარეთა ხელოვნურ განაშენიანებას ჯერ კიდევ ძველ სამყაროში მიმართავდნენ. ცნობილი სემირამიდას ბაღები ძველ ბაბილონში ამის ნათელი დადასტურებაა. განსაკუთრებით ზრუნავდნენ მცენარეთა შერჩევასა და გაშენებაზე რომაული ვილების შიდა ეზოს გადაწყვეტისას. ამის თვალსაჩინო მაგალითია პომპეის ვილები, სადაც არქეოლოგიური გათხრების დროს ვეზუვიდან გადმოფრქვეული ლავის ქვეშ მრავალრიცხოვანი მცენარეების ნაშთებია დადასტურებული. ნათელია, რომ გამწვანებული ეზო ვილის არქიტექტურული სტრუქტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

მცენარეთა მოვლა და გაშენება ხელოვნების დონეზე იყო აყვანილი ძველ ჩინეთსა და იაპონიაში. ჩინური ბაღის კონცეფცია ადამიანისათვის საკუთარ თავთან განმარტოვების, ბუნების ჭვრეტის და ამა სოფლის საზრუნავისაგან განრიდების იდეას განასახიარებს. ჩინური და იაპონური ბაღი აღმოსავლური ფილოსოფიის პრინციპებზეა დაფუძნებული, სადაც თითოეულ ხეს, ყვავილს, ქვას, მათ განლაგებას და ურთიერთმიმართებას სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია. ამ ქვეყნებში საპარკო ხელოვნების უძველეს ტრადიციებს დღესაც სათუთად უფრთხილდებიან.

ევროპაში პარკებიანი სასახლეების მშენებლობას საფუძველი

რენესანსის ეპოქაში ჩაეყარა. უადრესი ნიმუშია ფლორენციის მმართველის ლორენცო ბრწყინვალეს ვილა მედიჩი პოჯო-ა-კაიანოში. ასევე საყოველთაოდაა ცნობილი პალაცოს პიტის ბობოლის ბაღები ფლორენციაში. საპარკო მშენებლობამ განსაკუთრებით მაღალ დონეს XVII საუკუნის საფრანგეთში ლუდოვიკო XIV-ის დროს მიაღწია, რის მაგალითსაც ვერსალის ანსამბლი წარმოადგენს. გამოიკვეთა ორი ძირითადი მიმართულება ფრანგული და ინგლისური პარკის სახით. პირველ შემთხვევაში სხვადასხვა ფორმით გაკრეჭილ მცენარეთა საშუალებით პარკებს რთული გეომეტრიული დაგეგმარება გააჩნდა. ფრანგებისაგან განსხვავებით ინგლისელებმა უარყვეს მცენარეების ფორმისა თუ განაშენიანების ამგვარი პრინციპი და ბუნებრიობის შენარჩუნება დაისახეს მიზნად.

ამრიგად, საერო-სამოქალაქო არქიტექტურა თემატური მრავალფეროვნებით ხასიათდება. საცხოვრებელი ნაგებობების მშენებლობა უძველესი ხანიდან, ფაქტობრივად სამშენებლო საქმის ფორმირების ეტაპიდან იწყება. სამოქალაქო ხუროთმოძღვრების ცალკეული მიმართულებები კი კაცობრიობის განვითარების და ტექნიკური პროგრესის კვალდაკვალ ჩამოყალიბდა. თანამედროვე არქიტექტურაში ფუნქციონალურ-თემატური თვალსაზრისით ნაგებობების მრავალფეროვანი სპექტრია წარმოდგენილი.

ხუროთმოძღვრების განვითარების ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორები საქართველოში

საქართველოში ხუროთმოძღვრების განვითარებას და მდიდარი სამშენებლო ტრადიციების ჩამოყალიბებას სხვადასხვა ფაქტორებმა შეუწყო ხელი. მათ შორის ძირითადია გეოგრაფიული და ქრონოლოგიური ფაქტორები, რომლებიც თავის მხრივ ადგილობრივი არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალის რაობას განაპირობებს.

საზოგადოდ, გეოგრაფიული ფაქტორი ანუ კონკრეტული რეგიონის თუ ქვეყნის კლიმატურ-გეოგრაფიული მოცემულობა არსებითად განსაზღვრავს მოსახლეობის ყოფის თავისებურებას და დიდწილად განაპირობებს მათ გრძნობად-ფსიქიკურ ტიპს თუ საქმიანობის ხასიათს. ამდენად, ის გარკვეულწილად ზემოქმედებს საზოგადოების ევოლუციის პროცესზე და ძველი კულტურების თუ ცივილიზაციების ჩასახვა-განვითარების ერთ-ერთ პირობად გვევლინება.

საქართველო თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული პარამეტრებით მრავალფეროვან სურათს ქმნის. ქვეყნის ტერიტორიაზე (69 700 კვ.კმ) ერთმანეთის გვერდით არსებობს მაღალმთიანი ქედები, მრავალრიცხოვანი მდინარეების ხეობები, შავი ზღვის სანაპირო, ვაკე-დაბლობები, ტყით დაფარული მასივები, ჭაობიანი ლელიანი თუ უდაბნო ადგილები და სხვ. ყოველივე ეს ადამიანთა ცხოვრება-საქმიანობისთვის სხვადასხვა პირობას ქმნის. მრავალგვარი საშენი მასალის რესურსიც. გვხვდება სხვადასხვა ჯიშის ქვა, ხე, თიხა-მიწები. შესაბამისად, საქართველოს რეგიონებში განსხვავებული გარემო პირობები და სამშენებლო მასალა სხვადასხვა სამშენებლო საშუალებების, ხერხების თუ ფორმების გამოყენებას განაპირობებს და ხუროთმოძღვრების ფორმირება-განვითარებისათვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

საქართველოს გამოარჩევს გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურებაც. ის ევროპისა და აზიის, აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროთა მიჯნაზე მდებარეობს, რაც მრავალმხრივი ურთიერთობების არსებობას განაპირობებს. ამდენად, უძველესი დროიდან ცივილიზაციის უმნიშვნელოვანეს კერებთან კავშირის შესაძლებლობამ, ასევე ძველი სამყაროს და შუა საუკუნეების ხანის აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის

ქვეყნებთან ურთიერთობამ დიდი გავლენა იქონია საქართველოს ისტორიასა და კულტურაში მიმდინარე პროცესებზე. ეს აისახა ასევე ხუროთმოძღვრების განვითარებაზე, რაც ნათლად ვლინდება ქართული ძეგლების არქიტექტურულ-მხატვრულ გადაწყვეტაში.

ამრიგად, გეოგრაფიულ ფაქტორი ორ ასპექტს მოიცავს. პირველია საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი, მისი ლანდშაფტის მრავალფეროვნება და სხვადასხვა სამშენებლო მასალის არსებობა, რაც მრავალგვარი არქიტექტურული ტიპებისა თუ ფორმების, ასევე სამშენებლო ხერხებისა და საშუალებების ფორმირებას განაპირობებს. მეორე ასპექტია გეოპოლიტიკური მდებარეობის სპეციფიკა, რომელიც მრავალ ქვეყანასა თუ განსხვავებულ კულტურებთან ურთიერთკავშირის შესაძლებლობას იძლევა. ეს ხუროთმოძღვრებაში ახალი თემებისა და ფორმების, ტექნიკური თუ სტილისტური ინოვაციების გავრცელებას უწყობს ხელს.

ხუროთმოძღვრების განვითარების ხელშემწყობ ფაქტორებს შორის ქრონოლოგიური ფაქტორის მოხსენიება საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო აქტივობის ადრეულ ეტაპზე დაწყებას უკავშირდება. აქ უხსავორი დროიდან ბინადრობდა ადამიანი. კარგი კლიმატურ-გეოგრაფიული პირობები, კერძოდ, ზომიერი ჰავა, წყლის მდიდარი რესურსი, მცენარეული საფარის თუ ცხოველთა სამყაროს მრავალფეროვნება ცხოვრებისათვის შესაფერის გარემოს ქმნიდა. შედეგად, აქ ადამიანის არსებობის კვალი ევოლუციის სხვადასხვა საფეხურზე ფიქსირდება. მათ შორის საყურადღებოა უადრესი საცხოვრისების შექმნის ეტაპი, რომელმაც სამშენებლო საქმის ფორმირებას დაუდო საფუძველი. საქართველოს ტერიტორიაზე ამ პროცესის მიმდინარეობას არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი უძველესი სადგომების ნაშთები და შემდგომ ადრესამიწათმოქმედო ხანის ნამოსახლარები ადასტურებს. ამდენად, ხუროთმოძღვრების განვითარების საწყისების წარმოჩენისას საქართველოში ამ ფაქტობრივი მონაცემების არსებობა უადრესი ხანიდან სამშენებლო ტრადიციების ფორმირების შესაძლებლობას ადასტურებს.

შეიძლება ითქვას, რომ დროით-სივრცითი კატეგორიების შეფასების თვალსაზრისით, საქართველო იმ რეგიონის ქვეყანას წარმოადგენს, რომლის ტერიტორიაზე არსებობდა ყველა პირობა სამშენებლო საქმის

ჩასახვისა და განვითარებისათვის. საწყის ეტაპზე აქ იყო აქტორი ქმედებისა – ადამიანი, შესაფერისი გარემო მოქმედებისათვის და საშუალებები სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად.

ამრიგად, საქართველოს გეოგრაფიული თავისებურებანი და გეოპოლიტიკური მდებარეობა სამშენებლო საქმის უძველესი დროიდან განვითარებას განაპირობებდა. ხელსაყრელი, მრავალფეროვანი ლანდშაფტური და კლიმატური პირობები უხსოვარი დროიდან მოსახლეობის არსებობის და შესაბამისი სამშენებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს ქმნიდა. შემდგომში ძველი ცივილიზაციის კერებთან სიახლოვე ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას იძლეოდა, რაც ხელს უწყობდა არქიტექტურული თუ კონსტრუქციული მიღწევების, ინოვაციური იდეების თანადროულად ათვისებას და ხუროთმოძღვრების განვითარების სტიმულირებას.

რაც შეეხება არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალს, ის წარმოადგენს იმ შესაძლებლობების ერთობლიობას, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანას თავისი სპეციფიკის გათვალისწინებით გააჩნია. ამდენად, პოტენციალი დამოკიდებულია, როგორც ქვეყნის გარემო პირობებზე და მატერიალურ-ტექნიკურ შესაძლებლობებზე, ასევე აქ მცხოვრები ხალხის გრძნობად-ფსიქიკური წყობის თავისებურებასა და იდეოლოგიაზე. პოტენციალს ზრდის ტენდენცია ახასიათებს, თუმცა მისი ტემპი ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებასა და სხვა ხელშემწყობ ფაქტორებზე არის დამოკიდებული. ხელსაყრელი სიტუაციის შექმნისას არქიტექტურული პოტენციალი მაქსიმალური სისრულით შეიძლება ამოქმედდეს, როგორც ეს იყო მაგალითად XI საუკუნის საქართველოში, პოლიტიკური აღმავლობის ჟამს, როცა აიგო ისეთი ძეგლები, როგორიცაა ბაგრატი, სვეტიცხოველი, ალავერდი, სამთავისი, ნიკორწმინდა და სხვ.

საზოგადოდ, საქართველოს ტერიტორიაზე შემორჩენილი და არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი არქიტექტურული ძეგლების სიმრავლე და მათი ქრონოლოგიური პარამეტრები, დაწყებული ძვ.წ. V-IV ათასწლეულების უძველესი ნამოსახლარებიდან (მაგ.:შულავერის გორა, არუხლო, იმირის გორა) ახალ დროებამდე უტყუარად ადასტურებს ადრეული ხანიდან სამშენებლო ხელოვნების მრავალათასწლოვანი გამოცდილების არსებობას და საგულისხმო ფაქტობრივ მასალას

წარმოადგენს არქიტექტურული მემკვიდრეობითობის თუ ინოვაციების გამოვლენის თვალსაზრისით.

საქართველოს არქიტექტურულ-სამშენებლო პოტენციალი, რომლის ხასიათი განაპირობებულია გეოგრაფიული და ქრონოლოგიური ფაქტორებით, ასევე დიდწილად არის დაკავშირებული სამშენებლო მასალების რესურსზე. საქართველო ამ თვალსაზრისით მრავალფეროვნებით გამოირჩევა

უძველეს ნამოსახლარებში (ძვ.წ.V-1V ათასწ.) ნაგებობები ალიზით არის აგებული. ეს საშენი მასალა ათასწლეულების განმავლობაში გამოიყენებოდა. თავდაპირველად დასტურდება მხოლოდ ალიზით ნაგები (მაგ.:შულავერის გორა, არუხლო, იმირის გორა), შემდგომ ხის კარკასის (მაგ.:ქვაცხელა) და ქვის საფუძველზე ამოყვანილი კედლები (მაგ.: ამირანის გორა). ალიზს იყენებენ ძვ. წ. I ათასწლეულშიც. მაგალითად, ძვ.წ. IV-III სს-ის ციხია-გორაში 1,5 მეტრი სისქის ქვის კედლებს ალიზის წყობა აგრძელებს [ცქიტიშვილი,2003:11-25], ხოლო ძვ.წ. II-I სს–ის დედოფლის მინდორის გრანდიოზული სატაძრო კომპლექსი მთლიანად ალიზის აგურით (ზომები:50Х50Х15სმ) არის ნაგები [გაგოშიძე,1981:102-116]. ალიზის გამოყენება მკვეთრად შემცირდა ძვ.წ. I ათასწლეულის დასასრულს, რაც კირის დულაბის გავრცელებას უკავშირდება.

საქართველოში, განსაკუთრებით კოლხეთში, ხე ერთ-ერთ ძირითად საშენ მასალას წარმოადგენდა. ტყეებით მდიდარი მხარე სათანადო მასალის მოპოვების კარგ შესაძლებლობას ქმნიდა. კოლხეთში ტყეების სიუხვეს და ხის ნაგებობების სიმრავლეს აღნიშნავენ ძველი ბერძენი და რომაელი ავტორებიც – ჰიპოკრატე, ქსენოფონტი, აპოლონიოს როდოსელი, პომპონიუს მელა, ვიტრუვიუსი, სტრაბონი და სხვ. ხით ნაგები სამოსახლოები აქ ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანიდან არის დადასტურებული. ხისგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, კოშკებს, ზღუდე-მესერებს, გამაგრებულ სამოსახლოებს [გამყრელიძე, 2002:111-121]. აღსანიშნავია, რომ ხის ძელებით ნაგებ ე.წ. „კოლხურ სახლს" საგანგებოდ ეხება რომაელი არქიტექტორი ვიტრუვიუსი თავის ცნობილ ტრაქტატში „ათი წიგნი არქიტექტურის შესახებ" (ვიტრუვიუს,II,I,4), რაც კოლხეთში ხის ხუროთმოძღვრების თავისებური ნიმუშების არსებობას ადასტურებს. ხის მასალას მომდევნო საუკუნეებშიც აქტიურად იყენებდნენ სხვადასხვა

დანიშნულების ნაგებობების, განსაკუთრებით კი საცხოვრისების, მშენებლობისას.

რაც შეეხება ქვის მასალას, საქართველოში მისი ბუნებრივი რესურსი საკმაოდ მრავალფეროვანია. საშენ მასალად გამოიყენებოდა როგორც ვულკანური ქანები – ანდეზიტო-ბაზალტი, ასევე უფრო ადვილად დასამუშავებელი ქვიშაქვა, ტუფი და მათთან შედარებით მტკიცე კირქვა. აქტიურად იყენებდნენ რიყის ქვას.

ძვ.წ. III-II ათასწლეულების მიჯნაზე იგება მეგალითური ნაგებობები: მენჰირები (წალკის, თეთრიწყაროს და სამხრეთ საქართველოს სხვა რაიონებში) და დოლმენები (ძირითადად აფხაზეთში). ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან გვხვდება ე.წ. ციკლოპური ანუ მშრალი წყობით ნაგები სასიმაგრო კედლები (მაგ.: ავრანლო – ძვ.წ. II ათასწ., ნორდევანი – ძვ.წ. I ათასწ.). ძვ.წ.IV საუკუნიდან ვრცელდება ქვის მასალის კვადრებად გათლის ტექნიკა. ამგვარი კვადრები ეწყობა მშრალად, უხსნაროდ და გადაბმულია ხის ან ლითონის ე.წ. მერცხლის კუდის სახის პირონებით (მაგ.:არმაზციხე, გორი, წინამური). გამოიყენება რუსტებიანი წყობა (მაგ.: ვანი, უფლისციხე, მცხეთა). კედლის ამოყვანისას დაცულია ქვის რიგების ჰორიზონტალური წყობა, თუმცა თავად რიგები არათანაბარი სიმაღლისაა. ნაგებობები იგებოდა როგორც მთლიანად ქვის კვადრებით, ასევე ქვის წყობაზე ალიზის აგურით.

ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლოდან კირის დუღაბის გავრცელებამ ახალი შესაძლებლობები შექმნა ქვის არქიტექტურის განვითარების თვალსაზრისით. საგულისხმოა სტრაბონის ცნობა – „იბერია უმეტესად კარგად არის დასახლებული ქალაქებით, სოფლებით, იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა...” (სტრაბონი, XI,III,1,2). არქეოლოგიურ მასალაში მრავლად აღმოჩენილი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტი, ადასტურებს ამ ცნობის რეალობას. თავად კრამიტის ზომა (დაახ. 52-46X44-47) და სიმძიმე, მიუთითებს იმ ნაგებობათა სიმტკიცესა და მდგრადობაზე, რომლებიც ამგვარი კრამიტით იყო გადახურული.

შუა საუკუნეების ხანის შემორჩენილი ნაგებობების დიდი უმრავლესობა ქვით არის ნაგები. გავრცელებულია კედლის როგორც კარგად გათლილი, ასევე უხეშად დამუშავებული კვადრებით აგების წესი. აღმოსავლეთ

საქართველოს მთიანეთში ფართოდ გამოიყენება ფიქალი. გვხვდება როგორც ერთი, ასევე შერეული მასალით ნაგები შენობები. ამგვარად იგება საეკლესიო თუ საერო ნაგებობები – სასახლეები, საცხოვრისები, ციხე-სიმაგრეები, კოშკები და სხვ. სხვადასხვა რეგიონში ქვის განსხვავებული ჯიშებია გავრცელებული. ამ მხრივ გამოირჩევა კახეთი, სადაც ძირითადად მასალას რიყის ქვა წარმოადგენს. გვიანი შუა საუკუნეების პერიოდში ფართოდ ვრცელდება აგური, რაც გარკვეულწილად ირანის გავლენას უკავშირდება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მასალა გაცილებით ადრეც გვხვდება, მათ შორის ადრეული შუა საუკუნეების opus mixtum წყობით ნაგებ ძეგლებშიც.

ამდენად, საქართველოს ხუროთმოძღვრებაში გამოიყენებოდა სხვადასხვა სამშენებლო მასალა – ალიზი, ხე, სხვადასხვა ჯიშის ქვა, აგური. მასალათა ასეთი მრავალფეროვნება შესაბამისი ტექნიკური ხერხების ფლობის, სხვადასხვა კონსტრუქციული თუ არქიტექტურული საშუალებების განვითარების პირობას ქმნიდა, რაც მრავალმხრივი სამშენებლო გამოცდილების დაგროვებას განაპირობებდა და ამდიდრებდა მის არქიტექტურულ პოტენციალს.

ხუროთმოძღვრული, კონსტრუქციული თუ სტილისტური ინოვაციების სწრაფად შეთვისების და თავისებურად გადააზრების უნარი საქართველოს არქიტექტურული პოტენციელის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. ის საუკუნეების განმავლობაში დასავლეთისა და აღმოსავლეთის მოწინავე კულტურის ცენტრებთან ინტენსიური ურთიერთობების შედეგად გამომუშავდა. ნიშანდობლივია, რომ სიახლეების ათვისება მათი ფორმირების თანადროულად ხდებოდა. ქართული ხუროთმოძღვრებისა და, ზოგადად, კულტურისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო კულტურული კავშირების არსებობა, რაც ეპოქის მოწინავე იდეებთან თანაზიარობის პირობას ქმნიდა. ქართული არქიტექტურისა და ხელოვნების ისტორია ნათლად ადასტურებს კულტურული აღმავლობის პერიოდებში გარე სამყაროსთან მრავალვექტორიანი კავშირების მნიშვნელობას.

ამრიგად, საქართველოში ხუროთმოძღვრების განვითარებისათვის არსებობდა რიგი ხელშემწყობი ფაქტორები, რომლებმაც გავლენა იქონია საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე პროცესების მიმართულებისა

და ხასიათის ფორმირებაზე. გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებმა, ქრონოლოგიური ფაქტორის მნიშვნელობამ, ობიექტური მონაცემებით განპირობებული ადგილობრივი არქიტექტურული პოტენციალის ხასიათმა ხელი შეუწყო ხუროთმოძღვრების ჩასახვა-განვითარებას საქართველოში, რასაც შემორჩენილი არქიტექტურული ძეგლების მრავალფეროვნება, მაღალმხატვრული დონე და თვითმყოფადობა ადასტურებს.

.....

ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი, 1963;

გ. გამყრელიძე, კოლხეთი – კულტურულ-ისტორიული ნარკვევები, თბილისი, 2002;

გ.ცქიტიშვილი, ციხია გორას სატაძრო კომპლექსი, თბილისი, 2003;

Ю. Гагошидзе, Из истории грузино-иранских взаимоотношений (Храм II-Iвв. до н.э. Дедоплис Миндори), сб. Кавказ и Средяя Азия в древности и средневековье, Москва, 1981

საცხოვრებლები ძველ საქართველოში

ტრადიციული საცხოვრებლის ნიმუშები ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლებია, რომლებიც ადგილობრივ სამშენებლო გამოცდილებასა და სამყაროს მსოფლაღქმის თავისებურებაზე გვიქმნის წარმოდგენას. წინაპართა გამოცდილების შესაბამისად აგებული რიგითი ადამიანების საცხოვრებელის არქიტექტურული სახის ფორმირება თაობების განმავლობაში მიმდინარეობდა. ამდენად ის მრავალმხრივი ინფორმაციის მატარებელია და კომპლექსური კვლევის ობიექტს წარმოადგენს. საქართველოში ტრადიციული საცხოვრებელი ნაგებობის სხვადასხვა ტიპი ჩამოყალიბდა, რაც რიგი ფაქტორებით არის განაპირობებული.

როგორც ცნობილია, საცხოვრებელი ნაგებობა ხუროთმოძღვრების პირველ ტიპს წარმოადგენს. ამდენად, საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად უძველესი საცხოვრისების აღმოჩენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ რეგიონში მომთაბარეობიდან დამჯდარი ცხოვრების წესზე გადასვლის ანუ მიწათმოქმედების ჩასახვა-განვითარების ეტაპზე სამშენებლო საქმიანობის დაწყებას ადასტურებს. მომთაბარე პერიოდისგან განსხვავებით, როდესაც ადამიანი საკვების მოპოვების მიზნით მუდმივად გადაადგილდებოდა და დროებით სადგომებს იყენებდა, მიწათმოქმედებითი საქმიანობის გამო ხანგრძლივად ერთ ადგილზე ყოფნა მოუწია და, ამავდროულად, მის წინაშე დადგა ჭირნახულის ხანგრძლივი დროით დაბინავების საკითხი. შესაბამისად, მიწათმოქმედი ადამიანი საჭიროებდა სამყოფელს, როგორც საკუთარი თავისა და ოჯახის წევრებისათვის, ასევე მოსავლის დასაბინავებლად. მან ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაწყვეტა შესძლო. შედეგად, ადამიანის მოღვაწეობის ორი ძირითადი სფეროს – მიწათმოქმედებისა და სამშენებლო საქმის – ჩასახვა-განვითარების პროცესი თანადროულად წარიმართა. ეს პერიოდი საქართველოს ტერიტორიაზე ადრესამიწათმოქმედო კულტურის (ძვ.წ. VI-IV ათასწ.) ძეგლებითაა წარმოდგენილი (შულავერი, არუხლო, იმირის-გორა).

აღსანიშნავია, რომ საცხოვრისის შექმნის საკმაოდ რთული ამოცანის გადაწყვეტა ალიზის მეშვეობით მოხდა. ადამიანს ჯერ არ ჰქონდა ისეთი

შრომის იარაღები, რომლებიც ხის ან ქვის მასალით საცხოვრებლის აგების შესაძლებლობას მისცემდა. ასეთ ვითარებაში მან შესძლო ბუნებაში არსებულ თიხა გამოეყენებინა, დაენახა მასში საშენ მასალად გამოყენების პოტენციალი. თიხის და წყლის შერევის და სხვადასხვა მინარევის (დაკეპილი თივა, ნამჯა) დამატებით მოზელილ მასას მორგძო, ამობურცულგვერდებიანი ფორმა მისცა, რომელმაც მზეზე გაშრობის შედეგად სათანადო სიმტკიცე შეიძენა. ამგვარად შეიქმნა ალიზის აგურის თავდაპირველი ვარიანტი.



1. იმირის გორა

საქართველოში ალიზი ათასწლეულების განმავლობაში ერთ-ერთი ძირითადი საშენი მასალა იყო. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ნამოსახლარებში ალიზით ნაგებ საცხოვრებელ სახლებს, მოსავლისა და წყლის შესანახ ორმოსათავსებს წრიული გეგმა ჰქონდა. სახლებს, სავარაუდოდ, გუმბათოვანი გადახურვა გააჩნდა ცენტრში ღიობით.

სამშენებლო საქმე კიდევ უფრო განვითარდა მტკვარ-არაქსის კულტურის ეტაპზე (ძვ.წ. IVათასწ. II ნახ.-III ათასწ. I ნახ.). ამ დროს ფართოდ იყენებდნენ ახალ სამშენებლო მასალას – ხეს და გარკვეულ შემთხვევებში ქვას, რაც ახალი სამუშაო იარაღების შექმნასა და მათ გაუმჯობესებასთანაც იყო დაკავშირებული. შეიცვალა საცხოვრისის გეგმა და მან მომრგვალებული კუთხეების მქონე სწორკუთხედის ფორმა შეიძინა. ამგვარი გეგმარება ფართობის გაზრდის და დასახლებაში სახლების უფრო მოწესრიგებულად განლაგების შესაძლებლობას იძლეოდა (ქვაცხელა, ხიზანაათ გორა, ამირანის გორა). აღნიშნულმა სიახლეებმა გადახურვის ცვლილება გამოიწვია. გუმბათოვანი ფორმა ბანურმა გადახურვამ შეცვალა. პირველად იქნა გამოყენებული ხის საყრდენი, რაც არქიტექტურულ-კონსტრუქციული თვალსაზრისით ძალ-



2. ქვაცხელა

ზე მნიშვნელოვან ნოვაციას წარმოადგენდა. საყურადღებოა, რომ ხის საყრდენი ქართული ტრადიციული დარბაზული საცხოვრისის დედაბოძის ერთგვარ პროტოტიპად არის მიჩნეული.

ადრესამინათმოქმედო და მტკვარ-არაქსის კულტურის საცხოვრისები ნათლად მეტყველებს სამშენებლო საქმის და, კონკრეტულად, საცხოვრისების ფორმის, სამშენებლო საშუალებების, ხერხების თუ კონსტრუქციების ევოლუციური განვითარების შესახებ. უაღრესად საყურადღებოა, რომ ამ ნაგებობებისათვის ნიშანდობლივია ცენტრული გეგმარება, რაც ერთგვარად ეხმიანება შემდგომში ქართული საკულტო თუ საერო არქიტექტურისათვის ესოდენ სახასიათო შიდა სივრცის ცენტრული გააზრების პრინციპს.

საქართველოში შემორჩენილი წინარექრისტიანული თუ შუა საუკუნეების ხანის ნიმუშების ცუდი დაცულობის გამო მათი არქიტექტურულ-მხატვრული მახასიათებლების კვლევა რთულია. ძველი ნასოფლარების შესახებ ინფორმაცია ფრაგმენტულია და მეტ-ნაკლებად ნათელი სურათის დადგენა ჭირს.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოძიებული მონაცემების მიხედვით წინაქრისტიანული ხანის ნამოსახლართა ტიპოლოგია საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ პერიოდში გარკვეული სახეცვლით არსებობას აგრძელებს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები. ჩნდება უფრო გამოკვეთილი დაგეგმარების მქონე სამოსახლოები, მაგალითად, ნამარნუ (აბაშის მუნიციპალიტეტი) და ფიჩორი (გალის მახლობლად), რომლებიც ზომით სხვებზე დიდია. დასავლეთ საქართველოში სამშენებლო მასალად ძირითადად ხე და თიხა გამოიყენება. გავრცელებულია ნაგებობათა ორი ტიპი: ჯარგვალისებური და თიხით შელესილი წნული კედლებით ამოყვანილი. ასეთი ნამოსახლარები აღმოჩენილია ნამჭედურზე, ნაოხვამუზე, ნოსირში, ანაკლიაში, ტამიშში, კისთრიკში და სხვ. [ო.ჯაფარიძე, 2003: 194].

კოლხეთის ტერიტორიაზე ჭაობიან ადგილებში ნამოსახლარები ხელოვნურ ბორცვებზე იყო განლაგებული და გარშემო არხები შემოუყვებოდა. ამგვარი წესის დამკვიდრება იმაზე მიუთითებს, რომ სამოსახლოს მოწყობისას კარგად ითვალისწინებდნენ გარემო პირობების სპეციფიკას. ამ ხერხით ერთდროულად აგვარებდნენ წყლის დაწრეტისა და

თავდაცვის პრობლემას. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ ხელოვნურ ბორცვებს შედარებით მოზრდილი ბუნებრივი ბორცვის ირგვლივ აწყობდნენ. სამოსახლოებში თავად ნაგებობები ხის მორებისაგან მოწყობილ მოედნებზე იყო ამოყვანილი. აღსანიშნავია, რომ საცხოვრებელი ნაგებობა ყველაზე კარგად სიმაგრის ნამოსახლარზეა (ხობის მუნიციპალიტეტი) შემორჩენილი და ძვ.წ. VI-Vსს-ით თარიღდება. ის შედგება რამდენიმე ძელურად ნაგები სწორკუთხა გეგმის მქონე ოთახისა და დამხმარე სათავსოებისაგან [ო. ლორთქიფანიძე,. 2002: 167].

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე განსხვავებული, ღია ტიპის სამოსახლოები აღმოჩნდა. საცხოვრისებისთვის დამახასიათებელია ოთხკუთხა გეგმარება და თიხატკეპნილი იატაკი [ო.ჯაფარიძე, 2003: 194]. კოლხურის იდენტური ძვ.წ. VI-V საუკუნეების ნამოსახლარი გამოვლინდა ქ. ოჩამჩირეს მახლობლად გიენოსში. აქ ხელოვნური ბორცვებზე განლაგებული ხის საცხოვრებელი ნაგებობები და ნახევრადმიწურები თავდაცვითი თხრილით იყო გარშემორტყმული [ო.ლორთქიფანიძე, 2002: 190-191].

კოლხეთის შიდა რაიონების ნამოსახლარების შესახებ ინფორმაცია ძალზე მწირია. საინტერესოა ვანის ნაქალაქარიდან 10 კმ-ის დაშორებულ სოფ. მთისძირში აღმოჩენილი ძვ.წ. IV ს-ის საფორტიფიკაციო ნაგებობა. აქ ბუნებრივ ბორცვზე გამოვლინდა სწორკუთხა გეგმის მქონე კოშკის ნაშთები. საკმაოდ სქელი კედლები ქვითა და ხის მასალით იყო ნაგები და თიხით იყო შელესილი [გ.გამყრელიძე,1982: 29-100].

ამრიგად, არსებული მასალის მიხედვით დასავლეთ საქართველოს სამოსახლოების მშენებლობისას ძალზე კარგად იყო გათვალისწინებული გარემო პირობების თავისებურებები და საშენი მასალის რესურსი. შედეგად ოპტიმალურად იყო გადაწყვეტილი როგორც უტილიტარული, ასევე თავდაცვის საკითხები.

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლებს, დასავლეთ საქართველოს ნიმუშებთან გარკვეული მსგავსების მიუხედავად, ლოკალური თავისებურებები გააჩნდა. აღმოსავლეთ საქართველოში საშენ მასალად გამოიყენებოდა ფლეთილი ქვა, ხე და თიხა. დასახლებები მდებარეობდა როგორც ბუნებრივ ბორცვებსა და ტერასებზე, ასევე გაშლილ ლანდშაფტზე. ზოგიერთ ნამოსახლარში დადასტურდა

თავდაცვითი ნაგებობები [ო.ჯაფარიძე, 2003: 221]. ნამოსახლარების ფართობი საკმაოდ ვრცელია (მაგ.: თრელიგორები, ხოვლეგორა, სამთავრო, უფლისციხის მიდამოები და სხვ.). გამაგრებული ადგილის გარშემო რიგითი მოსახლეობის საცხოვრებელი ნაგებობები იყო განთავსებული. ასეთი ნამოსახლარის მოშორებით აღმოჩენილია სახელოსნო უბნები.

თავად საცხოვრებელი ნაგებობა (მაგ.: თრელიგორები) წარმოადგენდა ერთსათავსოიან ნახევრადმიწურს ბანური გადახურვით. ზოგიერთ ნაგებობაში დადასტურებულია დედაბოძის არსებობა. კედლები ნაგები იყო ფლეთილი და რიყის ქვისაგან. შემაკავშირებლად თიხის ხსნარი გამოიყენებოდა. ამ პერიოდის საცხოვრებელ ნაგებობაში სივრცის დანაწევრება სხვადასხვა ფუნქციის მიხედვით ხდებოდა. გამოვლენილია საცხოვრებელი ნაწილი, ბაგა, ქურა, რომელთა გვერდზე, შემაღლებულ ადგილას გამართული იყო სხვადასხვა ფორმის სამსხვერპლო. კახეთის ტერიტორიაზე, ქართლისაგან განსხვავებით, საკრალური დანიშნულების ნაგებობა-სამლოცველოს სამოსახლოს გარეთ აგებდნენ. ძველი წელთაღრიცხვის მიწურულამდე ნამოსახლარების არქიტექტურაში არსებითი იცვლილებები არ შეინიშნება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საცხოვრისებში კრამიტის გამოყენების ინტესივობის ზრდა, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი ფაქტია.

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებში რომის პოლიტიკური და კულტურული გავლენა სამშენებლო საქმესა და არქიტექტურაშიც აისახა. რომაული გავლენა ქალაქური ტიპის დასახლებებში უფრო ნათლად ფიქსირდება. რიგითი სამოსახლოები კი დიდწილად აგრძელებს ძველ სამშენებლო ტრადიციებს. ამის მაგალითია მდ. კარსნისხევის შესართავთან აღმოჩენილი ნამოსახლარი, ე. წ. ,,ხელოსანთა უბანი". ნამოსახლარის ტერიტორიაზე აღმოჩნდა საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების ნაშთები. საცხოვრებელ სახლებს აქვთ სწორკუთხა გეგმა. საძირკველი და კედლები ნაგებია თიხის ხსნარით შეკავშირებული ფლეთილი ქვით. სახურავი კრამიტისაა, იატაკი თიხატკეპნილი, ცენტრალურ ნაწილში კერით. საცხოვრებელს ებმის მარტივი ტიპის სამეურნეო დანიშნულების სათავსი, სადაც ასევე კერაა დადასტურებული. საცხოვრებელი ნაგებობების სამხრეთით აღმოჩენილია თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურები [ო.ლორთქიფანიძე, 2002: 255-256].

ამრიგად, წინაქრისტიანულ პერიოდში გრძელდება საცხოვრებელი ნაგებობის სივრცის ცენტრულად გააზრების საერთო ტენდენცია, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადრესამოწათმოქმედო ხანიდან იღებს სათავეს. სივრცის გააზრების ამგვარი მიდგომა ადგილობრივი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ არსებით მახასიათებლად წარმოჩნდება. იმავდროულად ვლინდება განსხვავებანი საშენ მასალასა და დასახლების ხასიათში, რაც სხვადასხვა რეგიონის კლიმატურ-გეოგრაფიული პირობების თუ ლანდშაფტის თავისებურებებით არის განპირობებული და არქიტექტურული ხერხების მრავალფეროვნებას განაპირობებს.

შუასაუკუნეებში საცხოვრებლების მშენებლობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ადგილობრივი კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებული ძველი სამშენებლო ტრადიციების შესაბამისად გაგრძელდა, თუმცა, ცხადია, გაჩნდა ახალი მიდგომები და სიახლეები. ფართო გავრცელებას ჰპოვებს ქვითკირის საცხოვრისები. საცხოვრებლები უმეტესად არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის გამოვლენილი, თუმცა ნაშთები ხშირად იძლევა სამეურნეო ნაგებობების კონკრეტული დანიშნულების დეფინიციის საშუალებას. მაგალითად განირჩევა მარანი, ზეთის სახდელი თუ წყლის რეზერვუარი. ყოველივე ეს კონკრეტული დასახლების მაცხოვრებელთა საქმიანობის და ეკონომიკური აქტივობის დონის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

საცხოვრებლის სახეები, რომელთა ნიმუშები სრულად არის შემორჩენილი და არქიტექტურული სტრუქტურის შესახებ მეტ ინფორმაციის გვაწვდის გვიან შუა საუკუნეებს, დიდწილად კი XIX საუკუნესა და XX საუკუნის პირველ ათწლეულებს განეკუთვნება. ესენია ძველი საცხოვრებლების ძირითადი ტიპები – დარბაზული საცხოვრებელი ანუ გლეხური დარბაზი, ოდა სახლი, მურყვამიანი სახლი, ციხე-სახლი, კალოიანი სახლი და სხვ. ამ საცხოვრებლების თითოეულ შემორჩენილ ნიმუშს დიდი მნიშვნელობა აქვს არქიტექტურისა და ეთნოლოგიური ყოფის შესწავლის საქმეში. ამდენად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მათი მოძიება, დაფიქსირება, შესწავლა და შენარჩუნება ფრიად საშური საქმეა. ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია სახლების მეპატრონეების გათვიცნობიერება მათ საკუთრებაში არსებული ძველი საცხოვრებელის არქიტექტურულ-კულტურული ღირებულების და ავთენტურობის დაცვის

მნიშვნელობის შესახებ.

საზოგადოდ, ძველი საცხოვრისების ცუდ დაცულობას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს. ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის, რომ საკულტო თუ სამოქალაქო არქიტექტურის ძეგლებისაგან განსხვავებით, რიგითი საცხოვრისების მშენებლობა მასობრივ ხასიათს ატარებდა, შედარებით მწირი ადამიანური თუ მატერიალური რესურსის გამოყენებით ხორციელდებოდა და ნაკლებად იყო გათვლილი საუკუნეების განმავლობაში არსებობაზე. დროთა განმავლობაში ისინი ინგრეოდა ან ზიანდებოდა სხვადასხვა სტიქიური მოვლენის (მიწისძვრა, მეწყერი, წყალდიდობა და სხვ.), ასევე მტრის შემოსევების ან მომხდურთა თავდასხმების დროს. ხშირად საცხოვრისის დანგრევის ან სახეცვლის ინიციატორი თავად მეპატრონე იყო. მას ზოგჯერ სურდა სახლის გაფართოვება, მემკვიდრეებისათვის გაყოფა ან სულაც ახლის აშენება ძველი სახლის დანგრევის შემდეგ.

ტრადიციული საცხოვრისების ნგრევის პროცესი განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის 60-70-იან წლებში, რასაც ამ ტიპის საცხოვრისების მშენებლობის შეწყვეტა მოჰყვა. საზოგადოდ, XX საუკუნეში ტექნიკურ პროგრესთან ერთად დაინერგა საცხოვრებელ ნაგებობაში აუცილებელი მინიმალური კომფორტის სტანდარტები, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ საქართველოში სოფლად აგებულ ნაგებობებში ტრადიციული საცხოვრისები ამ სტანდარტების შექმნას შეეწირა. ამ პერიოდში სველი წერტილების, ცივი და ცხელი წყლის, კანალიზაციის მოწყობის შესაძლებლობა ისევ გადაულახავ პრობლემად დარჩა.

აღნიშნულ პერიოდში საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალ საქართველოში სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების, დასავლეთ საქართველოში ძირითადად ჩაის და ციტრუსების, ხოლო აღმოსავლეთში ყურძნის მოსავლის სახელმწიფოსათვის დიდი რაოდენობით ჩაბარების შედეგად სოფლად მცხოვრებ ოჯახებში გარკვეული რაოდენობის ფულადი მასა დაგროვდა. სსრკ-ში რაიმე ღირებულის შეძენის არჩევანი მწირი იყო, ხოლო კერძო ინიციატივით საქმიანობის წამოწყება შეუძლებელი. ამიტომ მოსახლეობამ უმეტესად ახალი სახლების მშენებლობას მიჰყო ხელი, რასაც ძველი საცხოვრისების დანგრევა მოჰყვა. ამას გარდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობდა მთის სოფლებიდან ბარად ჩამოსახლების ხელისუფლების მიერ ორგანიზებული

პროცესი, რის გამოც მთაში უპატრონოდ დარჩენილი ტრადიციული საცხოვრისები ნელ-ნელა ნადგურდებოდა. ახალ ადგილებზე კი ძირითადად ფუნქციონალურად გაუმართავი, კონკრეტულ გარემო პირობებს ნაკლებად მორგებული, ერთმანეთის მსგავსი შენობები აშენდა. XX საუკუნის მეორე ნახევრის სოფლად აგებული ერთგვაროვანი სახლების ფონზე განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა თუ რამდენად უკეთ იყო გააზრებული ძველი საცხოვრისები, როგორც ადგილმდებარეობის შერჩევის, კლიმატური პირობების გათვალისწინების, ასევე ფუნქციონალური და არქიტექტურულ-მხატვრული საკითხების გააზრების კუთხით. ამ პროცესმა თვალნათელი გახადა ათასწლოვანი სამშენებლო გამოცდილების უგულებელყოფის სავალალო შედეგები.

* * *

საქართველოში შემორჩენილია ძველი საცხოვრისების ძალიან საინტერესო ნიმუშები. დარბაზული საცხოვრისი, ოდა სახლი, კოშკიანი სახლი, ციხე-სახლი და მთის რეგიონის სხვა საცხოვრებლები განსხვავებულია როგორც მასალის, ასევე არქიტექტურული ფორმების მიხედვით. საცხოვრებლების ნაირგვარობა მთელი რიგი ფაქტორებით არის განაპირობებული. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე ძირითადი ფაქტორი.

როგორც ცნობილია საქართველო გეოგრაფიული მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ცხადია, ეს სხვადასხვა კუთხესა თუ რეგიონში საცხოვრებლად სრულიად განსხვავებულ პირობებს ქმნის, რაც თავის მხრივ კონკრეტულ სიტუაციას მისადაგებული საცხოვრებლის აგების საჭიროებას განაპირობებს. ნათელია, რომ კოლხეთის დაბლობის თბილი და ნოტიო ჰავა სრულიად განსხვავდება აღმოსავლეთ საქართველოს კონტინენტალური კლიმატისაგან, სადაც საკმაოდ მკაცრი ზამთარი, თუმცა მზიანი და ცხელი ზაფხული იცის. კიდევ უფრო მკვეთრად განსხვავებულია საქართველოს ბარი მაღალმთიანი რეგიონებისგან. თუ ბარში შესაძლებელია ზამთარში თოვლიც კი არ მოვიდეს, მთაში რამდენიმეთვიანი, უხვთოვლიანი ზამთარი იცის. მნიშვნელოვანია ასევე სხვაობა რელიეფშიც. გაშლილ ველზე ცხოვრების სტილი სრულიად განსხვავდება მთის კალთას შეფენილ მაცხოვრებლთა ცხოვრების რიტმისა და წესისაგან. ამავდროულად

განსხვავებულია, როგორც საკომუნიკაციო-სატრანსპორტო, ასევე სახლებს შორის მანძილისა და ურთიერთმიმართების პირობებიც. შუა საუკუნეებში, როცა საცხოვრებლის თავდაცვა საფორტიფიკაციო ნაგებობების მეშვეობით ხორციელდებოდა, განსხვავებული რელიეფი ამ მხრივაც სხვადასხვა საშუალებებისა და ფორმების გამოყენებას მოითხოვდა.

ამდენად, საკითხების ჩამონათვალი ნათელყოფს თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება გარემოს საცხოვრისის სახის ფორმირებაში. შესაბამისად, საქართველოში კლიმატური თუ ლანდშაფტური მრავალფეროვნება დიდწილად აპირობებდა არქიტექტურული ფორმების ნაირგვარობას.

გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების გარდა მნიშვნელოვანია ამა თუ იმ რეგიონში საშენი მასალის რესურსის არსებობის საკითხი. ლოგიკურია, რომ გარკვეული სახის საშენი მასალის დიდი რაოდენობით არსებობა საცხოვრებლების მშენებლობისას მის ფართოდ გამოყენებას განაპირობებს, ხოლო რომელიმე მასალის დეფიციტი მის უგულებელყოფას ან მინიმალურად გამოყენებას. გასათვალისწინებელია, რომ ჩვეულებრივი, რიგითი მოსახლისათვის საცხოვრებელი სახლის მშენებლობის პროცესი განსხვავდება საზოგადოებრივი თუ საკულტო დანიშნულების ნაგებობის მშენებლობისაგან, რომელიც, როგორც წესი, დიდი მატერიალური რესურსის მობილიზების ხარჯზე ხორციელდებოდა. მნიშვნელოვანი ნაგებობის აგებისას შეიძლება ისეთი მასალაც გამოეყენებინათ, რომლის მოპოვება განსაკუთრებულ ძალისხმევას საჭიროებდა ან ძლიერ დაშორებული რეგიონიდან სპეციალურად მოეზიდათ. ამ სიტუაციისაგან განსხვავებით, საცხოვრებლების მშენებლობისას, ძირითადად, მაქსიმალურად ხელმისაწვდომ საშენ მასალას იყენებდნენ, რაც რიგითი მაცხოვრებლისთვის აიოლებდა სამშენებლო პროცესის წარმართვას. ამდენად, საშენი მასალის რესურსი წარმოადგენს ერთ-ერთი ფაქტორს, რომელიც საცხოვრისის არქიტექტურულ სახის თავისებურებას განაპირობებს, რადგან ხუროთმოძღვრებაში მასალა დიდწილად განსაზღვრავს მშენებლობის ხერხებს, არქიტექტურულ ფორმებს და მორთულობის ხასიათს.

საქართველოში საშენი მასალის თვალსაზრისითაც მრავალფეროვანი სურათი იშლება. მაგალითად, კოლხეთი ოდითგან ტყით მდიდარი მხარე

იყო, რაზეც ჯერ კიდევ ანტიკური ავტორები მიუთითებდნენ. ამიტომ აქ ხე ძირითადი საშენი მასალა იყო. ამავდროულად ის ძალიან კარგად პასუხობდა ადგილობრივ კლიმატურ თავისებურებებს. ნესტიან და ქარიან ადგილზე ხის სახლი ადვილად ნიავდება, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს. კოლხეთისაგან განსხვავებით კახეთში ძირითად საშენი მასალა რიყის ქვაა, რომელიც მრავალრიცხოვანი მდინარეების ნაპირებზე მრავლად მოიპოვება. ამიტომ რიყის ქვას იყენებდნენ როგორც სახლების, ასევე ზღუდე-ღობეების მშენებლობისას. აღსანიშნავია, რომ ეს ტრადიცია დღესაც არის შენარჩუნებული.

მაღალმთიან რეგიონებში, ტყიან ზოლში, ქვასთან ერთად ხე აქტიურად გამოიყენებოდა (მაგალითად რაჭაში); ხოლო ალპური ზონის სიახლოვეს, სადაც ხე აღარ ხარობს, ძირითადი მასალა ქვა იყო. მაგალითად, ხევსურეთში ხის რესუსრსის სიმწირის გამო, მას ძალიან მომჭირნედ მოიხმარდნენ. გამოიყენებოდა სხვადასხვა მაგარი ჯიშის ქვა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ასევე ფართოდ გვხვდება ფიქალი. ქვა წარმოადგენს ძირითად საშენი მასალას სამხრეთ საქართველოშიც, სადაც მაგარი ჯიშის ქვები უხვად მოიპოვება.

ყოველივე ეს ნათელყოფს, რომ საქართველოში გარკვეული ობიექტური მონაცემები, კერძოდ, თითოეული რეგიონის განსხვავებული ლანდშაფტურ-კლიმატური თავისებურებები და საშენი მასალის რესურსი, სხვადასხვა ტიპის საცხოვრებლების არსებობას და მათ თავისებურებას განაპირობებს.

აღნიშნული ფაქტორების გარდა საცხოვრისის ტიპების ფორმირებაზე გარკველად აისახება მოსახლეობის საქმიანობის ხასიათი, რაც თავის მხრივ ასევე დაკავშირებულია გეოგრაფიულ თავისებურებებთან. ის, თუ რა წარმოადგენს ამა თუ იმ კუთხის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას, სოფლის მეურნეობის რომელი კულტურებია წამყვანი, გავრცელებულია მსხვილფეხა თუ წვრილფეხა საქონელი, უფრო მეტად განვითარებულია მინათმოქმედება თუ მესაქონლეობა, ასახვას ჰპოვებს კარმიდამოსა და ტრადიციული საცხოვრისის ფორმაზე ან მისი რომელიმე ნაწილის გადაწყვეტაზე. მაგალითად, განვითარებული მევენახეობის რეგიონებში (მაგ.:კახეთში) გავრცელებულია მარანი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, სადაც მეცხვარეობა ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობა იყო,

საზამთრო იალაღებზე გაურეკავი ცხვრის შესაფარებლად გამოიყენებოდა მეორე სართულზე მდებარე საგანგებო სათავსი. სვანეთში, სადაც ძირითადად ყურადღება მსხვილფეხა პირუტყვის მოვლა-პატრონობაზე იყო გამახვილებული, მაჩვიბში სპეციალურად მოწყობილი და ხშირად ორნამენტით გაფორმებული სადგომები იყო განკუთვნილი საქონლისათვის. ხევსურეთში გვხვდება საცხოვრებლის საინტერესო ტიპი – კალოიანი სახლი, რომლის სახელწოდება და გადაწყვეტა ნათლად მეტყველებს ამ კუთხეში მარცვლეული კულტურების მოყვანის ტრადიციაზე. დასავლეთ საქართველოში სიმინდის კულტურის ფართოდ გავრცელების შემდეგ საგანგებოდ აგებდნენ ჭვირული კედლების მქონე სასიმინდეებს, სადაც სიმინდის გაშრობა-განიავებისა და შენახვისათვის სათანადო პირობები იყო შექმნილი. ჩამოთვლილი მაგალითები ნათელყოფს მოსახლეობის საქმიანობის ზეგავლენას საცხოვრებლის თუ დამხმარე ნაგებობების არქიტექტურული სტრუქტურის ფორმირებაზე.

აღნიშნულის გარდა ტრადიციული საცხოვრებელის არქიტექტურული სახის ჩამოყალიბებზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თავდაცვითი ფუნქციის გააზრება. ამა თუ იმ რეგიონის ლადშაფტური თავისებურების, ისტორიული ვითარების თუ კონკრეტული საფრთხეების გათვალისწინებით საცხოვრებელი ნაგებობის სტრუქტურაში ჩნდებოდა თავდაცვითი დანიშნულების ელემენტები თუ ცალკეული არქიტექტურული ფორმები. იქ, სადაც მტრის შემოსევისას გახიზვნის პოლიტიკას მიმართავდნენ, დიდ ძალისხმევას არ ხარჯავდნენ ზღუდის აგებასა თუ სხვა საშუალებებზე. იმ შემთხვევაში თუ საჭიროდ იყო მიჩნეული ადგილზე თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელება, გამოიყენებოდა სხვადასხვა საშუალებები. თავდაცვითი კომპონენტი განსაკუთრებით ნათლად არის გამოვლენილი მთის საცხოვრისებში, მაგალითად, კოშკიანი სახლებში, ციხე-სახლებში და სხვ. ცალკეულ კუთხეებში თავდაცვითი ღონისძიებების სპეციფიკა განსაზღვრავდა საცხოვრებელი კარ-მიდამოს ხასიათს და ღობე-გალავნების ფორმებს.

საზოგადოდ, სოფლად მდებარე საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული სახე კარ-მიდამოსთან მიმართებაში აღიქმება. საცხოვრებელი არეალის მთლიან სტრუქტურას თავად სახლთან ერთად ეზო-კარის ლანდშაფტური გააზრება, დამხმარე ნაგებობების რაოდენობა

და მათი ურთიერთმიმართება აყალიბებს. კარ-მიდამოს ხასიათი თავის მხრივ დაკავშირებულია, როგორც რეგიონის კლიმატურ პირობებზე, ასევე ისტორიულ-პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაზე. ამ თვალსაზრისით განსხვავებული ტრადიციები ჩამოყალიბდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო უმეტესად წნული ღობეებით შემოსაზღვრული ფართოდ გაშლილი, კოინდარიანი ეზოები. ეზოს სხვადასხვა მხარეს მდებარეობდა მრავალრიცხოვანი დამხმარე ნაგებობები (მაგ.: სამზადი, სასიმინდე, საქათმე, ბოსელი და სხვ.). აღმოსავლეთ საქართველოში კარმიდამო ბევრად მცირე ფართობზე იყო და უმეტესად ქვის, ხშირად რიყის, გალავნით იყო შემოსაზღვრული. დამხმარე ნაგებობები საცხოვრებელს ებჯინებოდა. კიდევ უფრო კომპაქტურად იყო განაწილებული საკარმიდამო ფართობი მთის სამოსახლოებში, სადაც მუდმივად განიცდიდნენ მიწის დეფიციტს.

რაც შეეხება თავად დასახლების ხასიათს, გეოგრაფიული მრავალფეროვნებიდან გამომდინარე საქართველოში ისინი საკმაოდ განსხვავდება. გვხვდება როგორც ერთმანეთისგან დაშორებული, უსისტემოდ, ლანდშაფტის თავისებურებების შესაბამისად განლაგებული, ასევე ერთმანეთის მიჯრით, გზისპირზე აშენებული სახლები. მაგალითად, ზემო იმერეთში, მთიან გურიასა თუ აჭარაში ფერდობს შეფენილ სოფლებში, მოსახლეობის სახლები ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულია. მათკენ მისასვლელი გზებიც მიხვეულ-მოხვეულია და ცხოვრების რიტმიც განსხვავებული. ბარის სოფლებში სახლები უმეტესად ერთ რიგში დგას. დასავლეთ საქართველოში ისინი ხშირად გზიდან დაშორებულია, აღმოსავლეთში კი, განსაკუთრებით კახეთში, გზისპირთან არიან ჩამწკრივებული. მაღალმთიან რეგიონებში, მაგალითად ხევსურეთში, ციხე-სახლები ერთად არის შეჯგუფებული, მაქსიმალურად მორგებულია გარემოს და ერთიან არქიტექტურულ სტრუქტურას ქმნის. ასეთია მაგალითად შატილი და მუცო.

როგორც არქეოლოგიური კვლევა-ძიებით გამოვლენილი ფაქტობრივი მასალა გვიჩვენებს, ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურიდან დაწყებული საქართველოში საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული იყო სამოსახლოს მეტ-ნაკლებად უსაფრთხო ადგილმდებარეობის შერჩევის უნარ-ჩვევები. მოსახლეობა არ სახლდებოდა მდინარესთან ძალიან ახლოს,

რათა წყალდიდობას არ დაეზარალებინა. ასევე ერიდებოდნენ მეწყერსაშიშ და ზვავსაშიშ ადგილებს. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ ბუნებრივი კატაკლიზმებისაგან ყოველთვის დაცული იყვნენ, თუმცა ბუნებაზე დაკვირვების შედეგებს ითვალისწინებდნენ. ამ მხრივ დიდი გამოცდილება იყო დაგროვილი, რაზეც ძველი სოფლებისა და ნასოფლარების ადგილმდებარეობაც მეტყველებს. საცხოვრებელის აგებისას ყოველთვის ზრუნავდნენ რაციონალურად გამოეყენებინათ ფართობი, ყურადღებას აქცევდნენ ქარის თუ მზის სხივების მიმართულებას და სხვ.

ამრიგად, საქართველოში ტრადიციული საცხოვრებლების სხვადასხვა ტიპის არსებობას განაპირობებს რამდენიმე ძირითადი ფაქტორი, კერძოდ, ლანშაფტური და კლიმატური მრავალფეროვნება, რეგიონებში სხვადასხვა საშენი მასალების რესურსის და შესაბამისი სამშენებლო გამოცდილების არსებობა, მოსახლეობის საქმიანობის ხასიათი და განსხვავებული თავდაცვითი ღონისძიებების საჭიროება.

.....

გ. გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები, თბილისი, 1982;

ო. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი, 2002;

ო. ჯაფარიძე, საქართველოს ისტორიის სათავეებთან, თბილისი, 2003

დარბაზული საცხოვრებელი

საქართველოში დარბაზული საცხოვრებელი ერთ-ერთ უძველეს ტიპს წარმოადგენს. ის ფართოდ იყო გავრცელებული ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და თრიალეთში. გ. ჩუბინაშვილი მას დიღომის დარბაზის შესახებ გამოქვეყნებულ სტატიაში აღმოსავლეთი საქართველოს უმთავრეს საცხოვრებელ ტიპად მიიჩნევს [გ.ჩუბინაშვილი, 1970:14-19]. დარბაზული საცხოვრებელი ძირითადად სოფლის სახლს წარმოადგენდა [ვ. ბერიძე,1983:262.] და ამიტომ გლეხური დარბაზის სახელითაც მოიხსენიება, თუმცა ამგვარ ნაგებობებს აგებდნენ ქალაქებშიც, მაგალითად, თბილისში, გორში, ახალციხეში, მცხეთაში, დუშეთში და სხვ.

წერილობითი ინფორმაცია დარბაზული საცხოვრებელის შესახებ გვხვდება XIX საუკუნიდან. თბილისში ბანიან სახლებს მოიხსენიებს რუსი დიპლომატი ალექსანდრე ნეგრი, რომელიც ალ.ერმოლოვს ახლდა შაჰთან ელჩობისას,. მოგვიანებით, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, დარბაზულ სახლებს აღწერენ ნ. დუბროვი და ი. პანტიუხოვი. ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ „ქართლის დარბაზული სახლი სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით მეტად მოსახერხებელი სახლი ყოფილა" [თ.ჩიქოვანი, 1963:50]. საცხოვრებლის ეს ტიპი საგანგებო სამეცნიერო კვლევის ობიექტი მეოცე საუკუნეში გახდა. დარბაზულ საცხოვრისებს მიუძღვნეს გამოკვლევები ისეთმა მეცნიერებმა როგორიცაა გ. ჩუბინაშვილი, გ. ჩიტაია, ვ.ბერიძე. განსაკუთრებული აღსანიშვნის ღირსია ლ. სუმბაძის, ასევე თ. ჩიქოვანის ნაშრომები.

თავად ტერმინი დარბაზი აღმოსავლური წარმოშობისაა. ლ. სუმბაძის აზრით სპარსულ „დერვაზ"-ს უკავშირდება, რაც კარს აღნიშნავს [Сумбадзе Л. 1960]. თ. ჩიქოვანი მიიჩნევს, რომ ეს სახელწოდება ასურულ-ბაბილონურ „ტარბასუ"-დან მომდინარეა და პირველადი გაგებით ეზოსა და საქონლის ბანაკსაც ნიშნავდა [თ.ჩიქოვანი 1963:45]. მეცხრე საუკუნიდან ტერმინი „დარბაზი" ძველქართულ წერილობით წყაროებში გამოიყენებოდა სასახლის, დიდი ოთახის (დარბაზის), სამეფო კარის აღმნიშვნელ ტერმინად. საინტერესოა, რომ საცხოვრისის მნიშვნელობით ეს ტერმინი პირველად XVIII საუკუნის დასაწყისში გვხვდება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში.

დარბაზული ტიპის საცხოვრებელი ძირითადად შედგება საკუთრივ

დარბაზისა და ხის საყრდენების მქონე წინკარისაგან, თუმცა გვხვდება უფრო რთული ვარიანტებიც. დარბაზი უმეტესად ნახევრად მიწაშია ჩადგმული და ექსტერიერში ბანური გადახურვა გააჩნია. საშენ მასალად ქვა და ხე გამოიყენება. რიყის ან ადგილობრივი ჯიშის ქვის უხეშად დამუშავებული კვადრებით ამოყვანილია სახლის კედლები, ხოლო ხის ძელებით შესრულებულია გვირგვინოვანი გადახურვა, რომელსაც დარბაზულ გადახურვასაც უწოდებენ. საყრდენები ხისაა, მათ შორის დედაბოძი. ბანის მოსწორება თიხანარევი მიწის მრავალჯერადი დატკეპვნის შედეგად ხდება.

დარბაზული საცხოვრებლის არსებით მახასიათებელს თავისებური გადახურვა წარმოადგენს. ხის ძელებით შედგენილი საფეხუროვანი გადახურვა კვადრატულ საფუძველზეა ამოყვანილი. მას ცენტრში აქვს ღიობი – ერდო, რომელსაც განათების წყაროს და კერიაში დანთებული ცეცხლის კვამლის გამწოვის ფუნქცია გააჩნია.

დარბაზული საცხოვრისის არქიტექტურულ სტრუქტურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისი ინტერიერია, რომელიც კლიმატურ პირობებსა და სოციალურ-ყოფითი მოცემულობას არის მორგებული. სახლის მაშენებელი უპირატესად შიდა სივრცის განაწილებაზე, მოწყობასა თუ მორთვაზე ზრუნავდა და ნაკლებად აქცევდა ყურადღებას ნაგებობის გარეგნულ იერსახეს.

ინტერიერში თავისი ფუნქციით გამორჩეულია კერია, რომელიც დარბაზის ცენტრშია და გათბობის, საკვების მომზადების საშუალებას წარმოადგენს. მის თავზე გვირგვინოვანი გადახურვა შეიძლება მთლიან ფართობზე ამოდიოდეს ან მას სივრცის მხოლოდ გარკვეული ნაწილი ეკავოს. ცენტრში მდებარე კერია-ერდოს ვერტიკალური ღერძი იძლევა ნაგებობის დაგეგმარებაში დიდ თავისუფლებას ცენტრალური სივრცის ყველა მიმართულებით ახალი ნაწილების მიბმის თვალსაზრისით. ამდენად, სულადობის გაზრდის ან სხვა მიზეზით გაფართოვების საჭიროებისას ახალი უჯრედების შექმნა ყველა მხარეს იყო შესაძლებელი.

დარბაზული საცხოვრებლის მოკლე აღწერა ცხადყობს არქიტექტურული სტრუქტურის ფუნქციურ გამართულობას, ლაკონურობას, მრავალმხრივი ვარირების შესაძლებლობას, რამაც მისი საკმაოდ ფართო არეალზე გავრცელება განაპირობა. ამგვარ საცხოვრებელს ვხვდებით საქართველოს

გარდა სამხრეთი კავკასიის ქვეყანებში – სომხეთსა და აზერბაიჯანში, ასევე ირანში, მცირე აზიაში, ინდოეთში, ეთიოპიაში და სხვ. აღსანიშნავია, რომ ლ.სუმბაძე დაგეგმარების თვალსაზრისით გარკვეულ მსგავსებაზე მეგარონთანაც მიუთითებს [ლ. სუმბაძე,1985:15]. საგულისხმოა, რომ მრავალ ქვეყანაში დადასტურებულ ნიმუშებს შორის სპეციალისტები, მათ შორის ი. სტრიგოვსკი, ჟ.მურიე, ერთხმად აღიარებდნენ, რომ საქართველოს დარბაზული საცხოვრებლები გამოირჩევა გვირგვინოვანი გადახურვის სახეობების მრავალფეროვნებით, არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტის მაღალი დონით და სრულყოფილებით. საქართველოში გავრცელებული ნიმუშების განსხვებულობას ასევე მიანიშნებს ის ფაქტი, რომ XVII საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ საქართველოდან გადასახლებული მოსახლეობის სახლებს ადგილობრივი მაცხოვრებლები „გურჯი ფუშის" სახელით მოხსენიებდნენ.

რაც შეეხება საცხოვრებლის ამ ტიპის წარმოშობას, ის ერთ კონკრეტულ ადგილსა თუ რეგიონს არ უნდა უკავშირდებოდეს. სავსებით დასაშვებია, რომ ამგვარი საცხოვრებლის მარტივი და ფუნქციურად გამართული სტრუქტურა მეტ-ნაკლებად მსგავს გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების მქონე სხვადასხვა ტერიტორიაზე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმოიშვა. ასეთ სიტუაციაში ყურადსაღებია საქართველოში გადახურვის მრავალგვარი ვარიანტის შემუშავების ფაქტი, რაც მდიდარი ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციების და ხალხური ხელოვნების დიდი გამოცდილების მქონე ქვეყანაში საცხოვრისის ამ ტიპის ადგილობრივ ნიადაგზე ფორმირების შესაძლებლობას ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ გ.ჩუბინაშვილი დარბაზს საცხოვრებლის ადგილობრივ ტიპად მიიჩნევს [გ. ჩუბინაშვილი, 1970:14]. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ ლ. სუმბაძემ და ვ. ბერიძემ [ვ. ბერიძე, 1974:13-14] მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარ ქვაცხელას. საცხოვრისის არქიტექტურულ სახეზე გაამახვილეს ყურადღება. მართლაც, აქ დადასტურებული საცხოვრებელი დარბაზის ცენტრული გეგმარება, კერია-შუაცეცხლი, ხის საყრდენი და ბრტყელი გადახურვა სავარაუდო ღიობით ცენტრში, უდაოდ, მსგავსებას ავლენს დარბაზული საცხოვრისის სტრუქტურასთან, დედაბოძის თემასთან და ერდოს შიდა სივრცის მაორგანიზებელი როლის გააზრებასთან.

აღსანიშნავია, რომ ლ. სუმბაძის აზრით, გვირგვინოვანი გადახურვის პირველი აღწერაც საქართველოს უკავშირდება. კერძოდ, ის მიუთითებს

ძვ.წ.ა. I საუკუნის რომაელი ინჟინერისა და თეორიტიკოსის ვიტრუვიუსის ტექსტს კოლხური სახლის შესახებ [ლ. სუმბაძე,1945]. აქ აღწერილია სწორკუთხა გეგმის მქონე კოლხური სახლის ხის ძელებით აგების და გადახურვის პროცესი. განსაკუთრებით საინტერესოა პირამიდისებური ფორმის გადახურვა, რომელიც ყოველ მომდევნო რიგში ქვედა რიგის ძელზე მოკლე ძელის განთავსებით მიიღება და გვირგვინოვანი გადახურვის პრინციპის მსგავსია.

ამდენად, საქართველოში დარბაზულ საცხოვრისის არქიტექტურული სახის ფორმირებისათვის სათანადო სამშენებლო გამოცდილების, არქიტექტურულ-კონსტრუქციული ხერხებისა და ფორმების არსებობა თუ წერილობითი წყაროები საშუალებას იძლევა მივიჩნიოთ, რომ საცხოვრისის ამ ტიპს საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს.

აღნიშნულის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ ჩვენს დრომდე შემორჩენილი უადრესი ნიმუშები მხოლოდ გვიან შუა საუკუნეებს განეკუთვნება. თუმცა ლ. სუმბაძის აზრით ასპინძაში, ლარგვისსა და სხვა პუნქტებში არსებულ რიგ ობიექტებში შემონახულია უფრო ძველი ელემენტები. საფიქრებელია, რომ კონსტრუქციული პრინციპების მკაფიო ხასიათით გამორჩეული საცხოვრისის ეს უძველესი ტიპი სხვადასხვა ეპოქების მოთხოვნის შესაბამისად იცვლიდა მხატვრული თუ არქიტექტურული ფორმების გადაწყვეტის ნიუანსებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარბაზული საცხოვრებლის არსებით მახასიათებელს მისი გვირგვინოვანი გადახურვა წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ მესხეთში რიგ ნაგებობებს „მოდარბაზულს" უწოდებენ, რაც მკაფიოდ მიუთითებს გადახურვის თავისებურების მნიშვნელობაზე საცხოვრებლის ამ ტიპში. უპირატესად სწორედ ის განაპირობებს დარბაზული საცხოვრისის შიდა სივრცის არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს.

ცნობილია, რომ არქიტექტურა უპირველესად სივრცის შექმნის ხელოვნებაა. მშენებლობისას ერთ-ერთ მთავარ სირთულეს არა გარკვეული ფართობის კედლებით შემოფარგვლა, არამედ არსებული ფართობის გადახურვა წარმოადგენს. სამშენებლო საქმიანობაში ამ პრობლემის მნიშვნელობა ქართულ ენაშიც ნათლად არის გაცხადებული. ლ. სუმბაძის დაკვირვებით ქართული ტერმინი „ხურო" – ოსტატი და

„ხუროთმოძღვრება” – არქიტექტურა, უშუალოდ არის დაკავშიებული ზმნა „ხურვა” გადახურვასთან.

გადახურვის ხერხების სრულყოფა არქიტექტურის განვითარების შესაბამისად მიმდინარეობდა. უძველეს ხანაშივე, ხის მასალამ, როგორც ერთ-ერთმა ადვილად დასამუშავებელმა სამშენებლო რესურსმა, უდიდესი როლი შეასრულა ამ პროცესში. ძელური გადახურვის გამოყენება რევოლუციური სიახლე იყო სამშენებლო საქმიანობაში. შემდგომი ეტაპი ხეში დაფერდებული გადახურვის შესრულება გახდა. შედეგად ორი სისტემა ფორმირდა – ჰორიზონტალურ-გვირგვინოვანი და კარკასულ-დაფერდებული. თითოეულ ამ სისტემას თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნდა. პირველი უფრო მარტივი და მყარი იყო, მეორე კი უფრო ეკონომიური, თუმცა რთული. მათ შემდგომი ევოლუცია განიცადეს. ამ პროცესის მიმდინარეობა აისახა დარბაზული საცხოვრებლის გვირგვინოვანი გადახურვის სხვადასხვა ვარიანტის შემუშავებაშიც.

დარბაზული საცხოვრებლის ქვის ქვედა ნაწილის დამაგვირგვინებელ ხის მასალაში შესრულებულ გადახურვაში სხვადასხვა ჯიშის ხე გამოიყენებოდა. ქართლში – ძირითადად მუხა და წაბლი, სამხრეთ საქართველოში, მესხეთ-ჯავახეთში, უმეტესად წიწვოვანი – ფიჭვი და სოჭი, თრიალეთში-მუხა, წიფელი, ფიჭვი. გადახურვა ზოგჯერ მრგვალი ძელებით ხდებოდა, იშვიათად მერქნიანი ძელებითაც. როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებდნენ კარგად დამუშავებულ ხის მასალას, რომელიც უკეთ მიესადაგებოდა შიდა სივრცის არქიტექტურულ-მხატვრული გააზრების მიზნების. ოსტატები ხის დასამუშავებლად სხვადასხვა სპეციალურ ხელსაწყო-იარაღებს იყენებდნენ.

დარბაზულ საცხოვრებელში დადასტურებულ გადახურვის უმარტივეს ფორმას წარმოადგენს ტოლი ძელებით შეკრული კვადრატი, ცენტრში ღიობით. ამგვარი გადაწყვეტა დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ვიტრუვიუსის აღწერილ ფორმასთან და, სავარაუდოდ, უძველეს სახეობას წარმოადგენს. შემდგომში, დარბაზის ფართობის გაზრდის მოთხოვნილებამ და ძელების ზომის ლიმიტმა, ოთხზე მეტი კუთხით მათი განლაგების საკითხი დააყენა. როგორც ჩანს, ამ ამოცანების გადაწყვეტისას საქართველოში მდიდარი ადგილობრივი სამშენებლო გამოცდილების არსებობამ შემოქმედებითი ძიებების სტიმულირებას შეუწყო ხელი. შედეგად, გადახურვის

მრავალრიცხოვანი ვარიანტები იქნა დამუშავებული.

ლონგინოზ სუმბაძე ძელების დალაგების წესის მიხედვით გამოყოფს ორ ჯგუფს. პირველია ძელების განლაგების პარალელური წყობის გვირგვინი, ხოლო მეორე – კუთხოვანი წყობის გვირგვინი. თითოეული ეს ჯგუფი თავის მხრივ იყოფა ოთხკუთხად და რვაწახნაგად განლაგებულ, ე.ი. სულ ოთხ ვარიანტად. ამას გარდა გვხვდება უნიკალური, თორმეტწახნაგა გვირგვინი. ცნობილია ასეთი ორი ნიმუში – დარბაზი ყარაგაჯაში და ფორაქიშვილების დარბაზი თბილისში. ასევე გვხვდება ცალკეული ნიმუშები ხუთკუთხა, ექვსკუთხა და შვიდკუთხა გვირგვინისა. თუმცა, არსებით ტიპოლოგიურ სურათს ძირითადი ოთხი ვარიანტი ქმნის.

პარალელური და კუთხოვანი წყობის საერთო მახასიათებელს მკაფიო დაგეგმარება, გადახურვის ცენტრულობა და ძელების ჰორიზონტალურად განაწილების წესი წარმოადგენს. რაც შეეხება მათ შორის განსხვავებას, ეს თითოეულის ტექტონიკურ არსშია გაცხადებული. პარალელურ წყობიან ვარიანტში ნათლად იკვეთება გვირგვინის თითოეული სეგმენტი, რომელშიც ყოველი ზედა, უფრო მცირე ძელი ნელნელა უახლოვდება ცენტრს. კუთხეებიან წყობაში ყოველი მომდევნო ზედა კუთხე ქვედა რიგის ძელის შუაწელს აწვება, რაც გვირგვინის არა სეგმენტებად, არამედ ვერტიკალურ დონეებად აღქმას განაპირობებს. მოკლედ განვიხილოთ ვარიანტები.



3. გვირგვინოვანი გადახურვის ტიპები

პარალელური წყობის ოთხკუთხა გვირგვინი ყველაზე მარტივია და, როგორც აღვნიშნეთ სავარაუდოდ, ყველაზე ძველიც. შიდა ქართლში ამ ტიპის მრავალი ობიექტი იყო დადასტურებული. ხშირად ამგვარად

გადახურული იყო საკმაოდ დიდი ფართობი. მაგალითად სოფელ ხიზაბავრაში ამ ტიპის გადახურვა ჰქონდა 8მX8მ ფართობის მქონე დარბაზს.

ამ ტიპის გვირგვინში წყობის წესი არასდროს იცვლება. ყოველი მომდევნო წყების ძელების სიგრძე წინაზე მოკლეა. ამასთან უმეტესად ვიწროვდება თავად ძელის დიამეტრიც. ამდენად ინტერიერში რეალურზე მეტი სიმაღლის ილუზორული ეფექტიც იქმნება. აღსანიშნავია, რომ ქართულ ხუროთმოძღვრებაში ილუზორული ეფექტის შექმნას ხშირად მიმართავდნენ. მაგალითად, საფასადო კედლის წყობის ქვედა რიგში დიდი, ხოლო ზედა რიგებში უფრო მომცრო კვადრების გამოყენება ასევე ქმნიდა მეტი სიმაღლის ილუზიას.

კუთხოვანი წყობის ოთხკუთხა გვირგვინი შემდეგი სახისაა. ყოველი მომდევნო ზედა ოთხკუთხედის კუთხე ქვედა წყების ძელის ცენტრზე მოდის. ამასთან ყოველი შემდეგი დონის ოთხკუთხედის ფართობი წინაზე ორჯერ ნაკლებია. ამ სისტემის გეომეტრიული სქემა დაფუძნეულია კუთხეების დიაგონალურ განლაგებაზე, რაც ტექტონიკურად მკაფიო სახის ფორმირების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამგვარი ფორმა არქიტექტურულად ნაკლებად გამომსახველია, რამაც ახალი – შერეული ფორმის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

პარალელური წყობის რვაწახნაგა გვირგვინი არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით გვირგვინოვანი გადახურვის ახალი ეტაპის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ, როდესაც ფორმის გამომსახველობა პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს. აქ ოსტატი გააზრებულად ცდილობს მხატვრული სახის შექმნას. ზრდის სიმაღლეს ეკონომიურობის უგულებელყოფის ხარჯზე, თუმცა ამავდროულად აძლიერებს აირაციის და გაწოვის შესაძლებლობებს. ეს ვარიანტი გავრცელებულია ქართლისა და მესხეთის ნიმუშებში. განსხვავება შეინიშნება თითოეული კუთხისათვის დამახასიათებელი მიდგომების შესაბამისად. მესხეთში გვირგვინი უმეტესად დარბაზის მთლიან ფართობზე ამოდის და ერთიანობის შთაბეჭდილებას ქმნის, ხოლო ქართლში მხოლოდ ცენტრალური მონაკვეთი უჭირავს და შესაბამისად შიდა სივრცეში განსხვავებული დატვირთვა გააჩნია. გარკვეული სხვაობა აღინიშნება თავად აგების წესშიც.

კუთხოვანი წყობის რვაწახნაგა გვირგვინი გამოიყენება მესხეთისა

და ქართლის საუკეთესო ნიმუშებში. მიუხედავად კუთხოვანი წყობის ოთხკუთხა გვირგვინთან მსგავსებისა, ეს ვარიანტი ბევრად უფრო გამომსახველი, არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით დახვეწილი და ეფექტურია. მისი შემდგომი სახეობა უკვე თორმეტწახნაგა ვარიანტია.

ამდენად, ქართულ დარბაზებში არსებულ გვირგვინებს ძირითადად შემდეგი სახის წყობა ჰქონათ: 1.ოთხკუთხა პარალელური, 2.ოთხკუთხა კუთხოვანი, 3.შერეული, რომელშიც გამოყენებულია პარალელური და კუთხოვანი წყობა, 4.რვაკუთხა პარალელური, 5. რვაკუთხა კუთხოვანი, 6. თორმეტკუთხოვანი. განსაკუთრებით საინტერესო ნიმუშები შემორჩენილია თრიალეთში. აქ გვირგვინის სიმაღლე, როგორც ამას ეთნოგრაფიული ხასიათის მასალა მოწმობს, 13-14, ზოგჯერ კი 16 საფეხურს აღწევდა.

საქართველოში დარბაზული საცხოვრისები განსხვავდება არა მხოლოდ გადახურვის, არამედ დაგეგმარების სირთულის თვალსაზრისით. არქიტექტურული სტრუქტურა საჭიროების შემთხვევაში იძლეოდა დამატებითი სივრცეების მოწყობის შესაძლებლობას. ამიტომ საქართველოს ტერიტორიაზე დადასტურებულია დარბაზული ნაგებობების ნაირგვარი გეგმები. მაგალითად, მესხეთში ლ.სუმბაძე მიუთითებს მთელი კომპლექსების შესახებ, რომლებიც აერთიანებდნენ ათეულობით ერთეულს. მათ შორისაა „ახორი"- ბოსელი მსხვილფეხა პირუტყვისთვის. ამ კომპლექსების სტრუქტურა, გეგმარება და კონსტრუქციული გადაწყვეტა მათი წარმომავლობის სიძველეზე მეტყველებს.

აღსანიშნავია, რომ თითოეულ რეგიონში გეოგრაფიულ-კლიმატური, ისტორიულ-სოციალური პირობების და მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დარბაზული საცხოვრისის რიგი ნიშნებით გამორჩეული ვარიანტებია გავრცელებული.

ქართლის დარბაზი წარმოადგენს წაგრძელებული სწორკუთხედის გეგმის ნაგებობას, რომელსაც შესასვლელი ვიწრო მხრიდან გააჩნია. ძირითადი დარბაზის წინ ხის სვეტებიანი წინკარია. საკუთრივ დარბაზს ორი მასიური გრძივი ძელი სამ ნაწილად ანაწევრებს, რომელთაგან ცენტრალური მონაკვეთი საგრძნობლად განიერია. გრძივი ძელების გადაკვეთაზე განივად ასევე ორი ძელია გადებული. შედეგად იქმნება ცენტრალური კვადრატი, რომელიც ძელოვან-გვირგვინოვანი გადახურვის საფუძველს ქმნის. ცენტრალური სივრცის ოთხივე მხარეს გვერდითა არეები



4. ქართლის დარბაზი

ჰორიზონტალურად დადებული ძელებით არის გადახურული. მთავარ ურთერთგადამკვეთ ძელებს ხის საყრდენები იჭერს. გამოიყოფა ორ, სამ და ოთხსაყრდენიანი სახესხვაობები. აღსანიშნავია, რომ საყრდენებს არამხოლოდ მზიდი ფუნქცია გააჩნია, არამედ მნიშვნელოვანი იდეურ-მხატვრული დატვირთვა აქვს, რაზეც მათი ფორმა და გაფორმების მრავალფეროვნება მეტყველებს. ამ საყრდენს დედაბოძი ეწოდება. სახელწოდება ნათლად წარმოაჩენს მის მნიშვნელობას და ადგილს სივრცულ გადაწყვეტაში.

ხალხური გადმოცემის მიხედვით უძველეს დროში დედაბოძად ხის ტანს იყენებდნენ. სოფ. ხიზაბავრაში შემორჩენილი იყო ფესვებიანი ხე, რომელიც გვირგვინის საყრდენს წარმოადგენდა. ასევე იკვეთება კავშირი ხე ცხოვრების სიმბოლურ სახესთან, რომელიც სამყაროს წესრიგის, მთლიანობის და ურთიერთკავშირის იდეას განასახიერებს. დარბაზის, დედაბოძის, გვირგვინის შესახებ ფოლკლორში შემორჩენილი თქმულებები ნათლად მეტყველებს მათი წარმომავლობის სიძველეზე.

დედაბოძი ქვევით ვიწროა, ზევით ნელნელა ფართოვდება და ბოლოს საკმაოდ დიდ მანძილზე განიტოტება, რაც მასზე დაყდნობილი ძელის უკეთ ზიდვის პირობას ქმნის. ამდენად, ფორმა არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ უპირველესად კონსტრუქციულ ამოცანებს პასუხობს. დედაბოძი ძირითადად ქვის ფილაზე დგას, თუმცა კლასიკური გაგებით ბაზისი არ გააჩნია. დედაბოძის გვერდები პროფილირებულია, რაც მის მხატვრულ სახეს მეტ გამომსახველობას მატებს. ხეზე კვეთილი მოტივები განიერ, წინა მხარეზე თავსდება. ქსნის ხეობის დარბაზებში გვხვდება დედაბოძის ირმის რქით დამშვენების მაგალითები.

დედაბოძი როგორც წესი შემკულია სხვადასხვა ორნამენტული მოტივებით. ოსტატები რაციონალურად ანაწილებენ მორთულობას და ხის კვეთის ელემენტებით დედაბოძის მხოლოდ დარბაზის ცენტრალური

არეალისკენ მიმართულ მხარეს ამკობენ. შიდა სივრცეში კერია-სარკმელით შექმნილი ვერტიკალურ ღერძი ყველაზე უკეთაა განათებული. დარბაზის სხვა ნაწილები ბევრად უფრო სუსტად ნათდება. ამიტომ ხეზე კვეთის ნიმუშები ინტერიერში უკეთ აღსაქმელ ადგილს იკავებს.



5. დედაბოძი

ორსვეტიან ვარიანტებში შემსვლელი ხედავს ერთი საყრდენის ზურგს და მოპირდაპირე მხარეს მეორის მოჩუქურთმებულ წინა არეს. იმის გათვალისწინებით, რომ ეს საყრდენები ცენტრალურ ღერძზეა, შესასვლელი კარი შუა ნაწილის ნაცვლად გვერდზე არის გაჭრილი, რათა შემსვლელი საყრდენის წინ არ აღმოჩნდეს. თუმცა გვაქვს ისეთი მაგალითიც (ბებნისის დარბაზი), სადაც შესასვლელი შუაშია, ხოლო საყრდენი გვერდზეა გაწეული, რათა უკეთ გამოჩნდეს მოჩუქურთმებული დედაბოძი.

დედაბოძზე ძირითადად გეომეტრიული და მცენარეული მოტივებია წარმოდგენილი: წრე, ოთხკუთხედი, ბორჯღალი, ჯვარი, სიცოცხლის ხის მოტივი და სხვ. გვხვდება ასევე ასტრალური ნიშნები და სხვა გამოსახულებები. მოტივებს საკმაოდ ძველი წარმომავლობა გააჩნია და წარმართულ რწმენა-წარმოდგენებიდან მომდინარე სიმბოლური დატვირთვა უნდა ჰქონდეს. თავად დედაბოძი ოჯახის ბურჯად მოიაზრებოდა. აღსანიშნავია, რომ XX საუკუნეში მოსახლეობის მეხსიერებაში ჯერ კიდევ იყო შემონახული დედაბოძთან დაკავშირებული ერთგვარი რიტუალები. ისინი პატარა ლიახვისა და მეჯუდას ხეობებში ჩაიწერა გ. ჩიტაიამ. მაგალითად, მას აღნიშნული აქვს, რომ „დედაბოძი ოჯახის ახალი წევრის ინკორპორაციის ცერემონიალში მთავარ როლს ასრულებდა: ახლად მოყვანილ პატარძალს სამჯერ უნდა შემოევლო დედაბოძის გარშემო” [გ.ჩიტაია, 1941:53-54].

ქართლის დარბაზების ინტერიერის მხატვრულ გადაწყვეტაში ხის მასალაში შესრულებულ ნაწილებს თავისი ფორმით და მორთულობით

6. ქართლის დარბაზის ინტერიერი

დიდი როლი ენიჭება. რაც შეეხება ქვით ნაგებ კედლებს, ისინი ნაკლებად იქცევს ყურადღებას და არ არის შემკული. თუმცა ცენტრალურ რაიონებში გვხვდება ნიმუშები, სადაც შესასვლელის მოპირდაპირე კედელი საგანგებოდ არის დამუშავებული. ასეთ ძეგლებში ერთი მეტრის სიმაღლეზე 60-80სმ სიგანის შვერილში თაღოვანი თახჩებია. ზოგან თახჩების მეორე რიგიც არის მოწყობილი. ამგვარ გადაწყვეტას, მსგავსად ბევრი სხვა საკითხისა დარბაზულ საცხოვრისში, აქვს როგორც ფუნქციონალური, ასევე მხატვრული დატვირთვა. თახჩა საოჯახო ნივთების შესანახი პრაქტიკული დანიშნულების მქონე ნიშაა. ის ამავდროულად იძლევა კედლის რიტმული დანაწევრების და დარბაზის ცენტრალური სივრცისათვის ერთგვარი ფონის შექმნის შესაძლებლობას.

დარბაზის ინვენტარი და ავეჯი ორგანულად იყო შეხამებული ინტერიერთან. გამოიყენებოდა დიდი, ხეზე კვეთილი ორნამენტით შემკული ტახტები, სამფეხა სავარძლები, სკივრი – „კიდობანი" პროდუქტებისათვის, თიხის ჭურჭელი, მოწნული კალათები და სხვ. თახჩა-განჯინებში და კედლის კარადებში ინახებოდა ტანსაცმელი და ლოგინი.

აღსანიშნავია, რომ ქართლის დარბაზის ინტერიერში არქიტექტურულ ნაწილთა ლოგიკური ურთიერთმიმართება, სივრცის ჰარმონიული მთლიანობის განცდა კარგად ერწყმოდა ყოფით ინტიმურობას. ამ რეგიონის საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს ტინისხიდის, დიღმის, ერთაწმინდას, ყარაღაჯის და სხვა დარბაზული საცხოვრებლები. განსაკუთრებული აღვნიშვნის ღირსია თბილისში მდებარე ფორაქიშვილების დარბაზი, რომელიც ურბანულ განაშენიანებაში აგებული დარბაზული ტიპის საცხოვრებლის გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენს.

ამრიგად, ქართლის დარბაზი მწყობრი არქიტექტურული აზროვნების,

დახვეწილი გემოვნების და სამშენებლო საქმის მაღალ დონეზე ფლობის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს.

მესხური საცხოვრებელი, გავრცელებული სამცხე-ჯავახეთში, სპეციალისტების მიერ საქართველოში დარბაზის განვითარების შემდგომ ეტაპად მოიაზრება. მის არსებით მახასიათებელს წარმოადგენს საცხოვრებლი კომპლექსის ფორმირება, საკუთრივ დარბაზულ სივრცეში გვირგვინის მთელ ფართობზე ამოყვანის წესი და კერიის ბუხრით ჩანაცვლება.



7. ჯავახეთის დარბაზი

სამცხე-ჯავახეთის საცხოვრებლები ექსტერიერში ქვით ნაგებ, დაფერდებული რელიეფის შემთხვევაში ნახევრად მიწაში ჩადგმულ, ბანით მომთავრებულ ნაგებობებს წარმოადგენს შესასვლელი კარაპანით. საყურადღებოა, რომ საცხოვრისის ერთიან კომპლექსს ქმნის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები: გვირგვინოვანი გადახურვის მქონე დარბაზი, თაკარებიანი ოდა, ახორი ანუ ბოსელი, მარანი, ბეღელი და სხვა დამხმარე ნაგებობები. დასახლებაში მიჯრით აგებულ ასეთ ბანიან სახლებს დერეფნების ქსელი გასდევდა, რომელიც საცხოვრებელ ნაწილს ე.წ. დარნებთან – საგანგებოდ მოწყობილ სამავალ-თავდაცვით ნაგებობებთან აკავშირებდა. ამგვარად იქმნებოდა ერთიანი სისტემა მომხდურთაგან თავდაცვის მიზნით.

საცხოვრებელი სივრცე, როგორც აღინიშნა, განსხვავებული ფუნქციის მქონე ნაგებობებს აერთიანებდა. უმთავრესია გვირგვინოვანი გადახურვის მქონე დარბაზი, რომელიც შედარებით მომცრო ზომისაა, თუმცა სიმცირის კომპენსირება კომპლექსში დარბაზების რაოდენობის მატებით ხდებოდა. ამას გარდა გვხვდება ე.წ. თაკარებიანი ოდა, რომელსაც საჯალაბოსა და ზამთრის სახლადაც მოიხსენიებდნენ. ნიშანდობლივია, რომ ის, როგორც წესი, ბოსლის გვერდით მდებარეობდა და მისგან ფიცრულით გამოიყოფოდა. ეს რეგიონისათვის დამახასიათებელი ცივი ზამ-

8. ჯავახეთის დარბაზის ინტერიერი

თრის პირობებში ბოსელში მყოფი საქონლის სიმხურვალის ჰაერის გასათბობად გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა. რაც შეეხება სახელწოდებას – თაკარიანი – ის დაკიდებულ ძელს აღნიშნავს და თავისებურ გადახურვას უკავშირდება. წაგრძელებული სწორკუთხა გეგმის მქონე თაკარებიან ოდაში გადახურვის გრძივი კოჭების შუა ნაწილისკენ ორივე მხრიდან კიბისებურად განლაგებას ლ. სუმბაძე გრძივ-გვირგვინულს ან კიბურ-კამაროვანს უწოდებს [ლ.სუმბაძე 1985:14]. აქ კედლების გასწვრივ დიდი ხის ტახტები – ე.წ. საქვეები იდგა. შესაბამისად, ამ სივრცეს საძინებლის ფუნქცია ჰქონდა.

ბოსელი ანუ ახორი კომპლექსის ყველაზე დიდი ფართობის მქონე სათავსს წარმოადგენდა. ეს ლოგიკურია, რადგან მესაქონლეობა ამ რეგიონის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენდა და საქონლის მოვლას, განსაკუთრებით, ზამთრის პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ახორის არქიტექტურული სახე სწორედ ამ ფუნქციის სათანადოდ განხორციელების შესაბამისად იყო გადაწყვეტილი. მთავარი იყო საკმარისი ფართობი, მისი სადგომებად განაწილება და გარკვეული რაოდენობის პირუტყვის დახურულ სივრცეში ყოფნის დროს კარგი აირაციის უზრუნველყოფა. ამ ამოცანების შესაბამისად, ახორში წაგრძელებული გეგმის საკმაოდ დიდი ფართობის სივრცე საყრდენებით იყო დანაწევრებული, რაც საქონლის მოხერხებულად განლაგების საშუალებას იძლეოდა. ჰაერის ცირკულირებას ჭერში ერდოს გარშემო მოკლე ძელებით, ე.წ. კვანტებით, ერთ, ორ ან სამ საფეხურად შეკრული კონსტრუქცია უზრუნველყოფდა.

9. ახორი სოფელ საროში

რაც შეეხება საცხოვრებლის მთავარ სივრცულ ერთეულს – დარბაზს, ის ქართლის დარბაზთან

შედარებით მცირე ზომისაა და მასში გვირგვინოვანი გადახურვა მთლიან კვადრატული გეგმის ფართობს ფარავს. შესაბამისად აქ აღარ გვხვდება დედაბოძი, თუმცა გამოიყენება ხის მზიდი საყრდენები, რომელთაც დედაბოძისგან სრულიად განსხვავებული ფორმა და ადგილმდებარეობა ახასიათებს.

10. ჯავახეთის დარბაზის ინტერიერი

ვინაიდან გვირგვინი მთლიან ფართობზე ამოდის, ერთი შეხედვით ლოგიკური იყო ის ქვის კედლებს დაყრდნობოდა. თუმცა ეს პრობლემა განსხვავებული მიდგომით, სეიმომედეგობის პრინციპების გათვალისწინებით გადაწყდა. მესხური დარბაზის მაშენებელი ოსტატები არ წავიდნენ მარტივი, გვირგვინის კედლებზე დაყრდნობის გზით და შექმნეს ხის ძელებიანი კარკასი. ხშირი მიწისძვრების რეგიონში ცხოვრების გამოცდილებამ მათ ქვისა და ხის მასალების შეთავსების კარკასული წესის უპირატესობა დაანახა. შედეგად მესხურმა დარბაზმა შესაბამისი კონსტრუქციული გადაწყვეტა მიიღო. გვირგვინი დაეფუძნა თორმეტ კედლისპირა საყრდენს, რომელთა შორის გამოიყო რვა. ეს სისტემა დაკავშირებულია გვირგვინის საფუძვლის რვაწახნაგა ფორმასთან. თავად საყრდენებს აქვს კვადრატული კვეთა. მათი ტანი არ განივრდება ზედა მხარეს და ზოგჯერ კაპიტელისმაგვარი ფორმა ამკობთ.

როგორც აღინიშნა, გვირგვინი მთლიანად ფარავს სივრცეს. ამდენად გვირგვინის რეგლამენტირებული ზომის გამო, ფართობიც შესაბამისია. ამავდროულად სიმაღლე გვირგვინისა ბევრად მეტია. ზოგ შემთხვევაში 8 მეტრსაც კი აღწევს.

მესხურ დარბაზში კერია, როგორც შიდა სივრცის გეგმარების ცენტრი, აღარ გვხვდება. აქ ცეცხლის კერა კედლისკენ ინაცვლებს, ბუხრის სახეს იღებს და ინტერიერის ძალზე აქტუალური შემადგენელი ხდება. ბუხარს მესხეთში „ოჯახი"-ს სახელით მოიხსენიებენ, რაც თავისთავად მიანიშნებს მის მნიშვნელობაზე. ოჯახის-ქვა ანუ ბუხრის ქვა ხშირად მდიდრული ორნამენტით იმკობა, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის მის როლს.



11. ბუხრიანი დარბაზი

როგორც ცნობილია, კერია დარბაზის სივრცეში სითბოსა და სინათლის წყარო, ერთგვარი მიზიდულობის ცენტრი იყო. მისი ბუხრით ჩანაცვლებამ, ცხადია, შეცვალა შიდა სივრცის გააზრების ლოგიკური სქემა და ბუხრიან კედელს ინტერიერში გამორჩეული დატვირთვა შესძინა.

ამრიგად, მესხური ანუ სამცხე-ჯავახეთის დარბაზული საცხოვრისი რიგი სახასიათო ნიშნებით გამოირჩევა, რასაც დიდწილად ადგილობრივი გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები და მოსახლეობის საქმიანობის სპეციფიკა განაპირობებს. მესხური დარბაზის საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს მაგალითად ჭაჭკარის, საროს, ხიზაბავრას, ახალციხის დარბაზები და სხვ.

თრიალეთში გავრცელებული დარბაზი მესხურ-ჯავახურს ენათესავება. აქაურ საცხოვრისშიც ერთ შენობაში რამდენიმე სათავსი ერთიან კომპლექსს ქმნის. ასევე გავრცელებულია ბუხარი და გვირგვინოვანი გადახურვის საფუძვლად გამოიყენება კედლისპირა ხის საყრდენები. თუმცა ამავდროულად გვხვდება დედაბოძი.

თრიალეთის დარბაზული საცხოვრისი უმეტესად სამი კედლით სანახევროდ მიწაშია ჩაფლული და ბანური გადახურვა აქვს. დარბაზისა თუ სხვა სათავსების (მაგ.: საბძელი, ბოსელი) წინ გრძელი, ღია დერეფანია, რომელსაც ასევე მიწატყეპნილი სახურავი გააჩნია. მიჯრით აგებული საცხოვრებლები ერთიან კვარტალს ქმნის. დერეფნს ერთ კარი დარბაზთან, მეორე კი საბძელსა და შემდეგ ბოსელთან აკავშირებს. ეს სათავსები საკმაოდ ტევადია. ამასთან საქონლის საკვების შესანახ საბძელს ბრტყელი გადახურვა აქვს, ხოლო ბოსელს აირაციისთვის უკეთესი პირობების შესაქმნელად უფრო რთული და შემაღლებული გადახურვა გააჩნია.

საკუთრივ დარბაზი მოზრდილი, დაახლოებით 30-40 კვ.მ ფართობის ოთახია, რომლის სიმაღლე ერდომდე ხშირად 6 მეტრს აღწევს. გვირგვინოვანი გადახურვა, რომელიც სხვადასხვა ფორმისაა, ეფუძნება

როგორც დედაბოძებს, ასევე დამხმარე კედლისპირა საყრდენებს, ოთხ-ოთხს ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს. ამ საყრდენებზე ე.წ.საწარბე ძელებია გადებული. დედაბოძი შეიძლება იყოს ორი, სამი ან ოთხი. მათ აქვთ ორნამენტით შემკული სვეტისთავები, რომელთაც ბანდუშებს უწოდებენ. აღსანიშნავია, რომ ერთ დარბაზში ბანდუშების მორთულობა არასდროს არ მეორდება, თითოეული განსხვავებულია. გამოიყენება გეომეტრიული და უმეტესად მცენარეული მოტივები. დედაბოძი ქართლის ვარიანტზე მომცრო ზომისაა და უფრო ნაკლებად ორნამენტირებული, თუმცა ოსტატურადაა გათლილი და საკმაოდ დახვეწილი ფორმა გააჩნია. თრიალეთში კერა თავდაპირველად ცენტრში იყო, ხოლო შემდეგ ის ბუხარმა შეცვალა. ბუხრის ქვა ყოველთვის შემკულია, ძირითადად სიცოცხლის ხის მოტივია გამოსახული. დარბაზული საცხოვრებლის არა ერთი საინტერესო ნიმუშია დადასტურებული წალკის მუნიციპალიტეტის სოფლებში.

ამრიგად, დარბაზული საცხოვრებელი საქართველოში ფორმათა მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც მდიდარი სამშენებლო გამოცდილებით და ცალკეული რეგიონების ადგილობრივი გეოგრაფიულ-კლიმატური თუ მოსახლეობის საქმიანობის თავისებურებებით არის განპირობებული. ამავდროულად, საცხოვრისის ამ ტიპს გამოარჩევს ყველა სახეობისთვის საერთო ნიშნები, როგორიცაა გვირგვინოვანი გადახურვის წესი, ასევე ფუნქციური, კონსტრუქციული და იდეურ-მხატვრული საკითხების გადაწყვეტის მაღალი დონე. საცხოვრებელის ამ ტიპში კარგადაა გადაწყვეტილი კონსტრუქციული მდგრადობის საკითხი. კომპლექსურადაა გააზრებული უტილიტარული პრობლემატიკა, მაგალითად, საცხოვრებლად აუცილებელი ფართობის შექმნის, გათბობის, განათების, საოჯახო ინვენტარის შენახვის და სხვა საკითხები. საგანგებო ყურადღება ექცევა ინტერიერის მხატვრულ გაფორმებას. გამოიყენება დახვეწილი არქიტექტურული ფორმები, მდიდრული ორნამენტული მორთულობა. ყურადსაღებია, რომ სივრცულ გააზრებასა თუ მხატვრული გაფორმების მოტივებში წარმოჩენილია ადგილობრივი რწმენა-წარმოდგენები და იდეურ-მსოფლმხედველობითი ასპექტები.

დარბაზულ საცხოვრებელში არქიტექტურული სტრუქტურის ყველა ნაწილი თუ ფორმა ზუსტად შეესატყვისება ნაგებობის ფუნქციას და, ამავდროულად, მეტყველი მხატვრული გამომსახველობა გააჩნია.

დარბაზის კვადრატს მიახლოვებული გეგმარება შიდა სივრცის მთლიანობას განაპირობებს და კერიის ანუ სითბოს წყაროს გარშემო ადამიანების თუ საგნების თანაბარზომიერი განაწილების პირობებს ქმნის. დარბაზის ცენტრის თავზე განათების წყაროს განლაგება სინათლის სხივების მაქსიმალური განფენის საშუალებას იძლევა. ამასთან, ერდოდან შემოსული შუქის გვირგვინოვანი გადახურვის თითოეულ საფეხურზე არეკვლა და დაცემული ჩრდილები სახასიათო მხატვრული ეფექტის შექმნას უწყობს ხელს. საგულისხმოა, რომ გვირგვინოვანი გადახურვის ფორმა იძლევა არა მხოლოდ სინათლის თანაბარად განაწილების საშუალებას და ქმნის მხატვრულ-გამომსახველობით ეფექტს, არამედ უზრუნველყოფს ჰაერის სწრაფ გაწოვას. გასათვალისწინებელია, რომ კარგ აირაციას საცხოვრებელი გარემოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია, მით უფრო ისეთ სივრცეში, სადაც ცეცხლის კერა არსებობს.

ქართლის დარბაზის არქიტექტურული სტრუქტურისათვის დამახასიათებელ ხის საყრდენს – დედაბოძს გადახურვის მზიდი და ცენტრალურისგან დაქვემდებარებილი არეების გამმიჯნავი ფუნქცია აქვს. ამასთან, ის ინტერიერში მძლავრ მხატვრულ აქცენტს ქმნის და იდეურ-სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია. უფრო მოკრძალებულია მისი როლი თრიალეთის ნიმუშებში. განსხვავებული კონსტრუქციული პრინციპი მუშაობს მესხურ დარბაზში, სადაც დედაბოძი არ გვხვდება. აქ კედლისპირა საყრდენებით შექმნილი კარკასული სისტემა გადახურვის მდგრადობის და სეიმსმოდეგობის მოთხოვნებს სრულად შეესაბამება. აღსანიშნავია, რომ კერიას ცლის ბუხარი, რომელიც ასევე გავრცელდა თრიალეთში. ამგვარი ცვლილება გავლენას ახდენს ინტერიერის ნაწილთა ურთიერთმიმართებაზეც.

ქართლისაგან განსხვავებული ერთიანი საცხოვრებელი კომპლექსებია გავრცელებული მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში. მათ თავისუფალი დაგეგმარება ახასიათებს, რაც სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ თავდაცვითი საკითხების რაციონალურად გადაჭრის შედეგია. აქ დადასტურებულია მოსახლეების საჭიროების შესაბამისად ახალი დარბაზული სივრცეების კომპლექსში ჩართვის მრავალრიცხოვანი მაგალითები. ყოველივე ეს დარბაზული საცხოვრებლის არქიტექტურული ტიპის შესაძლებლობების ფართო სპექტრის არსებობაზე მეტყველებს, რაც

ქართულ სინამდვილეში მაქსიმალურად იქნა გამოყენებული. საგულისხმოა, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გავრცელებული დარბაზული საცხოვრებელი, რომელიც ძირითადად სოფლის მოსახლეობის მიერ იგებოდა, ურბანულ განაშენიანებაშიც გვხვდება.

ამდენად, დარბაზული საცხოვრებლის სტრუქტურა არქიტექურულ-კონსტრუქციული, ფუნქციონალური, მხატვრულ-გამომსახველობითი თუ იდეური საკითხების ჰარმონიულ ურთიერთკავშირზეა დაფუძნებული. მისი ნიმუშები ნათლად წარმოაჩენს საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული გამოცდილების მრავალფეროვნებას და მდიდარ არქიტექტურულ-სამშენებლო შესაძლებლობებს. დარბაზული საცხოვრებლები საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ძეგლების რიგს მიეკუთვნება.

.....

ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ.I. თბილისი,1983;

ა. სოხაძე, ქართული დარბაზის დედაბოძი, ჟ.ძეგლის მეგობარი, №12, თბილისი, 1967, გვ.23-26;

ლ.სუმბაძე, ქართული ხუროთმოძღვრება – ხით ხუროთმოძღვრება, თბილისი,1985;

ლ. სუმბაძე, ქართული დარბაზის ინტერიერი, ჟ.საბჭოთა ხელოვნება, №6, თბილისი,1965;

ლ.სუმბაძე, კოლხური საცხოვრებელი ვიტრუვის მიხედვით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თ.VI, თბილისი, 1945;

ა.ქალდანი, ქართული ტრადიციული საცხოვრებელი კომპლექსები და თანამედროვეობა, თბილისი,1989;

გ. ყიფიანი, მესხური საცხოვრისი, კავკასიის მემკვიდრეობის სახლი, თბილისი, 2002;

გ. ჩიტაია, პატარა ლიახვისა და მეჯუდის ხეობებში მიკვლელული ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, „ენიმკის მოამბე“, ტ.XI, თბილისი, 1941, 53-54;

თ. ჩიქოვანი, დარბაზული საცხოვრებელი სახლი თრიალეთში, ჟურ. საბჭოთა ხელოვნება, №6 თბილისი, 1955, გვ.55-59;

თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებელი (წალკური სახლი), თბილისი, 1960;

თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ სავხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბილისი, 1967;

Л. Сумбадзе, Грузинские Дарбази, Тбилиси, 1960;

Г.Чубинашвили, Грузинские Дарбази, сб.Вопросы истории искусства, Т.1. Тбилиси,1970,ст.3-36.

ოდა-სახლი

ოდა-სახლი საცხოვრებლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტიპს წარმოადგენს საქართველოში. ის ძირითადად დასავლეთ საქართველოში გვხვდება და კოლხური ოდა-სახლის სახელითაც მოიხსენიება. ოდა სახლის ნიმუშები დღემდეა შემორჩენილი იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში. საინტერესო მაგალითები გვხვდება ასევე მთიან რეგიონებში, რაჭასა და ლეჩხუმში.

სახელწოდებას „ოდა" სულხან-საბას განმარტებით თურქული ძირი აქვს. „სიტყვის კონა"-ში ვკითხულობთ – „ოდა თურქთა ენაა, სენაკს ჰქვიან". ქართული ხალხური ხუროთმოძღვების მკვლევარი ილია ადამია ვარაუდობს, რომ ოდას სინონიმად გამოიყენებოდა ტერმინი „სენაკი" და შემდგომ „სასახლე". მისი აზრით ეს ნაგებობა სასტუმრო სახლის ფუნქციას ასრულებდა. [ი.ადამია, II,1968:87]. სტუმრების მისაღებ სახლს ახსენებს XVII საუკუნეში მოღვაწე იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტიც, რომელიც წერს „.....დიდი შენობა, რომელსაც ოხორო ჰქვიან და რომელიც სტუმრების მისაღებად არის დანიშნული" [სამეგრელოს აღწერა, 1938: 35]. ივ. ჯავახიშვილი ამგვარ ვითარების არსებობას ვარაუდობს XI საუკუნეშიც [ივ.ჯავახიშვილი, 1946:21].

ტერმინი „ოდა" ფართოდ გავრცელდა XVIII საუკუნიდან. თავად ამ ტიპის საცხოვრებელმაც განვითარების მაღალ დონეს ამავე საუკუნესა და განსაკუთრებით XIX საუკუნეში მიაღწია. თუმცა მიჩნეულია, რომ ოდა სახლის იდენტური გეგმის საცხოვრებელი კოლხეთის მიწაზე ბევრად ადრეც არსებობდა. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ოდა-სახლების შესახებ ფაქტობრივი მასალა ძირითადად XIX საუკუნიდან გაგვაჩნია. შესაბამისად, უფრო ადრინდელ ფორმებზე დაბეჯითებით საუბარი ძნელია. დანამდვილებით იმის თქმა შეიძლება, რომ ხის სახლები დასავლეთ საქართველოში უძველესი დროიდან იყო გავრცელებული და ხე საცხოვრებლის ძირითად საშენ მასალას წარმოადგენდა. კოლხეთში ტყეების სიუხვესა და ხის ნაგებობების სიმრავლეზე ყურადღებას ჯერ კიდევ ბერძენი და რომაელი ავტორები ამახვილებდნენ. მაგალითად, ჰიპოკრატე, ქსენოფონტი, აპოლონიოს როდოსელი, პომპონიუს მელა, ვიტრუვიუსი, სტრაბონი და სხვ.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქვისგან განსხვავებით, ხის მასალა დროთა ვითარებაში ადვილად ნადგურდება, განსაკუთრებით ისეთ ნესტიან რეგიონში, როგორც კოლხეთია. ამდენად, შემორჩენილი მონაცემები რეალურ რაოდენობასთან შედარებით მცირეა. ხით ნაგები სამოსახლოები კოლხეთში ბრინჯაოს ხანიდან არის დადასტურებული. ხისგან აგებდნენ საცხოვრებელ სახლებს, კოშკებს, ზღუდეებს, გამაგრებულ სამოსახლოებს. უმეტესად დადასტურებულია ნახანძრალი შენობები, რომელთა კვალი მიწაში უკეთ ინახება. ამ მონაცემების მიხედვით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საცხოვრებლებს ხის ძელებით აგებდნენ. გვხვდება ორი ტიპის ნაგებობები: ხის ძელებიანი, რომელთა კუთხეები ძელების ბოლოში ჩაჭრით არის ნაგები, და ძელურ-ბათქაშიანი. მეორე სახეობა ქრონოლოგიურად შემდგომ ჩნდება, თუმცა ორივე ტიპი აგრძელებს თანაარსებობას. ხის ძელებიანი ნაგებობების კვალი მიკვლეულია კოლხეთის სხვადასხვა რეგიონში (მაგ.: სოფ. ანაკლია –დიხა-გუძუბა. სოფ.რეკი – ნაოხვამო, სოფ, ვარციხე-ვარდიგორა, ქუთაისი –დათეშიძე-გაბაშვილისგორა), ხოლო ძელურ-ბათქაშიანი ნაგებობები დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. ძელურ-ბათქაშიან ნაგებობას ქვის ცოკოლზე აგებდნენ, რაც სამშენებლო საქმის განვითარების გარკვეული დონის მიმანიშნებელია [გამყრელიძე, 2002:111-121].

რაც შეეხება დღეს მეტ-ნაკლებად უკეთ შემორჩენილ ხის ნაგებობებს, ისინი ძირითადად XIX საუკუნეს და XX საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება. მასალის მიხედვით შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ტიპი. ესაა, წნული სახლები, ჯარგვალი ანუ ძელებიანი და ხის ფიცრებით აგებული სახლი. წნული სახლი, ანუ სულხან საბას განმარტებით – ფაცხა, საკმაოდ იყო გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. მას, უთუოდ, ყველაზე შეჭირვებული ფენის საცხოვრებლის ან დროებითი სადგომის ფუნქცია გააჩნდა. გვხვდება უსაძირკვლო და ხის საძირკვლიანი წნული სახლები, რომელთაც სწორკუთხა ან წაგრძელებული გეგმარება ჰქონდა. ასეთი ნაგებობები შესაძლოა უძველესი დროიდან გამოიყენებოდა, თუმცა მათი ნაშთების დადასტურება შეუძლებელია.

ჯარგვალი ანუ ძელებით ნაგები სახლები, როგორც აღვნიშნეთ, არქეოლოგიურადაც არის გამოვლენილი. ბრინჯაოს ხანიდან



12. ძელებიანი საჯალაბო სახლი

მოყოლებული ძელებიან სახლებს საუკუნეების განმავლობაში უწყვეტად აგებდნენ. ჯარგვალი საცხოვრებლის ძალზე ფართოდ გავრცელებული ტიპი იყო.

ხის ფიცრებით ნაგები სახლის ნიმუშია კოლხური ოდა. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ხის მორის თანაბარზომიერ ფიცრებად დახერხვა და მშენებლობაში გამოყენება ხის ძელებად დამუშავებაზე ბევრად რთულია. მას სათანადო ხელსაწყოები, სამშენებლო საშუალებები და გამოცდილება ესაჭიროება. ამდენად, ოდა-სახლის აგება ძველ საქართველოში ხის სახლების მშენებლობის მრავალსაუკუნოვანი პროცესის ყველაზე გვიან და წარმატებულ ეტაპად შეიძლება მოვიაზროთ.

ოდა-სახლის კონსტრუქციული და არქიტექტურულ-მხატვრული მახასიათებლების ფორმირება ხით ხუროობის განვითარებასთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებით განთქმულნი იყვნენ ლაზი და რაჭველი ოსტატები. ე.წ. მოგზაური ხელოსნები სხვადასხვა სოფლებსა და დასახლებულ პუნქტებში მაღალ დონეზე ასრულებდნენ დამკვეთთა შეკვეთებს.

ოდა-სახლის მშენებელი ოსტატები ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ მაგარი ხის მასალის შერჩევას. გამოიყენებოდა ხის ისეთი ჯიშები, რომლებიც კარგად უძლებენ ზღვისპირა ნოტიო ჰავის ზემოქმედებას. უპირატესობას ანიჭებდნენ მუხას, წაბლს, თელას, ურთხმელს. ეს მასალა სახლის აგებისა თუ დაშლა-გადატანის პროცესში თითოეული დეტალის კონსტრუქციულ-ტექნიკური პარამეტრების დეფორმაციის გარეშე შეენარჩუნების საშუალებას იძლეოდა.

ოდა-სახლის არსებით მახასიათებელს წარმოადგენს მისი ორიგინალური კონსტრუქცია. ესაა ნაგებობა, რომელიც ასაწყობი ელემენტებით იქმნება. ამ გამორჩეული სამშენებლო წესის შემუშავება საქართველოში ხის დამუშავების მაღალის კულტურის და ფიცრული საკედლე მასალის შექმნამ განაპირობა. ასაწყობი ნაწილების კონსტრუქციული მდგრადობის მთავარ ჩონჩხს სარტყელებიან-კოჭოვანი სისტემა ქმნიდა.

ძველი ოდა-სახლების ფიცრებსა და ხის მასალაზე ვხვდებით რომაულ, არაბულ, ქართულ ანბანურ ან ხაზოვან ნუმერაციებს, ასევე ზედა და ქვედა სარტყლების ერთმანეთისაგან გასარჩევ ხაზოვან ნიშნებს. სხვადასხვა დეტალის ურთიერთმორგების ადგილებზე ასევე საგანგებო ნიშნები იყო დატანილი, რაც დაშლის შემდეგ თითოეული ელემენტის სწრაფად მოძებნის და შესაბამის ადგილზე განთავსების საშუალებას იძლეოდა. ამრიგად, ოსტატების მიერ შექმნილი იყო ოდა-სახლის აგება-დაშლის სპეციალური სქემა, რაც ოდის გამორჩეულ თვისებას წარმოადგენს.



13. ოდა სახლი

ოდა-სახლის არქიტექტურულ-კონსტრუქციული ელემენტების აწყობა-დაშლის ტექნიკამ, ერთი ადგილიდან სხვა ადგილზე ადვილად განატანის პრაქტიკამ, დიდად შეუწყო ხელი მის ფართო გავრცელებას. ასეთი „მოძრავი" თვისების გამო ის აღიარებული იყო მოძრავ ქონებად და ყიდვა-გაყიდვის ობიექტს წარმოადგენდა. ამას მოწმობს XVIII-XIX საუკუნის დოკუმენტებიც, სადაც ერთი ოდა-სახლის დაშლისა და გადატანა-აწყობის შემთხვევები ხშირად რამდენჯერმე არის დამოწმებული. ოდას ქალს მზითევშიც ატანდნენ და ახალ ადგილზე მას ხელახლა აგებდნენ.

საზოგადოდ, ოდა-სახლის სტრუქტურა საკმაოდ მარტივია. ის წარმოადგენს ხის ერთსართულიან, ვენტილაციის მიზნით ქვის ბოძებზე დაფუძნებულ, ანდა ორსართულიან, ქვედა ქვის და ზედა ხის ე.წ. პალატიან ნაგებობას. მისი გეგმარება სწორკუთხაა და ხშირად კვადრატს არის მიახლოვებული. გადახურვა როგორც წესი ოთხფერდაა. სახლი ყავრით ან კრამიტით არის დაბურვილი. ოდა სახლის ყველაზე სახიერ ნაწილს წარმოადგენს აივანი, რომელსაც მრავალფუნქციური დატვირთვა აქვს და ძალზე მეტყველ, დახვეწილ მხატვრულ სახეს ქმნის.

ოდა-სახლის არქიტექტურულ-მხატვრული თავისებურებების უკეთ წარმოსაჩენად განვიხილოთ მისი გეგმის, სივრცის კომპოზიციური გადაწყვეტის და არქიტექტურულ-კონსტრუქციული მახასიათებლები.

ოდა-სახლი გეგმაში შედგება ოთახებისა და აივნისაგან, რომელთა



14. ერთოთახიანი ოდა

საერთო მოხაზულობა ხშირ შემთხვევაში კვადრატს უახლოვდება. აღსანიშნავია, რომ ცენტრული და კვადრატული გეგმა უძველესი ხანიდან გვხვდება სამოსახლოებში, რაზეც საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ხალხური ხუროთმოძღვრების მკვლევარი ილია ადამია.

როგორც აღვნიშნეთ ოდა-სახლის მნიშნელოვანი შემადგენელი ნაწილია აივანი. თავად ტერმინი „აივან" სპარსული წარმოშობისაა და გამოიყენებოდა ერთი მხრით გახსნილი, კამარით გადახურული არქიტექტურული ფორმის აღსანიშნავად, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ჯერ კიდევ პართიული (მაგ.:აშურის, ჰარტის სასახლეები) და სასანური (მაგ.:ჰორის სასახლე, ხოსროს სასახლე ქტესიფონში) პერიოდის ხუროთმოძღვრებაში. როგორც ვხედავთ, ამ ტერმინის თავდაპირველი გაგება არ შეესატყვისება ქართულ ენაში დღეს გამოყენებული სიტყვის მნიშვნელობას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ფასადის მხარეს გახსნილობა იმთავითვე ამ სახელწოდების არქიტექტურული ფორმის არსებით მახასიათებელს წარმოადგენდა.

სულხან საბა ორბელიანის „სიტყვის კონის" განმარტებით „აივანი" იგივე დერეფანი, ფარღია სახლია. ილ. ადამია ზეპირი გადმოცემის საფუძველზე მიუთითებს, რომ კოლხეთში მართლაც არსებობდა ღია ტიპის სვეტებიანი ფარდული ან ფანჩატური, რომელიც საცხოვრებლის მახლობლად იდგა და უმეტესად სტუმრების მისაღებად გამოიყენებოდა. იგივე ფუნქცია ჰქონდა „აშაპა"-ს აფხაზეთში. ილ. ადამიას მოსაზრებით, ასეთი ღია ტიპის სტრუქტურა, რომელიც კარგად იყო მორგებული კოლხეთის კლიმატურ პირობებს, შეერწყა საცხოვრებელ სახლს და მის აივნად გარდაისახა [ილ.ადამია, 1968:91].

აივნიანი ოდას არქიტექტურული სტრუქტურის ფორმირების განხილვისას უფრო მართებულად ჩანს საცხოვრებელი ოთახის წინ ერთგვარი წინკარის ანუ სახურავით გადახურული სივრცის, იმთავითვე არსებობის

დაშვება. ამგვარი ნაწილი ფუნ-ქციონალურად აუცილებელი იქნებოდა განსაკუთრებით ისე-თი უხვნალექიანი კლიმატური პირობების რეგიონში, როგორ-იც კოლხეთია. შესაძლოა მას თავდაპირველად მარტივი ფორ-მა ჰქონდა, ხოლო შემდგომ თან-დათან უფრო დახვეწილი, ხის კვეთით შემკული აივნის სახე

15. მეგრული ოდა

მიიღო. განვითარების ასეთი ხაზი მით უფრო რეალურად შეიძლება მივიჩ-ნიოთ თუ გავითვლისწინებთ, რომ საცხოვრებლი ოთახის წინ გარკვეულად მონიშნული სივრცე საქართველოში უძველესი დროიდან არის დადასტურე-ბული ჯერ კიდევ მტკვარ-არაქსის კულტურის საცხოვრისებში. ამდენად, შესაძლებელია სტუმრებისათვის განკუთვნილი ფანჩატურის მორთულო-ბის მოტივები მართლაც გამოიყენეს ოდა-სახლის აივნის გაფორმებაში, მაგრამ ოთახის წინ გადახურული სივრცის ანუ მარტივი აივნის მოწყობის წესი თავიდანვე უნდა არსებულიყო.

ოდა-სახლის ნიმუშებში ყველაზე მარტივი ტიპი მხოლოდ ოთახისა და აივნისაგან შედგება. ამგვარი ოდა კვადრატული გეგმისაა. მარტივი ოდას გვერდით ასეთივე „კვადრატის" მიშენებით, მიიღება სწორკუთხა მოხაზულობის სახლი. ფართობის გაზრდის მიზნით ამგვარი „დაგრძელებით" შეიძლება შეიქმნას ე.წ. გრძელი სახლის კომპოზიცია.

სპეციალისტების აზრით ე.წ. გრძელი სახლის საუკეთესო პროპორცია სამი კვადრატისაგან (ანუ სამი ოთახისაგან) შედგება. მიმართავდნენ ასევე სექციების შეწყვილების პრინციპსაც. ამგვარად ჩამოყალიბდა ე.წ. სასახლის ტიპის ოდა სახლი. გეგმარების გართულების პროცესში მოხდა შუა დერეფნიანი, ორ და სამმხრივაივნიანი ვარიანტების დამუშავება. ორ, სამ და ოთხოთახიანი ტიპების გარდა ჩამოყალიბდა ხუთოთახიანი და რვაოთახიანი ტიპიც.

როგორც ვხედავთ, ოდა სახლის გეგმარების ვარიანტებს განსაზღვრავს ოთახების რაოდენობა (1-8), აივნების რიცხვი და განლაგება (ერთ, ორ ან სამმხრივი), ასევე შიდა დერეფნის არსებობა, რომელიც უფრო

რთული გეგმარების ოდებში გვხვდება. ფართოდ გავრცელებული იყო ორ-სამ ოთახიანი და ერთი აივნის მქონე ოდები. თუმცა საკმაო რაოდენობით იგებოდა წინა და უკანა მხარეს აივნის მქონე ოდებიც. ოთახები უმეტესად ტოლი იყო, თუმცა ცალკეულ ვარიანტებში (მაგ.: შიდა დერეფნის ან უკანა მცირე აივნის არსებობისას) გვხვდება შედარებით დიდი და უფრო მომცრო ოთახები.

ამრიგად, ვარიანტების სიმრავლე ნათელყოფს ოდა-სახლის არქიტექტურული სტრუქტურის დაგეგმარების მრავალმხრივ შესაძლებლობებს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია საცხოვრებელი ნაგებობისათვის. ეს სახლის მაშენებელს საშუალებას აძლევს ოჯახის რიცხოვნების, მატერიალური შესაძლებლობის, საკუთარი საჭიროების თუ შეხედულებების მიხედვით შეარჩიოს შესაბამისი ვარიანტი.

აღსანიშნავია, რომ ოდა-სახლს გააჩნია არა მხოლოდ დამკვეთ-მეპატრონის ინტერესების, არამედ ლანდშაფტური პირობების გათვალისწინებით გეგმის შემუშავების შესაძლებლობა. თუ კოლხეთის დაბლობზე რელიეფი ნებისმიერი ზომის და დაგეგმარების ნაგებობის აგების შესაძლებლობას იძლევა, მთისწინა და მთიან რეგიონებში, დაფერდებულ ან ხევებს შორის მოქცეულ კარმიდამოში, სახლის ასაგები ფართობის ზომა უმეტესად ლიმიტირებულია და ხშირად არასტანდარტული კონფიგურაციისაა. ასეთ პირობებში ოდას დაგეგმარების მრავალმხრივი შესაძლებლობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და ადგილმდებარეობას კარგად მორგებული სახლის მშენებლობის საშუალებას იძლევა.

ამდენად, ოდა-სახლი საცხოვრებლის იმგვარ ტიპს წარმოადგენს, რომლის ოთახების თუ აივნების რაოდენობისა და განლაგების დაგეგმარებაში კონკრეტული დამკვეთის ინტერესების, ადგილმდებარეობის სპეციფიკის გათვალისწინება მაქსიმალური სისრულით არის შესაძლებელი.

ლანდშაფტის და კლიმატური პირობების თავისებურება ოდა-სახლის არა მხოლოდ დაგეგმარების, არამედ განსხვავებული არქიტექტურული სახეობების ფორმირებას განაპირობებს. ასე მაგალითად, კოლხეთის დაბლობზე გავრცელებულია ხიმინჯებზე მდგარი ოდები, ხოლო დაფერდებულ რელიეფზე უმეტესად ე.წ. პალატიანი ოდებია, რომელთაც უკანა კედლებით მიწაში ჩადგმული ქვით ნაგები პირველი სართული გააჩნია.

ორივე არქიტექტურული სახეობა გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით არის შექმნილი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამორჩეულია კოლხური ოდა, რომელიც ზუსტად პასუხობს საკმაოდ რთულ გამოწვევებს.

ცნობილია, რომ კოლხეთის ცენტრალური არე დაბლობია. აქ ძალზე ნესტიანი კლიმატია, უხვნალექიანი, ქარიანი რეგიონია, სადაც თბილი ზამთარი და ცხელი ზაფხული იცის. ეს მოცემულობა ოდა-სახლის სტრუქტურაში, მასალის და ცალკეული არქიტექტურული ფორმების გადაწყვეტაში ზედმიწევნითაა გათვალისწინებული. კოლხური ოდა დგას დაბალ, არა უმეტესს ერთი მეტრის ხის ან ქვის ბოძებზე, რაც ხის სახლს ნიადაგიდან ნესტის შეღწევისა და ხშირი წვიმებისას წყალმოვარდნისაგან იცავს. ამავდროულად, ქარიან ამინდში განიავებისათვის და ხის მასალის გაშრობისათვის საუკეთესო პირობებს ქმნის. ოდას ოთხფერდა სახურავი იძლევა წვიმის ნაკადის სწრაფად დანაწევრების და ჩამოდინების საშუალებას. ყავრის გადახურვა მზიან დღეებში მალე შრება, ხოლო ქარიან ამინდში კარგად ნიავდება. ცხელ ზაფხულში აივანი საუკეთესო კომფორტულ გარემოს ქმნის. ამგვარად, კლიმატური თავისებურებების გათვალისწინებით კოლხური ოდის არქიტექტურულ სტრუქტურაში კარგად არის გააზრებული როგორც არსებული გამოწვევები, ასევე მათი გადაჭრის გზები.

რაც შეეხება პალატიან ოდას, ქვედა სართულზე ქვის მასალის გამოყენება ძირითადად დაფერდებულ ადგილზე მშენებლობითაა განპირობებული. თუ კოლხურ ოდაში ერიდებოდნენ ქვის კედლების გამოყენებას, რადგან ის ნიადაგიდან ნესტს იწოვს და არაჯანსაღ გარემოს ქმნის, მთისწინა და მთიან რეგიონებში სახლის სიმყარისა და დაფერდებულ ადგილზე აღმართვისათვის ხშირად იდგა კედლების მიწაში ამოყვანის საჭიროება. ეს, ცხადია, ქვის მასალის გამოყენებას აუცილებელს ხდიდა. ამ რეგიონებისთვის



16. რაჭული ოდა

დამახასიათებელი ცივი ზამთარი კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩენდა ამ მასალის მიზანშეწონილობას. ამდენად, მთიან გურია-იმერეთ-სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმში ოდა-სახლი უფრო ხშირად ქვის ქვედა სართულზე იდგა. დაფერდებულ ადგილზე ქვედა სართულის უკანა მხარე მიწაში იყო შედგმული. ხის მეორე სართული კი ყველა მხრიდან „იკითხებოდა".

ამრიგად, ოდა-სახლის სტრუქტურა მრავალნაირი დაგეგმარების გარდა კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებების შესაბამისი ფორმების გამოყენების საშუალებას იძლევა.

ოდა სახლის დაგეგმარება ასევე ოთახების სათანადოდ განათებას უზრუნველყოფს. სარკმელები სახლის გეგმის შესაბამისად ნაწილდება. ისინი მთავარ, აივნიან მხარეს ყოველთვის არის განთავსებული. მზის სხივების თუ ქარის მასების მოძრაობის გათვალისწინებით ფანჯრები შეიძლება იყოს ორ-სამ ან ოთხივე მხარეს. შესასვლელი ოდაში ყოველთვის აივნიდან არის მოწყობილი, იქნება ეს მთავარ, უკანა ან გვერდითა მხარეს არსებული აივანი. მხოლოდ პალატიანი ოდის ქვით ნაგებ ქვედა სართულს გააჩნია უშუალოდ გარე კედელში გაჭრილი კარი, რომელიც უმეტესად ბუხრიან ოთახში იხსნება.

პალატიანი ოდის გარდა ბუხარი ხის ოდებშიც იყო გავრცელებული. ის ხშირად ოთახის კუთხეში იყო ამოყვანილი და ორ ან მეტ ოთახში იხსნებოდა. ეს შესაძლებლობას იძლეოდა ცეცხლი მხოლოდ ერთ ოთახში დაენთოთ და სითბოს გარკვეულწილად სხვა ოთახშიც შეეღწია. საჭიროების შემთხვევაში კი ბუხარს ყველგან ანთებდნენ. ტრადიციულ, ხიმინჯებიან ოდაში ბუხრის კედლის წყობა მიწის დონიდან იწყებოდა და ნაგებობის სტრუქტურაში ერთგვარ ვერტიკალურ ღერძს ქმნიდა. ეს განსაკუთრებით ნათლად ოთხოთახიან ოდებში იგრძნობა, სადაც ცენტრში ამოყვანილი ბუხარი ოთხივე ოთახში იხსნება. ბუხარი უმეტესად აგურით იყო ამოყვანილი. ინტერიერში აგურების ან ქვის წყობა ქმნიდა თავისებურ მხატვრულ სახეს. უფრო ხშირად კი ის კირით იყო შელესილ-შეთეთრებული. მის შესამკობად გამოიყენებოდა გეომეტრიული ან სხვა მოტივები. ამდენად, ბუხარს ფუნქციონალურის გარდა ინტერიერის შემამკობელი როლი ენიჭებოდა. ოთახებში მორთულობის სხვა საშუალებები ნაკლებად გამოიყენებოდა. ინტერიერის არქიტექტურულ-მხატვრულ სახეს ძირითადად კარგად გარანდული ფიცრებით შედგენილი კედლის ფაქტურა

და მოხდენილად დამუშავებული კარებები ქმნიდა. ზოგჯერ ჭერს ხეზე კვეთის მაღალოსტატურად შესრულებული დეტალები ამშვენებდა, რაც ინტერიერს განსაკუთრებულ მომხიბვლელობას სძენდა.

ამრიგად, ოდა სახლის ინტერიერში საკმაოდ კომფორტული გარემო იყო შექმნილი. ოთახები სათანადოდ ნათდებოდა. ისინი ზამთარში ბუხრით თბებოდა, ხოლო ზაფხულში სიგრილეს ინარჩუნებდა და სარკმელების საშუალებით ნიავდებოდა. შიდა სივრცის მხატვრულ სახეს კარგად დამუშავებული ხის მასალის სადა ფორმების გამომსახველობა და ცალკეული შემამკობელი აქცენტები ქმნიდა.

ოდა-სახლი საცხოვრებლის იმ ტიპს განეკუთვნება, რომელიც კარ-მიდამოს კონტექსტშია გააზრებული. ის ეზო-კარის მართალია მთავარ, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ საცხოვრებელი არეალის არქიტექტურულ-ფუნქციონალური კონცეფციის თუ ვიზუალური მხარის გადაწყვეტაში საქართველოს რეგიონებში ეზო არსად არ ასრულებს ისეთ მნიშვნელოვან როლს, როგორც დასავლეთ საქართველოს დაბალი ზონის დასახლებებში. უნდა ითქვას, რომ აქ ეზოს მოწყობისადმი ყურადღება დღესაც ნათლად იგრძნობა, განსაკუთრებით სამეგრელოში.

კარ-მიდამოს დასავლეთ საქართველოში ლაზურ-მეგრული ტერმინის „ოხორე“-ს სახელითაც მოიხსენიებდნენ. ის გარშემოწერილობის მიხედვით ორი სახისაა – მეტ-ნაკლებად რეგულარული ფორმის სწორკუთხედის მოყვანილობის, ძირითადად დაბლობ ადგილებში, და რელიეფის თავისებურების შესაბამისად არაწესიერი მოხაზულობის. ეს უკანასკნელი უმეტესად მთისწინა და მთიან ზოლში გვხვდება.



17. ღობის სახეობები

კარმიდამოს, როგორც წესი, შემოვლებული ჰქონდა ღობე. „ყოველი მოსახლე ცდილობს, რაც შეიძლება მშვენიერი ღობე გააკეთოს” აღნიშნავდა ჯერ კიდევ XVII საუკუნეში არქანჯელო ლამბერტი თავის ჩანაწერებში [არქანჯელო ლამბერტი, 1938:35].

18. წნული ღობე

ღობე რამდენიმე სახისა იყო. უმეტესად გამოიყენებოდა წკნელების სხვადასხვაგვარად წნული ღობე, ასევე წვრილი ძელებით შედგენილი ე.წ. მესერი. ფართოდ იყო გავრცელებული კენკროვან-ეკლიანი მცენარეების ღობეც, რომელსაც ძველთაგანვე „ცოცხალ ღობეს" უწოდებდნენ. ხვიარა მცენარეებს ხშირად აყოლებდნენ ნატეხი ქვის ღობეებს, რომლებიც უფრო მთისწინა ზოლში იყო გამოყენებული. ჩამონათვალი ცხადყოფს, რომ ღობეები მასალისა თუ აგების ხერხების რაციონალურობით და ფორმათა გამომსახველობით გამოირჩეოდა. შთამბეჭდავია, რომ მინიმალური დანახარჯებით მიიღწეოდა მაქსიმალური მხატვრული ეფექტი. ნიშანდობლივია, რომ ღობეთა ეს სახეობები დღესაც გვხვდება დასავლეთ საქართველოს სოფლებში. უნდა აღინიშნოს ერთი სახასიათო საკითხიც. მესერს, წნულ და ცოცხალ ღობეს აქვს სამოსახლოს საზღვრების მონიშვნის და შინაური ცხოველების შეღწევისაგან დაცვის ფუნქცია, ხოლო წმინდა თავდაცვითი კომპონენტი უგულებელყოფილია, რაც, უდაოდ, ისტორიულ-სოციალური კონტექსტის სპეციფიკით იყო განპირობებული.

გზის მხარეს კარ-მიდამოში შესასვლელი ჭიშკარი საგულდაგულოდ იყო დამუშავებული. ფართოდ გამოიყენებოდა მისი გადახურული ვარიანტი, თუმცა გვხვდება შესასვლელი სახურავის გარეშეც. საინტერესოა, რომ გადახურული ჭიშკარი XVII საუკუნეშიც იყო გავრცელებული, რასაც ადასტურებს ქრისტეფორე კასტელის ჩანახატი. ამგვარი ფორმა წვიმასა და მცხუნვარე მზიან ამინდში ერთგვარი თავშესაფარებელი ადგილის ფუნქციას ითავსებდა. ეზოში მთავარის გარდა იყო მეორე, უფრო მცირე შესასვლელი, რომელსაც სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა და საქონლის შესარეკადაც



19. ქრისტეფორე კასტელის ჩანახატი.

გამოიყენებოდა.

ეზო რამდენიმე ნაწილისაგან შედგებოდა. ჭიშკრიდან შემსვლელი ხვდებოდა წინა ეზოში ანუ შუკაში, რომლის მოწყობის ტრადიცია ილ.ადამიას მოსაზრებით ნელნელა გაქრა და ის სუფთა-დეკორაციულ ანუ საცხოვრებელ ეზოს შეერწყა [ილ.ადამია 1968:50]. მის გარდა იყო ძირითადად სახლის უკან მდებარე სამეურნეო ეზო და საბაღო-საბაღჩე ეზო. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ე.წ. საცხოვრებელი ეზო. მას ვრცელი ტერიტორია ეკავა და ძირითადად ფარავდა მწვანე ხალიჩასავით დაგებული კოინდარი. აქ უმეტესად ერთი ან რამდენიმე დიდი საჩრდილობელი ხე იდგა. ამგვარი ეზო დღესაც საკმაოდ გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში.

ძირითადი ნაგებობები საცხოვრებელი ეზოს ირგვლივ იყო განაწილებული. უმთავრესი იყო ოდა-სახლი, რომელიც ყველაზე თვალსაჩინო ადგილას იდგა. აღსანიშნავია, რომ ოჯახების გაყოფის დროს ახალი ოჯახის ოდასაც ამ ეზოში აგებდნენ. ოდას გარდა მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენდა სამზადი ანუ სამზარეულო, რომელიც ფუნქციურად მნიშვნელოვან ნაგებობას წარმოადგენდა. სამეურნეო ეზოს პირას იდგა, ბოსელი, რომელშიც საქონელი მხოლოდ სამეურნეო და არა საცხოვრებელი ეზოს მხრიდან ხვდებოდა, ფარდული და სხვა დამხმარე ნაგებობები. მათ შორის გამოირჩევა სასიმინდე, რომლის ფორმა ფუნქციონალური და მხატვრული თვალსაზრისით კარგად იყო გააზრებული. მისი ნიმუშები ზოგ სოფელში დღესაც გვხვდება. სასიმინდე მაღალ ხის ხიმინჯებზე ან მორებზე დგას და ორკალთა გადახურვა გააჩნია. კედლები წნულია ან ჭვირული ფიცრებითაა შეკრული. მეორე შემთხვევაში რამდენიმე რიგად გეომეტრიული მოტივები, იშვიათად კი ფრინველებია ამოჭრილი. ასეთი გადაწყვეტა სიმინდის მოსავლის მუდმივი აირაციის პირობებში უკეთ შენახვის საშუალებას იძლევა.

20. სასიმინდეები

აღსანიშნავია, რომ ოჯახის წევრები დროის უმეტეს ნაწილს სწორედ

ეზოში ატარებდნენ და მოძრაობდნენ ამ ნაგებობებს შორის. ამდენად, ეზო მოსახლის უმთავრეს საცხოვრებელ არეალს წარმოადგენდა.

მთავარი ნაგებობა ოდა-სახლი ეზოში აივნით იხსნებოდა. ამდენად აივანი წარმოადგენდა არა მხოლოდ საზოგადოდ სახლის გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ არქიტექტურულად გამომსახველ ნაწილს, არამედ ეზოსთან და აქ განლაგებულ ნაგებობებთან ფუნქციონალურად აუცილებელი კავშირის უზრუნველყოფის საშუალებას. ეზოსა და აივნის ეს ურთიერთკავშირი მის არქიტექტურულ-მხატვრულ გააზრებაშიც აისახა.

აივნის სიგანე ძირითადად დაახლოებით ორი-სამი მეტრია. მას, ისევე როგორც ოდის ოთახებს, ხის ფიცრებიანი იატაკი აქვს. მისი გადახურვა ეყრდნობა სვეტებს, რომელთა რაოდენობა სამ-ექვსი ან მეტია, იმის მიხედვით, თუ რა ზომის და კონფიგურაციისაა აივანი. სვეტები მრგვალი ან კუთხოვანია, უმეტესად ოთხ ან რვაწახნაგა. სვეტებს შორის ქვედა დონეზე მოაჯირი, ხოლო ზედა მხარეს სვეტთაშორის თაღები და ლავგარდანია. შესაბამისად, მოსართავი არეები სამ დონეზე ნაწილდება: ქვედა – მოაჯირი, მეორე დონე –სვეტებსშორისი თაღები და ზედა – ლავგარდანი. თითოეული განსხვავებულია როგორც არქიტექტურულ სტრუქტურაში თავისი ფუნქციით, ასევე მორთულობის ხასიათით, თუმცა მათი ერთობლიობა ლოგიკურად გააზრებულ მხატვრულად დახვეწილ სახეს ქმნის.

21. ოდას აივანი

აივნის მოაჯირს ნათლად გამოხატული ფუნქცია გააჩნია და დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლეზე შემოსაზღვრავს სივრცეს. სვეტებს შორის თაღებს მათი დამაკავშირებელი, ხოლო ლავგარდანს დამასრულებელი როლი აქვს. პირველი ორის შემადგენელი ხის ფიცრები ჭვირულადაა დამუშავებული, რაც განსაკუთრებულ მხატვრულ ეფექტს ქმნის. ლავგარდანის პროფილირებული არე მათგან განსხვავებულია. ის ერთგვარად კრავს და ასრულებს ზეაღმავალ ფორმებს. ორნამენტულ მორთულობაში გამოყენებულია ძირითადად მცენარეული, ზოომორფული,

ასტრალური და გეომეტრიული დეკორი. როგორც ს. ლეჟავა აღნიშნავს, შეუმცდარად არის გააზრებული ჩუქურთმის განთავსების წესი [ს.ლეჟავა,2004:42-43]. მოაჯირის მორთულობა ყოველთვის ორ ჰორიზონტალურ ხაზს შორისაა მოქცეული და უმეტესად შედარებით სადა, კომპაქტური, განმეორებადი ელემენტებითაა შედგენილი. გაცილებით მრავალფეროვანი და მდიდარია სვეტთაშორის თაღების შემკულობა. ეს ეხება როგორც გამოყენებული მოტივების რეპერტუარს, ასევე თავად სვეტთაშორის თაღების მოხაზულობას. ის შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარად მორკალური, სწორხაზოვანი, აქცენტირებული ცენტრით და სხვ. რაც შეეხება ლავგარდანს, ის ყველაზე მარტივი, შედარებით ერთგვაროვანი მოტივების უწყვეტი რიგითაა მორთული და გამაერთიანებელ-დამაგვირგვინებელ როლი ენიჭება.

მეტად საინტერესო და შთამბეჭდავია დეკორის შექმნის ტექნიკა. ფიგურის კონტურის ჭვირულობა, დეკორის მოტივთა გამჭოლი ხასიათი, სივრცისა და სიბრტყის, ნათელისა და მუქის, ფონისა და ფიგურის კონტრასტული ურთიერთმიმართება. მაღალმხატვრული ეფექტი ოდა-სახლში, არქიტექტურულ-მხატვრული სხვა საკითხების გადაჭრის მსგავსად, რაციონალური მიდგომით და შესრულების მაღალი ოსტატობით მიიღწევა.

დეკორის წმინდა მხატვრული ღირებულების გარდა მნიშვნელოვანია მისი ინფორმატიული პოტენციალი. როგორც ს. ლეჟავა მიუთითებს, XIX საუკუნეში ოდა-სახლში დამკვიდრებული შემკულობის ელემენტების თავდაპირველი სემანტიკა მართალია უკვე მივიწყებული იყო, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხლობდა ძველთაძველი რწმენა-წარმოდგენების გამოძახილი. ასტრალური ნიშნები ძირითადად კარმიდამოს ჭიშკრის, აივნის ზედა არეზე გამოისახებოდა. ის იყო „შინასა" და გარეს, სახლსა და კარმოდამოს, მოწესრიგებულ კოსმოსსა და „საშიში" ძალებით აღსავსე უცხო სივრცეს შორის ზღვარის აღმნიშვნელი [ს.ლეჟავა:2007: 8-10]. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო ნათლად წარმოჩნდება აივნის მორთვის საკრალური მნიშვნელობაც. ერთგვარი ზღვარის, ჩარჩოს შექმნა საცხოვრისის დაფარვისა და დაცვის მიზნით. მაშინ როდესაც ოდა-სახლის, მისი კარ-მიდამოს მოწყობაში, უგულებელყოფილი იყო თავდაცვითი ფუნქციის ელემენტარული ნორმები, დაცვის ამგვარ საკრალურ გაგებას, უდაოდ,

არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

აივნის მოსართავ ორნამენტულ დეკორში ფართოდ გამოიყენება ხალხურ ხელოვნებაში ოდითგან გავრცელებული ისეთი სახეები როგორიცაა, მზე – ვარდული – ბორჯღალი, ასევე მზესთან ასოცირებული გამოსახულებები – ირემი, ვერძი, ხარი, ჩიტი. ასტრალური ნიშნებიდან ხშირად გამოისახება ასევე ვარსკვლავი, მთვარე. გვხვდება ხე ცხოვრებისას სიმბოლიკა და ვაზის მოტივები, რაც სრულიად ლოგიკურია ქართულ სინამდვილეში. გამოისახება რქა, რომელიც ნაყოფიერებასთან არის დაკავშირებული. გვხვდება ასევე სხვა გამოსახულებები, რომელთაგან ყველა ნიშნის ინტერპრეტაცია შესაძლოა სრულად და ზედმიწევნით ვერ მოხერხდეს, მაგრამ ის, რომ ისინი გარკვეული საკრალური მნიშვნელობის მატარებელია, ეჭვს არ იწვევს.

არსებითია, რომ ეს მოტივები და მათი ერთობლიობა, გარემომცველ ბუნებასთან დამაკავშირებელ საშუალებას წარმოადგენდა. ს. ლეჟავას მოსაზრებით ოდას აივნის გააზრებაში შეიძლება ამოვიცნოთ სამყაროს ერთგვარი მოდელი. კერძოდ, მოაჯირთა გასამშვენებელ უფრო ხისტ, განმეორებად ფორმებში შეიძლება ვივარაუდოდ „მიწის“ სიმბოლიკა, ხოლო თავის მხრივ, ხშირად ნახევარწრიულ, თუ უფრო რთული კონფიგურაციის მქონე „მრგვლოვან” თაღებში – საკუთრივ ცის, თავისი ხანდახან ამომავალი, ზენიტში მყოფი ან ჩამავალი მზით, მთვარით, ვარსკვლავებით. თუ გავიზიარებთ ს.ლეჟავას ამ ვარაუდს, მაშინ ოდა-სახლი, როგორც, ღრმად დაფარული იერარქიულობის მატარებელი სიმბოლური ფენომენი, თავისი სემანტიკური დატვირთვით, ქართული დარბაზის მსგავსად, ერთგვარ მიკრო სამყაროდ შეიძლება მოვიაზროთ.

ნიშანდობლივია, რომ ღრმა ტრადიციულ ფესვებთან მჭიდრო კავშირის მიუხედავად, ოდა-სახლის XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის რიგ ნიმუშებში ნათლად ჩანს ამ პერიოდში გავრცელებული სტილების, მათ შორის მოდერნის სტილის, გავლენის შედეგები. ამგვარი მიდგომა სვეტების, სარკმელების თუ სხვა ფორმების გადაწყვეტასა თუ ცალკეული დეკორატიულ მოტივებში ვლინდება. ყოველივე ეს ნათლად მეტყველებს ოდა-სახლის სტრუქტურის და არქიტექტურული სახის დროის შესაბამისი მოდიფიკაციის ფართო შესაძლებლობებზე.

აივნის შემკულობა და ორნამენტული მოტივები ოდა სახლის

არქიტექტურული სხეულის მხატვრულად გამომსახველ სახეს აყალიბებს და მისი აღქმისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მეორეს მხრივ, აივნიდან ჭვირული დეკორის მთელი სისტემა ლანდშაფტის და, ფართო გაგებით, გარე სამყაროს მოჩარჩოებად აღიქმება. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ოდა-სახლიდან დანახული „ქვეყანა" განსაკუთრებულ სურათ-ხატად წარმოჩნდება.

გარე სამყაროსადმი ამგვარი გახსნილობა ოდა-სახლის ყველაზე არსებითი მახასიათებელია. ის, როგორც არქიტექტურული ქმნილება არამარტო მიესადაგება გარემო პირობებს, არა მხოლოდ ერწყმის ლანდშაფტს, არამედ იხსნება გარემოში აივნის მეშვეობით. სწორედ აივანია ბუნებასთან დამაკავშირებელი რგოლი, ოდა-სახლის ერთგვარი სამშვენისი და ამავდროულად ოდა-სახლიდან სამყაროს აღქმის არეალი. აღსანიშნავია, რომ ძველი საქართველოს სოფლის საცხოვრებლში დამუშავებულმა აივნის თემამ XIX საუკუნის ურბანულ განაშენიანებაში შესაბამისი ცვლილებები განიცადა და ქალაქური აივნიანი სახლის უაღრესად საინტერესო არქიტექტურულ სახედ ტრანსფორმირდა..



22. რაჭული ოდის აივანი

ამრიგად, ოდა-სახლი არქიტექტურული სტრუქტურის გამართულობით და ვარიანტების შემუშავების შესაძლებლობების სიმრავლით ხასიათდება. საცხოვრებლის ეს ტიპი ზედმიწევნით პასუხობს რთული კლიმატური პირობების გამოწვევებს და ლანდშაფტთან ორგანული კავშირით გამოირჩევა. ის ფუნქციონალური თუ იდეურ-მხატვრული საკითხების ძალზე რაციონალური და ეფექტური გადაწყვეტის შესანიშნავი ნიმუშია, რომლის კონცეფცია ღრმა სიმბოლურ გააზრებაზეა დაფუძნებული. ოდა-სახლის თითოეული შემორჩენილი ნიმუში განსაკუთრებულ გაფრთხილებას, აღნუსხვას და შესწავლას საჭიროებს. ამავდროულად, ოდა-სახლის გამორჩეული მახასიათებლები, როგორიცაა მისი კონსტრუქციების მობილობა, დაშლა-აწყობის შესაძლებლობა, ასევე ცალკეული

არქიტექტურული ფორმების განსხვავებული მხატვრული სტილების შესაბამისად მოდიფიკაცია, ძველი საქართველოს საცხოვრებლის ამ ტიპს თანამედროვე მოთხოვნებთან ადაპტაციის და შემდგომი განვითარების ფართო პერსპექტივას უსახავს.

.....

ილ. ადამია, ქართული ხალხური სუროთმოძღვრება, II, თბილისი, 1968;

ვ.ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოღძვრება, ტ.I. თბილისი, 1983;

გ. გამყრელიძე, კოლხეთი-კულტურულ-ისტორიული ნარკვევები, თბილისი, 2002;

ს. ლეჟავა, ქართული ხალხური ხით ხუროობის აღნაგობის კანონზომიერებანი

და ორნამენტული სისტენები (XIXს-XXb დასწ.), ავტორეფერატი, თბილისი, 2004;

ს. ლეჟავა, კოლხური ოდა-სახლები რაჭაში, თბილისი, 2007;

ირ. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბილისი, 1986;

ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის

ისტორიისათვის, თბილისი, 1946.

მთიანი რეგიონების საცხოვრებლები

საქართველოს ჩრდილოეთით კავკასიონის მაღალმთიანი ქედი ესაზღვრება, რომლის სამხრეთ კალთებზე მრავალრიცხოვანი მდინარეების ხეობებში უძველესი დროიდან სახლობდა მოსახლეობა. მათი საცხოვრისების თავისებურებას მთაში არსებული სპეციფიური პირობები განაპირობებდა. საუკუნეების განმავლობაში რიგი ფაქტორების ზეგავლენით ჩამოყალიბდა სახლების საკმაოდ მრავალფეროვანი სახესხვაობები, რომლებიც საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს.

კავკასიის მთიანეთი კლიმატურ-გეოგრაფიული მონაცემების მიხედვით დიფერენცირებულია. დასავლეთ საქართველოს მთიანეთზე გავლენა აქვს შავი ზღვის სიახლოვეს, რაც მოქმედებს ნალექის სიუხვეზე, თოვლის სტრუქტურაზე. ამას გარდა, აქაური ადგილები უფრო ტყიანია, განსაკუთრებით რაჭა. საპირისპიროდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონის ჰავა კონტინენტალურს უახლოვდება. ამასთან უფრო ვრცელ ტერიტორიებს მოიცავს უტყეო ზონები. ეს გარემოება გარკვეულწილად აპირობებს საცხოვრისის არქიტექტურულ სახეს. მაგალითად, რაჭაში, რომელიც ტყეების სიუხვით გამოიჩევა, პალატიანი ოდა სახლები იყო გავრცელებული და ოჯახი ცივ ზამთარს ქვით ნაგებ ბუხრიან პირველ სართულზე ატარებდა. სვანეთშიც, მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრისს ქვით აგებდნენ, ხე ინტერიერში აქტიურად იყო გამოყენებული. სვანეთში ქვის წყობას კირის ხსნარით მტკიცედ ადუღაბებდნენ და კედლებს გულდასმით ლესავდნენ. აღმოსავლეთ საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც ხის ნაკლებობაა, ძირითადი საშენი მასალა ქვაა და ხეს მომჭირნედ მოიხმარდნენ. ხევსა და პირაქეთ ხევსურეთში კედლებს მშრალად აწყობდნენ. ხევსურული კალოიანი სახლების აგებისას მშრალ წყობაში ნაკელსაც იყენებდნენ. პირიქითა ხევსურეთში და თუშეთში ძირითადი საშენი მასალა იყო ფიქალი, რომელსაც სიპ-ქვას უწოდებდნენ.

ხანგრძლივი ზამთარის, უხვთოვლიანობის და დაბალი ტემპერატურის გამო მთიანი რეგიონის საცხოვრებელში სითბოს მაქსიმალურად შენარჩუნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ამ ამოცანის გადაწყვეტას არქიტექტურული სტრუქტურის კომპაქტურობა, ღიადების

რაოდენობისა და ზომის სიმცირე ემსახურებოდა. ამას გარდა ზრუნავდნენ შიდა სივრცის იმგვარად განაწილებაზე, რომ ადამიანებსა თუ საქონელს სითბოს წყაროსთან ყოფნის საშუალება ჰქონოდა. ოდა-სახლის კარმიდამოსგან განსხვავებით, სადაც ეზო მოქმედების მთავარ არეალს წარმოადგენდა, მთის საცხოვრებელში მოსახლეობა სხვადასხვა სახის საქმიანობას უმეტესად საცხოვრებლის ფარგლებში ეწეოდა და სახლის სტრუქტურაც შესაბამისად იყო გააზრებული.

მთაში რელიეფის თავისებურება გავლენას ახდენდა სამოსახლოს იერსახეზე. გაშლილი, ვაკე ადგილების სიმცირის გამო სახლებს უმეტესად ფერდობებზე აგებდნენ. ამასთან, მაქსიმალურად ცდილობდნენ მორიდებოდნენ მეწყერსაშიშ და ზვავსაშიშ ადგილებს. არც უშუალოდ მდინარის პირას აშენებდნენ სახლს, რადგან მთის მდინარეები თოვლის დნობისას გაზაფხულზე სწრაფად დიდდება და წალეკვის საფრთხეს ქმნის. თუ დავაკვირდებით მთის ისტორიული სოფლებისა და ნასოფლარების ადგილმდებარეობას, კარგად ჩანს, რომ მოსახლეობას სამოსახლო ადგილის შერჩევის თვალსაზრისით დიდი გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი.

კლიმატურ-გეოგრაფიული ფაქტორი გავლენას ახდენდა მოსახლეობის საქმიანობაზე, მცენარეული კულტურების თუ მესაქონლეობის სახეობების გავრცელებაზე, რაც თავის მხრივ საცხოვრისის ფორმაში ჰპოვებდა ასახვას. რაჭა ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულია, რადგან მთის სხვა კუთხეებისგან განსხვავებით ქვემო რაჭაში მევენახეობა არის გავრცელებული. აქ მოდის ვენახის უნიკალური ჯიშები, მათ შორის გამორჩეულია ხვანჭკარის თემის ვენახი. აქ სახლიც ბარში გავრცელებული ტიპისაა – აივნიანი ოდაა. სხვა კუთხეებში ძირითად საქმიანობას მესაქონლეობა წარმოადგენდა. აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ ადგილებში მარცვლეული კულტურების მოყვანას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. უთუოდ ამ ფაქტორმა იქონია გავლენა კალოიანი სახლის ფენომენის შექმნაზე. მესაქონლეობის მხრივ ასევე განსხვავებული სურათია. დასავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში ძირითადად მსხვილფეხა ცხოველი ჰყავდათ და სახლები, უპირატესად, მათ მოვლა-პატრონობის რეჟიმსაა მორგებული. აღმოსავლეთ საქართველოში მსხვილფეხა ცხოველების გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობა მეცხვარეობას ენიჭებოდა, რაც მათი ყოფასა და სახლ-კარზეც შესაბამისად აისახებოდა.

გეოგრაფიულ-კლიმატური და ყოფა-საქმიანობის გარდა საცხოვრისის იერისა და ადგილის შერჩევისას გათვალისწინებული იყო ასევე თავდაცვისათვის საუკეთესო პირობების შექმნის აუცილებლობა. ეს მომენტი ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგან მოსახლეობა მუდმივად მომხდური უცხოტომელის თუ სხვა გვარის მოსისხლე მტერთან დაპირისპირებისათვის მზადყოფნის რეჟიმში ცხოვრობდა. ამ ფაქტორმა დიდი გავლენა იქონია თავდაცვითი არქიტექტურული საშუალებების, მათ შორის კოშკის, ფართოდ გავრცელებაზე. დღესაც მთის კუთხეების, სვანეთის, ხევსურეთისა თუ თუშეთის სოფლების სახასიათო სურათს კოშკები ქმნის.

ამრიგად, სამოსახლო მიწის ლანდშაფტური სპეციფიკით განსაზღვრული ლიმიტირებული ფარგლები და თავდაცვითი ფუნქციის განსაკუთრებული მნიშვნელობა მთიან რეგიონებში გარკვეული ტიპის სახლების მშენებლობას განაპირობებდა. გაშლილ კარმიდამოში მდგარი კოლხური ოდისგან განსხვავებით მთიანი რეგიონის სახლი „იკრეფდა" დამხმარე ნაგებობებს, საქონლის სადგომს და მაქსიმალურად მცირე ფართობზე, ერთიან სტრუქტურაში აერთიანებდა. ეს საცხოვრებელი ფართობის ეკონომიის და გრძელი ზამთრის პირობებში გათბობისათვის საჭირო რესურსის რაციონალურად გამოყენების საშუალებას იძლეოდა. ამგვარი წესი საქართველოს მთიანეთის ყველა კუთხის ტრადიციულ საცხოვრებელში იყო დაცული.

სვანეთი დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანი კუთხეა, რომელიც იყოფა ზემო და ქვემო სვანეთად. ზემო სვანეთში განირჩევა ბალსზემო და ბასლქვემო ნაწილი. ისტორიულად ბალსზემო სვანეთი გვიან შუა საუკუნეებშიც ინარჩუნებდა უბატონო სტატუსს, ხოლო დანარჩენი მხარეები სადადიანო და სადადეშქელიანო სვანეთად მოიაზრებოდა. ბალსზემო სვანეთის დასახლების ფორმას შეადგენდა ხევი, რომელიც რამდენიმე სოფლისაგან შედგებოდა. ხევი აერთიანებდა გეოგრაფიულად

23. სვანური კოშკები

მეტ-ნაკლებად ერთიან მოსახლეობის საარსებო ტერიტორიას, რომელსაც გააჩნდა თავდაცვისათვის მოსახერხებელი მდებარეობა და აქ მაცხოვრებელთა ცხოვრებისა და საქმიანობისათვის შესაბამისი მინიმალური პირობები. მოსახლეობა სოფლებში ძირითადად მჭიდროდ იყო დასახლებული. სამოსახლოები განლაგებული იყო დაფერდებულად (მაგ.: მულახი) ან ტერასულად (მაგ.:უშგული). სახნავი მიწა დასახლების ხაზის გარეთ იყო მოქცეული. მას მოსდევდა სათიბი და საძოვარი. მოსახლეობა აქტიურად იყენებდა ასევე ტყესა და საზაფხულო საძოვარს.

თავად სამოსახლო მცირე ფართობზე ერთიან სქემაში იყო მოქცეული. აქ, ისევე როგორც მთის სხვა კუთხეებში, აქტიურად ფიგურირებდა თავდაცვითი კომპონენტი. ნაგებობებს ქვით აშენებდნენ, თუმცა ხეში შესრულებული ნაწილები ინტერიერში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

გამოიყოფა ძველი საცხოვრისის ორი ძირითადი სახეობა – ციხე-სახლი და მურყვამიანი სახლი. ციხე-სახლის ნიმუშები სვანეთის ფარგლებში უშგულშია დარჩენილი, მის ფარგლებს გარეთ გვხვდება ზემო რაჭის სოფელ ღებში, ასევე ხევში, ხევსურეთსა და თუშეთში.

ციხე-სახლი აერთიანებს საცხოვრებელ, სამეურნეო და თავდაცვით ფუნქციებს ერთ ნაგებობაში. არქიტექტორების გ. ლეჟავასა და მ.ჯანდიერის აღწერის მიხედვით - „ჩვეულებივ, ეს სამსართულიანი საცხოვრებელი სახლია, რომელსაც უჭირავს 80-100 კვ.მ. ფართობი. პირველ სართულში მოთავსებულია მაჩვიბი-საზამთრი სადგომი...., შუაში კერითა და იმავე ოთახში საქონლისათვის შემოზღუდული ადგილით. მეორე სართულში, მაჩვიბის თავზე, მდებარეობს დარბაზი-საზაფხულო საცხოვრებელი, სადაც ზამთარში თივის მარაგს ინახავენ. ციხე-სახლის მაჩვიბსა და დარბაზში სადგომების სამაღლე 3-დან 4,5 მეტრამდეა, შუქი აღწევს ვიწრო სათოფურებიდან და ამიტომ აქ მუდამ ბნელა. დარბაზის თავზე მოთავსებულია გადახურული მესამე სართული, ძლიერ გადმოშვერილი სათოფურებით – ეს, არსებითად, ისეთივე დამაგვირგვინებელი ნაწილია, როგორიც სვანეთის კოშკებს აქვს; ამ სართულს საგანგებო სათავდაცვო ფუნქცია ჰქონდა. ციხე-სახლის კედლების სისქე პირველ სართულში 1.2-1.3 მეტრს აღწევს, ზემო სართულებში 80-90 სმ-მდე მცირდება. სართულშუა გადახურვა ჩვეულებრივია სვანეთისათვის – ქვისა, ორფერდა, ხის

ქარგლებზე... ან ხისა –მრგვალი მორებისაგან. სართულებს შუა კავშირის დასამყარებლად, ჩვეულებრივ სვანურ მისადგმელ ძელ-კიბესთან ერთად, უშგულის სახლებში ზოგჯერ ქვის კიბესაც აშენებდნენ, ძალიან ციცაბო საფეხურებით" [გ.ლეჟავა, მ.ჯანდიერი 1938:12].

ამრიგად, ციხე-სახლის სტრუქტურაში ურთიერთშერწმულია საცხოვრებელი და თავდაცვითი ელემენტები. ექსტერიერში ის აშკარად მოგვაგონებს სვანურ კოშკს, მაგრამ განსხვავებული პროპორციები აქვს. თავისი საცხოვრებელი ფუნქციიდან გამომდინარე ის უფრო განიერია და კოშკთან შედარებით ბევრად დაბალიც.

მურყვამიანი ანუ კოშკიანი სახლი სვანეთში საცხოვრებლის ყველაზე გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს. ის დგას ქვის გალავნით შემორტყმულ ეზოში, რომელიც უმეტესად არც თუ დიდი ზომისაა. სახლი როგორც წესი ორსართულიანია, იშვიაათად გვხვდება ერთსართულიანი ნიმუშები. ორსართულიანი ვარიანტის უპირატესობა, უდაოდ, ეზოს ფართობის ეკონომიურად გამოყენების სურვილით არის განპირობებული. სახლის გვერდით დგას კოშკი ანუ მურყვამი. ეზოში განლაგებულია ასევე დამხმარე სათავსო-ფარდულები, კალო და სხვ.



24. სვანური მურყვამიანი სახლი

საცხოვრებელ სახლში პირველ სართულზეა მაჩვიბი, მეორეზე დარბაზია. მაჩვიბს წინ უძღვის წაგრძელებული დერეფანი-წინკარი (ჰაგამ). მისი უპირველესი დანიშნულება მაჩვიბში სითბოს შენარჩუნებაა. ამავდროულად მას თავდაცვითი და სამეურნეო ფუნქციაც აქვს. ის უმეტესად ქვითკირისაა, მაგრამ ზოგჯერ მორებისაგანაც აშენებენ. დერეფნიდან მაჩვიბში შემსვლელი ჯერ ხვდება მცირე ტალანში (ბაგ), ხის მორებით ან სქელი ფიცრებით გამოყოფილ ოთახში. აქ არის დარბაზში ასავლელი მცირე კიბე, რომელიც ჭერში გასაძრომ (ჰულდუმ) ღიობს უკავშირდება.



25. მაჩვიბი

მაჩვიბი საკმაოდ დიდი ზომის სწორკუთხა ოთახია. მას მიწის იატაკი აქვს. ცენტრში კერაა მოწყობილი. ხშირად აქვს მეორე ზედა ღიობი (ჰულდუმ) კვამლის გასასვლელად. მაჩვიბი ადამიანების სამყოფელის გარდა საქონლის სადგომიცაა. მათთვის ადგილი ძირითადად სამი კედლის გასწვრივაა გამოყოფილი, ერთი ხარების, მეორე ძროხების, მესამე-ცხვრების. სადგომის გამყოფ ფიცრებში საქონლისათვის თავის გამოსაყოფი და თივის ჩასაყრელია მოწყობილი. აღსანიშნავია, რომ ეს ხის ფიცრები ორნამენტებითაა შემკული. გვხვდება ისეთი ვარიანტებიც, სადაც სადგომები ორ დონეზეა, ქვემოთ მსხვილფეხა საქონლისთვის და ზემოთ წვრილფეხასთვის, სხვადასხვა ზომის ღიობებით.

მაჩვიბს ფუნქციური თუ არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სახე გააჩნია. მისი გარე კედლები ქვისაა, თუმცა ინტერიერში ხე ბატონობს. ჭერი, კედლების ზედაპირი და საქონლის სადგომის ტიხრები ხისაა. ამ მასალის ფაქტურა და მისი სხვადასხვა მოტივებით მორთვის შესაძლებლობა შიდა სივრცის სახასიათო იერის შექმნას ემსახურება. ხის ავეჯის ფაქტორიც აძლიერებს შექმნილ განწყობას. მასიური, მკვიდრად შეკრული ზურგიანი და გრძელი სკამები, მაგიდა, მაყვშის (ოჯახის უფროსის) სავარძელი თავისებურ გარემოს ქმნის. აქ ყოველ ნივთს კონკრეტული პრაქტიკული დანიშნულება და თავისი ადგილი აქვს მიჩენილი. ავეჯის განლაგების წესები მჭიდროდაა დაკავშირებული წეს-ჩვეულებებთან.

26. მაჩვიბი

დარბაზი მაჩვიბის ან საქონლის საზაფხულო სადგომის თავზეა. მისი ფართობი მაჩვიბზე მცირეა, თუმცა საერთო პროპორციებით მსგავსია. აქაც კერიაა გამართული. მას ხშირად ცალ მხარეს ღია ტერასა გააჩნია.

სახლის გვერდით დგას კოშკი

(მურყვამ). ის სვანური სამოსახლოს არქიტექტურული თვალსაზრისით ყველაზე გამორჩეული და თავისი სიმაღლის წყალობით აქცენტირებული ნაწილია. ამასთან, ის ფუნქციურადაც ძალზე მნიშვნელოვანია. მასში თავდასხმის შემთხვევაში ოჯახი აფარებდა თავს. კოშკში შესასვლელი საგანგებოდ მიწის დონიდან 5-6 მეტრის სიმაღლეზე კეთდებოდა. ასვლის შემდეგ მისადგმელი კიბე პატრონს კოშკში შეჰქონდა. ეს მომხდურებს შეღწევის პრობლემას უქმნიდა და თავდაცვითი ღონისძიებების უკეთ გადაგეგმვა-გატარების საშუალებას იძლეოდა.

სვანური კოშკი კვადრატს მიახლოვებული გეგმისაა (უმეტესად 5,5მX6,5მ), ოთხ, ხუთ, იშვიათად ექვსსართულიანია და 25-30 მეტრს აღწევს სიმაღლეში. უმეტესად (გამონაკლისია უშგული) კოშკის ქვედა ნაწილი მიწითაა ამოვსებული. მიწაში ქვევრებია წყლის მარაგისთვის. თავად კოშკი ზევით ვიწროვდება. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ჭერში მოწყობილი ხვრელებითა და მისადგმელი ძელ-კიბეებით. არქიტექტურულად ყველაზე საინტერესო კოშკის ზედა დამაგვირგვინებელი სართულია, რომელსაც სათავდაცვო ფუნქცია გააჩნია. მას დაბალქანობიანი ორფერდა სახურავი აქვს. კედლების ზემო ნაწილი 50-60 სმ-ით არის გამოწეული და თაღოვანი ფორმებითაა დანაწევრებული. გაკეთებულია სათოფურები. ამ გადმოწეული ნაწილის წყალობით არა მხოლოდ თოფის სროლის, არამედ ლოდების გადმოყრის და ცხელი ფისის გადმოღვრის საშუალება იქმნებოდა. ამდენად, კოშკის ზედა ნაწილი თავდაცვითი ფუნქციების განსახორციელებლად ძალზე კარგად იყო გააზრებული. ამავდროულად, თაღოვანი მაშიკულების ერთგვარი გვირგვინი არქიტექტურულ-მხატვრული თვალსაზრისით მკაფიო, გამოსახველ სახეს და სვანური კოშკის ექსტერიერის მთავარ მახასიათებელ ფორმას ქმნიდა.

27. სვანური კოშკები

სვანეთში ძველი სახლების და კოშკების დიდი ნაწილი XVI-XVII

საუკუნეებს განეკუთვნება, თუმცა არის ბევრად ადრეული ნიმუშებიც. შემორჩენილი ნაგებობები გარკვეული ნიუანსებით განსხვავებულია, რასაც ადგილმდებარეობის თავისებურება, ამგები ოჯახის შესაძლებლობები თუ სხვა ფაქტორები აპირობებდა, მაგრამ ძირითადი პრინციპები ყველგან მსგავსია. ბალსქვემო სვანეთში მურყვამიანი სახლის გარდა გვხვდება, სვანირიანი სახლი ანუ სახლი დაბალი, ორ-სამ სართულიანი კოშკით, ასევე უკოშკო ანუ სანცხვირიანი სახლი. ქვემო სვანეთში ბევრად მეტად აღინიშნება ბარის გავლენა, თუმცა სვანური საცხოვრისის სახასიათო ფორმები შენარჩუნებულია.

სვანურ საცხოვრებელთან გარკვეული მსგავსება ჩანს რაჭაში შემორჩენილ ნიმუშებშიც. ყველაზე მეტი გავლენა ზემო რაჭის სოფლების, ღების და ჭიორას, ციხე-სახლებში აღინიშნება. ამგვარ სახლს აქ დუროიან სახლს უწოდებდნენ. ქვემო რაჭაში ფართოდაა გავრცელებული პალატიანი ოდა-სახლები, რაც დასავლეთ საქართველოს ბართან მჭიდრო კავშირების არსებობის შედეგია.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიული კუთხეები – მთიულეთი, ხევი, თუშეთი, ფშავი და ხევსურეთი – ძველი საცხოვრისების თვალსაზრისით საკმაოდ მრავალფეროვან სურათს ქმნის. საცხოვრისებს შორის ბევრი საერთო ნიშანი იკვეთება, მაგრამ აშკარაა თავისებურებანიც. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყველაზე გავრცელებული ტიპია ციხე-სახლი, რომელიც ახლოს დგას დასავლეთ საქართველოს ნიმუშებთან. აღსანიშნავია, რომ მთიულეთში, ხევსურეთში და ხევში გავრცელებული იყო ტერასისებრი სახლების სხვადასხვა ვარიანტი. ფერდზე განლაგებული სახლებში ქვედა ნაგებობის ბანური გადახურვა ზედ სახლის ეზოს წარმოადგენდა. ხშირად ბანი კალოდ იყო გამოყენებული. დასავლეთ საქართველოს მთიანეთისგან განსხვავებით, გარდა ამგვარი განლაგებისა, სახასიათოა სოფლებში სახლების მჭიდროდ, შეჯგუფულად განლაგება, ისე რომ იქმნება ერთიანი არქიტექტურული ანსამბლი. პირიქითა ხევსურეთში, შატილ-არდოტში ამგვარ ერთ ბლოკად შეკრული სოფლები მართლაც ძალიან საინტერესო ხუროთმოძღვრულ სახეს ქმნის.

ხევსურეთში გ.ჩიტაიას მიხედვით სახლის ოთხი ტიპი გვხვდება – კოშკური, კალოიანი, საბრძლური და ბარული. ძირითადია პირველი ორი ტიპი [გ.ჩიტაია, 1947:147]. საბრძლური სოფლის განაპირას მდგარ

დამხმარე ნაგებობას წარმოადგენს, რომელშიც ზამთრის მიწურულს საქონლთან ერთად გადადიოდნენ. რაც შეეხება ბარულს, ესაა შედარებით გვიან ფორმირებული ერთსართულიანი სახლის ტიპი, რომელიც არხოტში გვხვდება.



28. ხევსურული ციხე-სახლი

კოშკური სახლი ანუ ციხე-სახლი პირიქითა ხევსურეთში იყო გავრცელებული. მას ქვითკირის სახელით მოიხსენიებდნენ. მისი ქვედა ნაწილი საგრძნობლად განიერია და ზევით ვიწროვდება. ასეთი სილუეტი არამხოლოდ ვიზუალურად ქმნის მეტი სიმტკიცის შთაბეჭდილებას, არამედ რეალურად ხელს უწყობს კედლის მდგრადობას. სართულები ერთმანეთს მისადგმელი კიბით და ჭერში დატოვებული ასაძრომით უკავშირდება. კოშკურა სახლი უმეტესად ოთხსართულიანია. ამასთან თითოეულ სართულს კონკრეტული ფუნქცია გააჩნია. პირველ სართულზე ბოსელია, მეორეზე –შუათვალი ანუ საცხვარე, მესამე საცხოვრებელია, სადაც მოწყობილია კერია (ყვერფლი), მეოთხე – თავდაცვითი ფუნქციის მქონე სართულია. როგორც ვხედავთ, საქონლის და ადამიანის საცხოვრებელი ერთად არის მოაზრებული, რაც დამახასიათებელია მთის საცხოვრებლებისთვის. თუმცა სვანური მაჩვიბისგან ან ხევსურული კალოიანი სახლისაგან განსხვავებით აქ მათი სამყოფელის გამიჯვდა არა ერთ დონეზე ხდება ტიხრების მეშვეობით, არამედ ვერტიკალურად, სხვადასხვა სართულზე განლაგებით. ლოგიკურია, რომ პირველ სართულზე მსხვილფეხა პირუტყის სადგომი იყო, ხოლო გამოსაზამთრებლად დატოვებული ცხვარი მეორე სართულზე აჰყავდათ. ოჯახების მთავარ ქონებას ცხვარი წარმოადგენდა. ცხვრის ფარა მუდამ საძოვარზე იყო. გამოსაზამთრებლად ფარა სოფლიდან საკმაოდ დიდ მანძილზე დაშორებულ საზამთრო იალაღებზე მიჰყავდათ.

ნაგებობაში სართულშუა გადახურვა და სახურავიც ბრტყელია. მაშინ როდესაც სვანეთში, რაჭაში, თუშეთში სახურავი ორკალთიანია. სპეციფიკურია ე.წ. ჩარდახი –ზედა სართულის გადმოშვერილი მაშიკულები

ანუ სალოდეები. ისინი ყველა მხარეს თითო ან ორ-ორია. აღსანიშნავია, რომ ხევსურეთის გარდა ჩარდახები გვხვდება თუშეთში და ქართლშიც. ამის მაგალითია ციციშვილების ციხე სოფელ ნიჩბისში [ვ.ბერიძე, 1983:291].

ციხე-სახლები ანუ ქვითკირები ქმნის შატილის ერთიან ანსამბლს, რომელიც ადგილმდებარეობას შესანიშნავად არის მორგებული. საკმაოდ მკაცრი გეოგრაფიულ-კლიმატური პირობები, სასიცოცხლოდ აუცილებელი მწირი რესურსი და მუდმივად თავდაცვით რეჟიმში ცხოვრება იყო ის ძირითადი ფაქტორები, რამაც ერთმანეთთან მჭიდროდ განლაგებული ერთიანი საცხოვრებელი კომპლექსის ფორმირების საჭირობა შექმნა. ციხე-სახლების მშენებლობის შედეგად ჩამოყალიბდა შატილის და მუცოს უაღრესად საინტერესო ხუროთმოძღვრული სახე. ისინი დღეს ქართული საერო ხუროთმოძღვრების უმნიშვნელოვანეს ნიმუშებად და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად არის აღიარებული.

29. შატილი

კალოიანი სახლი გავრცელებული იყო როგორც პირიქითა, ასევე პირაქეთა ხევსურეთში (მაგ.:ბარისახოში). მისი სტრუქტურა ადგილმდებარეობის სპეციფიკის და მოსახლეობის საქმიანობის შესაბამისად ჩამოყალიბდა. ის, როგორც წესი, ფერდზე იდგა და ზურგით მიწაში იყო შეჭრილი. სახლებს ტერასული განლაგება ჰქონდა. კალოიანი სახლი სამსართულიანია. პირველ სართულს საკუთრივ სახლი ეწოდება. ის ჯალაბობისა და პირუტყვისთვის იყო განკუთვნილი. აქ იყო კერია (ყვერფლი). საცხოვრებელი ნაწილისგან დაწნული კედლით გამოყოფილი იყო საძროხე, პროდუქტების დასამზადებელი ოთახი-სენე და სხვა სამეურნეო სათავსები. მეორე სართული (ჭერხო) მამაკაცთა სამყოფელს წარმოადგენდა. მესამე სართულზე იყო ბანი, სადაც ზამთარში ყინულზე პურს ლეწავდნენ. სწორედ ამის გამო ეწოდება ამ ტიპის საცხოვრებელს კალოიანი სახლი. ცნობილია, რომ მთაში მარცვლეულის მოყვანა საკმაოდ რთული იყო და თითოეულ მარცვალს განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ.

კალოს სახლის სტრუქტურასთან შერწყმის იდეაც მოსავლის უდანაკარგოდ გამოყენების სურვილით იყო განპირობებული. ბანის უკან ფარდულში საბრძოლო იარაღს, საჭურველს ინახავდნენ. როგორც ვხედავთ ამ ტიპის საცხოვრებელში ციხე-კოშკისგან განსხვავებით არ იყო არქიტექტურულად გამოკვეთილი სათავდაცვო კომპონენტი, თუმცა ზედა სართულების ფუნქცია გარკვეულწილად პასუხობდა ამ ტიპის გამოწვევას. საჭიროების შემთხვევაში მეორე სართულზე მამაკაცების სამყოფელიდან მათ სწრაფად შეეძლოთ ბანზე შენახული იარაღის ასხმა და მომხდურთა მოგერიება.

ამრიგად, კალოიანი სახლის სტრუქტურაში თითოეული ნაწილი ორიენტირებულია გარკვეული სახის საქმიანობაზე. ამ თვალსაზრისით ის ფუნქციონალური არქიტექტურის თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ.

მთიულეთშიც ძირითადად ციხე-სახლებს და კალოიან სახლებს აგებდნენ. ამ უკანასკნელის სტრუქტურა ხევსურულის მსგავსი იყო, ბანიანი სახურავით, ტერასებით, ბანზე მოწყობილი კალოთი და ფანჩატურით. საერთოა ადამიანებისა და საქონლის განთავსების წესიც. ხევსურულისგან განსხვავებით მთიულეთში უფრო გავრცელებული იყო კალოიანი სახლის ორსართულიანი ვარიანტები. ისინი ძირითადად ტერასულად იყო განლაგებული.



30. კალოიანი სახლი

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ბერიძე მიუთითებს ხანდოს ხეობაში მდებარე ხალხური დარბაზის მსგავს საცხოვრებელზე, რომელსაც ბევრად პრიმიტიული გადახურვა ჰქონდა. აქ ზედა ხვრელი არა შუაში, არამედ გვერდზე იყო დატანებული და მას ერდოს უწოდებდნენ. ხის საყრდენს კი გულთაბოძად მოიხსენიებდნენ [ვ.ბერიძე, 1983:298].

ხევში საცხოვრებლის გავრცელებულ ტიპს ციხე-სახლი წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ ვახტანგ დოლიძე სოფელ ყანობის ერთ-ერთ ძველ ნიმუშს XVIII საუკუნეს მოაკუთვნებს [ვ.დოლიძე,1959:233-248].

ამ ნაგებობაში სამსართულიანი სახლი და ოთხსართულიანი კოშკი ერთიან სიმაგრის მსგავს კომპლექსს ქმნის. ნაწილთა ასეთი შეთანხმება, ცხადია, გვახსენებს სვანურ მურყვამიან სახლს, მაგრამ ხევის ამ საცხოვრებლს უფრო დაბალი პროპორციები ახასიათებს და უფრო შეკრულ სტრუქტურას წარმოადგენს.



31. ხევის
საცხოვრებელი

ხევში სახლი ფუნქციონალური თვალსაზრისით შემდეგნაირად იყო განაწილებული. პირველ სართულზე სადგომი იყო პირუტყვისთვის (ქოითაი), ხოლო მეორე და მესამე სართული საცხოვრებელს წარმოადგენს. ქოთაიში მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელთა სადგომი კედლით იყო გამიჯნული. მეორე სართულზე, რომელსაც შუა სახლს უწოდებდნენ, ერთიანი დიდი სივრცე იყო შუაში კერიით. ოთახები სუსტად ნათდებოდა, რადგან თავდაცვის მიზნით სარკმელები ძალზე მცირე ზომის იყო. სახლის თითოეული სართული კარით კოშკის შესაბამის სართულს უკავშირდებოდა. თავად კოშკის ზედა მეოთხე სართული დასაზვერად გამოიყენებოდა და სათოლმარჯოს უწოდებდნენ. სახლში სართულშორის გადახურვისათვის ხშირად იყენებდნენ საყრდენ ბოძს – კულას.

ხურთისში, გერგეტსა და ყაზბეგში ორსართულიანი ბანიან სახლებში ქვედა სართულზე საქონლის სადგომი, ხოლო ზედა სართულზე საცხოვრებელი იყო მოწყობილი. ამრიგად, ხევის ძველ საცხოვრებლებში საქონელი და ადამიანები ერთ ნაგებობაში იყვნენ განთავსებული, თუმცა სხვადასხვა სართულზე.

ფშავში ასევე ორსართულიანი ბანური სახლები იყო გავრცელებული. აქაც პირველ სართულზე საქონლის სადგომი, ხოლო მეორეზე საცხოვრებელი იყო. ბანურის გარდა ფშავში აგებდნენ ორკალთა სახურავიან სახლებს. ასეთი გადაწყვეტა მათ არსებით მახასიათებელს

წარმოდგენდა. ნიშანდობლივია, რომ ამგვარ ფორმას ხევსურეთში ფშავურს უწოდებდნენ. ორკალთიან სახურავს ქვეშ მოქცეული იყო სხვენი, რომელსაც საბძელად იყენებდნენ. ცნობილია, რომ ორკალთიანი გადახურვა ძალზე მოსახერხებელია დიდთოვლობისას, რადგან თოვლის მასის ძირს ადვილად ჩამოცურებას უწყობს ხელს. ამასთან, ორკალთა სახურავი სხვენის სახით დამატებით სივრცეს ქმნის, რომელიც სხვადასხვა დანიშნულებით შეიძლება იყოს გამოყენებული. გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი გადახურვის მოწყობას ხის ძელებიანი კარკასის აგება სჭირდება. ხევსურეთისგან განსხვავებით ფშავში ხის მასალის მოპოვება პრობლემას არ წარმოადგენდა. შედეგად, აქ ორკალთა გადახურვის მქონე ე.წ. ფშავური სახლი გავრცელდა.

თუშეთში, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი მაღალმთიანი კუთხეა, ძირითადად ორი ტიპის სახლები იყო გავრცელებული – ძველებური თუშური სახლი, რომელიც თავდაცვითი ფუნქციების განხორციელებაზე იყო გათვლილი და XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბებული ღია ტიპის აივნიანი სახლი.



32. თუშური ციხე-სახლი

ძველებური თუშური სახლი ციხე-სახლის მსგავსი სტრუქტურის იყო. მას ჩარდახები და სათოფურები ჰქონდა. ის საკმაოდ დიდი ზომის 3-4 სართულიან ნაგებობას წარმოადგენდა, რადგან აქ ხშირად რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა. მთის სხვა საცხოვრებლების მსგავსად პირველ სართულზე იყო საქონლის სადგომი, რომელსაც „ბაშტე" ერქვა. მეორე სართულზე „შუა"-ში კერია იყო მოწყობილი, მესამეზე „ზედა შუა" საცხოვრებლად გამოიყენებოდა, ხოლო ბოლო სართულზე იყო „ჭერხო". მას თავდაცვითი ფუნქცია ჰქონდა და, ამავდროულად, მარაგისა თუ სხვა ნივთების შესანახ ადგილს წარმოადგენდა.

მეორე ტიპის სახლების მშენებლობა თუშეთში იმ პერიოდში დაიწყეს, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიიდან თავდასხმის საფრთხე აღარ იყო. ეს სახლები ერთ ან ორსართულიანი იყო. პირველ შემთხვევაში საცხოვრებელი



33. საომარი კოშკი

სივრცის გვერდით ეწყობოდა საქონლის სადგომი. მეორე შემთხვევაში პირველ სართულზე საქონელი, ხოლო მეორეზე ოჯახი იყო განაწილებული. სახლები ფიქალით იყო ნაგები და ხის აივნები გააჩნდა.

თუშური სოფლებში მრავლად იდგა საომარი კოშკები. ისინი ორი სახის იყო. 5-6 სართულიანი კოშკი სახასიათო პირამიდული სახურავით და 3-4 სართულიანი ერთფერდა სახურავით. კოშკები უდუღაბოდ ფიქალით იყო ნაგები.

ამრიგად, კავკასიონის მთიანეთი საცხოვრისების მრავალფეროვან სურათს წარმოგვიდგენს შენობათა დაგეგმარების, საშენი მასალის გამოყენების, ფუნქციური და მხატვრულ-არქიტექტურული გადაწყვეტის თვალსაზრისით. განსხვავებების არსებობის მიუხედავად მთიანი რეგიონის სახლებს აერთიანებს სხვადასხვა ფუნციონალური დანიშნულების ნაწილების ერთიან სტრუქტურაში მოქცევის წესი. საგულისხმოა, რომ ამგვარი მიდგომით გამოირჩევა ასევე მთიანი აჭარისა თუ აფხაზეთის რიგი საცხოვრებლები.

.....

ვ.ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. I. თბილისი, 1983;

გ. ბოჭორიძე, თუშეთი, თბილისი, 1993;

ვ. დოლიძე, ხევის ხალხური საცხოვრებელი სახლები, ქართული ხელოვნება, V, 1959, გვ. 233-248;

ვ. დოლიძე, მთის საერო ხუროთმოძღვრული ძეგლები, ჟ. ძეგლის მეგობარი, №22, თბილისი 1970, გვ. 34-37;

ლ. რჩეულიშვილი, გვიანი ფეოდალური ხანის კოშკური საცხოვრებლის ერთი

სახეობა, მაცნე, 11, თბილისი 1967, გვ. 276-284;

მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, რედ. გ.ჩიტაია, თბილისი, 1961;

გ.ჩიტაია, ხევსურული სახლი „სენე", ანალები, I, თბილისი, 1947;

Джандиери М. Лежава Г.Народная башенная архитектура, Москва, 1976;

Лежава Г. Джандиери М. Архитектура Сванетии, Москва, 1938.

სასახლეების არქიტექტურა ძველ საქართველოში

ძველი საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს სასახლეების არქიტექტურა წარმოადგენს. სამწუხაროდ, სასახლეთა ნიმუშები ჩვენს დრომდე საკმაოდ ცუდად არის შემორჩენილი. ამიტომ მათი არქიტექტურული მახასიათებლების და განვითარების მეტ-ნაკლებად სრული სურათის აღდგენა რთულია.

საქართველოს ტერიტორიაზე სასახლის ტიპის ნაგებობების მშენებლობა წინაქრისტიანული პერიოდიდან იწყება. ჯერ კიდევ არგონავტების შესახებ საყოველთაოდ ცნობილ ძველბერძნულ მითში არის ნახსენები კოლხეთში გალავნით შემოვლებულ თვალწარმტაც ბაღში მდგარი მეფე აიეტის სასახლე. რაც შეეხება ფაქტობრივ მონაცემებს, ისინი ძირითადად არქეოლოგიური გათხრების შედეგად არის მოპოვებული. გამოვლინდა არა ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი თუ დასახლებული პუნქტი, რომლებშიც სასახლის ტიპის ნაგებობის არსებობა არის ნავარაუდევი. სამწუხაროდ, მათი არქიტექტურულ-მხატვრული სახის სრულად წარმოდგენა ძალზე გართულებულია. წინაქრისტიანული ხანის სასახლის ნაშთები აღმოჩნდა, მაგალითად, ქარელის რაიონში „დედოფლის გორაზე" (ძვ.წ. II-ახ.წ. Iს). ქრონოლოგიურად მომდევნო ხანას მიეკუთვნება მცხეთაში არმაზისხევის პიტიახშების სასახლე (I-III სს), რომელსაც სავარაუდოდ ოთხაივნიანი გეგმარება ჰქონდა [კ.ხიმშიაშვილი, 1992:102-109]. შედარებით მეტი ინფორმაცია გაგვაჩნია ძალისის სასახლის შესახებ.

მცხეთიდან ჩრდილო-დასავლეთით 20 კმ-ის დაშორებით მუხრანის ველზე, სოფელ ძალისის მახლობლად, XX საუკუნის 70–იან წლებში გამოვლინდა ნაქალაქარი. ქალაქი ძვ.წ. II საუკუნიდან ახ.VIII საუკუნის 30-იან წლებამდე არსებობდა. 1971-85 წლებში ალ. ბოხოჩაძის ხელმძღვანელობით წარმოებული საველე სამუშაოების შედეგად აქ სხვადასხვა ნაგებობები გაითხარა. მათ შორის ე.წ. ტაძარ-სასახლე, რომელიც I-II სს-ით თარიღდება და საკუთრივ სასახლე. ის ყველაზე დიდ ნაგებობას წარმოადგენს ძალისას ნაქალაქარში და I-III საუკუნეებს განეკუთვნება [ბოხოჩაძე 1987:25-30].

ძალისის ამ ნაგებობების ნაშთები დაახლოებით 1-1,5 მეტრამდეა შემორჩენილი. ამდენად, სივრცული გადაწყვეტის, გადახურვის, ღიადების ფორმისა და განლაგების, ინტერიერის განათების, მორთულობის თუ სხვა

არა ერთი საკითხის შესახებ ზუსტი მონაცემები არ გაგვაჩნია.

ძალისის ტაძარ-სასახლე სწორკუთხა გეგმარების რთულ კომპლექსს წარმოადგენდა. შესასვლელი სამხრეთი მხრიდან იყო. ზღურბლის წინ მცირე ფართობი ტუფისა და ქვიშაქვის ფილებით იყო მოგებული. მთავარ სივრცეს ქმნიდა 12 ფერის ქვის კენჭებით შედგენილი მოზაიკურიატაკიანი 48კვ.მ-ის დარბაზი. ნაგებობაში ასევე გაერთიანებული იყო კიდევ რამდენიმე დარბაზი და სენაკი. დარბაზებს სამსხვერპლო საკურთხეველი გააჩნდა. გამოვლინდა ასევე კოლონებისა და ბაზალტის ბაზისების ნაშთები. ამ კომპლექსში შედიოდა ასევე რომაული ტიპის სამგანყოფილებიანი აბანო.



34. ძალისას ტაძარ-სასახლის გეგმა

დარბაზის იატაკის მოზაიკის ცენტრში მევენახეობისა და მეღვინეობის მფარველი ღვთაება დიონისეს და არიადნას მჯდომარე ფიგურებია წარმოდგენილი შესაბამისი ატრიბუტიკით. აქვე გამოსახულია ფრთოსანი ჭაბუკი, საკრავიანი ქალები, ასევე მცენარეული, გეომეტრიული ორნამენტები და სხვ. მოცემულია განმარტებითი ბერძნული წარწერები „არიადნე", "დიონისე", „აგლაი ქარიტი" (დიონისეს მხლებელი). დასახელებულია ასევე ოსტატის სახელი „მოხსენიებულ იქნას პრისკოსი ამის გამკეთებელი". მოზაიკური კომპოზიციის მიხედვით დარბაზი დიონისეს სახლ-ტაძრად არის მიჩნეული. ამდენად, ძალისის ამ ნაგებობაში, რომელიც ტაძარ-სასახლედ მოიხსენიება, საკრალური ანუ სატაძრო ფუნქცია უფრო ნათლად არის გამოკვეთილი..

ძალისის სასახლე 2500 კვ.მ ფართობს მოიცავს. ნაგებობის საძირკველი რიყის ქვისაა. მასზე დაფუძნებული კედლების ქვედა რიგი ტუფისა და ქვიშაქვის თლილი კვადრებითაა შედგენილი. შემდეგ ალიზის აგურის წყობა გრძელდებოდა. ალიზით ამოყვანილი კედელი ინტერიერში შელესილი იყო. დაფიქსირებულია მოხატულობის კვალიც. იატაკი მოგებული იყო ქვის ფილებით. გათხრებისას მრავლად აღმოჩნდა კრამიტი, რაც იმის დამადასტურებელია, რომ ნაგებობას დაფერდებული გადახურვა ჰქონდა.

სასახლეში ოცდაათამდე სხვადასხვა ზომის და დანიშნულების ოთახი იყო, მათ შორის საკმაოდ დიდი დარბაზებიც. ნაგებობის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენდა ოთხი მხრიდან კედლებით შემოსაზღვრული ღია ეზო-ატრიუმი (8.35მX8.35მ). მის ცენტრში იყო ბორდიურებიანი ოთხკუთხა აუზი შადრევნით და კუთხეებში სვეტებით. სასახლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში განლაგებული იყო დასაძინებელი ოთახები. აღსანიშნავია, რომ მათ ჰქონდა საკუთარი ორგანყოფილებიანი საპირფარეშო, წყალსადენი და კანალიზაცია. ყურადსაღებია ისიც, რომ საგანგებოდ მოწყობილი იყო ცენტრალური გასათბობი სისტემა. ამისთვის გამოყოფილი იყო კოლორიფელებიანი ოთახი ატრიუმის სამხრეთ-აღმოსავლეთით, საიდანაც ცხელი ჰაერი სპეციალური არხებით ნაწილდებოდა. ატრიუმის ჩრდილოეთით დარბაზები, სამხრეთით კი სხვადასხვა ოთახები და წინკარი იყო. დასავლეთით მდებარეობდა თლილი ქვით ნაგები სატაძრო სივრცე. სასახლეს გააჩნდა სამგანყოფილებიანი აბანო ცივი, თბილი და ცხელი წყლის განყოფილებებით.

ამრიგად, ძალისის აღნიშნული ნაგებობები ადასტურებს წინაქრისტიანულ ხანაში საქართველოში სასახლეთა მაღალ დონეზე მშენებლობის შესაძლებლობას. აშკარაა ანტიკური კულტურის იდეურ-მხატვრული გავლენა და შესაბამისი სამშენებლო გამოცდილების, ცალკეული არქიტექტურული სქემების, ფორმების ცოდნა. განსაკუთრებით შთამბეჭდავია იმ ეპოქის მოწინავე მოთხოვნების შესატყვისი სანიტარული თუ გასათბობი საშუალებების გამოყენებით კომფორტის შექმნის სურვილი და მისი განხორციელების შედეგი.

როგორც აღვნიშნეთ, წინაქრისტიანული ხანის სასახლეების არქიტექტურის შესახებ ინფორმაცია მწირია. ანტიკურის გარდა, უდაოდ, საკმაოდ საგრძნობი იქნებოდა აღმოსავლური, განსაკუთრებით ირანული გავლენა. დასავლეთსა და აღმოსავლეთთან კულტურული კავშირების შედეგი, რომელიც ხელოვნებისა და არქიტექტურის ბევრ ნიმუშში ვლინდება, სავარაუდოდ, სასახლეთა არქიტექტურაში, მათი ინტერიერის დიზაინსა თუ აქსესუარებშიც ჰპოვებდა ასახვას.

შუა საუკუნეებმა ახალი ისტორიულ-პოლიტიკური და იდეურ-კულტურული რეალობა დაამკვიდრა საქართველოში. ქრისტიანობის გავრცელებამ და ახალმა სოციალ-პოლიტიკურმა ურთიერთობებმა

ხელოვნებასა და არქიტექტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია. ყოველივე ეს შეეხო არა მხოლოდ საკულტო, არამედ საერო ხუროთმოძღვრების სფეროს. რაც შეეხება სასახლეების არქიტექტურას, ინფორმაცია საკმაოდ მცირეა, თუმცა წინაქრისტიანულ ხანასთან შედარებით შემორჩენილი ძეგლების დაცულობის დონე ხშირ შემთხვევაში უფრო მეტი მონაცემის შეკრების შესაძლებლობას იძლევა.

შუა საუკუნეების ხანის ნიმუშებში კუთვნილების მიხედვით განირჩევა სამეფო, ფეოდალთა და ასევე საეპისკოპოსო სასახლეები. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, საკულტო ანსამბლის შემადგენლობაში იყო. რაც შეეხება დანიშნულებას, აგებდნენ საზაფხულო, საზამთრო, ასევე სანადირო სასახლეებს. ეს ნაგებობები შენდებოდა როგორც ქალაქში, ასევე სამეფო მიწებსა თუ ფეოდალთა მამულებში. ურბანულ განაშენიანებაში სასახლეებს, მით უფრო სამეფო სასახლეს, განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. შუა საუკუნეების განმავლობაში საქართველოში აგებული სასახლეების დიდი ნაწილი გამუდმებული ომებისა და მძიმე ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების შედეგად არ შემორჩა.

ადრეშუასაუკენეების ხანის სასახლეებს შორის აღსანიშნავია *ნოქალაქევის სამეფო სასახლეები* [პ.ზაქარაია, თ.კაპანაძე, 1991:87-96]. ქრონოლოგიურად პირველი მათგანი ქალაქის კედლის სიახლოვეს გათხრების შედეგად გამოვლინდა და მხოლოდ გეგმა განირჩევა, თუმცა პ.ზაქარაიას ვარაუდით ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენდა. მას სწორკუთხა გეგმარება გააჩნდა. ნაგებობის კომპოზიციურ ცენტრს ქმნიდა დიდი დარბაზი, რომლის ვიწრო მხარეს სამ-სამი ოთახი მდებარეობდა. ამათგან შუა ცენტრალური დარბაზის სიგანის, ხოლო კუთხეებში კვადრატს მიახლოვებული გეგმის მომცრო ზომის ოთახები იყო. დარბაზის გრძივი კედლების გასწვრივ ღია აივნები კუთხის ოთახებით იყო ფლანკირებული. სასახლის სტრუქტურაში ყურადღებას იქცევს ღია აივნის



35. ნოქალაქევის პირველი სასახლის გეგმა

თემა. ის ერთგვარად ეხმიანება არმაზისხევის სავარაუდო გადაწყვეტას და ამ პერიოდის ქართულ საერო ხუროთმოძღვრებაში მის აქტუალობას ადასტურებს. ეს სასახლე V საუკუნეში მტრის შემოსევისას განადგურდა, რასაც გათხრებისას ნახანძრალის კვალიც მიუთითებს.

ნოქალაქევის მეორე სასახლე პირველის დანგრევის შემდეგ, VI საუკუნის 40-იან წლებამდე პერიოდში, ახალ ადგილზე ქალაქის შიდა მონაკვეთში ბაზილიკის მახლობლად ააგეს. ის უფრო დიდი ზომისაა. მასთან ერთად აიგო კოშკი და გალავანი. ამდენად, სამეფო სასახლე ქალაქის შიდა საფორტიფიკაციო სტრუქტურის ფარგლებში მოექცა. კოშკის პირველი სართული თაღებით იყო გახსნილი და ჰქონდა როგორც დამცავი, ასევე შესასვლელის ფუნქცია.

სამსართულიანი სასახლის პირველი სართული მეტ-ნაკლებად შემორჩენილია, მეორე ფრაგმენტულად, ხოლო მესამე საერთოდ არ არის. თუმცა მის არსებობას ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მდებარე ქვის კიბე უტყუარად ადასტურებს. შენობა ნაგები იყო ქვის კვადრებით. საფასადე ქვები უფრო უკეთ იყო გათლილი. გადახურული იყო ბრტყელი და ნახევარწრიული კრამიტით. აღმოჩენილ ანტეფიქსებიან კრამიტებზე სხვადასხვა ფორმისა და ზომის ჯვრებია გამოსახული. სასახლე ეტაპობრივად აუგიათ. თავდაპირველად აშენდა ჩრდილოეთი, უფრო დიდი ზომის მონაკვეთი (15,4მX11,12მ), შემდეგ სამხრეთი (10,5მX11,2). მეორე სართულს ერთი დიდი დარბაზი წარმოადგენდა. სართულებს შორის გადახურვა ხის იყო. სარკმელები პირველ სართულზე მცირე ზომისაა, ხოლო მეორე სართულის ღიობების რაოდენობა და ფორმა ძნელი დასადგენია. სასახლის სამხრეთი მონაკვეთის პირველ სართულზე XVI-XVII საუკუნეებში დადიანებმა მარანი მოაწყვეს. მათ ამავე პერიოდში ოდნავ მოშორებით ააშენეს სასახლე, რომლის რიყის ქვით ნაგები 1,5 მეტრი სიმაღლის კედლები გათხრების შედეგად გამოვლინდა.



36. ნოქალაქევის მეორე სასახლის გეგმა

ამრიგად, ნოქალაქევის მაგალითზე ჩანს, რომ ადრეშუასაუკუნეების სასახლეები კარგად გააზრებული გეგმარების, ორ-სამ სართულიანი, კრამიტით გადახურული ნაგებობები იყო. ყურადღებას იქცევს ქვის კიბის და ღია აივნის მოტივები, რომლებიც არასრული მონაცემების პირობებში არქიტექტურული სახის წარმოჩენის გარკვეულ შესაძლებლობას იძლევა.

გარდამავალი და მომდევნო ხანის სასახლეების შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის კახეთის ძეგლები, როგორიცაა მაგალითად ვანთას, ვაჩნაძიანის, კვეტერას, ველისციხის, თიანეთის სასახლეები. მათ ნანგრევების სახით მოაღწიეს, თუმცა არსებული მონაცემები ფეოდალთა სასახლეების არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტის გარკვეული საერთო ნიშნების გამოკვეთის შესაძლებლობას იძლევა.



37. ვანთის სასახლის გეგმა

ვანთას სასახლე თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ვანთას მახლობლად მდებარეობს. ის VIII-IX საუკუნებს განეკუთვნება და შთამბეჭდავი ნანგრევების სახით არის მოღწეული. მის სიახლოვეს დგას ამავე პერიოდის მცირე დარბაზული ეკლესია. სასახლე, ისევე როგორც ეკლესია, რიყის ქვის თანაბარზომიერი რიგების წყობითაა ნაგები. სასახლე ორსართულიან ნაგებობას წარმოადგენს. გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა (27მX11,5მ). ორივე სართულზე ერთი დიდი და მეორე უფრო მცირე დარბაზია. სართულებს შორის ხის ძელებიანი გადახურვა იყო, რაზეც კედლის წყობაში შემორჩენილი ძელების დასამაგრებელი თანაბარი ინტერვალით დაცილებული ფოსოები მიუთითებს. პირველი სართული უფრო დაბალია და მომცრო სარკმელები აქვს. დიდ დარბაზში დიდი ბუხარია მოწყობილი. ამ სართულის ოთახებს, უთუოდ, დამხმარე-სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. მეორე სართულზე იგივე ფართობის დარბაზები იყო დიდი ნალისებური მოხაზულობის სარკმელებით. ასავლელი ქვის კიბე ვიწრო ფასადს მიუყვებოდა. ნაგებობას ორქანობიანი გადახურვა ჰქონდა.

ვაჩნაძიანის სასახლე ერთ-ერთ უაღრესად საინტერესო საერო ნაგებობას წარმოადგენს. ის გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვაჩნაძიანის მახლობლად მდებარეობს და ვაჩნაძიანის ხევს გადაჰყურებს. დღეს ნანგრევების სახით არის მოღწეული და მცენარეებითაა დაფარული. საბედნიეროდ, კედლები ორივე სართულის დონეზეა შემორჩენილი, რაც ორკალთა გადახურვის და თავდაპირველი სიმაღლის დაახლოვებით წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა. ნაგებია რიყის ქვით, ცალკეულ მონაკვეთებში გამოყენებულია აგურიც. გადახურული იყო კრამიტით. გეგმაში წარმოადგენს წაგრძელებული სწორკუთხედს (29მX11,5მ). პირველი და მეორე სართული შედგება სამი ნაწილის, დიდი და შედარებით მცირე დარბაზების, ასევე მათი დამაკავშირებელი განიერი ტალანისაგან. პირველი სართული მეორეზე დაბალი იყო. ამასთან, სარკმელებიც ქვედა სართულზე მომცრო და სწორკუთხა ფორმის იყო, ხოლო მეორეზე ძალიან დიდი და თაღოვანი მოხაზულობის. მათი სიგანე ორ, ხოლო სიმაღლე სამ მეტრამდე აღწევდა. მთავარი თაღოვანი შესასვლელი იხსნებოდა ტალანში. აქედან ასევე თაღებით იყო გასასვლელი დარბაზებში და ტალანის მეორე მხარეს. აღსანიშნავია, რომ თაღებს და ღიადებს ოდნავ შეტეხილი ნახევრწრიული ფორმა ჰქონდა. სასახლის ჩრდილოეთი კედლის აღმოსავლეთ მონაკვეთში იყო მეორე შესასვლელიც. დიდი დარბაზები სავარაუდოდ შუაში იყო გაყოფილი ორივე დონეზე. ყველა დარბაზს ჰქონდა ძალზე დიდი ზომის ბუხრები. სართულშორის ხის გადახურვა იყო. პირველ სართულთან შედარებით მეორე სართულის ინტერიერი ბევრად



38. ვაჩნაძიანის სასახლის გეგმა

39. ვაჩნაძიანის სასახლე

შთამბეჭდავი იქნებოდა, რასაც მისი სიმაღლე და განსაკუთრებით დიდი ღიადები უწყობდა ხელს. მათი მეშვეობით დღის შუქი ჭარბად შემოდიოდა და, ამავდროულად, თვალწარმტაცი ხედი იშლებოდა დარბაზში მყოფთა წინაშე.

სასახლის გვერდით დგას IX საუკუნის სამეკლესიიანი ბაზილიკა, რომელიც, უთუოდ, კარის ეკლესიას წარმოადგენდა.



40. კვეტერას სასახლის გეგმა

კვეტერას სასახლე ახმეტიდან 12 კილომეტრში, მთაზე მდებარე ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე დგას და X-XI საუკუნეებს განეკუთვნება. მთავარ ორსართულინ ნაგებობაზე მიდგმულია ერთსართულიანი სახლი და სამსართულიანი სწორკუთხა კოშკი [დ. ვაჩნაძე:1990]. საშენ მასალად გამოყენებულია რიყისა და ნატეხი ქვა. სასახლის მთავარი ნაგებობა სწორკუთხა გეგმისაა (16,5მX9,2მ). პირველი სართული მეორეზე დაბალია. მომცრო სწორკუთხა ფორმის ორი სარკმელი და ფართო ბუხარი ჰქონდა. ის, სავარაუდოდ, დამხმარე-სამეურნეო ფუნქციას ასრულებდა. სართულებს შორის ხის ძელებიანი გადახურვა იყო. მეორე სართულზე ოდნავ შეტეხილი ნახევარწრის მოხაზულობის დიდი თაღოვანი სარკმელებით განათებული დარბაზი იყო. მასში ასვლა აღმოსავლეთი კედლის გასწვრივ აგებული ქვის კიბით იყო შესაძლებელი. ის უკავშირდებოდა სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ კუთხეში მდებარე ბაქანს, რომელიც ოთხ საყრდენს ეფუძნებოდა. ბაქნიდან შესასვლელი იყო დარბაზში. მეორე კარი მოპირდაპირე კედელში იყო გაჭრილი და ერთსართულიანი სახლის თავზე არსებულ ტერასაზე გადიოდა. დარბაზის სამი სარკმელი სამხრეთ, ხოლო ორ-ორი დასავლეთ და აღმოსავლეთ მხარეს იხსნებოდა.

41. კვეტერას სასახლე

ამდენად, სარკმელები და ღია ტერასა სხვადასხვა მხარეს გადაშლილი ხედების ხილვის საშუალებას იძლეოდა.

სამი განსხვავებული მოცულობითი ფორმის ურთიერთ მიმართება სასახლის საინტერესო გარეგნულ სახეს ქმნიდა. ორფერდა გადახურვის მქონე მთავარი ნაგებობა ქვის კიბითა და ბაქნით, ბანური გადახურვის მქონე სახლი და სამსართულიანი კოშკი სხვადასხვა რაკურსში განსხვავებულად აღიქმებოდა.

ამრიგად, საქართველოში გარდამავალი ხანიდან გავრცელებული იყო ფეოდალთა სასახლეების მეტ-ნაკლებად ერთიანი არქიტექტურული ტიპი. ეს იყო ორსართულიანი ნაგებობა ქვედა უფრო დაბალი სართულით, რომელიც სამეურნეო მიზნებისთვის გამოიყენებოდა. მას მცირერიცხოვანი, მომცრო, სწორკუთხა ფორმის სარკმელები ანათებდა. მეორე სართულზე დარბაზი ან დარბაზები დიდი და ნათელი იყო. ფართე და მაღალი სარკმელები წარმოადგენდა უხვი სინათლის წყაროს და ამავდროულად გარემოსთან კომუნიკაციის საშუალებას. სარკმელები ნალისებური, შემდგომ კი ცენტრში ოდნავ შეტეხილი ნახევარწიული მოხაზულობისა იყო. მეორე სართულზე ასასვლელად ძირითადად მასიური ქვის კიბე გამოიყენებოდა, ხოლო სართულშორის გადახურვა ხის იყო. სასახლეებში ფართო, ნახევარწრიული გეგმის, კედლის შუა ნაწილში განთავსებული ბუხრები იყო გავრცელებული. შემორჩენილი მონაცემების მიხედვით ნაგებობებს ორკალთა გადახურვა ჰქონდა. სასახლესთან კარის ეკლესიას აგებდნენ. მის გვერდით, უთუოდ, სხვა ნაგებობიც მდებარეობდა. სასახლეს გალავანი ჰქონდა ან ციხე-სიმაგრის ფარგლებში იყო მოქცეული, რაც თავდაცვის ფუნქციის განხორციელებას უზრუნველყოფდა.

ფეოდალთა სასახლეებთან მსგავსებას ამჟღავნებდნენ საეპისკოპოსო სასახლეები. მათ საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ნეკრესსა და ჭერემში შემორჩენილი ნიმუშები.

ნეკრესის სამონასტრო კომპლექსი ყვარელის მუნიციპალიტეტში, სოფელ შილდის მახლობლად მდებარეობს. ის კავკასიონის ქედის განშტოებაზე ტყით დაფარული მთის ფერდზეა განლაგებული და შორი მანძილიდან იქცევს ყურადღებას. მონასტერში ადრეშუასაუკუნეებისა და გარდამავალი პერიოდის ეკლესიების გარდა კოშკი და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებია შემორჩენილი. მათ შორის თავისი მასშტაბით

42. ნეკრესის მონასტრი

და ეფექტური ადგილმდებარეობით გამოირჩევა სასახლე, რომელიც უშუალოდ დამრეცი ფერდის პირას დგას და ალაზნის ველს გადაჰყურებს. დღეს ნეკრესის ანსამბლის ძირითადი ნაგებობები რესტავრირებულია და აღინიშნება გარკვეული ცვლილებები გ. ჩუბინაშვილის მიერ აღწერილ მონაცემებთან შედარებით [Г. Чубинашвили,1956:555-557].

სასახლე დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული სწორკუთხედის გეგმის ორსართულიანი ნაგებობაა. აგებულია მცირედ დამუშავებული ფლეთილი ქვით და შირიმით. ადგილმდებარეობის სპეციფიკა ნაგებობაში შესასვლელების ორივე სართულზე მოწყობის საშუალებას იძლევა. კარი პირველ სართულზე დასავლეთიდან, ხოლო მეორე სართულზე ჩრდილოეთიდან არის გაჭრილი. პირველ სართულზე ოთხი დიდი სარკმელი ალაზნის ველისკენ იხსნება. მათ თავზე მეორე სართულის დარბაზის ხუთი ნალისებური მოხაზულობის სარკმელია განთავსებული. პირველი სართულის ინტერიერის ცენტრში რვაწახნაგა ქვის მასიური საყრდენია, რომელიც სართულშორის გადახურვის ძელებს იმაგრებდა. მის ოთხივე მხარეს მოგვიანებით ტიხრები მიაშენეს. პირველი სართულის დარბაზი ორი განიერი თაღით იხსნებოდა ერთსართულიან სწორკუთხა ნაგებობაში, რომელშიც ქვევრები შემორჩა. შესაბამისად, ის მარანს წარმოადგენდა. მარანში იყო ჩრდილოეთით მიმავალი კიბე და გასასვლელი აღმოსავლეთით მდებარე სხვადასხვა ფუნქციის ოთახებსა თუ სათავსებში. აქვე დგას მაღალი სწორკუთხა კოშკი. მარანს ბანური გადახურვა ჰქონდა. ამდენად, მეორე სართულის დარბაზისთვის ის ერთგვარი ტერასის როლს ასრულებდა. აღსანიშნავია, რომ ასეთი გადაწყვეტა კვეტერას სასახლის მსგავსია. თავად სასახლეს ორფერდა გადახურვა აქვს.

ისევე როგორც ზემოთ აღნიშნულ ნიმუშებში, ნეკრესის სასახლეში განსაკუთრებით შთამბეჭდავი დიდი ზომის სარკმელებით შექმნილი

მხატვრული ეფექტია. საგულისხმოა, რომ აქ ასეთი ზომის სარკმელები არა წესისამებრ ზედა, არამედ ორივე სართულის კედლებშია. ამის პირობას ნაგებობის დამრეცი ფერდის პირას განლაგება ქმნის და სასახლეში მყოფთ ალაზნის ველის ვრცელი პანორამის ხილვის შესაძლებლობას აძლევს.

ჭერემში სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის საეპისკოპოსო ტაძრის მახლობლად სასახლის ერთი კედლის ნაშთებია დადასტურებული, რომლებიც გ. ჩუბინაშვილმა 1920 და 1933 წლებში მოინახულა და აღწერა [Г. Чубинашвили,1956:557-559]. ორსართულიანი ნაგებობის სართულების სიმაღლეთა შეფარდება სხვა სასახლეების მსგავსი იყო, თუმცა თავად კედლის არქიტექტურული გააზრება უფრო რთული. ნალისებური სარკმელების გადაწყვეტა აქ სხვადასხვა ხერხით იყო გამრავალფეროვნებული. გამოყენებული იყო ცენტრალური ღიადების კედლის შვერილი მოცულობითი ფორმით გამოკვეთის, სარკმელების ერთგვარ ნიშებში განთავსების, დეკორატიული პილასტრებით შემკობის ხერხები და სხვ. ამდენად, ფრაგმენტული მონაცემებიც ნათლად მეტყველებს იმის შესახებ, რომ სასახლეს საინტერესო არქიტექტურ-მხატვრული გადაწყვეტა გამოარჩევდა.

რაც შეეხება სამეფო სასახლეებს, X-XIII საუკუნეების ორი ნიმუშია აღსანიშნავი ნადარბაზევსა და გეგუთში [გ. აბრამიშვილი...2000:173-175].

ნადარბაზევის სასახლე, რომელმაც ნანგრევების სახით მოაღწია, მდებარეობს თეთრიწყაროდან 10 კილომეტრში, მდინარე ჭივჭივას ნაპირზე. X საუკუნეში დიდებულის მიერ აგებული სასახლე, მოგვიანებით მეფეთა საზაფხულო რეზიდენციად იქნა გამოყენებული. ეს ნაგებობა X-XIII საუკუნეებში ფუნქციონირებდა.

სასახლე ოვალური გეგმის, მკვიდრად ნაგები გალავნით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე მდებარეობდა. გალავანში იყო ორი შესასვლელი. ჭიშკრამდე მოკირწყლული გზა მიდიოდა. გალავნით შემოვლებულ ერთი ჰექტარის ფართობზე შემორჩა ასევე დამხმარე ნაგებობა, წყარო, წყალსადენი და სხვა შენობების ნაშთები.



43. ნადარბაზევის სასახლის გეგმა

ორსართულიან სასახლეს სწორკუთხა გეგმა აქვს. ის თლილი ქვით არის ნაგები. კედლებს ინტერიერში ნალესობის კვალი ეტყობა. შესაძლოა იყო მოხატულობაც. პირველ სართულზე იყო 200 კვ.მეტრი ფართობის დარბაზი, ხოლო მეორეზე საცხოვრებელი ოთახები. დარბაზში ოთხი საყრდენი იდგა, რომელზეც სართულშორის გადახურვა იყო დაფუძნებული. შესასვლელი იყო სამი მხრიდან. კარებების ორივე მხარეს სარკმელები იყო განთავსებული. მეოთხე კედელი ყრუ იყო. მხოლოდ ერთი, მომცრო ოთახში გამავალი, კარი ჰქონდა კედლის კიდეში. საფიქრებელია, რომ მისაღებ დარბაზში შეკრებილების წინაშე მეფე ამ კარიდან გამოდიოდა, ხოლო ყრუ კედელთან მისი ტახტი იდგა.

გეგუთის სამეფო სასახლე მდებარეობს ქუთაისიდან 7 კილომეტრის დაშორებით. მან ნანგრევების სახით მოაღწია, თუმცა თავისი მასშტაბით მნახველზე დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. მისი ფართობი დაახლოვებით 2000 კვ.მ-ია. გეგუთის შესახებ ცნობები ჯერ კიდევ VIII საუკუნეს განეკუთვნება. ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისა" ნახსენებია ციხე გეგუთსა და ქუთაისში. XX საუკუნეში წარმოებული საველე სამუშაოების შედეგად მართლაც აღმოჩნდა ყველაზე ადრეული, VIII-IX საუკუნეების სამშენებლო ფენა, რომელიც ერთოთახიან დიდბუხრიან ე.წ. სანადირო სახლს ეკუთვნოდა [ვ.წილოსანი, 1938]. საგულისხმოა, რომ გეგუთი აჯამეთთან ერთად შემდგომშიც მეფეთა სანადირო ადგილად მოიხსენიება.

გეგუთი XII საუკუნიდან ისტორიული წყაროებში უფრო სშირად გვხვდება და გიორგი III-ის, ასევე თამარის სახელს უკავშირდება. სწორედ ამ პერიოდში იწყება სასახლის მშენებლობა, ხოლო XIII-XIV საუკუნებში მისი გაფართოვება მიმდინარეობს. ამ დროს მთავარ ნაგებობას დასავლეთით ხუთი სხვადასხვა ზომის ოთახი მიაშენეს და ააგეს სასახლის ეკლესია. გეგუთს სამეფო სასახლედ მოიხსენიებს ვახუშტი. ის აღნიშნულია 1737 წლის ტიმოტე გაბაშვილის მიერ შედგენილ რუკაზე როგორც „ციხე-დარბაზი, გეგუთის ტახ-



44. გეგუთის სასახლის რეკონსტრუქცია

ტი მეფეთა”.

გეგუთის სასახლეს კვადრატული გეგმარება აქვს. ცოკოლი და სამ მეტრამდე სიმაღლის კედლები თლილი ქვით იყო ნაგები, შემდეგ გრძელდებოდა აგურის წყობა. დაახლოებით 36 მეტი სიგრძის სქელი გარე კედლების კუთხეებში ცილინდრული კოშკები, კედლების შუა ნაწილში ნახევარწრიული კონტრფორსები, ჭიშკრის გვერდებზე მასიური ნახევარწრიული შვერილები ნაგებობის ექსტერიერს ციხე-დარბაზის იერს ანიჭებდა.



45. გეგუთის სასახლის გეგმა

ინტერიერში სასახლის მთავარ სივრცეს წარმოადგენდა ჯვრული გეგმარების დარბაზი ცენტრში 14 მეტრიანი გუმბათით. გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეებიდან გასასვლელები უკავშირდებოდა სასახლის სხვადასხვა ოთახებს. ერთ-ერთ მათგანში ბუხარიც არის დადასტურებული. მთავარი დარბაზის ჯვრის მკლავებიდან სამი ტოლი იყო და ოდნავ შეისრული ფორმის კამაროვანი გადახურვა ჰქონდა. მეოთხე მათ ორჯერ აღემატებოდა და, სავარაუდოდ, მეფის ტახტის განსათავსებლად იყო განკუთვნილი. ინტერიერი შელესილი და, დიდი ალბათობით, მოხატული უნდა ყოფილიყო. დარბაზი თავისი გეგმარებით, მაღალი და განიერი გუმბათით, აზიდული პროპორციებით ხალვათ სივრცეს ქმნიდა. ამდენად, გეგუთის სასახლის გარე მასების მკაცრი ფორმების მიღმა დიდებული და მდიდრულად შემკული შიდა სივრცე იშლებოდა.

დმანისის სასახლის ნანგრევები შიდა ციხის ტერიტორიაზე მდებარეობს და განეკუთვნება ქალაქის დაწინაურების პერიოდს, XII-XIII საუკუნეებს [კოპალიანი,1996]. ის ქვით იყო ნაგები. ბათქაშით გალესელი ბრტყელი გადახურვის

46. დმანისის ნაქალაქარი

მქონე დიდი სივრცე დანაწვრებული იყო, რაზეც ტიხრების შემორჩენილი ნაშთები მეტყველებს. დარბაზს ერთი კარი და სარკმელი ჰქონდა. კედლებში იყო თახჩები და ბუხარი. მეორე სართულის ფრაგმენტალურად შემორჩენილ კედლებში თახჩებია დადასტურებული. აქვეა პატარა ბუხრიანი ოთახი, რომელსაც XVIII საუკუნემდე საცხოვრებლად იყენებდნენ. სასახლის გვერდით მიშენებული იყო აბანო.

ამრიგად, საქართველოში გარდამავალი და განვითარებული შუა საუკუნეების ხანის სასახლეები მცირერიცხოვნების და ცუდი დაცულობის მიუხედავად ამ ხანის ნიმუშების არქიტექტურულ-მხატვრული გააზრების შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნის საშუალებას იძლევა. აშკარად ჩანს სხვაობა სამეფო და სხვა სასახლეების გადაწყვეტას შორის. სამეფო სასახლის სტრუქტურაში მთავარი სამეფო დარბაზის გააზრებაა, რაც შემორჩენილ ნიმუშებში განსხვავებულადაა გადაწყვეტილი. რაც შეეხება ფეოდალთა და საეპისკოპოსო სასახლეებს, მათ ძირითად მახასიათებელს ორსართულიანობა და დიდი ზომის სარკმელებით შექმნილი მხატვრული ეფექტი წარმოადგენს. პირველი სართული, უმეტესად უფრო დაბალია და მას დამხმარე-სამეურნეო დანიშნულება აქვს. ადრეული შუა საუკუნეების მსგავსად, ამ პერიოდშიც გავრცელებულია მასიური ქვის კიბე. როგორც წესი, სართულშორის ხის ძელებიანი გადახურვა გამოიყენება. თავდაცვითი საკითხები სასახლის ადგილმდებარეობის, სხვა ნაგებობებთან მიმართების შესაბამისად, სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი. სასახლეთა გვერდით ეკლესიებია აგებული.

47. ალვანის სასახლის გეგმა და ჭრილი

გვიანი შუა საუკუნეები საქართველოში მძიმე ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების ხანაა, როცა პოსტბიზანტიურ ეპოქაში ძლიერდება მუსულმანური ქვეყნების ექსპანსია. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ირანის გავლენა, რაც ასახვას ჰპოვებს ცხოვრებისა და ყოფის სხვადასხვა სფეროზე, მათ შორის კულტურასა და, კონკრეტულად, არქიტექტურაზე. შედეგად ამ პერიოდში საშენ მასალად

ფართოდ გამოიყენება აგური, გავრცელდა შეისრული ფორმები თუ სხვა სახასიათო მოტივები. ყოველივე ეს აისახება სასახლეთა არქიტექტურაზეც. შემორჩენილ ნიმუშებში ნათლად ვლინდება ახალი რეალობის შესაბამისი მიდგომები.

ალვანის ცხრაკარა ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. აქ მდებარე სასახლის მშენებლობა ლევან კახთა მეფის (1520-1574) სახელს უკავშირდება. კავკასიონის ქედის ერთ-ერთი განშტოების კონცხზე აღმართული ეს შენობა დგას VIII-IX სს-ის სამნავიანი ბაზილიკის სიახლოვეს, სადაც ლევან მეფის და თინათინ დედოფლის ფრესკები არის შემორჩენილი. სასახლემ ნანგრევების სახით მოაღწია. დაახლოებით 1,5 მ-ის სისქის კედლები აგურითაა ნაგები. ნაგებობა ერთსართულიანია და აღმოსავლეთ-დასავლეთ მიმართული სწორკუთხა (24მX9მ) გეგმა აქვს. მის გრძივ კედლებში ექვს-ექვსი სარკმელია გაჭრილი. ჩრდილოეთით სწორკუთხა ფორმის მომცრო ზომის ღიადებია, ხოლო სამხრეთით დიდი ზომის (2,4მX8,3მ) მცირედშეისრული მოხაზულობის სარკმელები ალაზნის ველს გადაჰყურებს. აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებში 2-2 ნიშა-განჯინაა. ბუხარი არ არის, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ის მეფის საზაფხულო რეზიდენციას წარმოადგენდა.

48. გრემი

ლევან კახთა მეფის სახელს უკავშირდება ასევე მშენებლობები *გრემში*, რომელიც XV საუკუნის შუა ხანებიდან 150 წლის განმავლობაში კახეთის სამეფოს დედაქალაქს წარმოადგენდა. აქ შემაღლებულ ბორცვზე მან ააგო გუმბათიანი ეკლესია და სასახლე-კოშკი სამრეკლოთი. ეს ანსამბლი გრემში თავისი ადგილმდებარეობით, სილუეტით, აზიდული პროპორციებით გამორჩეულ არქიტექტურულ სახეს ქმნის. ქვითა და აგურით ნაგები სასახლე კოშკურა ტიპისაა და სამსართულიანია. მას რამდენიმე გადაკეთების კვალი ეტყობა. მათ შორისაა XIX საუკუნეში აგებული სამრეკლო-ფანჩატური [ვ.ბერიძე,1983:218-219].

ნაგებობის პირველი სართულზე ვრცელი პალატია, რომლის ფართობი ზედა სართულებისას აღემატება. მას გასდევს დერეფანი, რომელიც გადის პატარა ოთახში, საიდანაც ზევით ორი კიბე მიემართება. დამოუკიდებელი ასავლელი ჰქონდა დამხმარე-სამეურნეო დანიშნულების მეორე სართულს. ცალკე კიბე მიემართებოდა მესამე სართულზე სამეფო სამყოფელში. აქ იყო დიდი ოთახი ალაზნის ველის მხარეს სარკმელებით. მას დაემატა მცირე ოთახი, რომელიც სამმალიან სამრეკლოში გასასვლელს წარმოადგენს. ინტერიერის კედლები აგურითაა ამოყვანილი. გამოყენებულია შეისრული ფორმები და ამ ეპოქისათვის სახასიათო სხვა მოტივები.

კოშკურა სასახლის გარდა ქალაქ გრემში არქეოლოგიური სამუშაოების დროს გაითხარა მეფე-დიდებულთა უბანი, რომელსაც 20 ჰექტარამდე ფართობი ეჭირა. აქ გამოვლინდა სხვადასხვა ნაგებობების ნაშთები, მათ შორის სასახლეები, შადრევნიანი პავილიონი, დიდი აუზი კერამიკული მილემით, აბანო და სხვა. ყოველივე ეს გრემში მდიდრულად მორთული სამეფო რეზიდენციის არსებობას ადასტურებს. აღსანიშნავია, რომ ამაზე მეტყველებს წერილობითი წყაროებიც, კერძოდ, რუსი ელჩების აღფრთოვანებული შეფასებები სასახლისა და ბაღების მშვენიერების შესახებ [ვ. ბერიძე,1983:218].

49. სამეფო სასახლე თელავში

თელავში ე.წ. ბატონის ციხის ტერიტორიაზე მდებარეობს სამეფო სასახლე, რომელსაც მრავალი გადაკეთების კვალი ეტყობა. სასახლის მშენებლობა არჩილ მეფეს (1664-1675) უკავშირდება. XVIII საუკუნეში, ერეკლე მეფის დროს აქ გარკვეული ცვლილებები განხორციელდა, ხოლო XIX საუკუნეში შენობა ძლიერ გადააკეთეს. სარესტავრაციო სამუშაოები ჩატარდა 1979-83 წლებში, ხოლო XXI საუკუნეში სარეაბილიტაციო ღონისძიებები განხორციელდა.

ერთსართულიანი სასახლე აგურითაა ნაგები და მასალის შესაძლებლობები გააზრებულად არის გამოყენებული. მას კვადრატს მიახლოვებული გეგმა აქვს. ნაგებობის ცენტრს წარმოადგენს დიდი ზომის დარბაზი, რომელსაც სამ მხარეს დერეფანი მიუყვება, ხოლო

მეოთხე მხარეს ღია აივანია. მათ შორის კუთხეებში მომცრო ზომის ოთახებია განთავსებული. დარბაზის შეისრული კამაროვანი გადახურვა რამდენიმე საბრჯენ თაღს ეფუძნება. კედლები ორ რეგისტრად შეისრული ფორმის ღიადებისა და ნიშების მეშვეობით არის დანაწევრებული. განივი კედლის ცენტრში მდებარე ნიშა მეფის ტახტისთვის იყო განკუთვნილი. მის მოპირდაპირე და გრძივ კედლებში კარებებია გაჭრილი. სასახლის დარბაზსა თუ ოთახებში კამაროვანი გადახურვა, ღიადების შეისრული ფორმა და გადაწილების წესი მეტი სიმაღლის ილუზიის შექმნას ემსახურება. განსაკუთრებით ხალვათი სივრცე და საზეიმო განწყობა იქმნება დარბაზში.

სამეფო სასახლეების ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშები, ცხადია, თბილისში იყო აგებული. სამწუხაროდ არ შემორჩა არა თუ XII-XIII საუკუნეების, არამედ გვიანი შუა საუკუნეების ძეგლებიც. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ მთლიანად გაანადგურა ქალაქის დიდი ნაწილი, მათ შორის სამეფო უბანი. სასახლეების შესახებ ინფორმაციას ძველი რუკები და წერილობით წყაროები გვაწვდის (მაგ.: ჟან შარდენი, ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი, ვახუშტი, პლატონ იოსელიანი).

გვიან შუა საუკუნეებში სამეფო სასახლის უბანი მტკვრის ნაპირზე სიონსა და ანჩისხატს შორის ტერიტორიაზე მდებარეობდა. აქ სამეფო სასახლის მშენებლობა როსტომ მეფეს (1633-1658) უკავშირდება. შემდგომში ვახტანგ V, ერეკლე I, ვანტანგ VI, და ბოლოს ერეკლე II, უკვე არსებულს აფართოვებდნენ და ახალ ნაგებობებს აგებდნენ.

ჟ. შარდენის (საქართველოში ყოფნის წლები – 1672-73) და ჟ. ტურნეფორის (1701წ.) მიხედვით, ძნელია სამეფო სასახლის გეგმარების და არქიტექტურული სტრუქტურის დადგენა, თუმცა ზოგი რამ ნათელი ხდება. სასახლის ინტერიერი მდიდრულად იყო მორთული. გამოყენებული იყო კედლის მხატვრობა, ორნამენტული და სიუჟეტური მოტივები, ფერადი მინა, მრავალრიცხოვანი მოოქროვილი სვეტები და სხვ. დიდ დარბაზს შთამბეჭდავი მასშტაბი ჰქონდა. შარდენი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ზამთარში შენობა კარგად თბებოდა. სასახლეს გარს ერტყა მშვენიერი ბაღები. აქ მრავალრიცხოვანი ფრინველების ვოლიერები და საბაზიერო იყო [ვ.ბერიძე, 1983:58].

სამეფო უბნის დაგეგმარებასა და თავად სასახლეებზე მეტ ინფორ-მაციას გვაწვდის პლატონ იოსელიანი, რომელიც ერეკლე II-ს დროინელ

სურათს აღადგენს. სასახლის მთავარი შენობა მტკვრის ნაპირზე აგურით ნაგებ სქელ კედლებს ეფუძნებოდა. კლდეზე ამოყვანილი პირველი, დაბალი სართული აგურის კამარებით იყო გადახურული და სარდაფ-საყინულის ფუნქციას ასრულებდა. მეორე სართულსაც კამაროვანი გადახურვა ჰქონდა და მაღალი სარკმელებით ნათდებოდა. მისი კედლები სხვადასხვა მასალის მორთულობითა და სარკეებით იყო შემკული. მესამე მთავარი სართული მეფისა და მისი ოჯახის წევრებისთვის იყო განკუთვნილი. აქ იყო დიდი და მცირე დარბაზი, ასევე 32 ოთახი. ამ შენობის ორივე მხარეს ორსართულიანი ფლიგელები იყო ოც-ოცი ოთახით, რომელნიც სამეფო კარის მამაკაც და ქალთა სამყოფელს წარმოადგენდა. სასახლის წინ მარმარილოს ფილებით მოპირკეთებულ შადრევანში წავკისის მთებიდან გამოყვანილი წყალი მოედინებოდა. სასახლის ბაღში იყო აბანოც, რომელიც გოგირდოვანი წყლით თიხის მილების საშუალებით მარაგდებოდა. სასახლის სამხრეთით მდებარეობდა ზარაფხანა, უფრო მოშორებით, იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის გვერდით იყო ტიპოგრაფია, სადაც მხედრული და ხუცური შრიფტით სხვადასხვა სახის ლიტერალურა იბეჭდებოდა. მის მახლობლად დივან-ხანა ანუ სასამართლო-მმართველობითი ხელისუფლებისათვის განკუთვნილი ნაგებობა იყო აღმართული. კიდევ უფრო სამხრეთით, მტკვრის ნაპირზე, უცხოელი სტუმრებისთვის განკუთვნილი ნაგებობა იდგა. აქვე იყო მეჩეთი მუსლიმი სტუმრებისათვის. მის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა ნაღარა-ხანა – საგანგებო შენობა სამეფო სამხედრო მუსიკოსების გუნდისათვის. აქ იყო სიონისა და მაიდანის ტერიტორიისაგან გამმიჯნავი თაღოვანი შესასვლელი, რომლის ჭიშკარი ღამით იკეტებოდა

ქუთაისში იმერეთის სამეფო სასახლის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას წერილობითი წყაროები და ფრაგმენტულად შემორჩინილი ფაქტობრივი მასალა გვაძლევს. *ოქროს ჩარდახი*, როგორც უწოდებდნენ სამეფო რეზიდენციას, თბილისის მსგავსად მდინარის ნაპირზე ვაკე ადგილას მდებარეობდა. ის სხვადასხვა ფუნქციის შენობათა კომპლექსს ქმნიდა [ვ.ბერიძე, 1983:228-231]. გალავანშემოვლებულ ტერიტორიაზე სხვადასხვა დანიშნულების შენობებს შორის მთავარი იყო ე.წ. მცირე და დიდი სახლები, ასევე „სასადილო პალატი". აქვე იყო წმ. გიორგის სახელობის გუმბათიანი ეკლესია და სამრეკლო.

მცირე სახლი რიონის პერპენდიკულარულად იდგა და მდინარეზე

იყო გადამდგარი. პირველ სართულზე ოთხ რიგად მდგარი თორმეტი საყრდენი ერთმანეთთან თაღებით იყო დაკავშირებული. ბურჯები და კამარები ნატეხი და რიყის ქვით იყო ნაგები. მდინარის ადიდებისას წყალი ამ საყრდენებამდე აღწევდა. მეორე სართულზე დიდი დარბაზი იყო. მას სწორკუთხა სარკმელები ანათებდა. მისი კედლები ბატალური სცენებით იყო მოხატული. შენობა XVIII-XIX საუკუნეებში და შემდგომაც ძლიერ იყო გადაკეთებული.

დიდ სახლს სწორკუთხა გეგმა გააჩნდა. პირველ სართულზე მსახურთა საცხოვრებელი სამი კამაროვანი სათავსი იყო. მეორეზე სამეფო ოთახები ანფილადურად იყო განლაგებული. საჭიროების შემთხვევაში აქ სტუმრებსა თუ ელჩებსაც განათავსებდნენ. შენობა ერთი მხრიდან გალავანს ეკვროდა და ყრუ იყო, მხოლოდ სათოფურები გააჩნდა. ეზოს მხარეს 18 სარკმელი იყო გაჭრილი.

ე.წ.სასადილო პალატი წარმოადგენდა გრძელ ერთსართულიან შენობას, რომელიც ძველი სასახლეების მსგავსად დიდი თაღოვანი ღიადებით იყო გახსნილი. მდინარეს 25 თაღი გადაჰყურებდა. პალატის წინ ოთხ სვეტზე დაყრდნობილი ჩარდახი იდგა. აქ იყო ქვის მასიური მაგიდა, რომელთანაც მეფე საქმეებს აწარმოებდა და მთხოვნელებს იღებდა. ყურადსაღებია, რომ ამგვარი გადაწყვეტა სამეფო სასახლის კონცეფციაში დასავლეთ საქართველოს სამოსახლოში ეზოს აქტუალობას ეხმიანება, ხოლო მცირე სახლში ბურჯები – ოდებში ხიმინჯების გამოყენებას.

ამრიგად, გვიანი შუასაუკუნეების სამეფო სასახლეები საკმაოდ მრავალფეროვან სურათს ქმნის. ამ პერიოდში აგებდნენ როგორც ციხე-სახლის მსგავს კოშკურა-სასახლეს, ასევე სხვადასხვა გეგმარების სასახლეებს. ისინი უმეტესად არქიტექტურულ კომპლექსში იყო ჩართული თავდაცვითი, რელიგიური თუ დამხმარე-სამეურნეო ფუნქციების ნაგებობებთან ერთად. ცალკეულ ნიმუშებში ჩანს ძველი ტრადიციების გავლენა, თუმცა უფრო მკაფიოდ ვლინდება გვიანი შუა საუკუნეების პერიოდისათვის სახასიათო ახალი ტენდენციები. თვალსაჩინოა ირანის გავლენა საშენი მასალის, შეისრული ფორმების, მორთულობის ელემენტების გამოყენების და არქიტექტურულ-მხატვრული მიდგომების კუთხით. განსხვავებული, ადგილობრივი გარემო პირობების და სამშენებლო გამოცდილების შესაბამისი, გადაწყვეტა ჩანს ქუთაისის სასახლის

კომპლექსის გააზრებაში. სამწუხაროდ, შემორჩენილი ნაგებობების სიმცირე და დაცულობის დონე არ იძლევა სასახლეების ხუროთმოძღვრული სახის მთელი სისრულით წარმოდგენის საშუალებას. არსებული მონაცემების მიხედვით ყურადღებას იმსახურებს ისეთი არქიტექტურული თემებისა და ფორმების გამოყენება, როგორიცაა აივანი, შეისრული კამარა, ორდონიანი ღიადები, ნიშებით დანაწევრებული კედლები ინტერიერში და სხვა. საყურადღებოა წერილობით წყაროებში მოცემული ინფორმაცია ინტერიერის მრავალფეროვანი საშუალებებით მორთვის, სამეფო ბაღების გაშენების შესახებ, რაც სასახლეებში შექმნილ კომფორტულ და მდიდრულ გარემოზე მეტყველებს. ნათელია, რომ სამეფო სასახლეთა არქიტექტურული სტრუქტურა მთავარისა და დაქვემდებარებულის ურთიერთმიმართების, სივრცის ორგანიზების, ღიადების გააზრებული განაწილების თუ გარემოსთან კავშირის ეფექტურად გამოყენების პრინციპების გათვალისწინებით იყო აგებული.



50. ძაღინას სასახლე

რაც შეეხება გვიანი შუა საუკუნეების ფეოდალთა სასახლეებს, ისინი სამეფო სასახლეებზე რიცხობრივად მეტია, თუმცა სრული სახით არც ერთი არ არის შემორჩენილი [ვ.ბერიძე, 1983:233-254].

კოშკიანი სასახლის ნიმუშს წარმოადგენს ფალავანდიშვილების სასახლე ფრონეს ხეობის სოფ. *ძაღინაში*, შიდა ქართლში. აგურით ნაგები ერთსართულიანი შენობა უშუალოდ ებმის ხუთსართულიან კოშკს, რომელიც ფლეთილი ქვითაა აშენებული. სწორკუთხა გეგმის ნაგებობა (14მX23,3მ) ექვს ერთეულად არის დაყოფილი. ორ-ორ კვადრატულ ოთახს შორის დარბაზია წინ დიდი აივნით. ყველა ოთახი ერთმანეთში გამავალია და გარე კედლებში სარკმელები აქვს. გადახურვა კამაროვანია. კედლებს პილასტები და ნიშები ანაწევრებს. სავარაუდოა, რომ ინტერიერში მოხატულობა იყო. კოშკი უშუალოდ ებმის ნაგებობას და მას კვადრატულ ოთახში გაჭრილი კარით უკავშირდება. კოშკის ხუთივე სართულზე თითო ოთახია. სამს გუმბათოვანი

და კამაროვანი, ორს კი კოჭოვანი გადახურვა აქვს. სასახლის და კოშკის ყველა ოთახს ბუხარი გააჩნია. ის მხოლოდ კოშკის პირველ სართულზე არ არის. აქ მიწაში ქვევრებია და გათბობის საჭიროება არ იყო. ამ ოთახიდან ზედა სართულებში ადის კიბე, რომელიც კედლის სისქეშია მოქცეული. XVII საუკუნის ძაღინის სასახლემ დაზინაბული სახით მოაღწია, თუმცა გარე მასებში კარგად აღიქმება ჰორიზონტალური და ვერტიკალური მოცულობითი ფორმების კომბინაციით შექმნილი არქიტექტურული სახის გამომსახველობა.



51. ნულის სასახლი გეგმა

ნულის სასახლე ასევე ფრონის ხეობაში მდებარეობს. ის, ისევე როგორც ეკლესია, კოშკები, საცხოვრებელი სახლები და სხვა ნაგებობები, გალავნის ფარგლებშია მოქცეული. ძლიერ დაზიანებული სასახლე წარმოადგენდა სწორკუთხა გეგმის ნაგებობას, რომელშიც ერთმანეთთან კუთხით გადაბმული 50 კვ.მ დარბაზი და კვადრატში მოქცეული რვაწახნაგა ოთახი იყო გაერთიანებული. დანარჩენი ფართობი ორ აივანს ეკავა. გადახურვა კამაროვანი იყო. დარბაზის კედლები შეისრული ნიშებით იყო დანაწევრებული. ამ სასახლეს, სავარაუდოდ, არა საცხოვრებელი, არამედ სადღესასწაულო ფუნქცია ჰქონდა.

საკმაოდ რთული გეგმარება გამოარჩევს *კოდისწყალის სასახლეს*, რომელიც დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მჭადისჯვრის მიდამოებში, მდინარე ნარეკვავის ზემო წელში მდებარეობს. ორსართულიანი ნაგებობა ძლიერაა დაზინებული. მეორე სართული თითქმის აღარ შემორჩა. აგურით ნაგებ შენობას სწორკუთხა (8,5მX15მ) გეგმა აქვს. განირჩევა შვიდი სათავსი. მათგან სამი მოზრდილი დარბაზია. ხუთ ოთახში თითო ბუხარია, ხოლო დიდ დარბაზში ორი. კედლები შეისრული თაღებითაა დანაწევრებული. გამოყენებული იყო ორმაგი სარკმელები. გადახურვა კამაროვანი იყო. კამარასაც შეისრული ფორმა ჰქონდა. მეორე სართულზე ორი კიბე მიემართებოდა – ერთი კედლის გარედან, მეორე კი კედლის სიღრმეში. სასახლის გვერდით, ათიოდ მეტრში, იდგა პირამიდული კოშკი, რომლიც სასახლესთან ერთიან ანსამბლს ქმნიდა.

გვიანი შუა საუკუნეების სხვა სასახლეებს შორის აღსანიშნავია 1774-77 წლებში აგებული ერეკლე II-სთან დაახლოვებული სასულიერო მოღვაწის, მიტროპოლიტ *საბა ტუსისშვილის სასახლე*, რომელიც ნინოწმინდის ტაძრის გვერდით მდებარეობს და სამონასტრო კომპლექსის სასახლის ნიმუშს წარმოადგენს. ეს ძეგლი შედარებით კარგად არის დაცული, რაც არქიტექტურულ-მხატვრული იერსახის წარმოჩენის საშუალებას იძლევა.

სასახლე ნინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, კოშკსა და XVI საუკუნის ოთხსართულიანი აგურის სამრეკლოს შორის მონაკვეთში დგას. ქვაყორით ნაგებ ორსართულიან ნაგებობას სწორკუთხა გეგმა აქვს. პირველ და მეორე სართულზე ცენტრში დარბაზი, ხოლო მის გვერდებზე თითო ოთახია. მეორე სართულის დარბაზის წინ ღია ხის აივანია მოწყობილი. პირველი სართულის სამივე სივრცე ერთმანეთთან კარებებითაა დაკავშირებული და ფასადის მხრიდან ცალ-ცალკე შესასვლელი აქვს. ამ სართულზე ბუხარი დარბაზსა და ერთ ოთახშია. სარკმელები მხოლოდ ეზოს მხარესაა გაჭრილი, რადგან შენობა ზურგით გალავანს ებმის. პირველ სართულზე ისინი უფრო მცირე ზომისაა, ხოლო მეორეზე ორმაგი სარკმლებია. მათ, ისევე როგორც თახჩებს, გვიანი შუასაუკუნეების უმეტესი სასახლეებისაგან განსხვავებით არა შეისრული, არამედ სწორკუთხა ფორმა აქვთ. კედლები ინტერიერში კარგად იყო შელესილი. გადახურვა არა კამაროვანი, არამედ ძელურია. ორივე სართულზე ხის ჭერი დეკორატიულად არის დამუშავებული. მოჩუქურთმებულია ასევე განჯინების კარებები. მორთულობის ეს საშუალებები მაღალ დონეზეა შესრულებული და ინტერიერს განსაკუთრებულ სიმყუდროვესა და მომხიბვლელობას სძენს.



52. ტუსიშვილის სასახლის გეგმა

ამრიგად, გვიანი შუა საუკუნეების ფეოდალთა სასახლეებში დიდი ყურადღება ექცევა სათავდაცვო კომპონენტს, რაც ამ ეპოქის მძიმე ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებით არის განპირობებული.

გავრცელებულია ერთ და ორ სართულიანი ნაგებობი, რომლებშიც დარბაზები და მომცრო ოთახები ანფილადურადაა განლაგებული. გვხვდება ორმაგი ანფილადებიც. გათბობის პრობლემა ბუხრების მეშვეობით არის გადაწყვეტილი. ამ ნაგებობებში, ისევე როგორც სამეფო სასახლეებში, ნათლად იგრძნობა ირანული გავლენა. ამ მხრივ გამორჩეულია XVIII საუკუნის 70-იანი წლების საბა ტუსიშვილის სასახლე, რომელშიც მეტი კავშირი ჩანს როგორც ძველ ტრადიციებთან, ასევე შემდგომში ფორმირებულ ტენდენციებთან.

XIX საუკუნეში საქართველო რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა. ახალმა რეალობამ შეცვალა როგორც ისტორიულ-პოლიტიკური, ასევე კულტურული კონტექსტი, რამაც არსებითი გავლენა იქონია ხუროთმოძღვრების განვითარებაზე. ყოველივე ამან ძირეულად შეცვალა სიტუაცია სასახლეების მშენებლობის თვალსაზრისითაც. ცვლილებები შეეხო როგორც მშენებლობების დამკვეთებს, ასევე შემსრულებლებს. საქართველოს მეფეთა ნაცვლად სასახლეებს რუსეთის მეფისნაცვლისა და იმპერატორის ოჯახის წევრებისთვის აგებდნენ. შემსრულებლებიც უცხოეული არქიტექტორები იყვნენ. ამდენად, XIX საუკუნეში აგებული სასახლეები ძირითადად ამ პერიოდში ფართოდ გავრცელებული სხვადასხვა ევროპულ სტილში იგებოდა, თუმცა გვხვდება ადგილობრივი ტრადიციების თუ აღმოსავლური მოტივების გამოყენების მაგალითებიც.

XIX საუკუნის მნიშვნელოვან სასახლეებს განეკუთვნება მთავარმართეველის სასახლე თბილისში და დადიანების სასახლეები ზუგდიდში. პირველი მათგანი 1845-47 წლებში კლასიცისტურ (არქ. სემენოვი) სტილში აიგო. მის ფასადს ფრონტონი და კოლონადა ამშვენებდა. ეს ნაგებობა 60-აინ წლებში რენესანსულ სტილში არქიტექტორ ოტტო სიმონსონის პროექტის მიხედვით გადააკეთეს. აღსანიშნავია, რომ აქ სარკეებიან დარბაზში ირანული მოტივებიც იყო გამოყენებული. ზუგდიდში დადიანების დედოფლისეული სასახლე XIX საუკუნის 60-აინ წლებში გერმანელი არქიტექტორის რაისის მიერ ნეოგოთურ სტილში იყო გადაწყვეტილი. იქვე მდებარე ნიკო დადიანისეული სასახლე (არქ. ლ. ვასილიევი) ბევრად სადად არის გადაწყვეტილი. მას ქვის აივანი ამშვენებს და დიდი სამეჯლისო დარბაზი აქვს. ამ ეპოქის არა ერთი სასახლეა შემორჩენილი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ასეთია მაგალითად,

ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლე წინანდალში, მუხრანტატონების სასახლე მუხრანში, XIX საუკუნეში გადაკეთებული ერისთავების სასახლე ახალგორში და სხვ.

ამრიგად, საქართველოში სასახლეების არქიტექტურა, ძეგლების სიმცირის და ცუდი დაცულობის მიუხედავად, უაღრესად საინტერესო მონაცემებს გვაწვდის ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ტენდენციების, ცალკეული ეპოქების სახასითო მიდგომების, ადგილობრივი ტრადიციების თუ კულტურული გავლენების შესახებ.

.....

გ.აბრამიშვილი, პ.ზაქარაია, ი.ციციშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 2000;

ა.აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბილისი, 1963;

ვ. ბერიძე, XVI-XVII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1983;

ა. ბოხოჩაძე, ძალისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სასახლე, აბსიდიანი ნაგებობა და საცირაო აუზი, ჟ.ძეგლის მეგობარი, №4, თბილისი 1987, გვ 25-30;

დ.ვაჩნაძე, კახეთის სასახლეთა ხუროთმოძღვრება (IX-XII საუკუნეები), სადისერტაციო მაცნე, თბილისი, 1990;

პ.ზაქარაია, თ.კაპანაძე, ციხეგოჯი-ნოქალაქევი-არქეოლოპოლისი ხუროთმოძღვრება, თბილისი 1991;

ჯ. კოპალიანი, დმანისის ციხე, თბილისი, 1996;

ლ. რჩეულიშვილი, თელავი, თბილისი, 1983;

ვ.წილოსანი, გეგუთი, ციხე-დარბაზი, კრ.შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1938.

კ.ხიმშიაშვილი, არმაზისხევის ანტიკური ხანის ნაგებობანი, ჟურ.ლიტერატურა და ხელოვნება, №1-2, თბილისი, 1992,გვ.102-109;

ჯ.კოპალიანი, დმანისის ციხე, თბილისი, 1996;

Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тб.1956

საფორტიფიკაციო ნაგებობები

საერო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საფორტიფიკაციო არქიტექტურა, რომელიც თავდაცვითი ნაგებობების სხვადასხვა სახეობას აერთიანებს. საკუთარი სიცოცხლისა და ქონების დაცვა ადამიანისათვის ყოველთვის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა. ამდენად, ამ პრობლემაზე ზრუნვა უადრესი საცხოვრებლების აგებისთანავე იწყება და კონკრეტული გამოწვევების შესაბამისად მიმდინარეობს. ყოველ მომდევნო ეპოქაში ჩნდება თავდაცვის ახალი, უფრო დახვეწილი და ქმედითი ხერხები თუ ფორმები. ათასწლეულების განმავლობაში თავდაცვითი საკითხები საფორტიფიკაციო ნაგებობების მეშვეობით ინდივიდუალური, ურბანული თუ სახელმწიფოებრივი მასშტაბით ხორციელდებოდა. დღესაც, მაღალი ტექნოლოგიების ხანაში, როდესაც უახლესი მიღწევების გამოყენებით შექმნილია დაცვის მრავალრიცხოვანი და მრავალგვარი საშუალებები, არქიტექტურული კომპონენტი ისევ რჩება ამ ამოცანის გადაჭრის მნიშვნელოვან საშუალებად.

დროთა ვითარებაში საფორტიფიკაციო არქიტექტურა ზოგადად ხუროთმოძღვრების განვითარების პარალელურად იცვლებოდა და იყენებდა ახალ სამშენებლო მასალებს, ტექნიკურ მიღწევებს თუ საინჟინრო-კონსტრუქციულ ნოვაციებს. ამავდროულად, მისი ტრანსფორმირების და სახეცვლის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს საბრძოლო იარაღისა და საშუალებების განვითარება წარმოადგენდა. ახალი საბრძოლო იარაღი შესაბამისი თავდაცვის საშუალებებს საჭიროებდა, რაც საფორტიფიკაციო ნაგებობების დაგეგმარების, განლაგების თუ ფორმის ცვლილებას განაპირობებდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონება, რამაც თავდაცვით ნაგებობებში ძირეული ცვლილებების განხორციელება განაპირობა.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ახალი საბრძოლო საშუალებების შექმნასა და იარაღის სრულყოფას უკავშირდება არა მხოლოდ საფორტიფიკაციო არქიტექტურის განვითარების, არამედ ქალაქებში თავდაცვითი ზღუდეების მოშლის და სწრაფი ურბანული განვითარების პროცესიც. შუა საუკუნეების ქალაქისათვის სახასიათო თავდაცვის სისტემა გალავნებით,

კოშკებით, ასაწევი ხიდებით თუ სხვა საშუალებებით, XIX საუკუნისათვის არარაციონალური და ახალი გამოწვევებისათვის შეუსაბამო გახდა. საბრძოლო საშუალებების განვითარების შედეგად ქალაქმშენებლობით პროცესში საფორტიფიკაციო არქიტექტურამ დაკარგა აქტუალობა და პირვანდელი ფუნქცია. ამიტომ უმრავლეს შემთხვევაში მოინგრა ქალაქის კედლები, რამაც ურბანულ განვითარებას და ქალაქების სწრაფ ზრდას შეუწყო ხელი. იქ, სადაც ისინი შემორჩა, ძველი გალავანი უმეტესად ისტორიული ნაწილის შემომსაზღვრელ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად და ტურისტულ ობიექტად იქცა.

საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საფორტიფიკაციო არქიტექტურის არა ერთი ძეგლია შემორჩენილი. ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობა, ისტორია, ლანდშაფტური მონაცემები ხუროთმოძღვრების ამ სფეროს განვითარებას და ძეგლების მრავალფეროვნებას განაპირობებდა. აღმოსავლეთი და დასავლეთი ცივილიზაციების მიჯნაზე მდებარე საქართველო საუკუნეების განმავლობაში ძირითადი პოლიტიკური მოთამაშეების ინტერესის და, ხშირად, თავდასხმის ობიექტს წარმოადგენდა. ქვეყნის ერთ-ერთ ისტორიულ ფუნქციას მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების დაცვა და კავკასიის ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელი გზების კონტროლი წარმოადგენდა. სასიმაგრო ნაგებობების მშენებლობა გარე თუ შიდა საფრთხეებისაგან თავდასაცავად სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა. ამ სათავდაცვო ამოცანების განხორციელება სხვადასხვაგვარ გეოგრაფიულ პირობებში – მთასა თუ ბარში, ხეობებსა თუ გაშლილ ველებზე, ჭაობიან თუ კლდოვან ადგილებში იყო საჭირო. ამასთან, თითოეულ რეგიონებში სხვადასხვა საშენი მასალის რესურსი არსებობდა. ეს გარემოებები საქართველოში საფორტიფიკაციო ნაგებობების მრავალგვარი ფორმების გავრცელებას უწყობდა ხელს.

სასიმაგრო ნაგებობი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზეა შემორჩენილი. თითქმის ყველა სოფელსა თუ ნასოფლარში, ძველ დასახლებაში სათავდაცვო ნაგებობა დგას ან მისი რაიმე კვალია დადასტურებული. სამწუხაროდ, ამ ნაგებობების აბსოლუტური უმრავლესობა ნანგრევების, ზოგჯერ კი მცირე ფრაგმენტების სახით არის შემონახული. ამასთან, მათ მრავალი შეკეთებისა და გადაკეთების კვალი ეტყობა. ამის მიზეზი თავად

ნაგებობების ფუნქციას უკავშირდება. ისინი თავდაცვისათვის, შესაბამისად აგრესიისა და მომხდურის შემოსევის შესაჩერებლად ანუ იმთავითვე შესაძლო დანგრევა-დაზიანებისათვის იყო გამიზნული. პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე საბრძოლო მოქმედებებისას დაზიანების შემთხვევაში აღდგენაც ხშირად მაქსიმალურად მოკლე დროში და მხოლოდ არსებული რესურსით ხდებოდა. ყოველივე ეს ნაგებობის თავდაპირველი სახის ხშირ ცვლილებას განაპირობებდა.

საკულტო თუ საერო ხუროთმოძღვრების სხვა ნიმუშებისგან განსხვავებით საფორტიფიკაციო ნაგებობებში, ფუნქციიდან გამომდინარე, მორთულობის ელემენტები თითქმის არ გამოიყენება. ამდენად, ცუდი დაცულობა, მრავალჯერადი გადაკეთება, მხატვრულ-დეკორატიული ელემენტების არქონა არქიტექტურულ-სტილისტური ანალიზისის დროს ძეგლების ზუსტი დათარიღების პრობლემას ქმნის და ართულებს მათ კვლევას. მიუხედავად ამისა, სამშენებლო-კონსტრუქციული და ძეგლების დანიშნულების შესაბამისი ამოცანების გადაწყვეტის საკითხების შესწავლა მთელი რიგი მახასიათებლების წარმოჩენის საშუალებას იძლევა. საქართველოში საფორტიფიკაციო ნაგებობებს ათწლეულების განმავლობაში შეისწავლიდა პარმენ ზაქარაია, რომელმაც ამ თემას არა ერთი გამოკვლევა მიუძღვნა.

საზოგადოდ, საფორტიფიკაციო ნაგებობის მშენებლობისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადგილმდებარეობის შერჩევას, ნაგებობის კონსტრუქციულ სიმტკიცეს, რაციონალურ დაგეგმარებას, სამშენებლო სამუშაოების ჩატარების დონეს. განსხვავებული თავდაცვითი ამოცანების შესასრულებლად იგება გარკვეული ტიპის ნაგებობები. ამასთან, სხვადასხვა ლანდშაფტის პირობებში შესაბამისი თავდაცვითი საშუალებებია ეფექტური.

საქართველოში დადასტურებული ძეგლები ნათლად მეტყველებს, რომ საუკუნეების განმავლობაში აქ მრავალფეროვანი გამოცდილება დაგროვდა. გვხვდება სხვადასხვა ეპოქის კონკრეტული ობიექტების თავდაცვის თუ ერთიანი საფორტიფიკაციო სისტემების ეფექტური გააზრების მაგალითები.

საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტების გამაგრების ნიშნები ძვ.წ. III ათასწლეულის უძველეს ნასახლარებში (მაგ.: ხიზანაათგორა,

ქვაცხელები და სხვ.) ვლინდება. აშკარად ჩანს ადგილმდებარეობის საგანგებოდ შერჩევის და შემაღლებული ადგილების ბუნებრივ ზღუდედ გამოყენების მცდელობა.

ძვ.წ. II ათასწლეულის მიწურულიდან იწყება მეგალითური ნაგებობების მშენებლობა, რაც უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. უზარმაზარი ლოდები მშრალი წყობით არის ნაგები. როგორც ცნობილია ამგვარ ე.წ. ციკლოპურ ნაგებობს ძვ.წ. III-II ათასწლეულში აგებდნენ სხვადასხვა ქვეყანაში. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილია დიდ ბრიტანეთსა თუ ხმელთაშუაზღვისპირეთში დადასტურებული ნიმუშები. საქართველოში მეგალითური ციხეების გავრცელების არეალი ძირითადად ქვემო ქართლია, რაც აქ ქვის მასალის სიმრავლესთან არის დაკავშირებული.

რკინის სამუშაო იარაღების შემოღებამ და სრულყოფამ დიდად შეუწყო ხელი ზოგადად სამშენებლო საქმის და, კონკრეტულად, საფორტიფიკაციო არქიტექტურის განვითარებას. რკინის ხელსაწყოები, სასიმაგრო მშენებლობებისათვის გამოსადეგი, მაგარი ქვის ჯიშების დამუშავების, სასურველ ზომების კვადრების დამზადების შესაძლებლობას იძლეოდა. რაც შეეხება საფორტიფიკაციო ნაგებობების ორგანიზებული სისტემის ფორმირებას, საქართველოში ეს პროცესი სახელმწიფოებრიობის და ქალაქური ცხოვრების ჩამოყალიბებას უკავშირდება. ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან ადამიანური და მატერიალური რესურსების სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად მართვის შესაძლებლობამ ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის პირობა შექმნა.

საქართველოში ქვა საფორტიფიკაციო ნაგებობების ძირითად მასალას წარმოადგენდა. წინაქრისტიანულ ხანაში მშრალი წყობა, კვადრების პირონებით დაკავშირება, ქვის წყობაზე ალიზის აგურით კედლების აგება ფართოდ იყო გავრცელებული. სამშენებლო სამუშაოების წარმოება განსაკუთრებით ეფექტური გახდა ძვ.წ. III-II საუკუნეებიდან კირის დულაბის გავრცელების შემდეგ.

საფორტიფიკაციო ნაგებობების აგებისას ქვის გარდა გამოიყენებოდა ხე. ტყეებით მდიდარ კოლხეთში ის ძირითად საშემ მასალას წარმოადგენდა. ხის მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე ამგვარი ნაგებობების შესახებ ფაქტობრივი მონაცემები მწირია. თუმცა მათ ჯერ კიდევ ანტიკური ავტორები მოიხსენიებდნენ. მაგალითად, ძვ.წ. IV საუკუნის ავტორი

ქსენოფონტი მიუთითებს, რომ კოლხეთში –“აღმართული იყო ზღუდე-მესერი მრავალი ხის კოშკით” (ანაბასისი V.2.5.).

ვანის მუნიციპალიტეტის სოფ. მთისძირში, ადეიშვილების გორაზე არქეოლოგიური გათხრებისას გამოვლენილი ძვ.წ. IV საუკუნის ნაგებობა გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ხის ძელებით ნაგებ სათავდაცვო ძეგლებზე. მთისძირის ნაგებობის საძირკველი კლდის სტრუქტურაში იყო ჩართული. მდგრადობისათვის მოხერხებულად იყო გამოყენებული ბუნებრივი რელიეფი. ქვის ცოკოლზე აღმართულ ძელურ-ბათქაშიან კოშკურა ნაგებობას აშკარად თავდაცითი ფუნქცია გააჩნდა და მაღლობიდან აკონტროლებდა მიმდებარე ტერიტორიას [გ.გამყრელიძე,1982].



53. მთისძირის კოშკურა ნაგებობა

შუა საუკუნეებიდან იწყება ახალი ეტაპი ზოგადად ხუროთმოძღვრებასა და, კონკრეტულად, საფორტიფიკაციო არქიტექტურაში. ახალი ისტორიულ-პოლიტიკური თუ სოციალური ვითარების შესაბამისი ამოცანები და ახალი სამშენებლო მიდგომები გავლენას ახდენს სასიმაგრო ხუროთმოძღვრებაში მიმდინარე პროცესებზე. აღმშენებლობის თვალსაზრისით გამოირჩევა ვახტანგ გორგასალის ხანა. ამ დროს მისი გატარებული რეფორმების წყალობით მასშტაბური მშენებლობები მიმდინარეობს მთელი საქართველოს ტერიტორიაზე. შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი IX-X საუკუნეებია, როდესაც შენდება ახალი ფეოდალური ურთიერთობების შესაბამისი ქალაქები და სასიმაგრო სისტემები. ამ დროს იზრდება ნაგებობათა მასშტაბი, თუმცა ფორმები და კონსტრუქციები არსებით ცვლილებებს არ განიცდის. საქართველოს გაერთიანების და ძლიერი სახელმწიფოს ფორმირების შედეგად ყალიბდება ქვეყნის თავდაცვის ერთიანი სისტემა.

ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, საქართველოშიც ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელება რადიკალურ ცვლილებებს იწვევს საფორტიფიკაციო არქიტექტურაში. ეს პროცესი XVI საუკუნიდან იწყება და ყველა ტიპის

ნაგებობაში შესაბამის ცვლილებებს განაპირობებს. თუ აქამდე ნაგებობები გათვლილი იყო იმაზე, რომ მეციხოვნეებს მშვილდის მოხერხებულად სროლის საშუალება ჰქონოდათ, სალოდეების საშუალებით სიმაღლიდან მტრისთვის ლოდები დაეშინათ, თავად კედლებს კი სპეციალური ლოდსატყორცნების შეტევისათვის გაეძლოთ, ეხლა სიტუაცია ძირეულად შეიცვალა. ახალი, ეფექტური საბრძოლო იარაღი, თოფი, ფართოდ გავრცელდა, რადგან მისი უპირატესობა თვალსაჩინო იყო. შესაბამისად სასიმაგრო ნაგებობიდან თოფის სასროლად განსხვავებული პირობების შექმნა გახდა საჭირო. სქელ კედელში გაჭრილ ვიწრო ღიადში დამიზნება ჭირდა. ამიტომ კედლის სისქეში ხშირად საგანგებო უბეებს აკეთებდნენ, საიდანაც მსროლელი უკეთ ამოიღებდა მიზანში მტერს. ამ მიზეზით ზოგადად კედლების სისქე ნელ-ნელა შემცირდა. სასიმაგრო სტრუქტურაში სათოფე მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა. მისი ჭრილი თავდაპირველად ცალმაგი, შიდა მხარეს განიერი, გარედან ვიწრო იყო. თოფის ფართოდ გავრცელების კვალდაკვალ გაიზარდა სათოფეების რიცხვი და გართულდა მისი ჭრილი. სათოფემ ყველაზე სრულყოფილ სახეს XVIII საუკუნეში მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ქართლ-კახეთში სათოფეების უფრო მრავალფეროვანი ფორმები გვხვდება, ვიდრე ქვემო ქართლსა და დასავლეთ საქართველოში.

სათოფეების შემდეგ ჩნდება საზარბაზნეები. თუ სათოფეები თითქმის ყველა ტიპის საფორიფიკაციო ნაგებობაში გვხვდება, საზარბაზნეები დიდ სასიმაგრო სისტემებში გამოიყენებოდა, რადგან ზარბაზნის შეძენა და მისი ტრანსპორტირება სირთულეს წარმოადგენდა. საზარბაზნეები ორგვარია. სარკმლისმაგვარ ხვრელობს აქვს პარალელური ან სამკუთხა გვერდები.

ამრიგად, XVI-XVIII საუკუნეებში გვხვდება სათოფე და საზარბაზნე. ამას გარდა ისევ იყენებენ სალოდეებს ანუ მაშიკულებს. მათი მეშვეობით ლოდების გარდა მომხდურების თავზე ადუღებულ ფისს ან წყალს ასხავდნენ.

სასიმაგრო ნაგებობაში ცეცხლსასროლი იარაღის სასროლი ადგილის მოწყობის გარდა ცვლილებები შეეხო სიმაგრეთა გეგმარებას და ტიპებს. ახალმა საბრძოლო საშუალებებმა მოითხოვა ახალი ფორმები. მაგალითად კუთხოვანი კოშკების ნაცვლად დაიწყეს წრიული გეგმის კოშკების შენება. ასეთი გადაწყვეტა კოშკში მყოფებს თოფის შესაძლებლობების უკეთ გამოყენების და უფრო ფართო არეალის გაკონტროლების საშუალებას

აძლევდა. იცვლება კოშკის სართულების შიდა გადაწყვეტაც. ციხეთა გალავნებში სხვადასხვა საბრძოლო საჭიროებისათვის შიდა მხრიდან ეწყობა რამდენიმე იარუსი ან ბაქანი.

აღსანიშნავია, რომ ამ ეპოქამდე სასიგნალო სისტემის მოქმედება ძირითადად ვიზუალურ აღქმაზე იყო გათვლილი. მტრის მოახლოვებას სპეციალური სასიგნალო კოშკების თავზე კოცონის ანთებით ატყობინებდნენ. გვიან შუა საუკუნეებში საფრთხის შესახებ უფრო ხშირად თოფის ან ზარბაზნის გასროლით აგებინებდნენ.

საქართველოში XVI-XVIII საუკუნეების მრავალი საფორტიფიკაციო ნაგებობა შემორჩა. ამას აპირობებს არა მხოლოდ ის, რომ ისინი უკეთ შემოინახა ვიდრე ადრეული ხანის ძეგლები, არამედ ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებაც. გვიან შუასაუკუნეებში, საქართველოს დაშლისა და დასუსტების პერიოდში თავდაცვით ღონისძიებებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებიდა. ამიტომ აიგო მრავლი სასიმაგრო ნაგებობა და შეიქმნა ახალი სახეობები.

საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ჩამოყალიბდა საფორტიფიკაციო ნაგებობების რამდენიმე ძირითადი სახეობა, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში იყო გავრცელებული. ესენია: მეგალითური (ციკლოპური) ციხე, ციხე-ქალაქი, ციხე-სიმაგრე, ციხე-დარბაზი, ციხე-გალავანი, ციხე-სახლი, კოშკი.

მეგალითური ციხე – მასშტაბურ სასიმაგრო ნაგებობას წარმოადგენს. ამგვარი ნაგებობების მშენებლობა საქართველოში ძვ.წ. II–I ათასწლეულებში ივარაუდება. ციხეები ე.წ. ციკლოპური ანუ მშრალი წყობით არის ნაგები. მშენებლობისას დიდი ზომის ქვის ლოდებია გამოყენებული. ზოგიერთის სიმაღლე ორ-სამ მეტრს აღწევს. ქვებს დამუშავების კვალი არ ეტყობა. ისინი ბუნებაში არსებული სახითაა გამოყენებული. კედლის წყობა ორი სახისაა. ერთ შემთხვევაში კედელი სხვადასხვა ზომის და ფორმის ქვების ერთმანეთზე დაწყობით არის



54. ნორდევანის ციხის გეგმა

აგებული. მეორე შემთხვევაში კედლის სისქის გარე და შიდა წყობა შედარებით დიდი ზომის ქვებით არის ამოყვანილი, ხოლო მათ შორის მანძილი მომცრო ზომის ნატეხი ქვითაა ამოვსებული. კედლები, როგორც წესი განიერია, 1,5 მეტრიდან 3,5 მეტრამდე აღწევს. ნორდევანში მათი სისქე 4,5 დან 6 მეტრამდეა.

მეგალითური ციხეები საკმაოდ დაზიანებული სახითაა შემორჩენილი. ისინი უმეტესად შემაღლებულ გორაზე ან მთის წვერზე (მაგ.:ავრანლო) მდებარეობს. იმ შემთხვევაში თუ ციხე ფერდობზეა აშენებული, მისი კედლები აირუსებადაა განლაგებული. მეგალითური ციხე გეგმაში არაწესიერი წრიული ან სწორკუთხა ფორმისაა. გალავნის კედელში შესასვლელია. არ არის დაფიქსირებული სატრანსპორტო ჭიშკრის არსებობა.

მეგალითური ციხეების ასაშენებლად დიდძალი ქვის მასალა იყო საჭირო. დიდი ზომის ქვების ტრანსპორტირება დიდ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ამდენად, ქვის რესურსის არსებობა გადამწყვეტი იყო ამგვარი ნაგებობის მშენებლობისათვის. ქვემო ქართლში ქვა ბუნებრივად მრავლად მოიპოვება. ამიტომ აქ ბევრი მეგალითური ციხეა შემორჩენილი.

მეგალითური ციხეებს განეკუთვნება ნორდევანი, გოხნარი, ბეშთაშენი, გუმბათი, ავრანლო, ჩხიკვთა, აბული და სხვა.

ციხე-ქალაქი – საქართველოში საფორტიფიკაციო ნაგებობის ყველაზე მასშტაბურ ობიექტს და ქალაქის ტიპის დასახლების თავდაცვით სისტემას წარმოადგენს. მისი წარმოშობა საქართველოში ქალაქების ფორმირებას უკავშირდება და ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან იღებს სათავეს.

ქალაქისათვის ადგილმდებარეობის შერჩევას ან დასახლებული პუნქტის ქალაქად გადაქცევის პროცესს მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავდაცვის ორგანიზებისათვის შესაფერისი პირობების არსებობა იყო. წინაქრისტიანულ და შუა საუკუნეების ქალაქებში ეს კომპონენტი არსებით როლს ასრულებდა. საქართველოს ლანდშაფტურ-გეოგრაფიული მოცემულობა ამ თვალსაზრისით მრავალფეროვანი არჩევანის საშუალებას იძლეოდა. ხელსაყრელი იყო ისეთი ადგილის შერჩევა, რომლიც ერთი ან მეტი მხრიდან ბუნებრივად იყო დაცული. ქალაქის თავდაცვის უზრუნველყოფა

ზღუდეებისა და კოშკების სისტემის მეშვეობით ხორციელდებოდა.

ქალაქს, როგორც წესი, შემოვლებული ჰქონდა გალავანი. გააჩნდა დიდი, კარგად დაცული ჭიშკარი ქარავნების, ჯარისა და სატრანსპორტო საშუალებისათვის (ურემი, ეტლი, საზიდარი და სხვ.). დიდ ქალაქებში ერთზე მეტი ჭიშკარი იყო. ამას გარდა მომცრო ზომის კარი ფეხით მოსიარულეთათვის იყო განკუთვნილი. ქალაქის ტერიტორიაზე მდებარეოდა ციტადელი ანუ შიდა ციხე, რომელიც საგანგებოდ იყო გამაგრებული. ციტადელი, ხშირ შემთხვევაში, შემაღლებულ ადგილზე იყო და აკონტროლებდა ქალაქის უბნებს.

ციხე-ქალაქების ტიპი და გამაგრების სისტემა ეპოქის შესაბამისად იცვლებოდა. მათ სახეცვლას განაპირობებდა ერთის მხრივ ახალი სამშენებლო საშუალებების და ნოვაციების დანერგვა, მეორეს მხრივ საბრძოლო მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის აღდგენის შედეგი. რიგ შემთხვევებში საფორტიფიკაციო სისტემა იმდენად ნადგურდებოდა ან დროულად ვერ ხერხდებოდა აღდგენითი ღონისძიებების გატარება, რომ ციხე-ქალაქი ნელ-ნელა წყვეტდა არსებობას.

წინაქრისტიანული ხანის ციხე-ქალაქების შესახებ გარკვეული წარმოდგენა მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გვაქვს. წერილობითი წყაროებიდან ცნობილი ზოგიერთი ქალაქის ლოკალიზება ჯერჯერობით გართულებულია. აღსანიშნავია, რომ პირველ ცნობებს საქართველოში გამაგრებულ დასახლებებზე გვაწვდის ძვ.წ. IV საუკუნის ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტი, რომელმაც ბერძნულ შენაერთთან ერთად ამ ტერიტორიაზე გაიარა. ის თავის „ანაბაზისში" მიუთითებს ხის მასალით აგებული ზღუდეებისა და კოშკების შესახებ, ასევე მაღალ მიუვალ კლდეებზე აშენებული გალავნების შესახებ, რომლებიც, უთუოდ, ქვის იყო, და აქ მოსახლეობა აფარებდა თავს. აღნიშნავს იმასაც, რომ ქალაქებს გარშემო საგანგებო თხრილები ჰქონდა [თ.მიქელაძე,1967:80-85].



55. არმაზციხე

რაც შეეხება ფაქტობრივ

მონაცემებს, წინაქრისტიანული ხანის საკმაოდ შთამბეჭდავი სასიმაგრო ნაგებობები შემორჩა მაგალითად, მცხეთის არმაზციხეში, ვანში, ნოქალაქევში. რომაული კასტელუმებია დადასტურებული ბიჭვითაში, გონიოში და სხვ.

ადრეული შუა საუკუნეების ციხე-ქალაქებს განეკუთვნება მაგალითად უჯარმა, ურბნისი, რუსთავი, არტანუჯი, ნოქალაქევი, შორაპანი, და სხვ. შუა საუკუნეებში საკმაოდ რთული თავდაცვითი სისტემა გააჩნდა არა ერთ ქალაქს, მათ შორის თბილისს, ქუთაისს, გორს, თელავს და სხვ.

ციხე-სიმაგრე ერთ-ერთ ძირითად თავდაცვით ნაგებობას წარმოადგენს. საქართველოში შუა საუკუნეებში აგებული მრავალი ნიმუშია შემორჩენილი. სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი ნანგრევების სახითაა მოღწეული და ძლიერი გადაკეთების კვალი ეტყობა. ციხე-სიმაგრეებს აგებდნენ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში, საზღვრის მიმდებარედ, მთავარი სავაჭრო-საკომუკაციო გზების თუ გზაჯვარედინების მახლობლად, ხეობების ჩასაკეტად და სხვ. მათ ჰქონდა როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ასევე ლოკალური თავდაცვის ფუნქცია. მის აგებას და ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა სამეფო ხელისუფლება ან ადგილობრივი ფეოდალი. ციხე-სიმაგრე წარმოადგენდა სახელმწიფოს თავდაცვითი სისტემის საფორტიფიკაციო ქსელი ნაწილს და საერთო მტერთან ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ქვეყნის ერთიანობისა და ძლიერების ხანაში ციხე-სიმაგრეების მშენებლობას ძირითადად სამეფო ხელისუფლება ახორციელებდა და თავდაცვითი სისტემა მეფის სამსახურში იყო. ფეოდალთა მიერ საკუთარი სახსრებით აგებული ციხე-სიმაგრეებიც ერთიანი სისტემის ინტერესებს ემსახურებოდა.

საფორტიფიკაციო ქსელში ციხე-სიმაგრეებთან ერთად კოშკები და სხვა საშუალებები იყო ჩართული. სისტემის ეფექტურობას მათი გააზრებული განლაგება, ურთიერთკოორდინაცია და კომუნიკაცია განაპირობებდა. სისტემის ძირითად ობიექტებს ციხე-სიმაგრეები წარმოადგენდა. მათ შორის სასიგნალო კოშკები იყო განლაგებული. მოქმედებდა ინფორმაციის სწრაფად გადაცემის წესები. მალემსრბოლელების გარდა გამოიყენებოდა სასიგნალო კოცონი. გვიან შუა საუკუნეებში საფრთხის მოახლოვებას თოფისა და ზარბაზნის მეშვეობით ატყობინებდნენ.

ციხე-სიმაგრეები უმეტესად ძნელად მისადგომ ადგილებში იყო

განლაგებული, რათა მტერს აღება გასჭირვებოდა. საქართველოში დადასტურებული ნიმუშები ნათლად მეტყველებს, რომ მათი აღმშენებლები კარგად იყენებდნენ რელიეფის თავისებურებებს და ამ მხრივ დიდი გამოცდილება იყო დაგროვილი. ციხეებს ძირითადად მაღლობზე, მთის წვერსა თუ ფერდზე აგებდნენ. ამიტომ მათ რეგულარული გეგმა არ გააჩნდა და რელიეფს იყო მორგებული. XVI საუკუნის შემდგომ სიტუაცია გარკვეულად შეიცვალა და სიმაგრეების აგება მოვაკებულ ადგილებშიც დაიწყო.

ციხე-სიმაგრეში მეციხოვნეების რაზმი იდგა ციხისთავის მეთაურობით. მათი რიცხვი ყველგან სხვადასხვა იყო. შესაბამისად, ციხის შიდა ფართობი და სათავსები სიმაგრეში მყოფთა სხვადასხვა რაოდენობაზე იყო გათვლილი. ამდენად, ციხე-სიმაგრეების კონფიგურაცია და ფართობი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული იყო.

56. ხერთვისის ციხე

ციხე-სიმაგრეში არქიტექტურული სტრუქტურის ფორმირებისას თავდაცვითი საკითხის გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საცხოვრებელი კომპონენტის სათანადოდ გააზრებას. შესაფერისი საცხოვრებელი გარემოს შექმნა, წყლითა და სურსათით უზრუნველყობა სასიცოცხლოდ აუცილებელ საკითხს წარმოადგენდა. ამას გარდა, გასათვალისწინებელი იყო ხანგრძლივი ალყის რეჟიმში ყოფნის ალბათობაც. სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა სხვადასხვაგვარად იყო გადაწყვეტილი. საუკეთესო შემთხვევაში სიმაგრეებში იყო ბუნებრივი წყაროები. ზოგჯერ მიმართავდნენ მილების საშუალებით წყლის საიდუმლოდ შემოყვანის ხერხს. ეს არასაიმედო იყო, რადგან მტრის მიერ მისი განადგურება ალყაში მყოფებს საფრთხეს უქმნიდა. აგებდნენ ასევე მდინარეზე ჩასასვლელ გვირაბებს. იყენებდნენ რეზერვუარების სისტემას, რომლებიც ზოგჯერ კლდეში იყო ამოკვეთილი. არსებოდა წვიმის წყლის შეგროვების საშუალებებიც. სიმაგრეებში დადასტურებულია ქვევრები. მათში ინახავდნენ როგორც წყალს, ასევე ღვინოს. სპეციალური სათავსები იყო გამოყოფილი სანოვაგისათვის.

საგანგებოდ იყო მოწყობილი გარკვეული პროდუქტების ცივად შესანახი ადგილები. მეციხოვნეებისათვის გამოყოფილი იყო საძინებელი, დასასვენებელი და საბრძოლო ვარჯიშებისათვის განკუთვნილი ოთახები, იარაღის საწყობები. ციხე-სიმაგრეში აგებდნენ ასევე ეკლესიებს. ისინი, უმეტესად, მცირე დარბაზული ტიპის ტაძრები იყო.

ციხე-სიმაგრის არქიტექტურულ სახეს, საფორტიფიკაციო ნაგებობების ფორმა და ხასიათი განსაზღვრავს. შუა საუკუნეებში არსებითი განსხვავება აღინიშნება ადრეულ და XVI საუკუნის შემდგომი ხანის ნიმუშებში. ეს აისახება გეგმარებასა და ცალკეული ფორმების გადაწყვეტაში. როგორც აღვნიშნეთ, გეგმარების მხრივ ადრეულ ციხე-სიმაგრეებს მკვეთრად გამოხატული კონფიგურაცია არ ახასიათებს. გვიან შუა საუკუნეებიდან, როდესაც ისინი უფრო ვაკე ადგილებშიც იგება, გეგმა ძირითადად სწორკუთხაა და ხშირად კვადრატს უახლოვდება. მატულობს კოშკების რაოდენობა. გალავნის და კოშკების კედლების სისქე მცირდება. გალავნები ხშირად ორიარუსიანია. მათგან ქვედა ყრუ, ხოლო ზედა საბრძოლო დანიშნულების იყო. ისინი ქვის ან ხის მასალით იყო აგებული. რთულ რელიეფზე აგებულ ციხე-სიმაგრეს შესაძლოა ორზე მეტი და სხვადასხვა დონეზე განლაგებული იარუსი ჰქონოდა.

ციხე-სიმაგრეებს ადგილმდებარეობის შესაბამისად განსხვავებული სახის შესასვლელები ჰქონდა. მიუვალ ადგილებში განლაგებულ, უმეტესად XVI საუკუნემდე აგებულ, ძეგლებს სატრასპორტო შესასვლელი არ ჰქონდა, რათა მტერს მათი აღება გაძნელებოდა. XVII-XVIII საუკუნეების ციხე-სიმაგრეებში უკვე განიერი შესასვლელებია. სატრანსპორტო ჭიშკარი ორი სახისაა. ერთი უშუალოდ გალავანში, ხოლო მეორე სასიმაგრო სისტემაში ჩართულ კოშკშია გაჭრილი.

ციხე-სიმაგრეების გარეგნული სახის ერთ-ერთ სახასიათო ფორმას ქონგურები წარმოადგენს. ისინი სასიმაგრო კედლის დამასრულებელ ელემენტს წარმოადგენს, მიუყვება გალავნს, კოშკებს და ციხე-სიმაგრეს განსაკუთრებულ იერს ანიჭებს. სამწუხაროდ, ქონგურები საქართველოს ბევრ ძეგლში შემორჩენილი არ არის, ან გვიანი რესტავრაციის დროინდელია. მათ მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნდა. მეციხოვნეებს მშვილდ-ისრის და შემდგომში თოფის სროლისას მოხერხებულად დამიზნების და ამავდროულად თავის შეფარების საშუალებას აძლევდა. ქონგურები

ციხე-სიმაგრეებზე ადრეული პერიოდიდანვე გვხვდება და საუკუნეების მანძილზე გამოიყენება გვიანი ხანის ჩათვლით. ქონგურები ორგვარია – სწორკუთხა და ნახევარწრიული მოხაზულობის. თავდაპირველად სწორკუთხა ფორმა იყო გავრცელებული. გვიან შუა საუკუნებში უფრო ხშირად ნახევარწრიული ქონგურები გვხვდება.

საფორტიფიკავიო ნაგებობებისთვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ფორმა არის მაშიკული ანუ სალოდე, რომელიც ასევე ადრეული პერიოდიდან დაწყებული მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში გამოიყენებოდა. ის ციხის დამცველებისათვის ეფექტური წინააღმდეგობის გაწევის საშუალებას წარმოადგენდა. კედლის ზედა მხარეს განთავსებული სალოდედან მომხდურებს ლოდებს თავზე აყრიდნენ ან ცხელ სითხეს ასხამდნენ. სალოდეები სხვადასხვა ზომის იყო. გვიან შუასაუკუნებში უფრო მომცრო ზომის სალოდეები გამოიყენება, თუმცა იზრდება მათი რაოდენობა. საქართველოში გვხვდება სამი სახის მაშიკული – სწორკუთხა, თაღოვანი და ე.წ.ნისკარტის ფორმის. პირველი ფორმა ყველაზე გავრცელებულია და ადრეული ხანიდან გამოიყენება. თაღოვანი ფორმა მხოლოდ სვანეთის ძეგლებისათვის არის დამახასიათებელი. ნისკარტის ფორმის სალოდე ყველაზე ხშირად შიდა ქართლში და, ნაწილობრივ, კახეთში გვხვდება. ის უფრო ფართოდ გვიან შუა საუკუნეებში იყო გამოყენებული.

ადრეულ, X საუკუნეებამდე, პერიოდში იყო აგებული ისეთი ციხე-სიმაგრეები, როგორიცაა მაგალითად, ბებრის-ციხე მცხეთაში, დარიალის-ციხე მთიანეთში, შხეფის და ჭაქვინჯის სამეგრელოში, შორაპანის იმერეთში და სხვ. განვითარებული შუა საუკუნეების ხანას განეკუთვნება სურამის და კეხვის ციხეები ქართლში, თმოგვის, ხერთვისის და აწყურის ჯავახეთში, ბოჭორმის კახეთში და სხვ, გვიანი შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეებიდან აღსანიშნავია ჩაილურის კახეთში, სნოს მთიანეთში, წირქოლის ქართლში და სხვ.

ციხე-დარბაზი ფეოდალის საცხოვრებელი იყო, რომელსაც სასიმაგრო ფუნქცია გააჩნდა. პ. ზაქარაია მას შუა საუკუნეებისათვის სახასიათო ისტორიულ-სოციალური ყოფის შედეგად ჩამოყალიბებულ ტიპად მიიჩნევს და რიგ მახასიათებლებს გამოყოფს.

ციხე-დარბაზი კონკრეტული ფეოდალის საკუთრებას წარმოადგენდა, მისი ოჯახის და ქონების დაცვას ემსახურებოდა. ეს იყო გამაგრებული

სამოსახლო, სოციალურად დაწინაურებელი პირის რეზიდენცია. შესაბამისად, რაც უფრო მეტი შეძლება გააჩნდა პატრონს მით უფრო დიდი, უკეთ გამაგრებული და კეთილმოწყობილი იყო ციხე-დარბაზი. აღსანიშნავია, რომ ციხე-დარბაზის ქონა ერთგვარ სტატუს ანიჭებდა მეპატრონეს. მშენებლობის მასშტაბი და ხასიათი მატერიალურ თუ ადამიანურ რესურსზე, ფეოდალის შეძლებასა და სოციალურ მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. ამდენად, საერთო სურათი, უდაოდ, მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ფაქტობრივი მასალის სიმცირე და ფრაგმენტულობა მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენის შექმნის შესაძლებლობას არ იძლევა.

57. ქსნის ერისთავების ციხე-დარბაზი

უნდა აღნიშვნოს, რომ საქართველოში ციხე-დარბაზების მშენებლობა ერთიანი სახელ-მწიფოს დასუსტების და დაშლის პარალელურად გააქტიურდა. სახელმწიფო ვეღარ ახერხებდა მტრისგან თავდაცვის ეფექტურად უზრუნველყოფას და ამიტომ ფეოდალები ციხე-დარბაზებს აგებდნენ.

ციხე-დარბაზი გალავანშემოვლებულ არქიტექტურულ სტრუქტურას წარმოადგენდა. გალავანში ჩართული იყო კოშკები. შესვლა ჭიშკრის საშუალებით შეიძლებოდა. გალავნის შიგნით იყო ფეოდალთა საცხოვრებელი, დამხმარე ნაგებობები, ასევე კარის ეკლესია. თუ ადრეულ ხანაში ციხე-დარბაზები მთიან რელიეფს იყო მორგებული, გვიანი შუა საუკუნეებიდან სიტუაცია იცვლება. ქვეყნის დანაწევრების და ხშირი შემოსევების პირობებში, ფეოდალი თავის გამაგრებულ რეზიდენციას უკვე ბარში აგებდა. ეს მას საშუალებას აძლევდა საჭიროების შემთხვევაში შეეფარებინა საკუთარი გლეხები, დაეცვა მათი სიცოცხლე და ქონება.

ციხე დარბაზების ნიმუშებია ქსნის ერისთავების ციხედარბაზი ახალგორში, არაგვის ერისთავების ანანურში, მაყაშვილების რუისპირში, ჩოლოყაშვილების მატანში, სააკაძეების ნოსტეში და სხვ.

ციხე-გალავანი საფორტიფიკაციო ნაგებობის ერთ-ერთი სახეობაა,

რომელიც საქართველოში XVIII საუკუნეებში წარმოიშვა. ის თავდაპირველად შიდა ქართლში, შემდეგ კახეთში და, ნაწილობრივ, ქვემო ქართლში გავრცელდა. გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც მოშლილი იყო გარე მტრებისაგან სახელმწიფოს დაცვის ერთიანი სისტემა, სასიმაგრო ნაგებობის ეს ტიპი მტრის შემოსევისას მოსახლეობის დასაცავად იქნა გამოყენებული. ამ ამოცანის შესაბამისი იყო ნაგებობების ადგილმდებარეობის შერჩევის პრინციპი და არქიტექტურული გადაწყვეტა.

ციხე-გალავანი იგებოდა დასახლებული პუნქტების სიახლოვეს, რათა მოსახლეობას სწრაფად შესძლებოდა თავის შეფარება. მის მასშტაბს განსაზღვრავდა ამ დასახლებებში მაცხოვრებელთა რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ ციხე-გალავანს სხვა სიმაგრეებისაგან განსხვავებით ყოველთვის განიერი შესასვლელი ჰქონდა, რათა მოკლე დროში რაც შეიძლება მეტ ადამიანს შესძლებოდა შესვლა და თავისი ქონების თუ პირუტყვის შეხიზვნა. ვინაიდან შემოსევებისას მტერი ანადგურებდა ან იტაცებდა მოსახლეობის ქონებას, მოსავალს, პირუტყვს, ადამიანები ცდილობდნენ ციხე-გალავანში შეფარებით დაეცვათ არა მარტო თავისი და ოჯახის წევრების სიცოცხლე, არამედ სარჩო-საბადებელიც. ამდენად, ციხე-გალავანს მოსახლეობისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი მუდმივად უვლიდნენ და დარაჯობდნენ მას.

58. ციხე-გალავანი ყვარელში

გეგმარების მიხედვით გალავნები ძირითადად კვადრატული ან სწორკუთხა გეგმისაა. გვხვდება მომრგვალებული ფორმაც. გალავნის კედლები მაქსიმალურად მაღალია. გამოყენებულია ქონგურები, სათოფეები და მაშიკულები. გალავნებში მხოლოდ ცილინდრული ფორმის კოშკები გვხვდება.

ციხე-გალავნების საინტერესო ნიმუშებია შემორჩენილი მუხრანში, მჭადიჯვარში, ქვემო ჭალაში, ყვარელში, ლალისყურში, ქოლაგირში და სხვ.

ციხე-სახლი ძირითადად მთიან რეგიონებში გავრცელებული ტიპია

და თავდაცვითი ნაგებობის ერთერთ უძველეს სახეობას წარმოადგენს. ის კარგად იყო მორგებული მთიანი რეგიონის რთულ კლიმატურ თუ ლანდშაფტურ თავისებურებებს. მთაში ცხოვრების სპეციფიკა გვარს, ოჯახს საკუთარი ძალებით თავდაცვის აუცილებლობის წინაშე აყენებდა. შესაბამისად იყო გააზრებული მათი საცხოვრებელიც, რომლის ერთ-ერთ სახეობას ციხე-სახლი წარმოადგენდა.

ციხე-სახლის არქიტექტურულ სტრუქტურაში საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ფუნქციები ერთობლივად არის გააზრებული. ის რამდენიმესართულიან ნაგებობას წარმოადგენს და ყველა საკითხი რაციონალურად არის გათვლილი. თავდაცვით ამოცანებს პასუხობდა როგორც ნაგებობის არქიტექტურული გადაწყვეტა, ასევე გამოყენებული იყო სათოფურები, სალოდეები და სხვა საშუალებები. ნაგებობის ადგილმდებარეობის შერჩევა, ექსტერიერის გადაწყვეტა, გეგმის კომპაქტურობა, ღიადების განაწილების წესი და სხვა საკითხები ეფექტური თავდაცვის კუთხით იყო გააზრებული.

საქართველოს მთიანეთის სხვადასხვა მხარეში აგებულ ციხე-სახლებში აღინიშნება გარკვეული განსხვავევები, რაც ადგილობრივი პირობების თავისებურებებით იყო განპირობებული (იხ. მთიანი რეგიონების საცხოვრებლები).

კოშკი საფორტიფიკაციო ნაგებობის ყველაზე გავრცელებული სახეობაა საქართველოში. ის გვხვდება როგორც დამოუკიდებელი სახით, ასევე ჩართულია თითქმის ყველა სასიმაგრო ნაგებობის შემადგენელობაში. მისი ფართო სპექტრით გამოყენება ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ კოშკის სტრუქტურა ზედმიწევნით პასუხობს თავდაცვით ამოცანებს და სასიმაგრო არქიტექტურის ეფექტურ ფორმას წარმოადგენს. ტერმინი „კოშკი" XI საუკუნიდან გვხვდება. მანამდე გამოიყენებოდა სახელწოდება – გოდოლი.

59. სწორკუთხა კოშკი სვანეთში .

სასიმაგრო სისტემაში ჩართული კოშკები გვხვდება ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში.

ისინი გამოვლინდა მაგალითად ციხიაგორას, არმაზციხის, ვანის და ბიჭვინტის გათხრებისას. ადრეულ შუა საუკუნეებში კოშკები ასევე წარმოადგენდა თავდაცვითი ზღუდეების შემადგენელ ნაწილს. ცალკე მდგომი კოშკი IX საუკუნიდან დამკვიდრდა. მალე ისინი ქვეყნის ერთიანი საფორტიფიკაციო სისტემის ნაწილად იქცა. საუკუნეების განმავლობაში კოშკებს აგებდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით. განსაკუთრებით ინტენსიურად ეს პროცესი მთიან რეგიონებში მიმდინარეობდა. კოშკების ფორმათა მრავალფეროვნებით და შიდა სივრცის თუ ფასადების გადაწყვეტით გამოირჩევა XVI-XVIII საუკუნეების პერიოდი.



60. წრიული კოშკი პატარძლეულში

კოშკები თავისი ფუნქციის მიხედვით განირჩეოდა. იყო სამხედრო-სათვალთვალო, სასიგნალო, ასევე სათავდაცვო-საცხოვრებელი კოშკები. დანიშნულების შესაბამისად განსხვავდებოდა მათი დაგეგმარება თუ ცალკეული ფორმები. მაგალითად, სამხედრო-სათავდაცვო კოშკებში ერიდებოდნენ მუდმივი კიბის გაკეთებას. სართულები ერთმანეთს მისადგმელი კიბით ჭერში დატანებული ასაძრომებით უკავშირდებოდა. საცხოვრებლად განკუთვნილ ნაგებობებში კი კიბეს კედლის სისქეში განათავსებდნენ. განსხვავება იყო განათებისა და კეთილმოწყობის მხრივაც.

კოშკები სიმაღლისა თუ გეგმარების მიხედვით სხვადასხვაგვარია. ყველაზე დაბალია ორსართულიანი, ხოლო მაღალი შვიდსართულიანი კოშკი. სართულშორის გადახურვა უმეტესად ხის ძელოვანია. გვხვდება კამაროვანიც, რომელიც უფრო მეტად გვიანი შუა საუკუნეების ძეგლებშია დადასტურებული. თავდაპირველად უფრო გავრცელებული იყო გეგმაში სწორკუთხა, შემდგომში კი, განსაკუთრებით გვიან შუა საუკუნეებში, წრიული კოშკები.

საქართველოში სწორკუთხა გეგმის კოშკები დადასტურებულია წინაქრისტიანულ, ასევე ადრეული შუა საუკუნეების პერიოდში. შემდგომშიც სწორკუთხა ფორმის კოშკებს აქტიურად აგებდნენ, განსაკუთრებით მთიან

61. იუხოს ზურგიანი კოშკი

რეგიონებში. აღსანიშნავია, რომ სვანეთსა და ხევში მხოლოდ სწორკუთხა გეგმის კოშკები გვხვდება. კოშკის ზედა ნაწილი, როგორც წესი ვიწროვდება. აღსანიშნავია, რომ გალავანში ჩართული სწორკუთხა კოშკი ნაკლებად ვიწროვდება, ვიდრე ცალკე მდგომი. უმრავლეს შემთხვევაში ცალკე მდგომი კოშკების კედელი პირველი, ზოგჯერ მეორე სართულის დონემდე ყრუა, რაც თავდაცვის უკეთ უზრუნველყოფას ემსახურებოდა.

წრიული გეგმარების ანუ ცილინდრული კოშკების ფართოდ გავრცელება ცეცხლსასროლი იარაღის გამოგონებას უკავშირდება. ასეთი ფორმა ახალი ტიპის იარაღის უპირატესობების უკეთ გამოყენების შესაძლებლობას იძლეოდა. მისი ნიმუშები გვხვდება ქართლსა და კახეთში, მაგალითად, მარტყოფში, კისისხევში, ქემერტში, პატარძლეულში, ფცაში,ქორდში, ვაშლოვანში და სხვ.

პ. ზაქარაია გამოყოფს ასევე ზურგიან და პირამიდულ კოშკებს. ზურგიან კოშკს სპეციფიური ფორმა აქვს. ის ფერდობზე დგას და მომრგვალებული ზურგის მხრით მთისკენაა მიქცეული. სწორი მხარე მთავარ ფასადს წარმოადგენს და კარი თუ სარკმელები ამ მხარესაა გაჭრილი. ზურგიანი კოშკის ფორმა და მდებარეობა გარემო პირობებს კარგადაა მორგებული, რადგან დიდთოვლობისას მთიდან ჩამოსულ თოვლის მასას კოშკი ზურგით ხვდება. ასეთ კოშკებს აგებდნენ უმეტესად შიდა ქართლის მთიანეთში XVII საუკუნემდე. ზურგიანი კოშკი დგას ასევე არაგვის მაღალმთიან ხეობაში, სოფელ მლეთში. რაც შეეხება პირამიდულ კოშკებს, მათ მაღალი პროპორციები და გვერდების მკვეთრი შევიწროვება ახასიათებს. აღსანიშნავია, რომ ცხრა ასეთი კოშკია ფრონეს ხეობაში.

საინტერესო სახეს ქმნის ასევე პირამიდულ-საფეხურიანი გადახურვის მქონე კოშკები, რომლებიც გვხვდება თუშეთში და ხევსურეთში. ამგვარი გადაწყვეტის კარგი ნიმუშია ასევე ანანურის ანსამბლში მდებარე კოშკი.

ამრიგად, საფორტიფიკაციო ნაგებობებს თავისი სპეციფიკური მახასიათებლებით, ძეგლების რაოდენობით და ტიპოლოგიური მრავალფეროვნებით საქართველოს ხუროთმოძღვრების ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

.....

ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ.I. თბილისი 1983;

გ. გამყრელიძე, ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლერები, თბილისი, 1982;

გ. გამყრელიძე, მ.ფირცხალავა, გ.ყიფიანი, ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები,თბილისი, 2005;

პ.ზაქარაია, ქართულ ციხე-სიმაგრეთა ისტორია, თბილისი, 2002;

პ.ზაქარაია, ქართული ციხე-ქალაქები, ციხესიმაგრეები, ციხე-დარბაზები, ციხე გალავნები, კოშკები, თბილის, 2001;

პ.ზაქარაია, საქართველოს ძველი ციხე-სიმაგრეები, თბილისი, 1988;

პ.ზაქარაია, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბილისი 1962;

თ.მიქელაძე, ქსენოფონტის ანაბაზისი, თბილისი, 1967;

აბანოები

აბანო წარმოადგენს სპეციფიკური დანიშნულების ნაგებობას, რომლის მშენებლობა საინჟინრო-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული. ძირითად სირთულეს წყლის ცირკულირების და გათბობის პრობლემა ქმნის. თერმული წყლებით მდიდარ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ამ მიზნით ბუნებრივი რესურსაც იყენებენ. აბანოს ფუნქციონირებისათვის წყლის უწყვეტ ნაკადთან ან სათანადო რაოდენობასთან წვდომა, წყალგაყვანილობის და კანალიზაციის საკითხების მოგვარება, წყლის გათბობის ეფექტური ხერხები და საშუალებებია საჭირო. არსებობს სხვადასხვა ტრადიციული ტიპის აბანო (მაგ.: რომაული, ფინური, რუსული, თურქული, იაპონური), რომლებშიც ძირითადი პრობლემები განსხვავებულად არის გადაწყვეტილი.

საქართველოში აბანოები ჯერ კიდევ წინაქრისტიანული ხანიდან არის დადასტურებული. ამ პერიოდში მათი მშენებლობის ინტენსივობა და არქიტექტურულ-ტექნიკური მახასიათებლები ქვეყანაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მნიშვნელობის გააზრებაზე მეტყველებს. საყურადღებოა, რომ აბანოებს აგებდნენ არა მხოლოდ წარჩინებულთათვის, არამედ ქალაქის მაცხოვრებლებისათვის. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ძეგლები რომაული აბანოს პრინციპების მიხედვით არის აშენებული. რომაული აბანო იმ ეპოქის მოწინავე სამშებლო-ტექნიკურ სიახლეებს ეფუძნებოდა. ამდენად, მისი თანადროულად გავრცელება საქართველოში, რომთან მნიშვნელოვანი კულტურული კავშირების არსებობის გარდა, ადგილობრივი ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო საქმის განვითარების მაღალ დონეზე მიუთითებს.

მიჩნეულია, რომ პირველი თერმები რომში ააგო აგრიპამ (ძვ.წ. 25-19წწ) და ქალაქის მოსახლეობას უსასყიდლოდ მოხმარებისთვის უანდერძა. შემდგომში, დაწყებული ნერონიდან, არაერთმა იმპერატორმა ააშენა აბანოები. მათ შორის ყველაზე გრანდიოზული იყო კარაკალას თერმები (212-217წწ).

რომაული ტიპის აბანო ანუ თერმები წარმოადგენს ამ დანიშნულების ნაგებობის ძალზე წარმატებულ ვარიანტს, სადაც ბრწყინვალედ იყო გააზრებული როგორც წყლით მომარაგების, ცირკულირების, გათბობის,

კანალიზაციის, ასევე ადამიანისათვის მაქსიმალური კომფორტისა და რელაქსაციის პირობების შექმნის საკითხები. წმინდა უტილიტარულ-ფუნქციური პრობლემების პარალელურად საიმპერატორო დაკვეთით აგებულ თერმებში ძალზე მაღალ დონეზე იყო გადაწყვეტილი მდიდრულად მორთული მასშტაბური სივრცის შექმნის თუ ინტერიერის სხვადასხვა ხერხით (მარმარილოს მოპირკეთება, მოზაიკა, რელიეფი, სკულპტურა და სხვ.) შემკობის საკითხი. ვრცელი და მდიდრულად შემკული ვესტიბიულები, დარბაზები თუ აუზიანი ოთახები რომაელების შეხვედრების, საქმიანი თუ სხვა სახის ურთიერთობების ადგილი იყო. აბანო რომაული ცხოვრების წესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

აბანოს ფუნქციონირებისათვის რომაელმა არქიტექტორებმა შეიმუშავეს ცენტრალური გათბობის ეფექტური – ჰიპოსკაუსტის სისტემა, რომელიც იატაკისა და კედლების გათბობის საშუალებას იძლეოდა. მისი შექმნა უკავშირდება ძვ.წ. I საუკუნის რომაელი ვაჭრისა და ჰიდროინჟინერის სერგი ოთარას სახელს. აბანოს ქვედა ნაწილში საგანგებოდ მოწყობილი ქურის მეშვეობით საქვაბეში ცხელდებოდა წყალი. დუღილისას ცხელი ჰაერი მოძრაობდა იატაკის ქვეშ მდგარ აგურის მცირე საყრდენებს, ე.წ.კალორიფერებს, შორის, ასევე კედლის სისქეში მოწყობილ სპეციალურ სადენებში. ცხელი ჰაერის ამ სისტემაში ცირკულირებით გახურებული იატაკი და კედლები აბანოს ცხელ და თბილ განყოფილებებში სათანადო ტემპერატურული რეჟიმის შენარჩუნებას უზრუნველყოფდა. რომაული ტიპის აბანო შედგება ხუთი ნაწილისაგან. ესაა გასახდელი (აპოდიტერიუმი), ცივი (ფრიგიდარიუმი), თბილი (ტემპიდარიუმი) და ცხელი (კალდერიუმი) წყლის სათავსები შესაბამისი აუზებით და საცეცხლე განყოფილება.

რომაული ტიპის აბანო, რომელიც ტექნიკური და სამშენებლო თვალსაზრისით ძალზე რთულ და სპეციფიკურ ნაგებობას წარმოადგენს, გვხვდება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა პუნქტში (არმაზისხევი, ძალისა, ბიჭვინთა, ნოქალაქევი, შუხუთი, ციხისძირი, გონიო და სხვ.). ეს ნაგებობები წინაქრისტიანულ და ადრეული შუასაუკუნეების ხანას განეკუთვნება. ისინი რომაული აბანოს ძირითადი სტანდარტების დაცვითაა აგებული, რაც ამ ტიპის ნაგებობის თავისებურებების საფუძვლიან ცოდნაზე მეტყველებს. ყველა შემორჩენილ ძეგლში წარმოდგენილია ცივი, თბილი, ცხელი წყლის

სათავსები, გასახდელი და სართულქვეშა ორთქლით გასათბობი სისტემა კალორიფერებით. განსაკუთრებით გამორჩეულია ძალისას კომპლექსი მოზაიკური კომპოზიციებით შემკული იატაკით და უზარმაზარი საცურაო აუზით. მოზაიკებია დადასტურებული ასევე ბიჭვინთისა და შუხუთის აბანოებშიც. შემკულობის ამ ხერხის გამოყენება მიუთითებს საქართველოში აბანოს რომაულ სამყაროში მიღებული წესით გააზრებაზე. კერძოდ, ის არა მხოლოდ სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქციის მქონე ნაგებობას, არამედ უფრო ფართო, სოციალ-კულტურულ ფენომენს წარმოადგენდა.

არმაზისხევის *აბანო* II საუკუნით თარიღდება. ის შედგებოდა ხუთი განყოფილებისაგან. გასახდელი შენობის დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. საცეცხლის თავზე აღმოსავლეთის კედელში ცხელ აბანოში გამავალი კარი იყო. ამ სათავსში შემორჩენილია კვადრატული ფილაქვით ნაგები აუზი. ცხელი აბანო თავის მხრივ კარით უკავშირდებოდა თბილ აბანოს, რომელსაც სამხრეთით სწორკუთხა, ხოლო ჩრდილოეთით ნახევარწრიული ნიშა ჰქონდა. თბილი აბანოდან გასასვლელი იყო ცივ აბანოში, რომლის სამხრეთ ნაწილში მოწყობილი იყო აუზი, რომელშიც ჩასვლა სამსაფეხურიანი ქვის კიბით შეიძლებოდა. აუზის იატაკი დაქანებული იყო. მის კუთხეებში დატანებული კერამიკული მილების საშუალებით წყალი მდინარე მტკვარისაკენ მიმავალ არხს უერთდებოდა. აბანო მარაგდებოდა ორი წყალსადენით. უკეთაა შემორჩენილი ქვედა, იატაკქვეშა სართული, სადაც ჰიპოკაუსტის სისტემა იყო გათბობისათვის. დადასტურებულია წრიული და ოთხკუთხა აგურის სვეტები. მათ თავზე აბანოს იატაკი სწორკუთხა ფილებით იყო მოგებული. საცეცხლეში გახურებული ცხელი ჰაერი იატაკის ქვეშ და კედლებში მოწყობილი სპეციალური სადინარების საშუალებით ცხელ და თბილ განყოფილებებს ათბობდა. ეს აბანო იბერიის დიდებულთა საკუთრება იყო. არმაზისხევის მსგავსი რომაული აბანოები საქართველოს გარდა გავრცელებული იყო მცირე აზიაში, სირიაში,



62. არმაზისხევის აბანოს გეგმა

სომხეთში და სხვ. ისინი თავისი მასშტაბით და არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით განსხვავდებოდა რომის დიდებული თერმებისაგან, თუმცა აბანოს ფუნქციონირების პრინციპი იდენტური იყო.

მცხეთაშივე, არმაზციხეში, აღმოჩენილია სამი აბანო, რომლებიც აგრეთვე რომაული ტიპისაა. ისინი ასევე ქვითაა ნაგები და შელესილია ჰიდრავლიკური ხსნარით. არმაზციხის აბანოები ეკუთვნოდა იბერიის სამეფო ოჯახს, რასაც აქ აღმოჩენილი წარწერაც მოწმობს [აფაქიძე,1963:125-158].

ძალისას ძველ ნაქალაქარში აბანო სასახლის კომპლექსის ნაწილს წარმოადგენდა [ბოხოჩაძე, 1981] და სასახლეების განხილვისას შევეხეთ. მას ჰქონდა ცივი, თბილი და ცხელი წყლის თანაბარი ზომის განყოფილებები. სწორკუთხა გეგმის ამ სათავსებს ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს ნახევარწრიული აფსიდები გააჩნდა. ქვის კედლები შიგნიდან და გარედან შელესილი იყო. ცხელი და თბილი აბანოების ქვეშ მოწყობილი იყო ჰიპოკაუსტის სისტემა, რომლის სვეტებად გამოყენებული იყო ბრტყელი, კვადრატული და წრიული აგური. ცივ აბანოში დაგებული იყო მოზაიკური იატაკი. მოზაიკას შემოვლებული აქვს არშია მცენარეული ორნამენტით. შიდა არეში გამოსახულია ზღვის ფაუნა (განირჩევა ნიჟარა, დელფინის თავი). აღსანიშნავია, რომ მოზაიკა იყო თბილ აბანოშიც, რაც დიდ იშვიათობას წარმოადგენს. აქ ჩანს გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტები, ფარშევანგის გამოსახულება და ბერძნული წარწერის ფრაგმენტი. აბანოებს ემიჯნება გასახდელი-აპოდიტერიუმი. ის გეგმაში სწორკუთხაა. მის გვერდით, სასახლის მხარეს მდებარეობს კომპლექსის ყველაზე შთამბეჭდავი 48,6 კვ.მ.-ის ფართობის დარბაზი. აქ იატაკზე გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტებით მოჩარჩოებულ ცენტრალურ არეში გამოსახულია დიონისე და არიადნა. მათ ირგვლივ გამოსახულია მენადები, პანი, მუზები და წლის ოთხი სეზონის პერსოფინიკაციები, ვაზის ყლორტები და ულვაშებიანი მამაკაცის ნიღაბი. ამ დარბაზს „დიონისეს სახლად" მოიხსენიებენ.

ამ კომპლექსიდან რამდენიმე მეტრში მდებარეობს საცურაო აუზი. მსგავსი ნაგებობა საქართველოში არსად არ არის დადასტურებული. ის ძალზე მასშტაბურია. მისი სიგრძე 33.4 მ., სიგანე 11, 5 მ-ია. სწორკუთხა გეგმისაა და თითოეული გვერდის ცენტრში აფსიდები გააჩნია. მისი კედლები ამოშენებულია რიყის ქვით კირხსნარზე და მოპირკეთებულია

გათლილი ქვის კვადრებით. მოპირკეთებასა და რიყის ქვის წყობას შორის საიზოლაციოდ 10 სმ სისქის ჰიდრავლიკური ხსნარია გამოყენებული. აბანოს მხარეს მდებარე ჩრდილოეთ აფსიდში ცხრა საფეხურიანი კიბეა. აუზის კიდეებში აგებულია ქვის მერხები მოსასვენებლად. იატაკის დონეზე ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ტრაპია მოწყობილი. ტრაპისკენ იატაკი დამრეცად ეშვება. აუზი ივსებოდა დასავლეთის მხრიდან ორი მილსადენით. ეს ნაგებობა II საუკუნეში ან III საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს აგებული.

ძალისაში კიდევ ერთი აბანოა გათხრილი, რომელიც საზოგადოებრივი დანიშნულების უნდა ყოფილიყო. ამ დიდი ზომის კომპლექსის ცენტრში შადრევნიანი აუზის მქონე ღია ეზო (7,75მ X 6,95მ) ტუფის ფილებით იყო მოგებული. ატრიუმს ორსვეტიანი გასასვლელით აფსიდიანი მცირე სენაკი უკავშირდებოდა. მისი იატაკიც კარგად გათლილი ტუფის დიდი ფილებით იყო მოგებული. დასავლეთით აბანოს ცხელი, თბილი და ცივი განყოფილებები მდებარეობდა. მათ სამხრეთიდან აფსიდები გააჩნდათ. თბილი და ცხელი აბანოების ქვეშ მოწყობილი იყო ჰიპოკაუსტის სისტემა. კალორიფერები ამოყვანილი იყო ოთხკუთხა და წრიული აგურით. მათ ზემოდან დაგებულ ფილებზე ჰიდრავლიკური კირხსნარის ფენაა დადასტურებული. ატრიუმის აღმოსავლეთით გასახდელი მდებარეობდა. აბანოს კედლებში ვერტიკალურად ჩაყოლებული იყო კერამიკული მილები. ძალისაში კერამიკულის გარდა ტყვიის მილებიც არის დადასტურებულია. ეს აბანო II-IV სს-ით თარიღდება [ა. ბოხოჩაძე,1981].



63. ძალისის აუზის გეგმა

ბიჭვინთის ნაქალაქარის ტერიტორიაზე რომაული კასტელუმის კედლებს გარეთ, კოშკებით ფლონკირებული ჭიშკრის მახლობლად, გაითხარა მოზაიკური შემკულობის მქონე აბანოს კომპლექსი, რომელიც III საუკუნით თარიღდება. მიკვლეულია კერამიკული მილები და წყლის რეგულირების საკმაოდ რთული სისტემა. აბანოში ანფილადურ პრინციპზე განლაგებული იყო გასახდელი, ცივი, თბილი, ცხელი განყოფილებები და საცეცხლური. მოწყობილი იყო ჰიპოსკაუსტის სისტემა. რომაული ტიპის

მცირე აბანოების მსგავსი ეს აბანო, სავარაუდოდ, მოქალაქეებისათვის იყო გაკუთვნილი. რომაული ტიპის აბანოს ნაშთები გამოვლინდა ასევე გონიოს ციხის ტერიტორიაზე.



64. ბიჭვინთის აბანოს გეგმა

რომაული აბანოს პრინციპებს იყენებდნენ ადრეშუასაუკუნეებშიც. ამ პერიოდის ძეგლებში აშკარად იგრძნობა წინა საუკუნეების გამოცდილება. აბანოები გამოვლინდა ნაქალაქარების ტერიტორიაზე, მაგალითად, შუხუთში, ნოქალაქევში, ურბნისში, ქუთაისში.

შუხუთის აბანო არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ამავე სახელწოდების სოფელში ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე. ის IV-V საუკუნეებით თარიღდება. აბანოს ცენტრში იყო აპოდიტერიუმი ანუ გასახდელი დარბაზი, რომლის იატაკი მოზაიკით იყო შემკული. მის გვერდით იყო სათავსები პატარა და დიდი ზომის აუზებით. მოსაცდელი დარბაზი კარით უკავშირდებოდა თბილი წყლის საბანაო სათავსს, რომლის შემდეგ იყო ცხელი საბანაო განყოფილება. ამ უკანასკნელის აუზში კერამიკული მილებით ცხელი წყალი პატარა საქვაბიდან მოედინებოდა. ცხელი ჰაერის მასა აცხელებდა მის იატაკს და კედლებს, ხოლო თბილ სათავსში მხოლოდ კედლები თბებოდა. რაც შეეხება მოზაიკურ იატაკს, შავი, თეთრი, ყავისფერი და წითელი კენჭებით გამოსახული იყო მარტივი გეომეტრიული ფიგურები. სხვადასხვა ზომის კვადრატებით, ვარსკვლავისებრი ფორმებით, ჯვრებით შედგენილი იყო ერთგვარი ზოლები, ასევე უფრო რთული ნახატის წნულები. აღსანიშნავია, რომ ამგვარი მოტივები ფართოდ გამოიყენებოდა რომაული და ადრებიზანტიური პერიოდის იმპერიის აღმოსავლეთ რეგიონებში [პ. ზაქარაია, ა. ლექვინაძე, 1966].

ნოქალაქევის ტერიტორიაზე მდინარე ტეხურის ნაპირზე ორი აბანო აღმოჩნდა. სამეცნიერო ლიტერატურაში მასშტაბისა და არქიტექტურული გადაწყვეტის შესაბამისად ერთი პირობითად სამეფო, ხოლო მეორე სამოქალაქო აბანოს სახელით მოიხსენიება [პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, 1991:100-114]. ისინი IV-V საუკუნეებით თარიღდება. სამეფო აბანოს

თავისებური გეგმარება გამოარჩევს. საქართველოში აბანოებს უმეტესად ანფილადური გეგმარება გააჩნდა. ამ შემთხვევაში ეს პრინციპი დარღვეულია, თუმცა ირეგულარულ დაგეგმარებაში არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის პ.ზაქარაიას აზრით ყველაფერი ზუსტად იყო გათვლილი. ამაზე მეტყველებს სათავსების კომპაქტურობა, მათი ურთიერთმიმართების რაციონალურობა, ფასადების დამუშავება და ნაგებობის ორიენტაცია [პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, 1991:101].

სამეფო აბანო თლილი ქვის მომცრო ზომის კვადრებით იყო ნაგები. მისი კედლები ერთ მეტრი სიმაღლის დონეზე შემორჩა და კარგად განირჩევა ფასადის მოწესრიგებული წყობა. აბანოში შესვლისას ადამიანი პირველად გასახდელში ხვდებოდა. აქედან გასასვლელით გადიოდა კვადრატული გეგმის სათავსში, რომელშიც ორი აბაზანა კედლის გასწვრივ იატაკში იყო ჩასმული. ისინი ცივი წყლისთვის იყო განკუთვნილი. ამდენად, თავად სათავსი ფრიგიდარიუმს წარმოადგენდა. საინტერესოა, რომ ამ აბაზანებში დადასტურდა ხვრელები, რომელთა მეშვეობით წყალი კოლექტორში მიედინებოდა. ფრიგიდარიუმიდან შესასვლელი იყო თბილ სათავსში, რომელიც უკავშირდებოდა ერთ მხარეს ცხელი წყლის ორ სათავსიან განყოფილებას და მეორე მხარეს სათავსს აბაზანით. აბანოში არსებობდა მეორე კარიც, რომელიც ჯვრული გეგმარების დიდი ზომის ოთახში იხსნებოდა. სავარაუდოდ, ეს ბანაობის შემდეგ მოსასვენებელი სივრცე იყო. შესაბამისად, კარი აბანოდან გასასვლელს წარმოადგენდა. აქ იატაკი დიდი ზომის (40სმX40სმX3სმ) კერამიკული ფილებით იყო მოგებული, მაშინ როდესაც ცივ განყოფილებაში ქვის ფილები, ხოლო თბილ და ცხელ განყოფილებებში ზემოდან ჰიდრავლიკური ხსნარით მოლესილი აგურის იატაკი იყო. ამდენად, მშენებელს მასალა თითოეული სათავსის სპეციფიკიდან გამომდინარე ჰქონდა შერჩეული.



65. ნოქალაქევის სამეფო აბანოს გეგმა

აბანოს საქვაბე განყოფილება ძალზე ცუდად შემორჩა. ამიტომ ბევრი

საკითხის გარკვევა შეუძლებელია. ნათელია ის, რომ გამოყენებული იყო ჰიპოსკაუსტის სისტემა და დადასტურებულია კალორიფელები. თავად ნაგებობის საერთო დაცულობის დონე არ იძლევა ბევრი საკითხის, მათ შორის ღიადების და გადახურვის შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას. ნანგრევებში აღმოჩენილი კამარის ნაშთები კამაროვანი გადახურვის არსებობაზე მიანიშნებს.

ამრიგად, ნოქალაქევის სამეფო აბანოს არქიტექტურულ გადაწყვეტაში ჩანს როგორც აბანოების მშენებლობის გამოცდილება, ასევე გეგმარების თავისებურად გააზრების სურვილი და მისი განხორციელების შესაძლებლობა.

ნოქალაქევის მეორე აბანო უფრო მომცრო ზომისაა. ის, როგორც აღინიშნა სავარაუდოდ, სამოქალაქო დანიშნულების იყო. მას მოქალაქეები და ქალაქის მეცხოვნეები იყენებდნენ. მდებარეობს სამეფო აბანოსაგან ასიოდე მეტრის დაშორებით, მდინარის ნაპირზე გალავნის გაყოლებაზე. საკმაოდ ცუდად არის შემორჩენილი, რადგან დიდი დროის განმავლობაში გაუქმებული და სხვა ფუნქციით გამოსაყენებლად იყო გადაკეთებული. თუმცა ამის მიუხედავად სწორედ აქ არის შემორჩენილი სარკმელი, რომელიც საქართველოში ამ ხანის არც ერთ სხვა აბანოში არ არის დადასტურებული. ის გასახდელის კედელშია გაჭრილი [პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, 1991:100-114].



66. ნოქალაქევის სამოქალაქო აბანოს გეგმა

სამოქალაქო აბანოში გასახდელ-მოსაცდელი დაკავშირებული იყო სხვადასხვა დანიშნულების სამ სათავსთან. ერთ მხარეს იყო ჰიდრავლიკური ხსნარით მოლესილი ცივი აბაზანა, რომელიც გასახდელისგან დაბალი მოაჯირით გამოიყოფოდა. მის მოპირდაპირე მხარეს იყო კვადრატული გეგმის თბილი წყლის სათავსი, რომელიც დაკავშირებული იყო ცხელ განყოფილებასთან. მესამე მხარეს იყო მცირე ვიწრო სათავსი, რომლის დანიშნულება ბოლომდე გარკვეული არ არის. შესაძლოა ეს იყო ტუალეტი ან ზეთით დასაზელი სპეციალური ადგილი, რომელსაც რომაულ აბანოში

უნკტუარიუმს უწოდებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ნოქალაქევის გარშემო თხუთმეტი კილომეტრის რადიუსით კიდევ ოთხი აბანოა გამოვლენილი, რაც ეგრისის სამეფოში არა მხოლოდ სამშენებლო პოტენციალის, არამედ სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის და საზოგადოების განვითარების მაღალ დონეზე მეტყველებს. აბანოები მდებარეობს ნოსირში, ნოჯიხევში, მარტვილსა და ბეთლემში. ამათგან მარტვილში მდებარე XX საუკუნის 60-აინ წლებში მიწის სამუშაოების დროს დაანგრიეს. რეალურად მხოლოდ მისი არსებობის დადასტურებაა შესაძლებელი. ეს აბანოები VI საუკუნის 40-აინ წლებამდე უნდა იყოს აგებული. ნოჯიხევის და ბეთლემის აბანოები ცუდადაა შემორჩენილი. ისინი მომცრო ზომის ნაგებობებია. აღსანიშნავია, რომ მდინარე ტეხურის ნაპირას მდებარე ბეთლემის აბანო აგებულია იმ ადგილას, სადაც ბუნებრივი თბილი წყალი ამოდის.



67. ნოსირის აბანოს გეგმა

ნოსირის აბანოს შესახებ მეტი მონაცემი გაგვაჩნია [ზაქარაია, კაპანაძე,1991:114-121]. მას ორიგინალური გეგმარება გამოარჩევს. ცუდი დაცულობის გამო ბევრი საკითხის დაზუსტება ძნელია, თუმცა ძირითადი სქემის გარკვევა მეტ-ნაკლებად ხერხდება. ნაგებობა სამხეთიდან ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული. სამხრეთით სწორკუთხა მოხაზულობის საქვაბეა. მის ჩრდილოეთით ვრცელი სათავსია. კვადრატს მიახლოვებული ფორმის ცენტრალური არე 30 კვ. მეტრს აღწევს. მის ორივე მხარეს განთავსებული ნახევარწრიული ფორმის აუზები მოწითალო ჰიდრავლიკური ხსნარით იყო მოლესილი. ეს სივრცე წარმოადგენდა ცხელი წყლის განყოფილებას, რომელიც თავისი მასშტაბით და გადაწყვეტით, უდაოდ, საკმაოდ შთაბეჭდილებავი იყო. ცხელი განყოფილება გასასვლელებით უკავშირდებოდა 27,40 კვ. მეტრი ფართობის სწორკუთხა გეგმის თბილ განყოფილებას. აქ, ისევე როგორც პირველ განყოფილებაში იატაკზე აგური იყო დაგებული და მის ქვევით კალორიფელები იქნებოდა. შენობის

მომდევნო ნაწილში, სავარაუდოდ, ცივი წყლის სათავსი და გასახდელი იყო შუაში დერეფნით. ამრიგად, ეს აბანო საინტერესო ნაგებობას წარმოადგენდა. მართალია აქ ანფილადური განლაგების პრინციპი გარკვეულწილად დაცულია, მაგრამ სათავსების ურთიერთმიმართება თავისებურ მიდგომას ეფუძნება. ამასთან, არსებითად განსხვავებულია თითოეული მათგანის ფორმა და ზომა.

ურბნისის ნაქალაქარში აღმოჩენილ აბანოში ცივი, თბილი და ცხელი განყოფილებები ანფილადურადაა განლაგებული. ამ ნაგებობის სახასიათო ნიშანს წარმოადგენს ის, რომ მის კედლებს არა სწორხაზოვანი ან ნახევარწრიული, არამედ, როგორც მისი გამთხრელი პ. ზაქარაია აღნიშნავს, დაბრეცილი მოხაზულობა აქვს. თუმცა ამის მიუხედავად, ნაგებობა გამართულად ფუნქციონირებდა [პ. ზაქარაია, 1965].

ქუთაისში, არქიელის გორაზე, აღმოჩენდა საინტერესო კომპლექსი, რომელიც Vსაუკუნიდან VII საუკუნემდე საზოგადოებრივი დანიშნულების აბანოს წარმოადგენდა. ის თავდაპირველად შედგებოდა შვიდი, ხოლო განახლების შემდეგ ათი ნაწილისაგან, რომელშიც შედიოდა სხვადასხვა ტემპერატურის წყლის განყოფილებები, აბაზანა და აუზი. აქვე გამოვლინდა VIII და XII-XIII საუკუეების აბანოების ნაშთებიც, რომლებიც სამეფო კუთვნილებისა უნდა ყოფილიყო.

ამრიგად, საქართველოში დადასტურებული წინაქრისტიანული და ადრეშუასაუკუნეების ხანის აბანოების რაოდენობა, არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტის ხასიათი ცხადყოფს, რომ მათი მშენებლები ძალიან კარგად იცნობდნენ რომაული ტიპის აბანოს სტრუქტურასა და ტექნიკურ მახასიათებლებს. ნათელია, რომ საქართველოში არსებობდა სამშენებლო საქმის საკმარისი ცოდნა და გამოცდილება, რათა წარმატებით დაეგეგმათ და განეხორციელებინათ ამგვარი აბანოების მშენებლობის საკმაოდ რთული პროცესი.

საქართველოში არაბების შემოსევის შემდგომი ხანიდან გვიან შუასაუკუნებამდე აბანოების შესახებ მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია. აღსანიშნავია, რომ წერილობით წყაროებში ყურადღება გამახვილებულია თბილისის აბანოებზე. X საუკუნიდან აქ მდებარე გოგირდოვანი წყლების აბანოებს აღტაცებით მოიხსენიებენ არაბი მოგზაურები. XII საუკუნის მეორე ნახევრისთვის თბილისში 40 აბანო ყოფილა, ხოლო მომდევნო

საუკუნის დასაწყისისთვის 65. აღწერების მიხედვით ამ პერიოდის აბანოები ნახევრად მიწაში ჩასმული ნაგებობები იყო გუმბათოვანი გადახურვით. აბანოებში იყო ცივი, თბილი და ცხელი წყლის აუზები, რომლებიც კერამიკული მილებით ცხელი და ცივი წყლით მარაგდებოდა.

რაც შეეხება შემორჩენილ ძეგლებს, ამ თვალსაზრისით გამოირჩევა დმანისის ნაქალაქარი, სადაც დადასტურებულია შიდაციხეში სასახლის, ხოლო გარეუბანში – საზოგადოებრივი დანიშნულების აბანო.

დმანისის ნაქალაქარში აბანო XIII საუკუნის სასახლეს მოგვიანებით მიაშენეს. ის ქვითა და ბრტყელი აგურით არის ნაგები. მისი ორი სათავსი გადახურულია შეისრულ ტრომპებზე დაფუძნებული გუმბათებით. გუმბათების ცენტრში ღიობებია გაჭრილი, რაც მათი საკმაოდ კარგად განათების საშუალებას იძლეოდა. აბანოს წინა ოთახი გასახდელ-მოსაცდელი იყო, ხოლო მეორეს საკუთრივ აბანოს ფუნქცია ჰქონდა. მას სამი ღრმა ნიშა აქვს. ამათგან ერთში მოთავსებული იყო სათბობი ქურა ქვაბით, მეორეში რეზერვუარი წყლით, მესამეში კი მცირე ზომის სწორკუთხა აბაზანა. აბანოს იატაკქვეშ გათბობის რთული სისტემა კედლებში დატანებული არხებით ქურასთან იყო დაკავშირებული. ამრიგად, ეს აბანო განსხვავდებოდა უფრო ადრეული ხანის აბანოებისაგან არქიტექტურული გადაწყვეტითა თუ ტექნიკური პარამეტრებით.

გვიანი შუასაუკუნეების აბანოების შესახებ საკმაოდ საინტერესო ფაქტობრივი მასალა გაგვაჩნია, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლების შესახებ მონაცემებს მოიცავს. ამ პერიოდში, როგორც ცნობილია, დიდია ირანის გავლენა ისტორიულ-პოლიტიკური, ასევე კულტურის თვალსაზრისით. ეს ნათლად ვლინდება ხუროთმოძღვრული ნაგებობების, მათ შორის აბანოების მშენებლობაში. ამ პერიოდის აბანოები აღმოსავლური ტიპისაა. ნიშანდობლივია, რომ ქართულ ენაში ამ დანიშნულების ნაგებობის აღმნიშვნელი სახელწოდებაც ირანული სიტყვიდან მომდინარეობს. აბანო – სპარსულად წყლებს ნიშნავს, აბ-წყალი, ან-მრავლობითის ნიშანია. სულხან საბას ეს სიტყვა განმარტებული აქვს, როგორც დასაბანელი სახლი.

გვიანი შუა საუკუნეების აბანოების ნიმუშებია როსტომის აბანო თბილისში, ერეკლეს აბანო თელავში, გრემის, სამშვილდის, ხერთვისის, ქვემო ჭალის, ახალგორის, ნიჩბისის, მძოვრეთის აბანოები და სხვა.

აბანოს აგებდნენ ქვით და აგურით. აგური უმეტესად თაღებისა

და გუმბათებისათვის გამოიყენებოდა. განათება ძირითადად ერდოთი ანუ გუმბათში ან კამარაში გაჭრილი ზედა ღიობით ხდებოდა. კედლებს ლესავდნენ, ზოგან მოხატულობის კვალიც ჩანს. გამოიყენებოდა ასევე შორენკეცები, რაც ყველაზე უკეთ შეესაბამებოდა აბანოს ტექნიკურ პარამეტრებს.

აბანოში იყო ცივი, თბილი და ცხელი წყლის აუზები. ისინი ცხელი წყლით საცეცხლის თავზე მდგარი ქვაბიდან კერამიკული მილების საშუალებით მარაგდებოდა. ცალკე იყო გაყვანილი ცივი წყალი, რაც წყლების შერევის საშუალებას იძლეოდა. საცეცხლე განყოფილება აბანოს იატაკის დაბლა იყო განლაგებული. მისგან ცხელი ჰაერი იატაკის ქვეშ და კედლებში მოწყობილი სადინარებით ათბობდა შესაბამის სათავსებს.

აბანოები ძირითადად წარჩინებულთა რეზიდენციებშია დადასტურებული. ამას გარდა საზოგადოებრივი აბანოები იყო ქალაქებში. მათ აქტიურად იყენებდა მოსახლეობა, რასაც მოწმობს მაგალითად გრემის სავაჭრო უბნის აბანოს აგურის იატაკი, რომელიც ძალზე გაცვეთილია. ეს უფრო თვალსაჩინო ხდება თუ მას აქვე მდებარე სამეფო აბანოს იატაკს შევადარებთ.

გრემში, 1466-1616 წლებში კახეთის დედაქალაქში, იყო ორი, სამეფო და სამოქალაქო აბანო. ისინი, შესაბამისად, ქალაქის სამეფო-დიდებულთა და სავაჭრო უბნებში იყო განლაგებული.

სამეფო აბანოს გააჩნდა ორი ძირითადი ნაწილი – მოსაცდელი სივრცე და საკუთრივ საბანაო განყოფილება. აღსანიშნავია, რომ ორივეს ჯვრული გეგმარება ჰქონდა და საკმაოდ დიდი ზომის იყო. მოსაცდელის ცენტრალური კვადრატული არე გუმბათით იყო გადახურული. მისკენ მიმართულ ოთხივე მკლავს კამაროვანი გადახურვა ჰქონდა. სამი მკლავი ტოლი, ხოლო მეოთხე განიერი და ღრმა იყო. მკლავები ცენტრალურ არეზე 60-70 სანტიმეტრით იყო ამაღლებული. მათ, უთუოდ, მოსასვენებელი ფუნქცია გააჩნდა და ფარდაგ-



68. გრემის აბანოს გეგმა

ხალიჩებით იქნებოდა მოფენილი. გუმბათქვეშა კვადრატის ცენტრში ექვსაფსიდიანი მოხაზულობის შადრევანი, ხოლო განიერი მკლავის ცენტრში ოქტოგონალური აუზი მდებარეობდა. ამდენად, მოსაცდელის სივრცული გააზრება, ცალკეული დეტალები აშკარად მიუთითებს, რომ აქ აღმოსავლური ყოფისათვის სახასიათო მრავალფეროვანი მდიდრული გარემო იყო შექმნილი. სააბაზანო განყოფილების ჯვრულ გადაწყვეტაში ოთხივე მკლავი ტოლი იყო. გასასვლელები გადიოდა სხვა სათავსებსა და აუზებში. მთელ სიგრძეზე გასდევდა სწორკუთხა რეზერვუარი შუაში სპილენძის ავზით. ამ უკანასკნელის გახურების მეშვეობით თბებოდა წყალი და შემდეგ სხვადასხვა ფორმის აუზებში ნაწილდებოდა.

გრემის მეორე აბანოც საკმაოდ დიდი ზომის იყო, თუმცა თავისი გადაწყვეტით და არქიტექტურულ ფორმათა მრავალფეროვნებით ჩამოუვარდებოდა სამეფო აბანოს. აქაც ორი ნაწილი გამოიყოფოდა – გასახდელ-მოსაცდელი და საბანაო. მოსაცდელის ცენტრში წრიული ფორმის აუზი იყო. მეორე ნაწილის ცენტრალური არედან გასვლელი იყო რვა საბანაო განყოფილებაში. აქვე იყო წყლის რეზერვუარები და გასათბობი საშუალებები.

როსტომის აბანო თბილისში სამეფო აბანოს საინტერესო ნიმუშს წარმოადგენდა. ის როსტომ მეფემ (1632-1658წწ.) მტკვრის ნაპირზე, ანჩისხატის მიდამოებში, სასახლესთან ერთად ააგო. ეს ნაგებობა, ისევე როგორც თბილისის შენობების დიდი ნაწილი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას დაანგრიეს. 1812-32 წლებში აქ ზარაფხანა ფუნქციონირებდა. XX საუკუნის შუა ხანებში ამ ტერიტორიაზე გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდა, რამაც შესაძლებელი გახადა აბანოს შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნა.

აბანოს კვადრატული გეგმა ჰქონდა. ის მარაგდებოდა გოგირდის წყლით. გამოყენებული იყო ასევე საცეცხლურის მეშვეობით სპილენძის ავზის გახურების მეთოდი. აქ იყო დარბაზი შუაში შადრევნით, აუზები, სხვადასხვა სათავსები. მათ შორის ნელსაცხებლებისთვის განკუთვნილი მცირე ოთახი, რაზეც მის კედელში პატარა ნიშების არსებობა მიუთითებს. იატაკი მოგებული იყო სპეციალლური ფილებით, კედლები მოპირკეტებული იყო მრავალფეროვანი შორენკეცებით. ყველა სათავსი გუმბათებითა და კამარებით იყო გადახურული, რომელთა ზედა ნაწილში ღიადები იყო გაჭრილი. ამდენად, როსტომის აბანო სამეფო კუთვნილების შესაბამისი

დიდებულებით გამოირჩეოდა.

ქვემო ჭალის აბანო ასევე XVII საუკუნეშია აგებული. ის ამილახვართა რეზიდენციას განეკუთვნებოდა და კასპის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. მან ნანგრევების სახით მოაღწია. აბანო აგურით იყო ნაგები და ამ ეპოქის შესაბამისი გადაწყვეტა ახასიათებდა. აქ იყო რვაწახნაგა გუმბათით გადახურული მოსაცდელი დარბაზი, ვრცელი ტალანი, სხვადასხვა სათავსები, წყალსაცავი, საქვაბე. არქიტექტურული ფორმების გადაწყვეტაში აშკარა ირანული გავლენა იგრძნობოდა.

თბილისში, რომლის წარმოშობის ლეგენდა თბილ წყლებს უკავშირდება, აბანოები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. XVII-XVIII საუკუნეებშიც გოგირდის აბანოები ქალაქის ცალკე უბანს ქმნიდა. სახელწოდება აბანოთუბანი დღესაც არის შემორჩენილი. ამ უბნის ერთ-ერთ გამორჩეულ ძეგლს წარმოადგენს ე.წ. ორბელიანების აბანო, რომელსაც მრავალფეროვანი შორენკეცებით მოპირკეთებული ფასადის გამო ჭრელი აბანოს სახელითაც მოიხსენიებენ. მან მინარეთების მსგავსი ფორმებით შემკული სახე XIX საუკუნის 40-იან წლებში გადაკეთების შედეგად მიიღო.

თბილისში აბანოების დიდი ნაწილი საზოგადოებრივი სარგებლობისთვის იყო განკუთვნილი. ასე გაგრძელდა XIX საუკუნეშიც. აბანოების მეპატრონეების ფეოდალური არისტოკრატიის და ვაჭართა მაღალი ფენების წარმომადგენლები იყვნენ. დოკუმენტებში აბანოების სხვადასხვა სახელწოდებები სწორედ მათ მფლობელებს უკავშირდება, რომლებიც ხშირად იცვლებოდნენ. გვიანი შუა საუკუნეების აბანოების კარგი შემოსავლიანობის შესახებ ბევრი საინტერესო ცნობაა დაცული ძველ საბუთებსა და აქტებში, იჯარით გაცემის და ნასყიდობის ხელშეკრულებებში [გ.კვანტიძე, 2012:125]. სხვადასხვა დოკუმენტების, მოგზაურთა ჩანაწერების თუ სხვა წყაროების მიხედვით



69. ჭრელი აბანო თბილისში

ირკვევა, რომ აბანო ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდა. ეს იყო არა მხოლოდ სანიტარულ-ჰიგიენური საკითხების მოგვარების, არამედ თავშეყრის, ურთიერთობების დამყარების, გართობის, გარკვეული საქმიანი საკითხების მოგვარების ადგილი. აქ ადამიანები ხშირად დილიდან საღამომდე ატარებდენენ დროს. ასეთი მრავალმხრივი ფუნქცია არქიტექტურულ გადაწყვეტაზეც ჰპოვებდა ასახვას. შესაბამისად, ნაგებობაში დიდი ფართობი ეთმობოდა მოსაცდელ-მოსასვენებელად განკუთვნილ ნაწილს.

ამრიგად, საქართველოში აბანოების მშენებლობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება არსებობს. აბანოების ფუნქციონირებისათვის გამოიყენებოდა, როგორც ადგილობრივი თერმული წყლების რესურსი, ასევე სხვადასხვა სპეციალური ხერხი და სისტემა. აღსანიშნავია, რომ რთული ტექნიკური პრობლემების მოსაგვარებლად ჯერ კიდევ წინაქრიატიანული ხანიდან მიმართავდნენ სხვა ქვეყნების მოწინავე გამოცდილებას. შემორჩენილი ძეგლების სიმრავლე და არქიტექტურულ-მხატვრული გააზრების დონე ნათლად ადასტურებს, რომ საქართველოში ძველი დროიდან ყურადღება ენიჭებოდა სანიტარულ-ჰიგიენური საკითხების მოგვარებას. ამასთან, აბანო ასრულებდა ადამიანებისათვის ერთგვარი განტვირთვის და საზოგადოებრივ-სოციალური ურთიერთობებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნის ფუნქციას, რაც ასახვას ჰპოვებდა მის არქიტექტურულ-მხატვრულ გააზრებაში. შემორჩენილი ნიმუშების ხუროთმოძღვრული მახასიათებლების, მაღალი სამშენებლო დონის მიხედვით გამოირჩევა რომაული ტიპის აბანოების მშენებლობის პერიოდი და გვიანი შუასაუკუნეების ხანა, როდესაც იგება აღმოსავლური ტიპის აბანოები.

.....

გ.აბრამიშვილი, პ.ზაქარაია, ი. ციციშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 2000;

ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, თბილისი, 1963;

ა. აფაქიძე, დიდი პიტიუნტი – არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, დიდი პიტიუნტი, ტ. III, თბილისი, 1978;

ა.ბოხოჩაძე, არქეოლოგიური გათხრები აღაიანსა და ძალისაში, ნასტაკისის

არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, I, თბილისი, 1981;

პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1965;

პ.ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხეგოჯი-ნოქალაქევი-არქეოლოპოლისი ხუროთმოძღვრება, თბილისი 1991;

გ.კვანტიძე, აბანოები გვიანშუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, ჟურ. კადმოსი, 4, თბილისი, 2012, გვ. 116-135;

ჯ.კოპალიანი, დმანისის ციხე, თბილისი, 1996;

П.Закарая,В.Леквинадзе,Археологические раскопки в Шухути, მაცნე, №1, თბილისი, 1966;

ქარვასლები

საქართველოს ტერიტორიაზე, რომელიც ოდითგან აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელს წარმოადგენდა, მნიშვნელოვანი სავაჭრო-საქარავნო გზები გადიოდა. ამ გზებით სარგებლობდნენ ახლო თუ შორი ქვეყნებიდან მომავალი ვაჭრები, მოგზაურები, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხის მაცხოვრებლები. გზებზე გადაადგილებას შუა საუკუნეებში არსებული სატრანსპორტო საშუალებებით საკმაოდ დიდი დრო ესაჭიროებოდა. ამიტომ მგზავრებისათვის თავის შესაფარებელი და ვაჭრებისათვის გასაყიდი საქონლის დასაბინავებელი ნაგებობების მშენებლობა ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ქარვასლა ამგვარ სასტუმრო და სავაჭრო დანიშნულების ნაგებობას წარმოადგენდა. სავარაუდოდ, საქართველოში ქარვასლების რაოდენობა საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, შუა საუკუნეების ხანის ფაქტობრივი მასალა არ არის მრავალრიცხოვანი. მეტი ინფორმაცია XIX საუკუნის ძეგლების შესახებ გაგვაჩნია.

ტერმინი „ქარვასლა" ქართულ ენაში გვიანი შუა საუკუნეებიდან გამოიყენება. სულხან საბა ორბელიანი ქარვასლის შესახებ წერს – „სხვათა ენაა, ქართულად ფუნდუკი ჰქვიან." აღსანიშნავია, რომ სიტყვა „ფუნდუკი" IX-XII საუკუნეების წერილობით წყაროებშიც გვხვდება. სულხან-საბასთან ფუნდუკი ასევე ნახსენებია კაპილონის განმარტებისას – „ესე არს სახლი მგზავრთა სადგური, არა თუ ფუნდუკი, არამედ სხვა რიგი. ესე არს გზათა ზედა სახლი აგებული მგზავრთა განსასვენებლად საზრდოს საშოვრად. ესე არა ფუნდუკი არს...". ანუ კაპილონი გზის პირას მდებარე მოსასვენებელი, ღვინით და საგზლით გასამასპინძებელი ადგილია და ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ეს არაა ფუნდუკი, რომელსაც უფრო ფართო, სასტუმრო-სავაჭრო ფუნქცია გააჩნდა.



70. ჟან შარდენი. კაშანის ქარვასლა

შუა საუკუნეების საქართველოში ფუნდუკის ანუ ქარვასლის გარდა სავაჭროდ გამოიყენებოდა ქულბაქები ანუ დუქნები. ქალაქებსა თუ

დასახლებულ ადგილებში იმართებოდა ბაზრობები.

ქარავანსარაია ანუ ქარვასლა შუა საუკუნეებში ახლო აღმოსავლეთის და შუა აზიის ქვეყნებში ფართოდ იყო გავრცელებული. როგორც წესი, ეს იყო საკმაოდ მასშტაბური შენობა, რომელიც ადამიანების, სავაჭრო საქონელის, სატრანსპორტო საშუალებების და მათში შესაბმელი პირუტყვის დასაბინავებლად იყო განკუთვნილი. შესაბამისად, ამ ნაგებობაში განლაგებული იყო საცხოვრებელი ოთახები, სავაჭრო დუქნები, საწყობები, საჯინიბოები და სხვა დამხმარე სათავსები.


71. ქარვასლის გეგმა

არსებობდა ქარვასლის ორი ტიპი – ღია და დახურული. ე.წ. ღია ტიპის ქარვასლებს ქალაქებსა და დასახლებულ პენქტებში აგებდნენ. ქალაქის გალავნით დაცულ ტერიტორიაზე მდებარე ამ ნაგებობების არქიტექტურულ სტრუქტურაში თავდაცვით კომპონენტს ნაკლები ყურადღება ექცეოდა. მათგან განსხვავებით, დიდი გზების პირას ქარვასლების მშენებლობისას უპირველეს ამოცანას თავდაცვითი ფუნქციის გადაწყვეტა წარმოადგენდა. ამიტომ ამ შემთხვევაში დახურული ტიპის ნაგებობებს აშენებდნენ. მათ გარედან ქვით ან აგურით ნაგები ყრუ კედლები და მხოლოდ ერთი შესასვლელი ჰქონდა. ამგვარი გადაწყვეტა ნაგებობებაში მყოფთა სიცოცხლის და ქონების დაცვას ემსახურებოდა. ქარვასლა ერთ ან ორსართულიანი იყო. მას უმეტესად კვადრატული ან სწორკუთხა გეგმა ჰქონდა, ხოლო ცენტრალურ არეს წარმოადგენდა ღია ეზო ან დერეფანი, რომლის გარშემო განლაგებული იყო სხვადასხვა დანიშნულების სათავსები. ქვეყნის თუ კონკრეტული რეგიონის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების დონის, მეპატრონის მატერიალური შესაძლებლობების და საჭიროების შესაბამისად ქარვასლები განსხვავდებოდა ზომით და მორთულობით. აგებდნენ როგორც შედარებით მომცრო, მოკრძალებულად შემკულ, ასევე მდიდრულად გაფორმებულ და მასშტაბურ ქარვასლებს.

შუა საუკუნეების ხანის საქართველოში ქარვასლა-ფუნდუკის შესახებ მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია. XI საუკუნის ჯავახეთის ახალქალაქში

დაფიქსირებულია ქარვასლის და სავაჭროს ნანგრევები. თუმცა ცუდი დაცულობის და შემდგომი ხანის ცვლილებების გამო თავდაპირველი გეგმარების დადგენა ძნელია. ცნობილია ასევე, რომ ჯავახეთიდან თრიალეთისკენ გადასასვლელ უღელტეხილზე საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური აღმავლობის ხანაში, თამარ მეფის დროს, აიგო ორი ფუნდუკი ქედის ერთსა და მეორე მხარეს [ივ.ჯავახიშვილი, 1946: 28].

ამავე რეგიონში, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში, ფარავნის ტბის აღმოსავლეთით, სოფელ როდიონოვკაში დადასტურებულია ქარვასლის ნანგრევები, რომელიც მესხეთ-ჯავახეთის სავაჭრო გზის პირას XII საუკუნეშია აგებული. ის გვიან შუა საუკუნეებში რამდენჯერმე გადააკეთეს. ქარვასლა ნაგებია ქვის თლილი კვადრებით და აგურით. მას სწორკუთხა გეგმა გააჩნია და სიგრძეში 26 მეტრს აღწევს. დაყოფილია სამ ნაწილად. შენობის შუაში მთელ სიგრძეზე მიემართება ერთიანი დერეფანი. მასში სამხრეთი მხრიდან იხსნება ნაგებობის ერთადერთი კარი. შესასვლელი საკმაოდ განიერია, რაც ბორბლიანი ტრანსპორტის შენობაში შესვლის საშუალებას იძლეოდა. დერეფნის ორივე მხარეს ხუთ-ხუთი სადგომ-სათავსია. ისინი დერეფანს თაღოვანი გასასვლელებით უკავშირდება. თაღებს და კამარებს შეისრული მოხაზულობა აქვს. ეს სათავსები ქარვასლის სტუმრებისათვის იყო განკუთვნილი. ყოველი მათგანის კედელში ბუხარია დატანებული. საგულისხმოა, რომ ეს რეგიონი საკმაოდ მკაცრი კლიმატით გამოირჩევა და გასათბობი საშუალების არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ მშენებლობისას გათვალისწინებული იყო ქარვასლაში მყოფთათვის სათანადო პირობების შექმნის აუცილებლობა. ნაგებობის გააზრებაში მთავარი იყო შიდა სივრცე და მისი გადაწყვეტა. გარე სამყაროსთან კომუნიკაციის საშუალება მინიმუმამდე იყო დაყვანილი, რაც უსაფრთხოების ზომებით იყო გაკარნახევი. მეცნიერების აზრით, საქართველოში სხვა ფუნდუკებსაც ამ ნაგებობის მსგავსი არქიტექტურული გადაწყვეტა უნდა ჰქონოდა [ი. ციციშვილი, 1955:74; ვ.ბერიძე, 1963:10].



72. ფარავნის ქარვასლის გეგმა

გვიანი შუა საუკუნების ხანაში ქალაქ გრემში არსებობდა სავაჭრო უბანი, რაზეც ქარვასლისა და ქულბაქების შემორჩენილი ნანგრევები მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ ეს ორი ნაგებობა ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. ქულბაქები ანუ დუქნები სწორკუთხა გეგმის დახურული ტიპის ბაზარს ქმნიდა. შიდა ეზოს ოთხი მხრიდან ქვით ნაგები 30 დუქანი შემოუყვებოდა. თითოეული დუქნის ფართობი დაახლოებით 10 კვ. მეტრი იყო და კამაროვანი გადახურვა ჰქონდა. დუქანი ორნაწილიანი იყო. შედგებოდა საკუთრივ სათავსისა და მის წინ ეზოს მხარეს გახსნილი, ორ კედლის შვერილს შორის მოქცეული სივრცისაგან, რომელიც სავაჭრო საქონლის გამოსაფენად იყო განკუთვნილი. ქულბაქების უმრავლესობას ბუხრები ჰქონდა. ზოგიერთ მათგანს სარდაფიც გააჩნდა. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ მხარეს მდებარე ერთ-ერთი ქულბაქის ცენტრში აუზი იყო. სავარაუდოდ, აქ ცოცხალი თევზი იყიდებოდა. ამ დახურულ ბაზრობას ორი კარი ჰქონდა. ერთი სატრანსპორტო შესასვლელი იყო ჩრდილოეთი მხარის ცენტრში. მის გვერდით იყო მცველების ოთახი, რომლის ადგილმდებარეობა შემოსასვლელის გაკონტროლების საშუალებას იძლეოდა. მეორე დასავლეთი გასასვლელით დახურული ბაზრობა ქარვასლას უკავშირდებოდა.



73. გრემის ქულბაქების და ქარვასლის გეგმა

ქარვასლა ანუ სასტუმრო გრძელ, თითქმის 80 მეტრი სიგრძის ნაგებობას წარმოადგენდა. მას ცენტრში მთელ სიგრძეზე გასდევდა გრძელი დერეფანი, რომლის ორივე მხარეს 16-16 მცირე ზომის სათავსი იყო სტუმრებისათვის. ქულბაქებისაგან განსხვავებით აქ, სავარაუდოდ, კოჭოვანი გადახურვა გამოიყენებოდა და კედლებიც ნაკლები სისქის იყო. მექარავნეების პირუტყვისათვის სადგომები, უთუოდ, იქვე მახლობლად უნდა ყოფილიყო მოწყობილი. აღსანიშნავია, რომ სავაჭრო უბანში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა აბანოც, რომელიც ჩამოსულთათვის იქნებოდა განკუთვნილი. ის, ისევე როგორც საერთოდ ქალაქი, წყლით მდინარე ლოპოტიდან გამოყვანილი არხების და მრავლად აღმოჩენილი კერამიკული მილების სისტემის მეშვეობით

მარაგდებოდა.

გვიანი შუა საუკუნეების ხანის ქარვასლების შესახებ არსებობს წერილობითი ცნობები. მაგალითად, XVII საუკუნეში როსტომ მეფის კარზე აღზრდილი ფარსმან გორგიჯანიძე თავის თხზულებაში აღნიშნავს როსტომ მეფის მიერ განჯის გზაზე ქარავანსარაიას აშენების ფაქტს. ასევე მოიხსენიებს ქარვასლებს ჟან შარდენი და სხვ.

ქარვასლების მშენებლობა სავაჭრო-სატრანზიტო თვალსაზრისით მნიშვნელოვან პუნქტებსა და დასახლებებში მიმდინარეობდა. გზების გარდა მათ ქალაქებშიც აგებდნენ. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია თბილისი, რომელიც ვაჭრობისა და ეკონომიკური აქტივობის თვალსაზრისით გამოირჩეოდა. როსტომ მეფის ზეობის ხანაში, რომელიც აღმშენებლობით ხასიათდება, აქ ქარვასლის აგებას ადასტურებს სიონის ტაძრისადმი 1650 წელს მეფის მიერ ბოძებულ კოდექსის ტექსტი, სადაც ვკითხულობთ „ჩუენცა აღვაშენეთ თქუენის ტაძრისა მინანი ქარვასლად ჩუენისა ალალისა თეთრით....". ამ ნაგებობამ შემდგომ მრავალი ცვლილება განიცადა [მ.მანია, 2007]. XVIII საუკუნის დასაწყისში ის თბილელმა მიტროპოლიტმა დომენტი მესამემ აღადგინა. როგორც ჩანს, ამ დროს საკმაოდ დიდი სამუშაოები ჩატარდა, ვინაიდან ამ პერიოდიდან მას ტფილელის ქარვასლის სახელით მოიხსენიებდნენ. ამავე საუკუნის ბოლოს ერეკლე მეორემ ის თავის ძეს, დავით ბატონიშვილს გადასცა. აღა მაჰმად ხანის შემოსევისას, ქარვასლა თბილისის სხვა ნაგებობის მსგავსად დაინგრა. 1820 წელს ეს შენობა თურქეთიდან ჩამოსულმა მდიდარმა სომეხმა ვაჭარმა გევორქ არწრუნიმ შეიძინა. მის მიერ სახეშეცლილი და გაფართოვებული ქარვასლა 1855 წელს ხანძარმა დააზიანა. შემდგომში მისი მეპატრონეები არა ერთხელ შეიცვალა. საბჭოთა პერიოდში ეს შენობა საწყობად იყო გამოყენებული. 1984 წლიდან აქ განთავსდა თბილისის ისტორიის მუზეუმი „ქარვასლა", რომელიც დღეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაშია. როგორც ვხედავთ, ნაგებობამ მრავალი ცვლილება, მეპატრონე, სახელწოდება გამოიცვალა. ამდენად, მისი დღევანდელი სახე სრულიად განსხვავებულია. XVII საუკუნის ფენა სარდაფების დონეზე განირჩევა. აქ აგურით ნაგები კედლები და კამარებია. როსტომის დროინდელი ქარვასლის გეგმა კვადრატს უახლოვდებოდა. თორმეტი საყრდენის საშუალებით ოც არათაბარ ნაწილად იყო დაყოფილი. თითოეული ერთეული ჯვრული

კამარით იყო გადახურული. თაღების ფორმა შეისრულია.

XVII საუკუნეშივე ქალაქის კედლებს გარეთ, დღევანდელი თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე, დაახლოვებით ხელოვნების მუზეუმის ადგილზე, პლატონ იოსელიანის ცნობით აშენდა დიდი ზომის ქარვასლა, რომელშიც სტუმრებისათვის 80 ოთახი იყო განკუთვნილი. ის თურქების შემოსევისას დაუნგრევიათ 1724 წელს. როგორც ჩანს, თბილისში ამ პერიოდში კიდევ რამდენიმე ქარვასლა იყო. ამას მიუთითებს ჟან შარდენიც, რომელმაც საქართველოში 1672-73 წლებში იმოგზაურა. შარდენის მიხედვით – „თბილისში არის საუცხოო საზოგადო შენობები, ბაზრები, ესე იგი სავაჭრო ადგილები, ფართოა, აგებულია ქვისაგან და კარგად მოვლილი; იგივე შეიძლება ითქვას ქარვასლებზე, იმ სადგომებზე, რომლებშიაც უცხოელები ჩერდებიან" [ჟ. შარდენი, 2016].

XIX საუკუნეში ისტორიულ-პოლიტიკური სიტუაციის კარდინალური ცვლილების შემდგომ, საქართველოში, მათ შორის თბილისში, გაგრძელდა ქარვასლების მშენებლობა, ზოგ შემთხვევაში კი განახლდა ძველი ქარვასლები. თუმცა უნდა ითქვას, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრის შუა ხანებიდან, განსაკუთრებით რკინიგზის ამოქმედების შემდგომ, ქარვასლებმა დაკარგეს თავდაპირველი მნიშვნელობა, რამაც შეასუსტა მათი მშენებლობის მოტივაცია. ქარვასლები უფრო მეტად სავაჭრო და არა სასტუმროს დანიშნულებით გამოიყენებოდა. რაც შეეხება არქიტექტურულ სტრუქტურას, XIX საუკუნეში ქარვასლა უმეტესად ინარჩუნებდა ტრადიციულად ჩამოყალიბებულ სახეს, რომელიც კარგად პასუხობდა ფუნქციონალურ მოთხოვნებს. სტილისტური თვალსაზრისით მის მხატვრულ გააზრებაში აღმოსავლურის პარალელურად გაჩნდა ეპოქის შესაბამისი ფორმები და მიდგომები.

ქარვასლები, რომლებსაც ტრადიციულად კალას უბანში აგებდნენ, დღეს საკმაოდ სახეშეცვლილი სახით არის შემორჩენილი. მათ, ცხადია, თავდაპირველი ფუნქცია არ აქვს. ზოგ მათგანში სხვადასხვა ტიპის დაწესებულებებია განთავსებული, ზოგიერთი კი საცხოვრებელს წარმოადგენს. ამგვარი სიტუაცია საკმაოდ ართულებს მათ შესწავლას და თავდაპირველი სახის დადგენას. XIX საუკუნეში არსებული ზოგადი სურათის წარმოსაჩენად განვიხილოთ რამდენიმე ნიმუში.

თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით, სხვადასხვა პერიოდში განხ-

74. ყოფილი თბილელის ქარვასლა

ორციელეული უაღრესად მნიშ-ვნელოვანი და არქიტექტურული ღირებულებით გამორჩეული ცვლილებებით ხასიათდება როს-ტომ მეფის ნაგებობაზე დაფუძნებ-ული თბილელის და შემდგომ არ-წრუნის სახელით ცნობილი ზემოთ აღნიშნული ქარვასლა. დღეს ამ ნაგებობაში მტკვრის მხარეს არსე-ბული ფასადის გადაწყვეტაში ჩანს კლასიცისტური, ხოლო სიონის ქუჩის მხარეს მოდერნის სტილის ნიშნები. ინტერიერის საინტერესო მხატვრულ სახეს განაპირობებს შემი-ნული გადახურვის ქვეშ მოქცეული შიდა ეზოს ერთიანი სივრცე XX საუ-კუნის ათიანი წლებში შესრულებული ლითონის აჟურული მოაჯირებით, ვოლუტებიანი სვეტებით, კიბით და სხვა დეტალებით.

ამ ნაგებობის მოპირდაპირე მხარეს, სიონის ქუჩის №13-ში, მდებარეობს 1870-იან წლებში აგებული ქარვასლა, რომელშიც დღეს საპატრიარქოს სასულიერო სემინარია და აკადემიაა განთავსებული. ამ ადგილას XVIII საუკუნეში სამეფო ფუნდუკი იდგა, რომლის საფუძველზე XIX საუკუნის დასაწყისში ერეკლე მეორის ასულ თეკლა ბატონიშვილის ქარვასლა აშენდა. დღეს არსებული ნაგებობის გეგმა ქარვასლის ტრადიციულ სქემას იმეორებს. ცენტრში წაგრძელებული ფორმის შიდა ეზოა. მის გარშემო ნაგებობას არასიმეტრიული მრავალკუთხედის მოხაზულობა აქვს. ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ეზოს მხარეს ოთხი, ხოლო სიონის ქუჩაზე სამი სართულია. შენობამ არსებობის მანძილზე მრავალი ცვლილება განიცადა. თავდაპირველად, სავარაუდოდ პირველ სართულზე პირუტყვის სადგომი, მეორე-

75. ყოფილი ქარვასლა სიონის №13-ში

მესამეზე სავაჭრო, ხოლო მეოთხეზე სასტუმრო-მოსასვენებელი სათავსები იყო. განსაკუთრებით შთამბეჭდავია შიდა ეზოს სივრცე, რომელსაც შეისრული ღიადეები შემოუყვება ყველა მხარეს. ფასადები განსხვავებულადაა გადაწყვეტილი. სიონის ქუჩის მხარეს ღიადებს ნალისებური და სწორკუთხა ფორმა აქვს. ამ მხარესვეა განთავსებული ეზოსკენ მიმავალი განიერი შესასვლელი. ექსტერიერის ხასიათს აღმოსავლური სტილის სტალაქტიდების მოტივი, ასევე ქართული ხუროთმოძღვრებისათვის სახასიათო მცენარეული ორნამენტული დეკორი თუ სხვა ფორმებისა და ელემენტების ეკლექტური ერთიანობა აყალიბებს.

ამ ნაგებობების სიახლოვეს მდებარეობს კიდევ ერთი ძველი ქარვასლა, რომელიც დღეს საკმაოდ მძიმე მდგომარეობაშია. დოკუმენტების მიხედვით მისი მშენებლობა 1893 წელს ალექსანდრე ხოჯაპარუხოვის და იაგორ მაისურაძის თაოსნობით დაუწყიათ. ნაგებობა კოტე აფხაზის და სიონის ქუჩებს შორის მდებარეობს და სხვადასხვა დონეზეა განლაგებული. შესაბამისად, კოტე აფხაზის ქუჩის მხარეს ორსართულიანია, ხოლო სიონის ქუჩაზე სამსართულიანი. მას ხუთწახნაგა გეგმა აქვს და ოთხკუთხა შიდა ეზო გააჩნია. ცუდი დაცულობის გამო შიდა სივრცის გადაწყვეტაზე საუბარი ძნელია. როგორც მ. მანია მიუთითებს, აქ შიდა ეზოს შემოუყვებოდა რკინის დეტალებიანი აივნები [მ.მანია, 2005]. ღიობებიც სართულების მიხედვით განსხვავებული იყო. პირველზე შეისრული, მეორეზე სამცენტრიანი ისრულ-თაღოვანი, მესამეზე ოთხკუთხა.

ნაგებობა ძირითადად აგურით არის ნაგები, შეულესავია და აგურის ფაქტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებს გარეგნული სახის ფორმირებაში. ფასადების იერს აგურის წყობის ხასიათი და ღიადების რიგი განსაზღვრავს. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა კოტე აფხაზის და სიონის ქუჩებს შორის მოქცეული ვიწრო საპარადო ფასადი. ის ეკლარის მოთეთრო ქვით არის აგებული და აქტიურ აქცენტს ქმნის.

76. ყოფილი ა.ხოჯაპარუხოვის და ი. მაისურაძის ქარვასლა

ნაგებობის ამ მონაკვეთის გადაწყვეტაში აღმოსავლურ ხუროთმოძღვრებაში გავრცელებულ ნიშაში ჩასმული ისრული კარიბჭის ანუ ბეშთაქის მსგავსი კომპოზიციაა გამოყენებული. პირველი სართულის დონეზე სწორკუთხა ნიშაში შეისრული თაღია, რომლის გარეთ არეები ორნამენტული მოტივებით არის შემკული. მეორე სართულის დონეზე სტალაქტიდებიანი კაპიტელების მქონე ქვის ბურჯებზე სამი ნალისებური თაღია დაფუძნებული. ამ ფასადზე უხვად არის გამოყენებული სხვადასხვა დეკორატიული მოტივები და ფორმები. 1990-იან წლებამდე მას აგვირგვინებდა მცირე გუმბათი. XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში აგებული ეს ქარვასლა ისლამური ეკლექტიზმის ნიმუშია [მ.მანია.2005:344], რომელიც ძველი თბილისის ურბანულ განაშენიანებაში დღესაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ თბილელის, იგივე არწრუნის ქარვასლის გვერდით XX საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1904 წელს, იმ პერიოდის თბილისის ერთ-ერთი უმდიდრესი მეწარმის ალექსანდრე მანთაშოვის რიგების სახელით ცნობილი ორი ნაგებობა აიგო. ამ ადგილზე ძველად არსებული მელიქის ქარვასლის ადგილზე ეს შენობები ღაზარ სარქისიანის პროექტით აშენდა. მათ მრუდწირული მოხაზულობა გამოარჩევს და მოდერნის სტილშია გადაწყვეტილი.

77. თამამშევის ქარვასლა

XIX საუკუნის თბილისში არქიტექტურული თვალსაზისით ერთ-ერთ საინტერესო შენობას წარმოადგენდა თამამშევის ქარვასლის სახელით ცნობილი ნაგებობა, რომელიც გამოირჩეოდა იმით, რომ აქ ოპერის თეატრიც იყო განთავსებული. ის ერევანსკის ანუ დღევანდელი თავისუფლების მოედნის ერთ-ერთი დომინანტურ ნაგებობას წარმოადგენდა. მისი, როგორც ქალაქის თეატრის, მშენებლობას საფუძველი 1847 წელს ჩაეყარა და გაიხსნა 1851 წლის 12 აპრილს. ნაგებობაში სავაჭრო და საოპერო თეატრის შერწყმა მისი მშენებლობისას წარმოშობილმა ფინანსურმა პრობლემებმა განაპირობა. ვინაიდან ხაზინა თეატრის ასაგებად თანხას არ იძლეოდა,

მეფისნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა კერძო პირებს ფულადი სახსრების სანაცვლოდ სავაჭრო ფართის გამოყოფა შესთავაზა. დაფინანსება ითავა ვაჭარმა გაბრიელ თამამშევმა. ამიტომ ნაგებობას თამამშევის ქარვასლის სახელით მოიხსენიებდნენ, თეატრი კი ქალაქის საკუთრებად დარჩა. შენობის არქიტექტორი იყო ჯოვანი სკუდიერი.

თამამშევის ქარვასლა გეგმაში სწორკუთხა იყო (47X78). ოთხი სართულიდან სამხრეთი მხარის ორი სართული მიწის ქვეშ იყო განლაგებული საწყობებისთვის. მესამე და მეოთხე სართულებზე განთავსებული იყო მაღაზიები (44 ერთეული) და სავაჭრო კანტორები. თეატრი ნაგებობის შუა ნაწილში მდებარეობდა და 700 მაყურებელზე იყო გათვლილი. აქ იყო პარტერი, ლოჟების ორი იარუსი და ქანდარა. ნაგებობის შიდა სივრცის მხატვრული გაფორმება გ.გაგარინის ესკიზების მიხედვით განხორციელდა და აბსოლიტურად განსხვავდებოდა ექსტერიერისაგან. ჯ.სკუდიერიმ ფასადების გადაწყვეტისას კლასიკური მოტივები, კერძოდ რენესანსული, პილასტრებით დანაწევრებული „პალადინისებური" სარკმელები გამოიყენა. ინტერიერი კი აღმოსავლურ, ეგზოტიკურ სტილში გადაწყდა ე.წ. სტალაქტიტებითა და არაბესკებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოგზაურობის შესახებ ჩანაწერებში ალექსანდრე დიუმა (მამა) 1859 წელს ამ თეატრის ნახვის შემდეგ წერდა – „მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე არა ერთი თეატრი მინახავს, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება ტიფლისის თეატრს". ამ შესანიშნავმა თეატრმა 23 წელი იარსება. ის 1874 წლის 11 ოქტომბერს ოპერა „ნორმას" წარმოდგენისას გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა. ნაგებობა გადაკეთების შემდეგ მხოლოდ ქარვასლის ფუნქციას ასრულებდა და 1934 წელს მოედნის რეკონსტრუქციისას დაანგრიეს.

ამრიგად, ქარვასლები საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების უაღრესად საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს. სამწუხაროდ, შემორჩენილი ძეგლების რიცხვი დიდი არ არის. მათ ფუნქციური დანიშნულების შესაბამისად გააზრებული არქიტექტურული სტრუქტურა გააჩნიათ, ხოლო მხატვრულ-სტილისტურ სახეს ეპოქისათვის სახასიათო ტენდენციები განსაზღვრავს.

.....

ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917წლებ, ტ.II, თბილისი, 1963;

მ. მანია, თბილისის „შუა ბაზრის" ერთი ქარვასლის ისტორიისათვის, კრებ. საქართველოს სიძველენი. №7-8, თბილისი, 2005, გვ. 337-353;

მ. მანია, თფილელის ქარვასლის ისტორიისათვის, კრებ.საქართველოს სიძველენი, №10, თბილისი, 2007, გვ. 150-165;

ჟ.შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბილისი, 2016;

ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბილისი, 1955;

ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბილისი, 1946;

ხიდები

საქართველო წყლის რესურსით და მდინარეებით მდიდარი ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე 25 074 დიდი თუ მცირე მდინარე მოედინება. აქედან 17 ათასზე მეტი დასავლეთ საქართველოშია, ხოლო 7 649 აღმოსავლეთში. აღსანიშნავია, რომ ბევრი მდინარე საკმაოდ მოკლე, 25 კილომეტრამდე სიგრძისაა, და დიდ მდინარეთა აუზს განეკუთვნება. მდინარეთა ამგვარი ქსელი და გეოგრაფიული მოცემულობა საქართველოში მოსახლეობისთვის კომუნიკაციის პრობლემას ქმნიდა. მდინარის ორი ნაპირის დასაკავშირებლად სხვადასხვა საშუალებებს და განსხვავებულ ხერხებს მიმართავდნენ. მაგალითად, მდინარეთა ჭალებსა და წყალთხელ ადგილებში საგანგებოდ არჩევდნენ სასურველ ფონს, რათა ის ფეხდაფეხ ან ცხენითა თუ სხვა საშუალებით გადაელეხათ. ზოგიერთ მდინარეზე აწყობდნენ საცალფეხო, დროებით გადასასვლელებს, ასევე ე.წ. დაკიდეულ ხიდებს, რომლებიც მდინარის ადიდებისას ხშირად წყალს მიჰქონდა. ამიტომ მუდმივად განახლებას საჭიროებდა. გამოიყენებოდა ასევე ბორანი. ის ადამიანების, პირუტყვისა თუ ტვირთის გადასაზიდ მოტივტივე საშუალებას წარმოადგენდა და ბაგირის მეშვეობით გადაადგილდებოდა. მას აწყობდნენ შედარებით დიდ მდინარეებზე საგანგებოდ შერჩეულ ადგილებზე, იქ, სადაც დინება მდორე იყო. თბილისში ბორანი ფუნქციონირებდა დღევანდელი ბარათაშვილის ხიდის მიდამოებში.

78. ბორანი მტკვარზე

საზოგადოდ, მდინარეზე გადასასვლელად საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ხიდი, თუმცა მისი აგება საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ძველ საქართველოში აგებდნენ ხის, ქვის ან აგურის ხიდებს. სავარაუდოდ, ხის ხიდებს ძველი დროიდანვე აქტიურად იყენებდნენ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც ხის მასალით ყველანაირი დანიშნულების ნაგებობებს აშენებდნენ, საცხოვრებელი

და საფორტიფიკაციო შენობებით დაწყებული საკულტო ნაგებობების ჩათვლით. სამწუხაროდ, მასალის სპეციფიკიდან გამომდინარე ხის ძველმა ხიდებმა ჩვენს დრომდე ვერ მოაღწია.

79. ხის ხიდი მთიან აჭარაში

ხის ხიდის უაღრესად საინტერესო ნიმუშია დადასტურებული, მაგალითად, მთიან აჭარაში. მას ძელებით შეკრული გვერდები და სახურავი გააჩნია, რაც უხვი ნალექით გამორჩეულ კუთხეში ხიდზე გადამსვლელს წვიმისგან იფარავს. ამ ნაგებობაში ფუნქციონალური და კონსტრუქციული საკითხები სადა, მარტივი ხერხებით არის გადაწყვეტილი და, ამავდროულად, უაღრესად გამომსახველი არქიტექტურულ-მხატვრული სახეა შექმნილი.

საზოგადოდ, ხიდის ასაგებად საუკეთესო მასალას ქვა წარმოადგენდა. ქვის კვადრებით ნაგები ხიდი გაცილებით მდგრადი იყო. ამას ადასტურებს საუკუნეების წინ აგებული ძველი ხიდები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის დადასტურებული. მათი ფორმა და შესრულების ოსტატობა ნათლად მეტყველებს, რომ ქვის ხიდების მშენებლობა საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული. ამას განაპირობებდა არა მხოლოდ გეოგრაფიული მოცემულობა, არამედ მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების მნიშვნელობა, რაც დამატებით ფაქტორს წარმოადგენდა ხიდების მშენებლობის მოტივაციისათვის.

საზოგადოდ, ხიდის მშენებლობა მნიშვნელოვანი საინჟინრო-კონსტრუქციული საკითხების გადაწყვეტასთან არის დაკავშირებული. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პრობლემების ხასიათს არსებული მოცემულობა განაპირობებს. ხიდის ასაგებად თავდაპირველად სათანადო ადგილის შერჩევაა აუცილებელი. როგორც წესი, ამისთვის მდინარის იმ ადგილს არჩევენ, სადაც ორი ნაპირი ერთმანეთს უახლოვდებოდა. დიდი მნიშვნელობა აქვს ასევე ნაპირის გეოლოგიურ სტრუქტურას. ამ თვალსაზრისით, კლდოვანი, მყარი ქანები ხიდის საფუძვლის ამოსაყვანად ყველაზე კარგ პირობას ქმნის. განიერი კალაპოტის მქონე მდინარეზე

ხიდის მშენებლობისას ბურჯების აგება აუცილებელი ხდება. ეს დამატებით სირთულეს ქმნის, როგორც კონსტრუქციების გათვლის, ასევე უშუალოდ სამუშაოების შესრულების თვალსაზრისით. საქართველოში შემორჩენილი ხიდები ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ძველი ოსტატები დიდ სამშენებლო გამოცდილებას ფლობდნენ და წარმატებით ანხორციელბდნენ როგორც სამშენებლო პროცესის დაგეგმვის, ასევე მისი სრულფასოვნად შესრულების სამუშაოებს. ძველი ხიდები საქართველოში უმეტესად ერთმალიანია. მათი კონსტრუქცია ორივე მხრიდან კლდოვან ნაპირს ებჯინება. მდინარეში ბურჯების ამოყვანას ერიდებოდნენ, თუმცა თუ მდინარის სიგანე მოითხოვდა მათ აგებას, ბურჯებიან ხიდებსაც აშენებდნენ [ვ.ბერიძე, 1974:167]. ძველ საქართველოში ხიდის მალა ყოველთვის თაღოვანი იყო. გავრცელებული იყო ე.წ. კუზიანი, ანუ ცენტრში შეტეხილი ფორმა.

საქართველოში ერთ-ერთ უძველესი იყო მცხეთასთან მდინარე მტკვარზე აგებული პომპეუსის სახელით ცნობილი ხიდი. ამგვარი სახელწოდების მიუხედავად, ის უფრო ადრე, ძვ.წ. IV-III საუკუნეებში უნდა ყოფილიყო აგებული [ვ.ნიკოლაიშვილი, ა.სიხარულიძე, 2000]. მცხეთა ამ პერიოდში გააქტიურებული საერთაშორისო ურთიერთობების და სავაჭრო გზის მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა, რომელიც კასპიისა და შავი ზღვებიდან თუ დარიალის ხეობიდან მომავალი გზების შესაყარზე მდებარეობდა. ამდენად, აქ ხიდის არსებობა აუცილებლობას წარმოადგენდა. მას მოგვების ხიდად მოიხსენიებდნენ, რადგან აქ მდებარეობდა მოგვთა უბანი. რაც შეეხება პომპეუსს, მის მიერ ძვ.წ. 65 წელს იბერიის მეფე არტაგთან წარმოებული საბრძოლო მოქმედებები მართლაც უკავშირდება მცხეთას და მისი ლაშქრის მდინარე მტკვარზე გადასვლას, რაც რომაელ ისტორიკოს დიონ კასიუსს აქვს აღწერილი. თუმცა ეს ინფორმაცია უშუალოდ ხიდი მშენებლობასთან არ არის დაკავშირებული.

ე.წ.მოგვთა ანუ პომპეუსის ხიდი V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა შეაკეთა და გააფართოვა. საუკუნეების შემდეგ ის კვლავ ფუნქციონირებდა, რაზეც მიუთითებენ იოჰან გიულდენშტედტი, იული კლაპროტი, ფრედერიკ დიუბუა დე მონპერე და სხვ. წერილობითი მონაცემების მიხედვითა ის ქვით იყო ნაგები და გარკვეული, უთუოდ, დაზიანებული ნაწილი ხის ჰქონდა. XIX საუკუნეში ეს ხიდი ვეღარ უძლებდა ახალი სატრასპორტო საშუალებების დატვირთვას. ამიტომ დაანგრიეს და 1839-41 წლებში

80. ბესლეთის ხიდი

ინჟინერ-მშენებლის პოლკოვნიკ ტერმინის ხელმძღვანელობით ააგეს ახალი, ოთხმალიანი ქვის ხიდი. 1927 წელს ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის აგების შემდგომ, მისი დანახვა იშვიათად შეიძლება წყლის დონის დაწევისას.

შუა საუკუნეების ხიდებს შორის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ბესლეთის ხიდი სოხუმის აღმოსავლეთით, 8 კილომეტრში. ის XI-XII საუკუნეებით თარიღდება. ქვით ნაგები ხიდი 35 მეტრი სიგრძისაა, ხოლო ერთადერთი მალის სიგრძე 13,3 მეტრია. სიგანე 4.7 მეტრია. მისი სიმაღლე 11.20 მეტრს აღწევს [ი. ციციშვილი,1995:110]. ამიტომ წყალდიდობის დროსაც არ იფარება წყლით. ქვებზე შემორჩენილია ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი. აღსანიშნავია, რომ სპეციალისტების დასკვნით მისი კონსტრუქცია დიდ დატვირთვაზეა გათვლილი.

ამავე ეპოქას განეკუთვნება აჭარის წყალზე აგებული თაღიანი ხიდები ფურტიოსთან და დონდალოსთან. ორივეგან მალა ძალზე მაღალია. პირველ შემთხვევაში 17,5 მეტრს, ხოლო მეორეში – 20 მეტრს აღწევს. ამგვარი გადაწყვეტა ხიდებს განსაკუთრებულ მხატვრულ გამომსახველობას ანიჭებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კონსტრუქტიულად ზუსტად არის გათვლილი. საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს ასევე მდინარე თეძამზე აგებული ხიდი რკონის მონასტერის მახლობლად. მას ცენტრში შეტეხილი ფორმა აქვს. ასევე კეხიანია ზემო აჭარაში თამარის ხიდი მდინარე ქედისწყალზე. მას ძალზე დახველი ფორმა და პროპორციები გამოარჩევს.



81. ხიდი მდინარე თეძამზე რკონთან

სამმალიანი ხიდის ნიმუშს წარმოადგენს იმერეთში, სოფელ ქვედა საქარასთან მდინარე ჩალაბურზე აღმართული ხიდი. აქ სამივე მალს შეისრული ფორმა აქვს. ამათგან შუა უფრო განიერი და მაღალია. ხიდის

ცენტრალური, ყველაზე მაღალი წერტილიდან დაქანება ორივე მხარეს თანდათანობით მოემართება. ამგვარი განაწილება მის მდგრადობას და ფორმათა პროპორციულ თანაფარდობას განაპირობებს.

82. ქვემო საქარის ხიდი

გვიანი შუა საუკუნების ნიმუშებიდან გამორჩეულია ე.წ. წითელი ხიდი მდინარე ხრამზე. ის XVII საუკუნეში როსტომ მეფის დროს არის აგებული და საერთაშორისო სავაჭრო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. აღსანიშნავია, რომ დღესაც სამხრეთი კავკასიის სამი ქვეყნის და ირანის დამაკავშირებელი სტრატეგიული მაგისტრალის საკვანძო ადგილს წარმოადგენს. წითელი ხიდი თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით ენათესავება ირანში აგებულ ხიდებს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან როგორც ცნობილია, ამ ეპოქაში საქართველოში ირანული გავლენა ბევრ სფეროშო, მათ შორის არქიტექტურაში, ძალზე დიდია. ხიდი ბრტყელის აგურით არის ნაგები. მდინარის წყლის ზემოქმედებისაგან დასაცავად ბურჯები თლილი ქვითაა მოპირკეთებული. ხიდის საერთო სიგრძე 175 მეტრს აღწევს, სიგანე 4.3 მეტრია. ის ოთხმალიანია. მდინარის დონიდან 12-14 მეტრის სიმაღლის თაღებს შეისრული ფორმა აქვს. ხიდი გვერდებიდან ცენტრისაკენ მაღლდება და მთავარი თაღის თავზე ერთგვარ ტეხილს ქმნის. ამის გამო მას „გატეხილი ხიდის" სახელითაც მოიხსენიებდნენ. აღსანიშნავია, რომ ამგვარი გადაწყვეტა ადრეც გამოიყენებოდა ხიდების მშენებლობისას. ე.წ. კუზიანი ხიდებსაც მსგავსი მოხაზულობა გააჩნია. ხიდის ნაპირა ბურჯებში გამართული იყო საკმაოდ დიდი ზომის, 300 მეტრამდე საერთო ფართობის მქონე ოთახები. მათ ჰქონდა ბუხრები და ქარვასლის ფუნქციას ასრულებდნენ. იყო ასევე მომცრო ოთახი მებაჟის ან მცველისათვის. ამდენად, ხიდს მრავალფუნქციური დანიშნულება

83. წითელი ხიდი

ჰქონდა. წითელი ხიდი თავისი მასშტაბით, არქიტექტურული გადაწყვეტით, კონსტრუქციული, ფუნქციონალური და მხატვრული გააზრებით, უდაოდ, უაღრესად მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს.

ამავე ხანას განეკუთვნება ყაურმის ხიდი მდინარე თაფარავანზე, ხიდი მდინარე მაშავერაზე და სხვ. აღსანიშნავია ქუთაისის მახლობლად მდინარე ჭიშურაზე გენათელი ეპისკოპოსის გედეონ ლორთქიფანიძის მიერ 1667 წელს აგებული ქვის ხიდი, რომლის არქიტექტურულ გადაწყვეტაში არ იგრძნობა ამ პერიოდის ხიდებისათვის ესოდენ დამახასიათებელი ირანული გავლენა.

ამრიგად, საქართველოში ხიდების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნიმუშებია შემორჩენილი. მათი მშენებლობის ქრონოლოგიური და ტერიტორიული ფარგლები, ასევე კონსტრუქციულ-არქიტექტურული მახასიათებლები, შუა საუკუნეების საქართველოში საინჟინრო-სამშენებლო საქმის მაღალ დონეზე განვითარებას ადასტურებს.

.....

გ.აბრამიშვილი, პ.ზაქარაია, ი. ციციშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბილისი, 2000, გვ. 214-216;

ვ. ბერიძე, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1974, გვ.167, 186;

ვ. ნიკოლაიშვილი, ა.სიხარულიძე, მცხეთის ძველი („პომპეუსის“) ხიდი, თბილისი, 2000;

ი. ციციშვილი,ხიდები: გვიანფეოდალური ხანის ხელოვნება, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1995, გვ. 110, 129;

ნ. კვეზერელი-კოპაძე, საქართველოს ხიდების მთავარი სახეები, ძეგლის მეგობარი, №19, თბილისი, 1969, გვ 47-59;

ურბანული პროგლემატიკა
და ქალაქები ძველ საქართველოში

საქართველოში ქალაქების წარმოშობას „ქართლის ცხოვრების" მემატიანე ლეონტი მროველი ქართველთა ეთნარქებს უკავშირებს. ლეონტის მიხედვით ქართლოსის ცოლმა ააშენა რუსთავი, მცხეთოსმა – მცხეთა, ოძრხსოსმა – ოძრხე და თუხარისი, ჯავახოსმა – წუნდა და არტაანი, უფლოსმა უფლისციხე, ურბნისი და კასპი. ამ და სხვა ქართულ თუ უცხოურ წერილობით წყაროებში მოხსენიებული ქალაქების ნაწილი დღესაც არსებობს, ნაწილი მიკვლეულია და არქეოლოგიურად არის შესწავლილი, ხოლო ზოგიერთი დღემდე არ არის აღმოჩენილი. ასეთია, მაგალითად, ქალაქი ილდამუსა, რომელიც ურარტუს მეფის სარდურ II-ის წარწერაშია მოხსენიებული [სინ, I. 1970 : 387], ასევე კულხას ქალაქები, შავი ზღვის სანაპიროზე გაშენებული რიგი ბერძენული კოლონიები თუ რომაული სიმაგრეები და სხვ.

საზოგადოდ, ურბანული ცხოვრების წესის დანერგვა საზოგადოების განვითარების შესაბამის დონეს და სათანადო ეკონომიკური თუ სოციალური პირობების არსებობას საჭიროებს. საქართველოში ქალაქების გაჩენა ან უკვე არსებული დასახლების ქალაქად გადაქცევის პროცესი ძვ.წ. შუა ხანებიდან იწყება და ძვ.წ. IV-III სს.-დან აქტიურად მიმდინარეობს. არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა, რომ, მაგალითად, უფლისციხეში, მცხეთაში, რუსთავში გაცილებით ადრეულ ხანაში არსებული დასახლებები ქალაქებად დაახლოებით ამ საუკუნეებში ფორმირდა.

სავაჭრო ურთიერთობების განვითარებამ ქალაქების წარმოშობას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეუწყო ხელი. როგორც ცნობილია, საქართველოში გადიოდა საერთაშორისო ვაჭრობისათვის მნიშვნელოვანი სატრანზიტო გზები, რომელთა მარშრუტი ძირითადად მდინარეების გასწვრივ მიემართებოდა. სწორედ ამ ადგილებში შეიქმნა ხელსაყრელი პირობები და გაშენდა უმეტესი ქალაქები. აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში ქალაქების ფორმირების დამატებით სტიმულად ბერძნული ფაქტორიების გაჩენა იქცა (მაგ: ფასისი, გიენოსი, დიოსკურია). ქალაქური ტიპის დასახლებები შეიქმნა კოლხეთის შიდა მხარეშიც (მაგ.: ვანი, ქუთაისი, საირხე).

საზოგადოდ, ქალაქის განაშენიანებისას უმთავრესია ცხოვრებისათვის

აუცილებელი პირობები არსებობა, რაც ითვალისწინებს სასმელი წყლის საკმარისი რესურსით და სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების შესაძლებლობას. ამას გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თავდაცვის უზრუნველყოფას. ამიტომ ქალაქებისათვის ადგილს უმეტესად ბორცვებსა თუ მთისწინეთში არჩევდნენ, სადაც უკეთ შეიძლებოდა ზღუდეების აგება და საფორტიფიკაციო ნაგებობების მეშვეობით თავდაცვითი ღონისძიებების განხორციელება. ქალაქის ტიპის დასახლებას გამოარჩევდა საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ნაგებობების არსებობა. ქალაქებში ასევე იყო სავაჭრო ადგილები (ბაზრობა) ან ამ ფუნქციისთვის აგებული საგანგებო შენობები. დროთა განმავლობაში ყალიბდება ქალაქური ტიპის საცხოვრებელი სახლები. ქალაქის ტერიტორია შემოსაზღვრული იყო კედლებით. ამას გარდა არსებობდა შიდა ციხე (აკროპოლისი), რომელიც ქალაქის ყველაზე უკეთ გამაგრებულ ადგილს წარმოადგენდა.

მცხეთაში აღმოჩენილი IV საუკუნის ქვის ეპიტაფია „ავრელი აქოლისი, არქიტექტორი და არქიზოგრაფი" ნათლად ადასტურებს, რომ საქართველოში არსებობდა ურბანული განაშენიანების ხელმძღვანელის სპეციალური თანამდებობა. ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ წინაქრისტიანულ ხანაში ქალაქმშენებლობა სისტემურ ხასიათს ატარებდა და საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული. ამ აზრს ამყარებს ძვ.წ. I საუკუნის ცნობილი ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის ცნობაც იბერიის არქიტექტურულად გამართული ქალაქებისა და დაბების შესახებ. კერძოდ, ის წერს „იბერია უმეტესად კარგად არის დასახლებული ქალაქებით, სოფლებით, იქ არის კრამიტიანი სახურავები, სახლები არქიტექტურულად მოწყობილი, ბაზრები და სხვა..."(სტრაბონი, XI, III, 1,2) არქეოლოგიურ მასალაში მრავლად აღმოჩენილი ბრტყელი და ღარისებრი კრამიტი, ადასტურებს ამ ცნობის რეალობას. ამასთან, თავად კრამიტის ზომა და წონა, მიუთითებს იმ ნაგებობათა სიმტკიცესა და მდგრადობაზე, რომლებიც ამგვარი კრამიტით იყო გადახურული.

საზოგადოდ, ქალაქების განაშენიანებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ურბანული დაგეგმარების, ქუჩების ქსელის ფორმირების, სატრანსპორტო და ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების საკითხებს. სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული იყო მათი რაობა, მოთხოვნების სპეციფიკა და გადაწყვეტის საშუალებები.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად მეტ-ნაკლებად შესწავლილია რიგი ძველი ქალაქები, როგორიცაა მცხეთა, უფლისციხე, ძალისა, ურბნისი, ვანი, ბიჭვინთა და სხვ. ამ მონაცემების მიხედვით წინაქრისტიანულ საქართველოში ურბანული ხუროთმოძღვრების განვითარების საკმაოდ მაღალი დონე გამოვლინდა. ნათელია, რომ სათანადოდ არჩევდნენ ადგილს ქალაქმშენებლობისათვის და კარგად ითვალისწინებდნენ როგორც თავდაცვის, ასევე კომუნიკაციისთვის საჭირო პირობების არსებობას. საფორტიფიკაციო სისტემის შექმნისას მკაფიოდ იაზრებდნენ ლანდშაფტის თავისებურებას. სათანადოდ ფლობდნენ ქალაქის დაგეგმარების თუ სამშენებლო-კონსტრუქციული საკითხების გადაწყვეტის ხერხებსა და საშუალებებს.



84. სამადლო. გეგმა

სამადლო დღეისათვის ყველაზე ძველ ქალაქური ტიპის დასახლებად არის მიჩნეული. ის მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ორი ბორცვზე, დაახლოებით 16 ჰა-ზე, ტერასებზე იყო გაშენებული. მისი მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი. აქ კირქვის კარგად გათლილი კვადრები, კრამიტი და ნადირობის სცენის სკულპტურული რელიეფია დადასტურებული. ბორცვის თავზე დაფიქსირდა მოზრდილი ნაგებობის ნაშთები. კერძოდ, გამოვლინდა 5 მეტრამდე სიგანის კედელი საფასადო მხარეს სამი რიზალიტით. მას, სავარაუდოდ, კვადრატული გეგმარება და საკულტო დანიშნულება უნდა ჰქონოდა. მტკვრის მარცხენა ნაპირზე სამადლოს გასწვრივ, ნასტაკისის ველზე, ასევე აღმოჩენილია ურბანული დასახლების კვალი. სამადლო-ნასტაკისი, უთუოდ, ერთი ქალაქის ორ ნაწილს წარმოადგენდა. ის ძვ.წ. II ს-შია დანგრეული [Ю. Гагошидзе,1981].

მცხეთა აღმოსავლეთ საქართველოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილ ნაქალაქარებს შორის უმნიშვნელოვანესია. ის იბერიის დედაქალაქს წარმოადგენდა და მრავალ წერილობით წყაროში მოიხსენიება. ძველი მცხეთა მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესართავთან,



85. მცხეთა

ახლანდელ ქ. მცხეთასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა. ჯერ კიდევ 1844 წელს დასტამბულ სტატიაში პლატონ იოსელიანი აღნიშნავდა, რომ მცხეთაში იყო შეუსწავლელი ნანგრევები. 1867 წელს მდ. მტკვრის ნაპირზე, ბაგინეთსა და რკინიგზის ხიდს შორის, 75 წელს ამოკვეთილი ქვათლილი აღმოჩნდა წარწერით, რომელსაც იმპერატორ ვესპასიანეს სახელს უკავშირებენ. 1871 წელს ნატურალისტმა ფრიდრიხ ბაიერნმა სამთავროს მინდორზე რამდენიმე სამარხი გათხარა [გ. გამყრელიძე, 2010:18].

მცხეთაში, 1938-1940 წლებში ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური სამუშაოები სამთავროს სამაროვანზე ჩაატარდა. 1975 წლიდან ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით მცხეთაში გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა განახლდა. არმაზციხეზე, მცხეთის გორაზე, სვეტიცხოველთან და კარსნისხევში სხვადასხვა ხანის ნამოსახლარ-ნაგებობათა ნაშთები გამოვლინდა.

მცხეთის დასავლეთით, არმაზისხევისა და მდ. მტკვრის შესართავთან, ტერასზე არმაზისხევის II-III სს-ის ცნობილი არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს. აქ სასახლის ნაგებობების ნაშთები, აბანო და მდიდრული ნეკროპოლი (სარკოფაგები, ქვის ფილებით ნაგები სამარხები, კრამიტ-სამარხი, ორმოსამარხები) გაითხარა. სასახლის ნაშთების კედლებით შემოსაზღვრულ სივრცეში სვეტების, ბაზისა და არქიტრავის ფრაგმენტები აღმოჩნდა. აქვე კრამიტის ნატეხები და დამწვარი ხის ნაშთებია. სასახლიდან, რომელიც ქვიშაქვითაა ნაშენი, ორი



86. არმაზისხევის გენგეგმა

ოთახის საძირკველია შემორჩენილი, რომლის უკანაც ღია ეზო სჩანს. მდ. მტკვრისაკენ კი აბანო მდებარეობდა. მის სამხრეთით ერთოთახიანი ნაგებობის ნანგრევები და მარანი აღმოჩნდა, სადაც 50 ქვევრი დადასტურდა. ეს ქვის ნაგებობები, აბანო და მარანი არმაზისხევის დიდებულთა სასახლე-რეზიდენციის ერთიან კომპლექსს წარმოადგენდა [ა. აფაქიძე 1963:34-38].

არმაზციხე ანუ ბაგინეთი ქართლის მთის ტერასებზე მდებარეობს. მას ჩრდილოეთიდან მდ. მტკვარი, აღმოსავლეთიდან კარსნისხევი, ხოლო დასავლეთიდან არმაზისხევი ერტყმის. არმაზციხე საისტორიო წყაროებში მოიხსენიება მოქცევაი ქართლისაი-სა და ქართლის ცხოვრებაში [მქ 1963: 82,95; ქც I,1955: 8,19,43], აგრეთვე, სტრაბონის, პტოლემაიოსის, დიონ კასიოსის, ვახუშტი ბაგრატიონის და სხვა თხზულებებში [ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი,2013 362-363].

არმაზციხის ნაქალაქარი 30 ჰა-მდე ტერიტორიაზე ვრცელდება, რომელიც ქვით ნაგები გალავნით იყო შემოზღუდული. ის ქართლის მთის ტერასებზეა გაშენებული. არმაზციხის ნაქალაქარის საფორტიფიკაციო სისტემა ქართლის მთის, კარსნისხევის პირას გამავალ მცირე ქედს ჩამოუყვება და მდ. მტკვრამდე აღწევს. არმაზციხის სამხრეთ მხარეს ზღუდის ორი რიგია შემორჩენილი. კოშკი, რომელიც ქართლის მთის ზემო მხარეს დგას ქვიშაქვის ლოდებითაა ნაგები. კედლის სიგანე აქ 3.0 მ-დეა. კედელი და კოშკები ქვათლილების მშრალი წყობით არის აშენებული. კედლების საძირკველის ქვები კლდეში ამოკვეთილ ბუდეებშია ჩასმული, რომელზეც უმეტესად ალიზის კედელია ამოყვანილი. ქვების მშრალი წყობის დამაკავშირებლად გამოყენებულია სხვადასხვა ფორმის პირონები. ალიზის აგურები თიხის ხსნარით არის შეკავშირებული. ალიზის მასას ამაგრებდა წყობაში ჩატანებული ხის ძელები. კოშკები ბრტყელი და ღარიანი კრამიტით ყოფილა გადახურული. ქართლის მთის წვერზე გალავნის ფრაგმენტები

87. არმაზციხე. გენგეგმა

და ქვათლილით ნაგები სივრცე გამოვლინდა. ეს ის ადგილია სადაც „ქართლის ცხოვრების" მიხედვით არმაზის ღვთაება იყო აღმართული. ქვედა ტერასის აღმოსავლეთ მხარეს მართკუთხა ე.წ. სვეტებიანი დარბაზი მდებარეობს, რომლის სიგრძე 20, 5 მ, ხოლო სიგანე 8,9 მ-ია. კედლების სისქე, 1,5 მ-მდეა. დარბაზის კედლები ქვათლილების მშრალი წყობით და ალიზით არის აგებული. დარბაზის ცენტრში, გრძივად განლაგებული ექვსი სვეტის ბაზა, კრამიტები და ხის ძელების ნაშთები დადასტურდა. აქვე ქვის კაპიტელი, ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ლურსმნები და სხვა არტეფაქტები აღმოჩნდა. [ნიკოლაიშვილი 2011: 16-26].

ქვედა ტერასაზე, ე.წ. სვეტებიანი დარბაზიდან დასავლეთით, ოთხკუთხა გარშემოწერილობის საკულტო ნაგებობა გაითხარა (ე.წ. ექვსაფსიდიანი ტაძარი), რომელიც ქვათლილით და ალიზით არის ნაგები. გადასახურად ბრტყელი და ღარისებური კრამიტია გამოყენებული. ძირითადი დარბაზის ფართობი 200 კვ. მეტრია და დერეფნებით უკავშირდება დასავლეთით მდებარე მარანს, რომელშიც 16 ქვევრია. დარბაზში ქვიშაქვის ბაზა (დმ. 1,25 მ) და მოჩუქურთმებული კაპიტელი დადასტურდა. აქვე აღმოჩნდა ქანდაკების კვარცხლბეკი, ასევე კარნიზის, რელიეფებისა და ქანდაკებების ფრაგმენტები.

არმაზციხე წყლით კარსნისხევიდან მარაგდებოდა. წყალი თიხის მილების და არხების საშუალებით ცისტერნებში გროვდებოდა. ნაგებობათა უმეტესი ნაწილი სანიტარული კვანძებით და კოლექტორებით იყო აღჭურვილი. ძირითადი კოლექტორი მტკვარში ჩაედინებოდა. არმაზციხის ტერიტორიაზე რომაული ტიპის აბანოები გაითხარა, რომლებსაც ცივი, თბილი და ცხელი განყოფილები ჰქონდა. აბანოები ნაგებია ფლეთილი ქვით. შიდა კედლები და აბაზანები შელესილია ჰიდრავლიკური ხსნარით.

არმაზციხის მიმდებარე ტერიტორიაზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, კარსნისხევთან გაითხარა I – III სს-ის დასახლება. აქ დადასტურდა სამეთუნეო საწარმო და ქვევრებიანი მარანი. დასახლება ტერასულადაა განლაგებული. ნაგებობები ღარიანი და ბრტყელი კრამიტით იყო დახურული. კედლები ნაგებია ქვიშაქვით.

მცხეთის ჩრდილოეთ მხარეს ღართისკარის ხევი მდებარეობს, რომელიც მდ. არაგვს მარჯვენა მხრიდან ერთვის. აქ გაითხარა სასიმაგრო სისტემა, რომლის ნაშთები არაგვის ორივე ნაპირზეა გამოვლენილი.

ის ბრინჯიღელესა და ღართისკარის ხევებს შორის არის მოქცეული. საფორტიფიკაციო სისტემის ზღუდე-კედლები შიომღვმე-სხალტბის ქედიდან იწყება და მდ. არაგვისაკენ ეშვება. სასიმაგრო სისტემის მონაკვეთები საგურამოს ქედთანაც დაფიქსირდა, რომელსაც ზედაზნის მთისაკენ აქვს მიმართულება. ღართისკარის არქეოლოგიურად შესწავლილ სასიმაგრო ზღუდე-კედლებში ექვსი, 7 X 7მ ოთხკუთხა კოშკი გამოვლინდა, რომლებიც ერთმანეთისაგან 50მ-ით არის დაშორებული. ზღუდე-კედლები და კოშკები აგებულია ხის ძელებით გამაგრებულ რიყის ქვით შექმნილ საძირკველზე, რომელზეც 3 მ სისქის ალიზის კედელია ამოყვანილი. ამრიგად, ისტორიული მცხეთა რამდენიმე გამაგრებულ უბანს მოიცავდა, რომელთა ტერიტორიაზე სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები მდებარეობდა.

88. სარკინე

სარკინე, რომელიც ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ მოიხსენიება, მცხეთის დასავლეთით 7 კმ-ის დაშორებით, შიომღვიმის მიდამოებში, სავანეთის ქედსა და გრძელ მინდორზე ლოკალიზდება. სარკინეში არქეოლოგიური სამუშაოები XX საუკუნის 40-80-იან წლებში მიმდინარეობდა. აქ ანტიკური ხანის ნაგებობებს, ნაქალაქარის დასავლეთით მდებარე კარიბჭის კომპლექს, რკინის საწარმოთა ნაშთებს და არქიტექტურულ დეტალებს მიაკვლიეს. ციხესიმაგრის და რკინის სახელოსნოს ნაშთები სავანეთის ქედის ფერდზე და ე.წ. გრძელ მინდორზე დადასტურდა. სარკინეს ტერიტორიაზე აღმოჩნდა რკინის გამოსადნობი სახელოსნო, რომელიც რამდენიმე განყოფილებისაგან შედგებოდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გრძელ მინდორზე აღმოჩენილი კირქვის ორვოლუტიანი კაპიტელი, ქვიშაქვის ბაზა, ნახევარსვეტისა და ლავგარდანის ფრაგმენტები. სარკინეში გამოვლინდა ტერასულად განლაგებული, ქვათლილებით, ალიზის აგურითა და ხის მასალით ნაგები შენობების ნაშთები, რომელიც ბრტყელი და ღარიანი

კრამიტით იყო გადახურული. იატაკი თიხის ფილებით იყო მოგებული. სარკინეს ნაქალაქარი ძვ. წ. II-I სს-ით თარიღდება [ა.ბოხოჩაძე 1973: 36-45].

ურბნისის ნაქალაქარი მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ურბნისის ტერიტორიაზე, ქ. ქარელიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 10 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ამ ტერიტორიაზე რამდენიმე არქეოლოგიური არტეფაქტი 1893 წელს აღმოჩნდა. გასული საუკუნის 60-იან წლებში პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად 22 ჰექტარზე ნაქალაქარის გამაგრების სისტემის სამი პერიოდი გამოვლინდა. ძვ.წ. IV-III სს-ის ქალაქს გარს უვლიდა ქვით და ალიზით ნაგები 4 მეტრი სიგანის ზღუდე. ქალაქს სამხრეთიდან, მდ. მტკვარი ჩამოუდიოდა. გალავანი გამაგრებული იყო 18 ნახევარწრიული კოშკით. ნაქალაქარის ტერიტორიაზე ნამოსახლარები და კერამიკის გამოსაწვავი საწარმოს ნაშთები გაითხარა. აქვე დადასტურდა 18.5 X 11,5 მ ფართობის აბანო. ის აგებული იყო ფლეთილი ქვითა და აგურით. აბანო შედგებოდა ცივი, თბილი და ცხელი განყოფილებებისაგან. იატაკის ქვეშ კალორიფერების სისტემა იყო მოწყობილი. მას კამაროვანი გადახურვა ჰქონდა. დაფიქსირდა ასევე საცხოვრებელი, სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობები [პ. ზაქარაია, 1965: 69-80].



89. ურბნისი

ძალისას ნაქალაქარი მუხრანის ვაკეზე, მდ. ნარეკვავთან, ახლანდელი სოფ. ძალისას ტერიტორიაზე მდებარეობს. აქ 1971-85 წლებში ალ. ბოხოჩაძის ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიურ სამუშაოების შედეგად ძვ.წ. II – ახ.წ. VII სს-ის ნაქალაქარი გამოვლინდა. აღმოჩნდა მრავალსათავსიანი ე.წ. სასახლე, საცხოვრებელი ნაგებობები, სასახლის და საზოგადოებრივი დანიშნულების აბანოები, წყალსადენის ქსელი, აგურით მოკირწყლული ქუჩები და მოედნები, მოზაიკები, არქიტექტურული დეტალები და სხვ. ნაქალაქარის ტერიტორიაზე სამშენებლო მასალად

ალიზის აგური, რიყის ქვა, ტუფისა და ქვიშაქვის ქვათლილები, აგური, კერამიკული ფილები, ბრტყელი და ღარიანი კრამიტები იყო გამოყენებული. ძალისას კომპლექსი ახ. წ. I-III სს-ით თარიღდება [ბოხოჩაძე, 1987: 25-30].

ძველ ნაქალაქარებს შორის გამორჩეულია კლდეში ნაკვეთი ქალაქი *უფლისციხე*. ის გორიდან აღმოსავლეთით 8 კმ-ის დაშორებით, სოფ. ქვახვრელის მოპირდაპირედ, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. უფლისციხე მოიხსენიება მრავალ წერილობით წყაროში. ის ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მათ შორის შუა საუკუნეების ხანაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. თუმცა მისი არქიტექტურული სახის ფორმირების არსებითი ეტაპი ძვ.წ. IV – ახ.წ. II საუკუნეებია. აქ პირველი გათხრები 1852 წელს ჩაატარა დიმიტრი მეღვინეთუხუცესიშვილმა, ხოლო სისტემატური არქეოლოგიური სამუშაოები 1957 წლიდან დაიწყო.



90. უფლისციხე. გენგეგმა

უფლისციხის ნაქალაქარი დაქანებული რელიეფის მქონე ქვიშაქვის მასივშია ამოკვეთილი და ნაგები. მისი დასავლეთი და სამხრეთი მხარე შვეული კლდოვანი ფერდითაა დაცული. აღმოსავლეთიდან კი კედლითაა გამაგრებული. ეს მძლავრი კედელი სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის თვალსაზრისით არმაზციხისა და წიწამურის თავდაცვითი კედლების ანალოგიურია. კლდეში ნაკვეთი გვირაბი მდ. მტკვარზე გადის და დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. ამდენად, ქალაქს კარგად გააზრებული საფორტიფიკაციო სისტემა ჰქონდა.

უფლისციხე ფერდობზე ტერასებადაა გაშენებული და სამი ნაწილისაგან შედგება. მთავარი შესასვლელი სამხრეთ-აღმოსავლეთი მხრიდან იყო და ცენტრალურ ქუჩას უკავშირდებოდა. უმთავრესი ნაგებობანი ცენტრალურ ნაწილშია აღმოჩენილი. თითოეული მათგანი დამოუკიდებელ კომპლექსს წარმოადგენს, რომელთა წინ ღია ეზოებია მოწყობილი. კლდეში ნაკვეთი კომპლექსების მთავარი სათავსი უმეტეს შემთხვევაში კამარითაა დაგვირგვინებული. მის უკან ან სამ

მხარეს განლაგებულია გაცილებით დაბალი, ბრტყელჭერიანი ოთახები. როგორც ცნობილია, კლდის ხუროთმოძღვრება ძალზე სპეციფიკურია. არქიტექტურულ-მხატვრული სახის შექმნისას ამგვარ ნაგებობებში სხვადასხვა საშენი მასალისთვის სახასიათო ელემენტების იმიტაციას მიმართავენ. ამგვარი მიდგომა უფლისციხის ცალკეული დარბაზების მხატვრულ მორთულობაშიც არის გამოყენებული. კლდეში გამოკვეთილია შესაბამისი ეპოქის ქვის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები (მაგ.: კესონები, პილასტრები, იმპოსტები), ასევე ხის კონსტრუქციებისათვის სახასიათო ფორმები. ნაქალაქარის გათხრებმა გამოავლინა საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო დანიშნულების არაერთი ნაგებობა. [დ. ხახუტაიშვილი, 1965; კ. ხიმშიაშვილი, 1986].

დასავლეთ საქართველოს ძველი ქალაქებიდან არქეოლოგიურად ერთ-ერთი უკეთ შესწავლილი ნაქალაქარია *ვანი*. აქ ქალაქობამდე პერიოდის ნაგებობების კვალიც არის დადასტურებული. კერძოდ აღმოჩენილია ძვ. წ. VI-V სს-ით დათარიღებული ხის შენობის ნაშთები, რომელიც საკულტო ნაგებობად არის მიჩნეული [ოთ. ლორთქიფანიძე, 2002: 168]. ძველმა დასახლებამ ურბანული სახე, სავარაუდოდ, ძვ. წ. III ს-ის მიწურულიდან მიიღო.

ვანის ძველი ნაქალაქარი მდ. რიონის მარცხენა შენაკადის, მდ. სულორის მარცხენა ნაპირზე, ქალაქ ვანის დასავლეთით მდებარეობს. ის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაფერდებულ სამკუთხა ბორცვზე ტერასებადაა განლაგებული. ქვედა, ცენტრალური და ზედა ტერასა 8 ჰექტარს მოიცავს. ვანში სიძველეთა აღმოჩენის შესახებ პირველი ცნობები ადგილობრივ პრესაში ჯერ კიდევ 1876 წელს გამოქვეყნდა. აქ პირველი არქეოლოგიური გათხრები ექვთიმე თაყაიშვილმა ჩაატარა. 1947 წლიდან ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიურ შესწავლას ნ. ხოშტარია, ხოლო შემდგომ ო. ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა.

ვანის ნაქალაქარის სასიმაგრო კედლებში კოშკებია გამართული და მცირე ხევების კიდეებს მიუყვება. გამოყენებულია წრიული და მრავალკუთხა კოშკები. ჩრდილოეთით მდებარეობს მთავარი კარიბჭე, რომელიც ურთიერთგამიჯნული ორი კარისაგან, ნახევარწრიული კოშკის, საკურთხეველისა და საგუშაგო ნაგებობებისაგან შედგება. ქალაქის მეორე შესასვლელი აღმოსავლეთ მხარეს იყო. ამ კარის მომდევნო შიდა სივრცე

სწორკუთხაა. მის მომიჯნავე სათავსოში კოლხური ქვევრები აღმოჩნდა. იქვე კლდეში წყლის მოზრდილი რეზერვუარია ამოკვეთილი. ძველი ქალაქის კედლები ქვათლილებითა და ალიზით იყო ამოყვანილი. ქვის თლილი კვადრები მჭიდრო წყობას ქმნიდა. ქალაქს მძლავრი თავდაცვითი სისტემა გააჩნდა [ოთ. ლორთქიფანიძე, 2002].

ქალაქს დიდი სამშენებლო პოტენციალი ჰქონდა. დაფიქსირდა კრამიტის, ალიზის აგურის დამამზადებელი და რუსტირებული ქვის სათლელები, მშენებლობის ადგილას მასალის მიმტანი საშუალებები და ა.შ. ყოველივე ეს ნათელყოფს, რომ არსებობდა სათანადო სამშენებლო-საინჟინრო ცოდნა და ფართომასშტაბიანი სამუშაოების ორგანიზების პირობები. ვანში აღმოჩენილი დიდი რაოდენობით ადგილობრივი და უცხოური კერამიკის ნაწარმი აქტიურ სავაჭრო კავშირებზე მიუთითებს. მის ეკონომიკურ სიძლიერეზე მეტყველებს ასევე ქალაქის განაშენიანების და არქიტექტურული გაფორმების მრავალფეროვნება, აქ გამოვლენილი ოქრომჭედლობის მაღალმხატვრული ნიმუშები.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია საზოგადოებრივი და საკულტო ნაგებობების ნაშთები. როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე ძველი ნაგებობა ხის ე.წ. სამლოცველოა. ადრეულია ასევე ცენტრალურ ტერასაზე თეთრი ქვის და ხის ძელებით ნაგები ოთხკუთხა გეგმის შენობის ნაშთები. ცენტრალური ტერასის ზედა მხარეს გამოვლინდა ე.წ. მოზაიკურიატაკიანი რამდენიმე სათავსოიანი ნაგებობა. ცენტრალური ტერასის დასავლეთ ნაწილში თლილი ქვის საფეხურიანი ნაგებობა აღმოჩნდა. აქვე გაითხარა 10 მეტრი დიამეტრის მქონე წრიული ნაგებობა. ცენტრალური ტერასის აღმოსავლეთ ფერდობზე აღმოჩნდა ალიზის კედლებიანი ნაგებობა, ასევე გამოვლინდა კოშკის და თავდაცვითი კედლების ნაშთები. ზედა ტერასაზე გაითხარა რვასაფეხურიანი ქვათლილებით მოგებული სწორკუთხა მოედანი. აქვე დადასტურდა რამდენიმე მცირე



91. ვანი

ზომის ნაგებობა. ქვედა ტერასაზე, კარიბჭის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 100 მ-ის დაშორებით გამოვლინდა დიდი ზომის სატაძარო კომპლექი (800 მ2). მიკვლეულია კოშკისებური ნაგებობის, საფეხურებიანი სამსხვერპლოს, სვეტებიანი დარბაზისა და შემოწირულობათა შესანახი სპეციალური ნაგებობის ნაშთები. გამოვლენილი ნაგებობების ჩამონათვალი ქალაქში გეგმარებისა თუ არქიტექტურული გადაწყვეტის თვალსაზრისით მრავალფეროვანი ნაგებობების არსებობას ადასტურებს.

ვანის ნაქალაქარის მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო და საკულტო შენობების საძირკველი ლითონის სამაგრებით გადაბმული, კარგად გათლილი, რუსტირებული კვადრებით, ხოლო კედლები ალიზით იყო ნაგები. კვადრების პერანგული წყობის შიდა არე თიხითა და ქვით იყო შევსებული. ფართოდ გამოიყენებოდა ხის მასალაც, ასევე რკინისა და ბრინჯაოს დეტალები. ნაგებობები უმეტესად კრამიტით იყო გადახურული. ქალაქის კარგად გააზრებულ სასიმაგრო სისტემაში ჩანს ანტიკური საფორტიფიკაციო პრინციპების ცოდნა. ქალაქში მრავლად იდგა მრავალფეროვანი დეკორით მორთული ნაგებობები და ქუჩებს ქანდაკებები ამშვენებდა. ამას ადასტურებს აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი არქიტექტურული დეკორის დეტალები და სკულპტურათა ფრაგმენტები [ოთ. ლორთქიფანიძე, 2002 :233]. აღსანიშნავია, რომ ცენტრალურ ტერასაზე გამოვლენილ ნაგებობაში კორინთული ორდერის კირქვის სამი კაპიტელი აღმოჩნდა. ისინი ძვ.წ. II-I საუკუნეებს მიეკუთვნება. ამავე ტერასაზე დაფიქსირდა საინტერესო არქიტექტურული დეტალები. მათ შორის წვიმის წყლის სადინარისთვის განკუთვნილი ლომის თავის ორი ქვის გამოსახულება. აღმოჩენილი არტეფაქტების ხასიათი ვანის ნაქალაქარის ურბანული იერსახის ძირითადად ანტიკური ტრადიციების შესაბამისად გააზრების შესახებ მეტყველებს.

ეშერის ნაქალაქარი სოხუმიდან ჩრდილო-დასავლეთით 8 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. ის ძვ.წ. II-I საუკუნეებით თარიღდება. მოიცავს 6 ჰექტარს და მდინარე გუმისთის მარჯვენა ნაპირზე, ზღვიდან ნახევარ კილომეტრზე, ბორცვის ორ ტერასაზეა განლაგებული. ნაქალაქარის კედლები ქვიშაქვის კვადრებითაა ამოყვანილი, რომელზედაც ალიზის აგურების წყობაა გამართული. ნაქალაქარის მცირე ნაწილია არქეოლოგიურად გამოვლენილი. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გაითხარა

თლილი ქვით და ალიზით ნაგები საფორტიფიკაციო სისტემის კედლები და ოთხკუთხა გეგმის კოშკები. დადასტურდა რამდენიმე ნაგებობა, წყალსადენის მილები, კრამიტები და სხვ. [გ. შამბა, 1980: 10-60].

ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან რომის იმპერიის ინტერესი შავი ზღვის სანაპიროს მიმართ უფრო გააქტიურდა. აიგო რომაული სიმაგრეები. ამის შესახებ ფაქტობრივი მასალის გარდა ცნობებს გვაწვდის წერილობითი წყაროებიც. აღსანიშნავია ფლავიუს არიანეს პერიპლუსი, რომელიც ახ.წ. 131 წელს აფსაროსის, ფასისის, დიოსკურიას (სებასტოპოლისს) ინსპექციის შედეგებს ასახავს. არიანეს ცნობით აფსაროსში (თანამედროვე გონიო) რომაელთა ხუთი კოჰორტა მდგარა. სიმაგრეს ჰქონდა გალავანი და თხრილი. მდინარე ფასისში შესვლისას მარცხენა ნაპირზე ფასიანელთა ქალღვთაების ქანდაკება იყო აღმართული. აქვე ოთხასი რჩეული მეომარი იყო განთავსებული. თავდაცვით კედელს ორმაგი თხრილი შემოუყვებოდა. ადრე კედელი თიხის იყო, ხის კოშკებით. არიანეს დროს, კი კედელიცა და კოშკებიც გამომწვარი აგურისაგან ყოფილა ნაგები. სიმაგრის გარეთ გადამდგარ მეომართა და მოვაჭრეთა სახლები იყო განლაგებული. არიანემ ეს ტერიტორიაც გაამაგრა თხრილით. მისი მონაცემით დიოსკურიაშიც სიმაგრეს გალავნი და თხრილი გააჩნდა [სინ.I 1970: 549-550].



92. გონიო. გენგეგმა

კოლხეთის ტერიტორიაზე აფსაროს-გონიოში შემორჩენილია სწორკუთხა გეგმის მქონე სიმაგრე (4,8 ჰა) 18 კოშკით. სიმაგრის შიგნით შუა საუკუნეების არქეოლოგიურ მასალასთან ერთად დაფიქსირებულია ახ.წ. I-IV სს-ის ნაშთებიც. ფასისისა და დიოსკურიის ციხეები ჯერ აღმოჩენილი არ არის. კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული რომაული სიმაგრეებიდან მეტ-ნაკლებად კარგადაა შესწავლილი პიტიუნტი – ბიჭვინთა.

ბიჭვინთის ნაქალაქარი სოხუმიდან ჩრდილო-დასავლეთით, ბიჭვინთის კონცხზე, მდ. ბზიფის შესართავის აღმოსავლეთით, ახლანდელი



93. ბიჭვინთა. გენგეგმა

ქ. ბიჭვინთის ტერიტორიაზე მდებარეობს. აქ საქალაქო ცხოვრება II-VI საუკუნეებში მიმდინარეობდა. ნაქალაქარის ტერიტორია 6,7 ჰა-ს მოიცავს [დიდი პიტიუნტი, კრებ., I-III.]. შენობები ნაგებია ქვის კვადრებით და აგურით. ნაქალაქარი შედგება კასტელუმისა და კანაბესაგან. კასტელუმი კვადრატული გეგმისაა და გამაგრებულია 15 კოშკით. მისი გალავნის კედლები ქვით არის აგებული, შემაკავშირებლად კირხსნარია გამოყენებული. კასტელუმის კოშკებს ოთხკუთხა, მრავალკუთხა და ნახევარწრიული გეგმა აქვს. მის ცენტრში გამოვლენილია მოზრდილი კვადრატული გეგმარების შენობა. აქვეა 240 კვ. მ-ის ფართობის შენობა. მათი იატაკი მოლესილია ჰიდრავლიკური ხსნარით. ერთ ნაგებობაში იატაკი მოზაიკაა. გადარჩენილია თევზის, დელფინისა და ტრიტონის გამოსახულებები. მოზაიკიან ნაგებობას ჩრდილოეთით ეკვრის სამეურნეო სათავსების მთელი წყება. ცენტრალურ ნაწილში გამოვლენილია, ასევე წყალსადენისა და კოლექტორის სისტემა. კედელთან ხუთგანყოფილებიანი (საცეცხლე, გასახდელი, ცივი, თბილი, ცხელი) ე.წ. რომაული ტიპის აბანოა. ქალაქის სამოქალაქო დასახლება (კანაბე) ნახევარწრიული გეგმისაა. მისი გალავანი 11 კოშკით არის გამაგრებული. აქვე მდებარეობს ადრე შუა საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკა, რომელის იატაკი მოზაიკით იყო შემკული.

ამრიგად, ძვ.წ. IV – ახ.წ. III საუკუნეებში აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საქალაქო ცენტრების შექმნის პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა. ეს ნათლად მეტყველებს სოციალ-ეკონომიკურ წინსვლაზე, რაც ხუროთმოძღვრების განვითარებას უწყობდა ხელს. ურბანული მშენებლობების წარმოებას მრავალი ინოვაციის გავრცელება უკავშირდება. ნათლად ვლინდება მოწინავე უცხოური ტენდენციების კვალიც. კოლხეთში თავდაპირველად ბერძნულ-ელინისტური, ხოლო იბერიის სამეფოში ირანული კულტურის გავლენა დომინირებს. ახალი წელთაღრიცხვიდან როგორც აღმოსავლეთ, განსაკუთრებით კი დასავლეთ

საქართველოს ტერიტორიაზე ურბანულ ცხოვრებაში ნათლად ჩანს რომის ზეგავლენის შედეგები.

შუა საუკუნეებიდან ახალი ეტაპი იწყება საქართველოს ისტორიაში. ცვლილებები ქალაქმშენებლობასაც შეეხო. მაგალითად, IV საუკუნეში გაქრისტიანების შემდგომ, ურბანულ სივრცეში გამორჩეულად დიდ მნიშვნელობას იძენს საეკლესიო ნაგებობები. გარკვეულ ცვლილებებს განაპირობებს ასევე ახალი სამშენებლო ხერხების თუ ცალკეული არქიტექტურული ფორმების გამოყენება. შუა საუკუნეების განმავლობაში კონკრეტული ეპოქის ისტორიულ-პოლიტიკური ვითარება არსებით გავლენას ახდენს ქალაქმშენებლობის პროცესის მიმდინარეობაზე. შესაბამისად იცვლება ამ პროცესის ინტენსივობა და ხასიათი.

ადრეულ შუა საუკუნეებში ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებამ ხელი შეუწყო ურბანული ცხოვრების გააქტიურებას. აღმოსავლეთ საქართველოში დაწინაურდა მცხეთა, უჯარმა, თბილისი, რუსთავი, უფლისციხე, სამშვილდე, ბოლნისი, ჭერემი, დასავლეთ საქართველოში – ქუთაისი, ნოქალაქევი, შორაპანი, ვარდციხე და სხვ. ამ ქალაქებიდან ნაწილი წინაქრისტიანულ ხანაშიც არსებობდა, ზოგი კი ურბანულ ერთეულად ახალ ეპოქაში ჩამოყალიბდა. აღმშენებლობის გააქტიურება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ვახტანგ გორგასლის ხანაში, რაც მის მიერ გატარებულ რეფორმებს უკავშირდება.

თბილისის ტერიტორიაზე მოსახლეობის კვალი უძველესი დროიდან ფიქსირდება. აქ გამოვლენდა ასევე I-II საუკუნეების გამაგრებული დასახლების ნაშთები. სტრატეგიული სიმაგრე მდინარე მტკვრის ხეობის ვიწრო ადგილზე IV საუკუნეში იქნა აგებული. რაც შეეხება ქალაქის ფორმირებას, მისი ისტორიის დასაწყისი უპირველესად V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მიერ დედაქალაქის გადმოტანას უკავშირდება. გორგასალმა ძალზე ზუსტად შეაფასა ქვეყნისათვის ამ ადგილის სამხედრო-თავდაცვითი და სავაჭრო-საკომუნიკაციო მნიშვნელობა, რაც შემდგომში ქალაქის ისტორიამაც დაადასტურა.

თბილისს გამოარჩევს ლანდშაფტის თავისებურება, რაც მის ურბანულ იერსახეს განუმეორებელ ხიბლს სძენს. ძველი ქალაქის განაშენიანებაში ადგილმდებარეობის სპეციფიკას მდინარე მტკვრის, სოლოლაკის ქედისა და ისნის პლატოს ურთიერთმიმართება განაპირობებს. დღეს საკმაოდ ძნელია

ადრეული შუა საუკუნეების ქალაქგეგმარების სურათის ზუსტად აღდგენა, თუმცა ამ გეოგრაფიული მოცემულობის და რიგი შემორჩენილი თუ ახლად გამოვლენილი მასალის საფუძველზე ნათლად იკვეთება ადრეული შუა საუკუნეების ქალაქის ფარგლები. VI საუკუნის დასაწყისისათვის თბილისი შედგებოდა ციხისა და მის მიმდებარედ გაშენებული ქალაქისაგან, რომელიც, კალას უბნის საზღვრებში იყო მოქცეული. სავარაუდოდ, ციხე შედგებოდა ზედა და ქვედა ციხისაგან.

ადრეული შუა საუკუნების თბილისის სამშენებლო საქმისა და არქიტექტურის შესახებ ცნობები მწირია. თუმცა არქეოლოგიური ძიების შედეგად გამოვლენილ სხვადასხვა ნაგებობათა ფრაგმენტები აქ საკმაოდ დაწინაურებული ქალაქის არსებობაზე მეტყველებს. საგულისხმოა, რომ ურბანულ განაშენიანებაში საფორტიფიკაციო და საერო ნაგებობების გარდა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საეკლესიო ნაგებობები. VI საუკუნის დასაწყის განეკუთვნება ანჩისხატის XVII საუკუნეებში გადაკეთებული სამნავიანი ბაზილიკა. სავარაუდოდ, ამ პერიოდს განეკუთვნება ასევე სიონის ტაძრის თავდაპირველი სამშენებლო ფენა. თბილისში წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოები [ვ. ძნელაძე, გ. ჩიხლაძე, 2012:83-98], უთუოდ, ადრეული ხანის ქალაქის შესახებ მეტ მონაცემებს გამოავლენს.

მცხეთა ადრეშუასაუკუნეებში თბილისის დაწინაურების პარალელურად აგრძელებს არსებობას და სვეტიცხოვლის პირველი ეკლესიის მშენებლობის შემდგომ უმთავრეს საეკლესიო ცენტრად ყალიბდება. ამავდროულად, არქეოლოგიური კვლევების თანახმად მიმდინარეობს საცხოვრებელი და ხელოსნების უბნების მშენებლობის პროცესიც. აქვეა სამეფო სასახლე და დიდებულთა საცხოვრებელი უბნებიც. გათხრების შედეგად გამოვლინდა ამ ხანის კომუნალური მეურნეობის რთული სისტემა – წყალგაყვანილობის თიხის მილები, ბრტყელი ქვის ფილებით დახურული კოლექტორები, საკანალიზაციო გაყვანილობები და სხვ. ყოველივე ეს ამ პერიოდში ქალაქ მცხეთაში აქტიურ ურბანულ ცხოვრებაზე მეტყველებს.

უჯარმა ძველი ქართული წყაროების მიხედვით ჯერ კიდევ წინარექრისტიანულ ხანაში, III საუკუნეში, ციხე-ქალაქად მირდატის ძემ, ასფარუგმა, ააშენა. ქართლის ცხოვრებაში უჯარმა მოხსენიებულია მეფე მირიანის შესახებ თხრობის დროსაც. კერძოდ, განმარტებულია, რომ მან თავის ძეს, რევს, საუფლისწულოდ მისცა კახეთი და კუხეთი

– „დასვა იგი უჯარმასა რევ და ცოლი მისი სალომე". ლეონტი მროველის მიხედვით რევმა და სალომემ წმინდა ნინოს დასნეულება რომ შეიტყვეს, ქართლის განმანათლებელი უჯარმიდან მოინახულეს ბოდბეში. შემდეგი ცნობით, ვახტანგ გორგასალი უჯარმაში ჯდება და „აღაშენა იგი ნაშენებითა უზომითა". ამ მშენებლობას მისი ძე დაჩი განაგრძობს, რომელსაც დაჩი უჯარმელის სახელითაც მოიხსენიებენ.



94. უჯარმა

უჯარმის ნაქალაქარი მდ. ივრის მარჯვენა ნაპირზე, თანამედროვე სოფ. უჯარმის მახლობლად მდებარეობს. ნაქალაქარის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები 1950-1952 წლებში მიმდინარეობდა. გამოვლინდა რამდენიმე სამშენებლო პერიოდი [გ. ლომთათიძე, 1953: 11; ირ. ციციშვილი, 1982].

ციხე-ქალაქი შედგება მდ. ივრის გასწვრივ, შემაღლებაზე მდებარე დედაციხის (145 მ X 30მ) და სამხრეთით განლაგებული ქვედა ნაწილისაგან, რომელიც დამრეც ფერდობზე ივრის ნაპირებამდე ჩადის. საფორტიფიკაციო ნაგებობები ქვის კვადრებით და კირხსნარის გამოყენებით არის ნაშენი. ზედა ციხეს სამი მხრიდან კოშკებიანი გალავანი შემოუყვება. ციცაბო კლდის მხარეს სადარაჯო კოშკია აღმართული. კოშკები ოთხკუთხაა და მათი კედლის სისქე 1.50 მ-ია. ისინი კრამიტით ყოფილა გადახურული [ციციშვილი, 1982: 15-26]. ქვედა ციხის გალავნის პარალელურ კედლებში ოთხ-ოთხი გეგმაში სწორკუთხა ორ და სამსართულიანი კოშკებია ჩართული. ეს კედლები ერთმანეთს მდინარის ნაპირის გასწვრივ აგებული კედლით უკავშირდება. უკეთ არის შემორჩენილი ნაგებობები ზედა ციხის ტერიტორიაზე. ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ყველაზე დიდი ზომის შენობაა (10,5 მ X12,2მ), რომელის ჩრდილოეთის მხარეს მდებარეობს ორ-ორი მცირე ზომის ოთახი, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში

აღმოჩნდა ქვევრები. აქვეა ასევე ორსართულიანი საკულტო ნაგებობა-ჯვარპატიოსანი. პირველ სართულზე უფრო ძველი, სავარაუდოდ გორგასლის ხანის, ინტერიერში თლილი, ხოლო ექსტერიერში უხეშად დამუშავებული ქვით ნაგები მცირე ზომის დარბაზული ეკლესიაა. მეორე სართულის ეკლესიაც ასევე დარაბაზულია და ნავი ცილინდრული კამარით არის გადახურული. მისი კედლები ქვიშაქვის კვადრებით არის ნაგები.

ნაქალაქარის პირველი სამშენებლო პერიოდის ნაგებობები თანაბარი ზომის, სწორკუთხა მოყვანილობის, წყობაში გულდასმით გადაბმული კვადრებითაა აშენებული. ამავე პერიოდს მიეკუთვნება ზედა და ქვედა ციხის გალავანი, ოთხკუთხა კოშკები, ზედა ციხის ე.წ. სასახლე, წყალსაცავი და ეკლესია. ქალაქ უჯარმისათვის ადგილმდებარეობის გააზრებულად შერჩევა, კარგად გათვლილი, რელიეფს მორგებული დაგეგმარება, საფორტიფიკაციო სისტემის გამართულობა, კედლის მოწესრიგებული წყობა, ნაგებობათა მშენებლობის ხარისხი ამ პერიოდის საქართველოში ქალაქმშენებლობის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მეტყველებს.

ადრეული შუა საუკუნეებში ერთ-ერთ დაწინაურებულ საქალაქო ცენტრად იქცა *რუსთავი*. მისი ფართობი დაახლოებით 17 ჰა-ს აღწევდა. ქალაქის ციტადელი მდინარე მტკვრის მარცხენა მხარეს წრიულ ბორცვზე მდებარეობდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის საფორტიფიკაციო და სამოქალაქო ნაგებობების ნაშთები. ციხესა და ქალაქის დასახლებებს შორის მდებარეობდა სარწყავი არხი, რომელსაც, უთუოდ, თავდაცვითი ფუნქციაც გააჩნდა. ნაქალაქარის ტერიტორიზე გამოვლინდა ასევე რიგი საცხოვრებელი კომპლექსების ნაშთები, რომლებიც IV-V საუკუნეებით თარიღდება.



95. რუსთავის ციხის გეგმა

აღმოსავლეთ საქართველოში ამ პერიოდის ნაქალაქარები გაითხარა ასევე ჭერემში, ხორნაბუჯში, ნეკრესში, ურბნისში და სხვ.

დასავლეთ საქართველოს ქალაქები სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ზღვისპირა ქალაქები და სიმაგრეები –

პეტრა (ციხისძირი), აფსაროსი, ფასისი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი; შიდა ეგრისის ქალაქები – ნოქალაქევი, ვარდციხე, ქუთაისი, ვაშნარი, მუხურისი, ნამაშევი და სხვა; აღმოსავლეთ ეგრისის სასაზღვრო სისტემაში შემავალი სიმაგრეები – შორაპანი, საზანო, სკანდა, დიმი [ვ. ჯაფარიძე, 2006].

შავიზღვისპირეთისა და შიდა ეგრისის ქალაქებს შორის დაგეგმარების მიხედვით სხვაობა შეინიშნება. ზღვისპირა ქალაქების უმეტესობა რომაულ ხანაში კასტელუმებს წარმოადგენდა, რაც მათ ურბანულ სახეზეც აისახა. ამ თვალსაზრისით გამონაკლისია პეტრა (ციხისძირის), რომლის დღეისთვის ცნობილი ნაშთები უფრო გვიანი პერიოდის ციხეს განეკუთვნება. დასავლეთ საქართველოს სხვა, მათ შორის შიდა ეგრისში მდებარე, ქალაქები (ნოქალაქევი, ვარდციხე, შორაპანი და სხვა) არ არის კასტელუმის ტიპის. ისინი განსხვავებული გეგმარებით ხასიათდება, რაც, უპირატესად, კონკრეტული ადგილმდებარეობის სპეციფიკით არის განპირობებული.

ქუთაისში ძველი დასახლებების ნაშთები ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრიდან, ხოლო აქტიური ცხოვრების კვალი ძვ.წ. VIII საუკუნიდან ფიქსირდება. ქუთაისის, როგორც ქალაქური ტიპის დასახლების, შესახებ საუბარი არქეოლოგიური მასალის მიხედვით III საუკუნეებიდან შეიძლება [ო. ლანჩავა, 2007]. საქალაქო ცენტრი არქიელის გორაზე ფიქსირდება. როგორც ჩანს აქ იყო შიდაციხე-ციტადელი, რომელსაც ქალაქში დომინანტის როლი ენიჭებოდა. შიდაციხის გეგმა არასწორი ექვსკუთხედის მოყვანილობის იყო. მას დასავლეთით ორი კოშკი იცავდა და წყალმომარაგების რთული სისტემა გააჩნდა. მის გარშემო დაფიქსირდა თიხატკეპნილი იატაკის მქონე ხის საცხოვრებლების კვალი. გამოვლინდა ასევე მოკირწყლული ქუჩების და მოედნების, ასევე ზოგიერი ქვის საფუძვლის მქონე ნაგებობის ფრაგმენტები. IV საუკუნის შუა ხანებიდან ქალაქის განაშენიანებამ უფრო ინტენსიური ხასიათი შეიძინა, რაც განსაკუთრებით



96. ქუთაისის ციხის გენგეგმა

სასიმაგრო სისტემას დაეტყო. ამ დროს შიდაციხე გალავნით შემოიზღუდა. საგულისხმოა, რომ გალავნის კედელს თავდაცვითი ღონისძიებებისთვის შიდა მხარეს საბრძოლო ბაქანი გასდევდა. ამავე პერიოდით თარიღდება 30მ სიგრძის ბაზილიკა, რომელიც ბაგრატის ტაძრის მეორე სამშენებლო ფენას განეკუთვნება. ამგვარი მასშტაბის საეკლესიო ნაგებობის მშენებლობის ფაქტი თავად ქალაქის მრავალრიცხოვნებასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს [ო. ლანჩავა, 2007:112-113].

VI საუკუნეში ქუთაისში გრძელდება აქტიური საქალაქო ცხოვრება. როგორც ჩანს, ბიზანტია-ირანის დაპირისპირების ფონზე, დგება ქალაქის თავდაცვის თვისობრივად ახალი სისტემის ფორმირების საკითხი. შედეგად მის ირგვლივ იგება ახალი სიმაგრეები, როგორიცაა უქემერიონი, ნამაშევის ციხე, ხომულის ციხე. მიუხედავად ამისა, ქუთაისი მალე თმობს პოზიციებს, რადგან ეგრისის მთავარი ქალაქი ნოქალაქევი ხდება.

ნოქალაქევი იგივე არქეოპოლისი – ციხეგოჯი, ეგრისის სამეფოს დედაქალაქს წარმოადგენდა IV-VIII საუკუნეებში [პ.ზაქარაია, თ. კაპანაძე, 1991]. აქ პირველი არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა 1930 წელს ივ.ჯავახიშვილის ინიციატივით. გეგმაზომიერი არქეოლოგიური კვლევა დაიწყო 1973 წელს პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით. ნაქალაქარი მდებარეობს სენაკის მუნიციპალიტეტში მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე. უნაგირად წოდებული ქედის კონცხის მაღალ ნაწილზე ციტადელი, ხოლო ქვემოთ დამრეც ფერდობზე და მდინარის შევაკებულ ნაპირზე საკუთრივ ქალაქი იყო გაშენებული. ლეონტი მროველის მიხედვით ქალაქის ისტორია ჯერ კიდევ ძვ.წ. III საუკუნიდან იწყება და უკავშირდება მეფე ფარნავაზისა და ქუჯი ერისთავის ურთიერთობას. დედაქალაქობის ხანის ნოქალაქევი საკმაოდ ძლიერი და კარგად განაშენიანებული ქალაქი უნდა ყოფილიყო, რასაც მოწმობს პროკოფი კესარიელის ცნობა – „ძალიან გამაგრებული არქეოპოლისი ... არის მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზიკის



97. ნოქალაქევი. გენგეგმა

ქვეყანაში". ქალაქის ადგილმდებარეობის თავისებურება განაპირობებდა მისი თავდაცვითი ზღუდეების განლაგების სპეციფიკას. მასზე თავდასხმისა და ამ დროს კედლის სანგრევი მანქანების გამოყენებისთვის ხელსაყრელი იყო აღმოსავლეთი მხარე. ამიტომ ქალაქის გალავნის ეს ნაწილი საგანგებოდ რამდენჯერმე ახალი ზღუდით იქნა გამაგრებული. V საუკუნის შუა ხანებში აიგო მეორე კედელი, ხოლო ამ საუკუნის ბოლოსათვის დამატებით ქვის დიდი ბლოკებით 2,5 მეტრი სისქის კედელი აშენდა.

ქალაქს ორი, სახმელეთო და სამდინარო, ჭიშკარი ჰქონდა. ეს უკანასკნელი თავისი დანიშნულებისა და არქიტექტურული გადაწყვეტის თავისებურებით განსაკუთრებით საინტერესოა. ის წარმოადგენდა საფეხურებიან გრძელ გვირაბს, რომელიც მდინარე ტეხურას ვიწრო ყელის ამაღლებული ნაპირიდან იწყება და უშუალოდ მდინარის პირზე მდებარე მცირე ბაქანზე ეშვება. კლდეში ნაკვეთი 40 მეტრი სიგრძის გვირაბი თავსა და ბოლოში არსებული კარებებით მტკიცედ იყო დაცული. გვირაბს ქალაქის წყლით მომარაგების ფუნქციაც ჰქონდა. სახმელეთო ჭიშკარი საკომუნიკაციოდ ყველაზე გამოსადეგ, აღმოსავლეთ, მხარეს მდებარეობდა და საგანგებოდ იყო გათვლილი მისი თავდაცვითი ფუნქცია. ამ კოშკის ტიპის საკმაოდ რთულ ნაგებობაში შესასვლელის ორივე მხარეს მცველებისათვის სპეციალური ორსართულიანი სათავსოები იყო მოწყობილი.

დღეს ნოქალაქევის ტერიტორიაზე დგას ორმოცმოწამეთას სახელობის გუმბათიანი ეკლესია, რომელიც თავდაპირველად, კერძოდ VI საუკუნეში, სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენდა. ქალაქში ბევრი ნაგებობა მრავალწლიანი არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად გამოვლინდა. აღნიშნული ეკლესიის სამხრეთით V საუკუნის ბაზილიკა გაითხარა, რომელიც თავის მხრივ უფრო ადრეულ შვერილაფსიდიანი ცალნავიანი ეკლესიის ადგილზე იყო აგებული. დარბაზული ეკლესიებია ასევ მთის ფერდზე და ციტადელში. პირველი მათგანი, სავარაუდოდ, ქალაქის გარნიზონისთვის იყო აგებული. ქვედა ტერასაზე გამოვლინდა მეფეთა სასახლეები. როგორც გაირკვა IV საუკუნის ორსართულიანი სასახლის დანგრევის შემდგომ, VI საუკუნის დასაწყისში, აიგო მეორე, სამსართულიანი სასახლე. აღსანიშნავია, რომ ქალაქში აღმოჩნდა ორი აბანო, რომლებიც მშენებლობის დონით, მასალის ხარისხით და ზომით

განსხვავებულია. უფრო დიდი, უკეთ გათლილი ქვებით მკვიდრად ნაგები მიიჩნევა სამეფო აბანოდ, ხოლო მეორე, შედარებით მცირე, სამოქალაქოდ. ნოქალაქევში აღნიშნული ძეგლების გარდა გაითხარა საცხოვრებელი და სამეურნეო ხასიათის ნაგებობებიც. აღსანიშნავია, რომ აქ ადრეული შუა საუკუნეების გარდა დადასტურებულია მომდევნო ხანის და გვიანი შუა საუკუნეების ნაგებობები.

შორაპანის ნაქალაქარი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, მდინარეების ყვირილასა და ძირულას ხეობაში მდებარეობს. მნიშვნელოვან სავაჭრო გზასთან სიახლოვე აქ ურბანული დასახლების ფორმირების მიზეზი ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში გახდა, რასაც არქეოლოგიური გათხრები ადასტურებს. ადრე შუა საუკუნეებში შორაპანი იყო გამაგრებული ქალაქი კლდოვან ბორცვზე გაშენებული ციხით. მის დაგეგმარებაში საფორტიფიკაციო საკითხებისადმი განსაკუთრებული ყურადღება სტრატეგიული მდებარეობით და საკომუნიკაციო მნიშვნელობით იყო განპირობებული. ამ ამოცანის გადაწყვეტა ლანდშაფტის სპეციფიკის და არქიტექტურულ-სამშენებლო საშუალებების გამოყენებით განხორციელდა. ციხე სამ ტერასაზე იყო გაშენებული. გალავნის კედელში სწორკუთხა კოშკები იყო ჩართული. ციხის კონფიგურაციას ბუნებრივი რელიეფი განსაზღვრავდა. ქვედა ტერასას წაგრძელებული სწორკუთხედის მოხაზულობა ჰქონდა. შუა ტერასის შემომფარგლავი კედლები ქვედა დონიდან ზევით უფრო შორდებოდა ერთმანეთს. ამასთან, დასავლეთის კედელი ბორცვის თხემს შემოუყვებოდა და მომრგვალებულ მოხაზულობას ქმნიდა. გალავნის აღმოსავლეთი კედელი სწორხაზონად მიემართებოდა ციტადელისკენ. თავად ციტადელი ყველაზე მაღალ, მესამე ტერასაზე იყო გაშენებული. ციხის წყლით მომარაგება მდინარესთან გამავალი გვირაბისა და ციტადელის ტერიტორიაზე აგებული ცისტერნის მეშვეობით ხდებოდა. განსხვავება შეინიშნება სამშენებლო სამუშაოების წარმოების კუთხით.



98. შორაპანი. გენგეგმა

უხეშად დამუშავებული ქვით, დულაბის გამოყენებით, ნაგები კედლები V-VI საუკუნეებს განეკუთვნება. მასზე დაშენებული ოთხკუთხა კვადრების წყობა VI საუკუნისაა. შორაპნის ციხე VI ს-ში ლაზებსა და ბიზანტიელებს დაუნგრევიათ, რათა ის ირანელებს არ ჩაეგდოთ ხელში [ვ.ჯაფარიძე, 2006: 9-36].

ამრიგად, ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი დასახლებული პუნქტი და ქალაქია დადასტურებული, რაც ურბანული ხუროთმოძღვრების განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მეტყველებს. ამ ეპოქაში ქალაქმშენებლობის ტრადიცია დიდწილად წინაქრისტიანული სამშენებლო გამოცდილებას ეფუძნებოდა, თუმცა ტექნიკური თუ სამშენებლო სიახლეები სამოქალაქო და საფორტიფიკაციო ნაგებობების გადაწყვეტაში ახალი მიდგომების გაჩენას უწყობდა ხელს. ქალაქების ურბანული სახის ფორმირების მთავარ ფაქტორად რჩება საფორტიფიკაციო ნაგებობები. ისინი აფიქსირებენ ქალაქის საზღვრებს და გამოკვეთენ შიდა-ციხის მნიშვნელობას. ამასთან, ახალი იდეოლოგიური და სოციალ-პოლიტიკური რეალობის შესაბამისად ურბანულ განაშენიანებაში დიდ მნიშვნელობას იძენს საეკლესიო ნაგებობები. ისინი რელიგიური მნიშვნელობის შესატყვისი არქიტექტურული გადაწყვეტით ქალაქის ერთიან ქსოვილში მკაფიო აქცენტებს ქმნიან.

განვითარებული შუა საუკუნეების პერიოდში დამპყრობთა უღლიდან განთავისუფლებული საქართველოს გაერთიანებამ, მანამდე არნახულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა გაძლიერებამ და კულტურის აყვავებამ საქალაქო ცხოვრების აღმავლობა განაპირობა. ეკონომიკურმა გააქტიურებამ, ხელოსნობის და სავაჭრო საქმიანობის გაფართოვებამ ამ პროცესს დიდად შეუწყო ხელი. ცნობილია, რომ აღნიშნულ ეპოქაში დაწინაურებული იყო ქალაქები – თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, გორი, დმანისი, სამშვილდე, მანგლისი, ახალქალაქი, ახალციხე, თელავი, არტანუჯი, ხუნანი, ხორნაბუჯი, ჟინვალი (ი.ციციშვილი,1995:78]. ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში ქალაქებზე ძირითადად სამეფო ხელისუფლება ზრუნავდა, თუმცა იყო ქალაქები, რომლებიც დიდგვაროვანთა ძალაუფლებას ემორჩილებოდა.

გალავანშემოვლებული ქალაქი, როგორც წესი, შიდა-ციხისა და საქალაქო დასახლებისაგან შედგებოდა. შიდა-ციხეში ქალაქის

მფლობელის სასახლე, კარის ეკლესია, მეცხოვნეთა სამყოფელი და სხვადასხვა დამხმარე ნაგებებობი იყო განლაგებული. მოსახლეობა გალავნის შიგნით ტერიტორიაზე ცხოვრობდა. ქალაქის დაწინაურებისას იზრდებოდა ქალაქის კედლებს გარეთ მცხოვრებთა რიცხვიც. ქალაქებში საცხოვრებელი ნაგებობების გარდა იგებოდა ეკლესიები, ასევე ბაზრები, დუქნები, სახელოსნო რიგები, ქარვასლები. ცალკეულ ქალაქებში იყო სასამართლო, სახაზინო თუ სხვა დანიშნულების შენობები.

ნაქალაქარი *დმანისი* მდებარეობს ქვემო ქართლში, თბილისიდან ასიოდე კილომეტრის დაშორებით, მდინარეების ფინეზაურისა და მაშავერას შესაყართან. აქ დასახლება ადრეული შუა საუკუნეებიდან არსებობდა, ხოლო IX საუკუნისთვის წყაროებში ქალაქად იხსენიება. განვითარებული შუა საუკუნეებში ქალაქი დმანისი საკმაოდ დაწინაურებული იყო და 13 ჰექტარ ფართობზე იყო განლაგებული. შემორჩენილი მონაცემების მიხედვით ნაქალაქარში საცხოვრებელი ნაგებობები აშენებული იყო ადგილობრივი ბაზალტის ქვით. აგურის მასალა ბუხრებისა და თახჩების მოსაწყობად იყო გამოყენებული. გამოვლენილია სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების შენობები თუ ცალკეული ფორმები, მაგალითად თონე, მარანი, ბეღელი, მარცვლეული შესანახი ორმოები და სხვა. ასევე გაითხარა სავაჭრო დუქნები და აბანოები. აღსანიშნავია, რომ XIII საუკუნეში დმანისში არსებობდა ზარაფხანა და იჭრებოდა ფული [ი. ციციშვილი, 1995:79]. აღსანიშნავია, რომ ამავე საუკუნის პირველ მეოთხედში მდიდრულად მორთული კარიბჭე მიაშენეს VII საუკუნის ტაძარს – დმანისის სიონს, რომელიც ზღუდით გამაგრებული შიდა ციხის ქვემოთ იდგა.



99. დმანისი. გენგეგმა

არქეოლოგიური გათხრების შედეგად XI-XIII საუკუნეების ქალაქის ნაშთები გამოვლინდა რუსთავში. კარგად განირჩევა ამ პერიოდის შიდა ციხის და საკუთრივ ქალაქის დასახლებული უბანი. გაითხარა ასევე

საცხოვრებელი სახლები და სამეურნეო ნაგებობები. როგორც ფაქტობრივი მასალა მეტყველებს, რუსთავში კარგად იყო განვითარებული ხელოსნური წარმოება და ვაჭრობა. აქ ამზადებდნენ კერამიკის, მინის ნაწარმს, იარაღსა და მორთულობის საგნებს.

საქართველოში მონღოლების გამოჩენის, განსაკუთრებით კი ბიზანტიის დაცემის, შემდგომ საკმაოდ რთული პერიოდი იწყება. გვიან შუა საუკუნეებში ქვეყნის დაქუცმაცების და დასუსტების ხანაში ქალაქური ცხოვრება დაქვეითებას განიცდის. ზოგ შემთხვევაში ქალაქების ტერიტორია შემცირდა, ზოგი მოკრძალებულ დასახლებად იქცა (მაგ.: სამშვილდე, სურამი, ახალგორი), ქალაქების ნაწილმა კი საერთოდ შეწყვეტა არსებობა (მაგ.:რუსთავი, ოძრხე, ხორნაბუჯი). ამგვარი სიტუაციის მიზეზი იყო როგორც უშუალოდ საბრძოლო მოქმედების შედეგად მიყენებული ზიანი, ასევე სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გაუარესება, სავაჭრო აქტივობის შემცირება როგორც ქვეყნის კუთხეებს შორის, ასევე მის ფარგლებს გარეთ. აღსანიშნავია, რომ ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე გვიან შუა საუკუნეებში გაძლიერებული აღმოსავლური, განსაკუთრებით ირანული, გავლენა ასახვას ჰპოვებს, როგორც ცალკეული ძეგლების არქიტექტურულ გადაწყვეტაზე, ასევე მათ როლზე ურბანულ განაშენიანებაში.

ვ. ბერიძე XVI-XVIII საუკუნის ქალაქებში დაგეგმარების მიხედვით რამდენიმე ჯგუფს გამოჰყოფს. 1) ორნაწილიანი ციხე (ციტადელი და გარე-ციხე) და შემოზღუდული ქალაქი. ამგვარი გადაწყვეტის ნიმუშია თბილისი და ქუთაისი. 2) ერთნაწილიანი ციხე (შიდა ციხე) და შემოზღუდული ქალაქი. მაგალითად გორი. 3) ორნაწილიანი ციხე და შემოუზღუდავი ქალაქი. მაგალითად ახალციხე, სადაც ქალაქს გარს კოშკები და გამაგრებული თხრილები ერტყა. 4) ერთნაწილიანი ციხე და შემოუზღუდავი ქალაქი. ამგვარი გადაწყვეტა ჰქონდა შავიზღვისპირა ისეთ ქალაქებს, როგორიცაა ცხუმი, ფოთი, ანაკლია, ბათუმი [ვ.ბერიძე, 1983:35].

გვიანი შუა საუკუნეების *თბილისი* ქართლის დედაქალაქს წარ-მოადგენდა. საკმაოდ შემცირებული მოსახლეობისა და ფართობის მიუხედავად ის საქართველოს ყველაზე მნიშვნელოვან ქალაქად რჩებოდა. სამწუხაროდ, აღა-მაჰმად-ხანის 1795 წლის ლაშქრობის



100. თბილისი. ტურნეფორის რუკა. 1701წ.

შედეგად დანგრევის გამო და ამ პერიოდის ქალაქის შესახებ წარმოდგენას ძირითადად წერილობითი დოკუმენტები, რუკები და ჩანახატები გვიქმნის (მაგ.: ჟან შარდენის, ტურნეფორის, ვახუშტი ბატონიშვილის) თბილისის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა გალავანშემორტყმული კალა, რომლის ფარგლებში იყო მოქცეული შიდაციხე ნარიყალა და დაბალი ციხე. მას მტკვრის დაღმა წელზე ებჯინებოდა სეიდაბადი თავისი აბანოებით, ხოლო საპირისპირო, ეხლანდელი ბარათაშვილის ქუჩის, მხარეს იყო გარეთუბანი. ეს უბანი კეთილმყოფელ გარემოში ფართოვდებოდა, ხოლო შემოსევების, მაგალითად, ლეკიანობის გააქტიურების პერიოდში, მცირდებოდა. ამ ტერიტორიის მიმდებარედ დღევანდელი სოლოლაკის და რუსთაველი პროსპექტის მონაკვეთზე გაშენებული იყო სამეფო და საუფლისწულო ბაღები. მტკვრის მეორე მხარეს, მეტესიცხიდის გადაღმა იყო ისანის უბანი (ავლაბარი).



101. თბილისი. ვახუშტი ბატონიშვილის რუკა, 1735წ.

თბილისში გვიან შუა საუკუნეებში კალას უბანში, მტკვრის გაყოლებაზე, ანჩისხატსა და სიონის შორის ტერიტორიაზე, მდებარეობდა სამეფო უბანი. აქ იყო სასახლე და სხვადასხვა სახელისუფლო ნაგებობები. საქალაქო ცხოვრების მთავარ არეალს წარმოადგენდა მეიდანი, მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ქუჩებით. ეს იყო ხელოსნობისა და სავაჭრო საქმიანობის ადგილი. არსებული დოკუ-

მენტების მიხედვით თბილისის ურბანული სახეს ვიწრო ქუჩების ქსელი, მტკვარსა და მთის კალთას შეფენილი სახლების ერთობლიობა ქმნიდა. ამ სივრცეში ეკლესიების გუმბათები თუ მეჩეთების მინარეთები ერთგვარ აქცენტებად აღიქმებოდა.

ქუთაისი საქართველოს დაყოფის შემდეგ, XVI საუკუნიდან, იმერეთის დედაქალაქს წარმოადგენდა. ამგვარი დაწინაურება მის განაშენიანებაში ნაკლებად აისახა, რადგან მუდმივი თავდასხმები და რთული ისტორიულ-პოლიტიკური ვითარება ხელს უშლიდა აღმშენებლობის პროცესს. დოკუმენტების სიმწირის გამო გვიანი შუა საუკუნეების ქუთაისის ურბანული სურათის დადგენა საკმაოდ რთულია. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ტიმოთე გაბაშვილის, ასევე დიუბუა დე მონპერეს შედგენილი რუკები და ჩანახატები..



102. ქუთაისი. ტ.გაბაშვილის რუკის ნაწილი, 1737წ.

XVI-XVIII საუკუნეებში ქუთაისი რიონის ორივე ნაპირზე იყო გაშენებული. მარჯვენა ნაპირზე დომინანტური პოზიცია გააჩნდა ადრეულ ხანაში დაარსებულ უქემერიონის ციხეს. მის მიმდებარედ იყო გალავანშემოვლებული უბანი ბაგრატის ტაძრით – გარე-ციხე. ეს ორი ნაწილი ქმნიდა ზედა ქალაქს. რიონამდე მონაკვეთში კი იყო ასევე გამაგრებული ქვედა ქალაქი, რომელიც ძირითად საცხოვრებელ უბანს წარმოადგენდა. ეს უბანი ხიდის მეშვეობით უკავშირდებოდა მარცხენა სანაპიროზე მდებარე ტერიტორიას. აქ იყო სამეფო რეზიდენცია და ორი გარეთუბანი ანუ გალავანს გარეთ არსებული დასახლებები, რომელთა წარმოშობა დიდწილად სწორედ სამეფო უბნის არსებობას უკავშირდება. როგორც ვხედავთ, ქუთაისის უბნებს ცალკე გალავნები გააჩნდა, რაც გეოგრაფიული მდებარეობის სპეციფიკით და თავდაცვითი საკითხების განსაკუთრებული მნიშვნელობით იყო განპირობებული.

ქართლის ცენტრალურ ნაწილში გაშენებული გორი სტრატეგიულ და სავაჭრო გზებზე მდებარეობის გამო საუკუნების განმავლობაში

ქვეყნისათვის მნიშვნელობან როლს ასრულებდა. XVII საუკუნეში ის ზემო ქართლის სადროშოს და აქტიური სავაჭრო ურთიერთობების თუ ხელოსნური წარმოების ცენტრს წარმოადგენდა. სამეფო ხელისუფლება ყოველთვის ითვალისწინებდა ამ ქალაქის მნიშვნელობას. განსაკუთრებით დიდი სამუშაოები ჩატარდა როსტომ მეფის დროს, როდესაც აღადგინეს გორის ციხე. თუმცა გვიანი შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი პრობლემები ქალაქსა და მისი მოსახლეობის რაოდენობაზეც აისახა.

გორის განაშენიანებას მისი გეოგრაფიული მოცემულობა, გაშლილი ვაკე, ორი მდინარე და ცალკე მდგომი მთა, განსაზღვრავს. ეს უკანასკნელი მთელი ტერიტორიის მაკონტროლებელი სათავდაცვო სისტემის განლაგების ადგილს და ქალაქის მთავარ ცენტრს წარმოადგენდა. თავად ქალაქი მთის სამ მხარეს განვითარდა და ლიახვის მეორე ნაპირზე აღარ გადასულა. აღსანიშნავია ქალაქის გალავანის წრიული მოხაზულობა, რომელიც განაპირობებდა დასახლების ხასიათს და ქუჩების რადიალურ განლაგებას.



103. გორი. გენგეგმა

გვიანი ფეოდალური ხანის ქალაქებს შორის აღსანიშნავია ასევე გრემი, რომელიც XV საუკუნის შუა ხანებიდან ორი საუკუნის მანძილზე კახეთის დედაქალაქის ფუნქციას ასრულებდა, ასევე თელავი, დუშეთი, სიღნაღი. განსაკუთრებით საინტერესოა სიღნაღი, რომელიც აღნიშნულ ქალაქებთან შედარებით ახალგაზრდაა და XVIII საუკუნეში დაარსდა.

სიღნაღი ქალაქად ჩამოყალიბდა ერეკლე II-ის მიერ აგებული სიმაგრის ტერიტორიაზე, რომელიც ლეკიანობის დროს ახლომდებარე სოფლების გასახიზნად იქნა აგებული. ამდენად, სიღნაღის არქიტექტურული სახის გააზრება ამ კონკრეტული ამოცანის შესაბამისად მოხდა. გალავანში სხვადასხვა მხარეს გაჭრილი იყო კარიბჭეები. მათი მეშვეობით ქიზიყის სოფლების მოსახლეობა სიმაგრეს თავს აფარებდა. კალავნის კოშკებს და კარიბჭეს შესაბამისი სოფლების სახელით მოიხსენიებდნენ. მათი მიმდებარე შიდა ტერიტორიაც ხიზნების განსათავსებლად იყო გამოყენებული.

1801 წლიდან სიღნაღმა მაზრის ქალაქის სტატუსი მიიღო. აქ მუდმივად მოსახლეთა დიდი ნაწილი იყო ხელოსნები და ვაჭრები, რომელთაც საკუთარი დუქნები გააჩნდათ. სიღნაღის სახასიათო ურბანული სახე ძირითადად XIX საუკუნის შუა ხანებიდან ფორმირდა.

ამრიგად, ძველ საქართველოში ურბანულ ხუროთმოძღვრებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია. სხვადასხვა პერიოდში მისი განვითარების პროცესი ისტორიულ-პოლიტიკური ვითარების შესაბამისი აქტივობით და კონკრეული ეპოქის შესატყვისი არქიტექტურულ-სამშენებლო ტენდენციების მიხედვით წარიმართა. ქალაქების განაშენიანებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა გეოგრაფიულ მდებარეობას, რომელიც დიდწილად განაპირობებდა მის არქიტექტურულ თავისებურებას.

თავდაცვითი ზღუდეებით შემოფარგლული, შუა საუკუნეებისათვის სახასიათო, სახე ქალაქებმა XIX საუკუნემდე შეინარჩუნა. ამ დროიდან იწყება ძირეული ცვლილებები და ურბანული განვითარების სრულიად ახალი ეტაპი. საფორტიფიკაციო სისტემის ფუნქციის დაკარგვა განაპირობებს ქალაქების გაფართოვებას. ეპოქისათვის სახასიათო ამ პროცესის პარალელურად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი საქართველოს ძველი ქალაქების ურბანულ ტრანსფორმაციას ხელს უწყობს ევროპული არქიტექტურული სტილების გავრცელება, ახალი ეპოქის შესაბამისი დანიშნულების შენობების მშენებლობა, კეთილმოწყობისა თუ ინფრასტრუქტურული საკითხების ეპოქის შესაბამის დონეზე მოგვარების მცდელობები, გამწვანების თუ ტრანსპორტის ახალი საშუალებების გამოყენება და რიგი სხვა ცვლილებები. XIX საუკუნეში ქალაქების არქიტექტურულ სახის ძირითადი განმსაზღვრელი ტრადიციული და ახალი ფორმების თანაარსებობა გახდა.

ამრიგად, საქართველოში საქალაქო ცხოვრების განვითარებას ხანგრძლივი ისტორია აქვს, რაზეც წინაქრისტიანული და შუა საუკუნეების ქალაქების შესახებ არსებული მონაცემები მეტყველებს.

.....

გ. აბრამიშვილი პ. ზაქარაია ი. ციციშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, თბილისი, 2000;

ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი,1963;

ვ.ბერიძე, XVI-XVIII საუუნეების ქართული ხუროთმოძღრება,თბილისი,1983;

ალ. ბოხოჩაძე, ნასტაკისი, სარკინე, ძალისი, ჟურ. ძეგლის მეგობარი, №33,თბილისი,1973, გვ 36-45;

ალ. ბოხოჩაძე, ძალისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩანილი სასახლე, აფსიდიანი ნაგებობა და საცურაო აუზი, ჟურ.ძეგლის მეგობარი, №4, თბილისი,1987, გვ. 25-30;

გ. გამყრელიძე, საქართველოს არქეოლოგიის განვითარების ისტორიიდან, კრებ. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბილისი,2010, გვ.15-37;

დიდი მცხეთა 1980. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, მცხეთა IX, თბილისი,1989, გვ.6-35;

დიდი პიტიუნტი, კრებ.,I-III, თბილისი, 1975-1978;

პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბილისი,1965;

პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1991;

ო. ლანჩავა, ქუთაისის არქეოლოგია, ქუთაისი, 2007;

გ. ლომთათიძე. ციხე-ქალაქი უჯარმა და მისი თხრის შედეგი, საველე-არქეოლოგიური სესია, თბილისი,1953;

გ. ლორთქიფანიძე. ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბილისი, 1991;

ოთ. ლორთქიფანიძე, ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბილისი, 2002;

მ. მანია, დუშეთი-ურბანული და არქიტექტურული მემკვიდეობა, თბილისი, 2017;

ვ. ნიკოლაიშვილი. არმაზციხე – ქართლის სამეფო რეზიდენცია, თბილისი, 2011;

ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბილისი,2013;

ირ.ციციშვილი. უჯარმა, თბილისი,1982;

ირ. ციციშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1995;

მ. ძნელაძე, ვ. ჩიხლაძე, არქეოლოგიური აღმოჩენები თბილისის წმ. ორმოც სებასტიანელ მოწამეთა მონასტრის ტერიტორიაზე, 2011, ჟურ.იბერია-კოლხეთი, №8, თბილისი, 2012, გვ. 83-98;

დ. ხახუტაიშვილი, კლდეში ნაკვეთი ქალაქი, თბილლისი,1965;

კ. ხიმშიაშვილი. უფლისციხის გეგმარება და მისი ძირითადი არქიტექტურული თემა, კრ. ძველი ქართული არქიტექტურა, თბილისი,1986, გვ.44-65;

ვ. ჯაფარიძე, ეგრისის ახ.წ.I-VIIსს. მატერიალური კულტურის ძეგლები თბილისი, 2006;

Ю. Гагошидзе, Самадло, Тбилиси, 1981;

Г. Шамба, Эшерское городище, Основные результаты археологических раскопок 1968, 1970 - 1977 гг., Тбилиси, 1980.

ილუსტრაციების სია

1. იმირის გორა, ადრესამიწათმოქმედო კულტურის საცხოვრისი. რეკონ-სტრუქცია;
2. ქვაცხელა, მტკვარ-არაქსის კულტურის საცხოვრისი. რეკონსტრუქცია;
3. გვირგვინოვანი გადახურვის ტიპები ლ.სუმბაძის მიხედვით;
4. ქართლის დარბაზის გეგმა და ჭრილი ლ.სუმბაძის მიხედვით;
5. ქართლის დარბაზის დედაბოძი. ეთნოგრაფიული მუზეუმი;
6. ქართლის დარბაზის ინტერიერი. სოფ.თელიანი. ეთნოგრაფიული მუზეუმი;
7. ახალციხე, რაბათი, ჯავახეთის დარბაზის გეგმა და ჭრილი ლ. სუმბაძის მიხედვით.;
8. ჯავახეთის დარბაზის ინტერიერი. სოფელი სარო. თ.ზედგინიძის ფოტო;
9. ახორი სოფელ საროში. თ.ზედგიძის ფოტო;
10. ჯავახეთის დარბაზის ინტერიერი. სოფელი ბარალეთი. თ.ზედგინიძის ფოტო;
11. ბუხრიანი დარბაზი სოფელი უდეში. თ.ზედგინიძის ფოტო;
12. ძელებიანი საჯალაბო სახლი სოფ.საქარაში მ.გარაყანიძის მიხედვით.;
13. ოდა სოფელ ბანძაში მ.გარაყანიძის მიხედვით;
14. ერთოთახიანი ოდას გეგმა და ფასადი ი. ადამიას მიხედვით;
15. მეგრული ოდა. თ.ლეთოდიანის ფოტო;
16. რაჭული ოდა;
17. ღობის სახეობები;
18. წნული ღობე. ლ.აბრალავას ფოტო;
19. გადახურული ჭიშკარი. ქრ.კასტელის ჩანახატი;
20. სასიმინდეები;
21. ოდას აივანი;
22. რაჭული ოდის აივანი, ს.ლეჟავას ფოტო;
23. სვანური კოშკები;
24. სვანური მურყვამიანი სახლი გ.ლეჟავასა და მ. ჯანდიერის მიხედვით;
25. მაჩვიბი მ. გარაყანიძის მიხედვით;

26. მაჩვიბი. მ.კვიციანის ფოტო;

27. სვანური კოშკები;

28. ხევსურული ციხე-სახლი ანუ ქვითკირი ს. მაკალათიას მიხედვით;

29. შატილი;

30. ხევსურული კალოიანი სახლის მსგავსი საცხოვრებელი მთიულეთში;

31. ხევის საცხოვრებელი ყაზბეგში ვ.დოლიძის მიხედვით;

32. თუშური ციხე-სახლი ს.მაკალათიას მიხედვით;

33. საომარი კოშკი თუშეთში;

34. ძალისას ტაძარ-სასახლის გეგმა;

35. ნოქალაქევის პირველი სასახლის აქსონომეტრია პ.ზაქარაიას მიხედვით;

36. ნოქალაქევის მეორე სასახლის პირველი სართულის გეგმა პ. ზაქარაიას მიხედვით;

37. ვანთის სასახლის პირველი და მეორე სართულების გეგმა;

38. ვაჩნაძიანის სასახლის პირველი და მეორე სართულების გეგმა;

39. ვაჩნაძიანის სასახლე;

40. კვეტერას სასახლის გეგმა;

41. კვეტერას სასახლე;

42. ეპისკოპოსის სასახლე ნეკრესის მონასტრში;

43. ნადარბაზევის სასახლის გეგმა;

44. გეგუთის სასახლის რეკონსტრუქცია ვ. ცინცაძის მიხედვით;

45. გეგუთის სასახლის გეგმა ვ. ცინცაძის მიხედვით;

46. დმანისის ნაქალაქარი;

47. ალვანის სასახლის გეგმა და ჭრილი ვ. წილოსანის მიხედვით;

48. გრემი;

49. სამეფო სასახლე თელავში;

50. ძაღინას ფალავანდიშვილების სასახლის რეკონსტრუქცია ლ. რჩეულიშვილის მიხედვით;

51. ნულის სასახლი გეგმა პ.ზაქარაიას მიხედვით;

52. ტუსიშვილის სასახლის პირველი და მეორე სართულის გეგმა ლ. რჩეულიშვილის მიხედვით;

53. მთისძირის კოშკურა ნაგებობა გ. გამყრელიძის მიხედვით;

54. ნორდევანი ციკლოპური ციხის გეგმა;

55. არმაზციხის რეკონსტრუქცია გ.გამყრელიძის მიხედვით;

56. ხერთვისის ციხე;

57. ქსნის ერისთავების ციხე-დარბაზი ახალგორში;

58. ციხე-გალავანი ყვარელში;

59. სწორკუთხა გეგმის კოშკი სვანეთში. მ.კვიციანის ფოტო;

60. წრიული კოშკი პატარძლეულში;

61. იუხოს ზურგიანი კოშკი. ლ. გაბელიას ფოტო;

62. არმაზისხევის აბანოს გეგმა;

63. ძალისის აუზის გეგმა;

64. ბიჭვინთის აბანოს გეგმა;

65. ნოქალაქევის სამეფო აბანოს გეგმა პ. ზაქარაიას მიხედვით;

66. ნოქალაქევის სამოქალაქო აბანოს გეგმა პ. ზაქარაიას მიხედვით;

67. ნოსირის აბანოს გეგმა პ. ზაქარაიას მიხედვით;

68. გრემის აბანოს გეგმა პ. ზაქარაიას მიხედვით;

69. ჭრელი აბანო თბილისში;

70. ჟან შარდენი. კაშანის ქარვასლა ირანში;

71. სეფიანთა პერიოდის (XVI-XVIII სს) ქარვასლის გეგმა;

72. ფარავნის ქარვასლის გეგმა;

73. გრემის ქულბაქების და ქარვასლის გეგმა;

74. ყოფილი თბილელის, იგივე არწრუნის ქარვასლის ფასადი სანაპიროს მხრიდან;

75. ყოფილი ქარვასლა სიონის №13-ში;

76. ყოფილი ა.ხოჯაპარუხოვის და ი. მაისურაძის ქარვასლა;

77. თამამშევის ქარვასლა;

78. ბორანი მტკვარზე;

79. ხის ხიდი მთიან აჭარაში. ვ.კასრელიშვილის ფოტო;

80. ბესლეთის ხიდი;

81. ხიდი მდინარე თეძამზე რკონთან. გ. ჩანადირის ფოტო;

82. ქვემო საქარის ხიდი. გ.ბარისაშვილის ფოტო;

83. წითელი ხიდი;

84. სამადლო. გეგმა;

85. მცხეთა. გ.გამყრელიძის მიხედვით;

86. არმაზისხევის გათხრების გენგეგმა;

87. არმაზციხე. გენგეგმა;

88. სარკინე. ნაქალაქარის რეკონსტრუქცია;

89. ურბნისი. გენგეგმა და გალავნის რეკონსტრუქცია;

90. უფლისციხე. გენგეგმა;

91. ვანი. რეკონსტრუქცია;

92. გონიოს გენგეგმა;

93. ბიჭვინთის გენგეგმა;

94. უჯარმის რეკონსტრუქცია;

95. რუსთავის ციხე, გეგმა;

96. ქუთაისის ციხის გენგეგმა;

97. ნოქალაქევი. გენგეგმა;

98. შორაპანი. გენგეგმა;

99. დმანისი. გენგეგმა;

100. თბილისი. ტურნეფორის რუკა.1701წ.;

101. თბილისი. ვახუშტი ბატონიშვილის რუკა, 1735წ.;

102. ქუთაისი, ტიმოთე გაბაშვილის რუკის ნაწილი, 1737წ.;

103. გორის ციხე. გეგმა.

Natela Jabua

The Secular Architecture of Old Georgia

The present work is a textbook for the students majoring in art history and for those who study at the humanities departmentand are interested in the Georgian art history.

Some issues of old Georgian secular architecture are discussed. Various factors promoting development of architecture and construction practices in Georgia and essential characteristics of secular architecture are presented, the peculiarities of architectural, constructive and artistic solution of traditional dwellings, palaces, fortifications, baths, caravanserais and bridges, along with the characteristic features of historic urban settlements are revealed.

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამარ სტეფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22

ISBN 978-9941-25-459-8